

6-8959

ასურელ მოღვაწეთა
ცხოვრების წიგნთა
ძველი რედაქციები

თბილისი

1955

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა
ძველი რედაქციები

МИНИСТЕРСТВО ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ СССР
ТБИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ им. СТАЛИНА

Труды кафедры древнегрузинского языка. 1.

**ДРЕВНИЕ РЕДАКЦИИ
ЖИТИЙ
СИРИЙСКИХ ПОДВИЖНИКОВ
в Грузии**

ТЕКСТЫ
с исследованием и вокабуларием
издал
ИЛЪЯ АБУЛАДЗЕ

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
ტბალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბეული ქართული ენის კათედრის პროფები. 1.

ასუკედ მოლვანეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედექციები

ტ მ ქ ს' ტ მ ბ ი

ბამოკვლევითა და ლექსიკონით

ბამოსცა

ილია აბულაძე

რედაქტორი — ა. შანბე

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა VII—VIII
შესავალი IX—XXXII

1. იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნები (IX—XXIII).
2. შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნები (XXIII—XXV).
3. დავით გარეჯელის ცხოვრების წიგნები (XXV—XXVI).
4. აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნები (XXVI—XXXII).

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი 1—213
(ტექსტები)

1. ცხოვრება იოანე ზედაზნელისა (2—68),
2. ცხოვრება შიოასის და ვვაგრესი (69—143),
3. ცხოვრება დავით გარეჯელისა (144—187),
4. წამება აბიბოს ნეკრესელისა (188—196).

დამატება 197—213

თბრობა სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოასისა, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრება ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან (199—213)

გამოყენებული ხელნაწერები 214

ლექსიკონი 215—219

საძიებლები (პირთა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა) 220—223

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემის ძირითადი მიზანია, ხელთ გვეკონდეს თავ-მოყრილად ძველი ქართული კულტურის სარბიელზე გარკვეული კვალის აღმბეჭდველი ე. წ. «ასურელი მოღვაწეების» (ანუ სირიელი მოღვაწეების) ცხოვრებათა წიგნები, რომელთა ამა თუ იმ რედაქციის მიხედვით (ყოველთვის არც თუ სანდო გამოცემისა) მიმდინარეობს დღემდის მეცნიერული მსჯელობა ამ პირთა ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის გარკვევისათვის. ამისა და სხვა მსგავსი საგულისხმო საკითხის ჯეროვანი გაშუქებისათვის უპირველესი პირობაა, გამოვლინებულ იქნეს წარსულისაგან ნამეკვიდრევი სათანადო წერილობითი წყაროები (ამ შემთხვევაში ცხოვრების წიგნები) და გარკვეულ იქნეს მათი ერთმანეთთან მიმართების საკითხი.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გაწეული ძიება შემდეგს არკვევს:

იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნი სამი რედაქციით არის მოღწეული. უძველესი მათგანი, რომელიც ერთად-ერთი და მასთან ნაკლულევანი ხელნაწერის სახით არის მოღწეული (Q 795), X ს.-ის მეორე ნახევარშია გამოთქმული, რაც ეკუთვნის ამ ხანის მოღვაწეს არსენ II-ს. მეორე რედაქცია, აგრეთვე ერთი ნუსხით დაკული (A 199), მისგან არის გამოკრებილი (მოკლე რედაქცია) და მესამე კი, რომელიც მრავალ ხელნაწერშია შემონახული, ცხოვრების მოკლე წიგნზე აღმოცენებული მეტაფრასული რედაქციაა. როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი. პირველი ორი რედაქციის წარმოსადგენად გამოყენებულია თითო ცალად შემონახული ხსენებული ნუსხები. ხოლო მესამისათვის მოხმობილია სამი აღრინდელი ხელნაწერი (A 160, A 130 და S 449). ამათგან უძველესი რედაქციის ტექსტი პირველად ქვეყნდება. იგი ანასეული ქართლის ცხოვრებისა ხელნაწერს აქვს დართული (XV ს.). ამ ნუსხაში ძველი დედნის ცალკეული ადგილები და ორთოგრაფია შებლაღულაა გადამწერთა ხელში, რის გამო ტექსტი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაუმართეთ და ორთოგრაფიაც შევასწორეთ¹.

შიოსა და ევაგრეს ცხოვრების წიგნისა მხოლოდ ორი რედაქციაა ხელნაწერებში წარმოდგენილი: მოკლე და მისი გადანაკაზმი—მეტაფრასი. შენიშნულია პროფ. კ. კეკელიძის მიერ, რომ შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნის გაგრძელებაა, რაც ნამდვილი უნდა იყოს. ამდენად უნდა მივიღოთ, რომ იოანე ზედაზნელის ნაკლულევანად შემონახული არსენისეული ცხოვრების წიგნი, რომლის თანმიმდევრულ გამონაკრებს მოკლე წიგნი წარმოადგენს, მოიცავდა აგრეთვე შიოსა და ევაგრეს ცხოვრების აღწერასაც. ცალ-ცალკე ეს ცხოვრებანი მხოლოდ მეტაფრასულ რედაქციებშია წარმოდგენილი. ამათი მიღვევებით ჩვენ მიერ გამოცემული წყაროცა (მოკლე რედაქცია) და მისი პირველწყაროც (არსენისეული ცხოვრე-

¹ ხელნაწერის გადაღებული და დაკლებული სიტყვები თუ ფრაზები კავებშია პოთა-სებული.

ბის წიგნი) გარკვეულ ნაწილებში გადალაგებულია, მაგრამ მათი პირვანდელი აღნაგობის სახის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება, თუ შემდგენელ ნაწილებს სათვალავებს მივსცემთ. მეტაფრასული რედაქციისათვის ყველა ის ნუსხაა გამოყენებული, რომლებიც იოანე ზედაზნელის ცხოვრებისათვის ავარჩიეთ (A 160, A 130, S 449), ხოლო მოკლე ცხოვრებისათვის, გარდა აქამდე ცნობილი ერთი უძველესი ნუსხისა (A 199), რომლის მიხედვით ის პროფ. ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა, ჩვენ ერთი ახალი, ბოლო წლებში გამოვლინებული, შედარებით გვიანდელი ნუსხითაც ვისარგებლეთ (H 1336).

დავით გარესჯელის ცხოვრების წიგნი ორი რედაქციით იყო და რჩება გეონობით გამოვლინებული: მოკლითა და მეტაფრასულით. უკანასკნელისათვის ყველა ის ნუსხა გამოვიყენეთ, რაც იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნთათვის შევარჩიეთ (A 160, A 130 და S 449), ხოლო მოკლე რედაქციისათვის, რომელიც აქამდის ცნობილი იყო ერთად-ერთი ნუსხით (A 199), და ისიც ნაკლებეანით, ჩვენ ვისარგებლეთ იმ ახალი, ბოლო წლებში გამოვლინებული ხელნაწერთაც, რომელსაც ცხოვრების ეს წიგნი ათულად დაუტყავს (H 1336).

აბიბოზ ნეკრესელის წამების წიგნისა ორნაირი რედაქცია მოგვეპოვება. დღენდის ცნობილი და ორჯის გამოქვეყნებული¹ უძველესი ხელნაწერის ტექსტი სხვებთან შედარებით რაძღენადმე მომცროა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც შემატებულად მიჩნეულ ადგილებს მასზე უფრო ვრცელისა და შედარებით გვიანდელ ნუსხებში წარმოდგენილი ცხოვრების წიგნიდან გამოვირიცხავთ, უკანასკნელის უპირატესობა ირკვევა პირველთან მიმართებით. ეს გარემოება დაუუღივით სწორედ საფუძვლად იმას, რომ წინამდებარე გამოცემაში გვიანდელი ნუსხებით წარმოდგენილი რედაქცია პირველ ადგილზეა წამოწეული, ხოლო ადრინდელი ხელნაწერთა მოკემული — მეორეზე. პირველი რედაქციისათვის ის ნუსხები გამოვიყენეთ, რომელთაც დაუტყავთ სხვა ასურელ მოღვაწეთა მეტაფრასული ოედაქციები (A 130 და H 2121), ხოლო მეორისათვის — მისი ერთად-ერთი შემცველი ხელნაწერი (A 832).

ღამატების სახით ზემორე ხსენებულ ცხოვრებათა და წამების წიგნებს ჯაეურთეთ «თხრობაჲ სასწაულთათჳს მამისა შიოჲსთაჲ», შეკრებილი ბასილი ათალიკოსის მიერ. ამ თხრობას გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის, როგორც ეს აღნიშნულია უკვე მკვლევართაგან. ეს გარემოება გვიკარნახებდა ჩვენ მის ხელახლა გამოქვეყნებას პირველად მ. საბინინჲა გამოსცა ის ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნების მეტაფრასულ რედაქციებთან ერთად თავის «საქართველოს სამოთხეში». ეს ძეგლი ძხოლოდ XVIII ს.-ის ხელნაწერებით არის ცნობილი; წინამდებარე გამოცემაში ის წარმოდგენილია ორი მათგანის მიხედვით (H 1371 და 4621), რომლებიც მხედრულადაა ნაწერი.

ტექსტებს ვურთავთ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელსა და მოკლე ლექსიკონსაც. უკანასკნელში მხოლოდ იშვიათად ხმარებული სიტყვებია განმარტებული.

თბილისი, 2 X 1955

ილია აბულაძე

¹ პირველად მ. ჯანაშვილის მიერ წიგნში: «Описание рукописей церковного му.кн. книга III. Тбилиси, 1906, გვ. 25—28, და მეორედ ს. კაკაბაძის მიერ წიგნში: «ასურელ მამათა ცხოვრებათა არტები... თბილისი, 1928 წ., გვ. 42—46.

შესავალი

ცამეტ ასურელ მამათაგან, რომლებიც სამონასტრო სარბიელზე მოღვაწეობდნენ საქართველოში, ცხოვრების წიგნი მხოლოდ ზოგიერთს მოეპოვება.

1. იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნები

იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებიდან ყველაზე ადრე ცნობილი შეიქმნა ის რედაქცია, რომელიც მ. საბინინმა გამოაქვეყნა თავის «საქართველოს სამოთხეში» 1882 წელს. ამ კრებულში შესული ზედაზნელის ცხოვრების ტექსტი მომდინარეობს ქართველ წმიდათა წამება-ცხოვრებათა კრებულიდან, რომლის შედგენა, როგორც უკვე გარკვეულია¹, დაკავშირებულია ვახტანგ VI-ის ძმის დომენტი კათალიკოზის სახელთან. ეს კრებული, მისი გადამწერის გ. საგინაშვილის ანდერძის თანახმად, დომენტის შეუდგენია 1704—1713 წწ.² კრებულის შემდგენელს მასში შეუტანია იოანე ზედაზნელის ცხოვრების ისეთი რედაქცია, რომელიც წინათ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული ჩვენში, როგორც ამას ჩვენამდის მოღწეული ნუსხებიც მოწმობენ (ასეთია მაგ. S-449, რომელიც ხელის მიხედვით XVII ს.-ისა უნდა იყოს, და A-160—1699 წლისა³).

ხელნაწერთა შორის იოანე ზედაზნელის ცხოვრების სხვა წიგნის არსებობაც აღინიშნა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. 1901 წელს თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ საეკლესიო მუზეუმის (ან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის) მანუსკრიპტთა აღწერილობაში № 199 ხელნაწერის შედგენილობის აღნუსხვისას აღნიშნულია, რომ მე-18 გვერდიდან იწყება იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელიც შემდგენიარად არის დახასიათებული: «Этот древний вариант жития св. Иоанна из доселе известных». ეს ნუსხა თუ ვარიანტი⁴ ყველაზე უწინაოეს განიხილა ზემორე დასახელებული ცხოვრების წიგნთან ნიძართებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. კ. ქეკელიძემ თავისი «ქართული მწერლობის ისტორიის» პირველსავე განოცემაში 1923 წ. ⁵ შედგენი. 1928 წ., ეს ძველი ვარიანტი რამდენიმე სხვა ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებთან ერთად «სისტორიო კრებულის» I წიგნის დამატებად გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ: «ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიკები».

არსებობს კიდევ იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთი წიგნი. ის დაცულია ანასეული ქართლის ცხოვრების ნუსხაში სულ ბოლოს. მისი არსებობა

¹ ივ. მეტრეველი, ქართული-გიორგოთაჟიის კრებული და მისი შეკვლევა. «პუშკინის სახ. თბილისის სახელ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები», ტ. VIII, 1950 წ.

² დღეს ის დაშლილი სახით არის წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში: A—130 და H—1557. უკანასკნელშია დაცული იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელიც გამოცემაში ჩვენ A-130-თან ერთად D-თი გვაქვს აღნიშნული.

³ თ. ჟორდანიას. Описание рукописей церковного музея, т. I, стр. 162—4, გამოცემაში ეს ხელნაწერი C-თია აღნიშნული. ხოლო S-449—E-თი.

⁴ გამოცემაში წარმოდგენილია B-თი.

⁵ პროფ. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ.: ძველი მწერლობა, გვ. 153—8, თბილისი, 1923 წ.

პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა. მან აღმოაჩინა ქართლის ცხოვრების ეს ნუსხა (1913 წ.), რომელიც მის სიცოცხლეში მისავე კუთვნილებას შეადგენდა, ხოლო დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა და მის ხელნაწერთა Q ფონდშია დაცული № 795-ის ქვეშ¹.

ანასელი ქართლის ცხოვრების ნუსხაში შესული იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში იძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V—XVIII სს.ა² შემდეგს აღნიშნავდა: „...ამ ადგილას იოანე ზედაზნელის საყურადღებო ცხოვრება... და იქ, სადაც ეხლა ხელნაწერი წყდება, არამც თუ ცხოვრება დამთავრებული არ არის, არამედ ბლომად აკლია“³.

იოანე ზედაზნელის ამ, მართლაც, საინტერესო ცხოვრებას აკად. ივ. ჯავახიშვილი ეხება ზემორე ხსენებული თავისი წიგნის მეორე შევსებულ გამოცემაში, რომლის პირველი ნაკვეთი 1921 წელს გამოვიდა. მიიჩნია რა ეს ცხოვრების წიგნი მეორედ დაწერილად, აქ მას განსვენებული მეცნიერი იხილავს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მიზეზით უნდა ყოფილიყო იგიცა და სხვა ასურელ მამათა ცხოვრებანი ხელმეორედ დაწერილი. მკვლევარს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს მოჰყავს ამ ცხოვრების წიგნის სათაური და ადგილები შესავლიდან, რომელთა ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილს ეს ძველი წარმოდგენია არსენი კათალიკოსის მიერ შესრულებულ ვადაწყებებად, განახლებულად და გავრცობილად, რომელიც, როგორც წესი, შემკობილია სასწაულებით და შეგუებულია მოთხოვნილებასთან მაშინდელი მკითხველებისა, რომლებიც გატაცებული ყოფილან საღვთისმეტყველო ფილოსოფიით, რის გამო ასეთი „განახლებული“ და „გავრცელებული“ ცხოვრებანი საზოგადოდ და კერძოდ იოანე ზედაზნელის ცხოვრება მეტად ძვირფასი წყაროა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და სალიტერატურო გემოვნების ისტორიის შესასწავლად-რ⁴.

მიუხედავად იმისა, რომ ასე კარგად არის შეფასებული ცხოვრების ეს ახალი წიგნი, იგი აქამომდის გამოუქვეყნებელი იყო დღემდის არავის მიუყვია ხელი ამ წიგნის არა თუ გამოცემისათვის, არაჲდ შედარებისათვისაც კი უკვე გამოქვეყნებულ ცხოვრების წიგნებთან, ე. ი. მეტაფრასულსა და ე. წ. არქეტიპულ რედაქციებთან, გარდა ლ. მენაბდისა, რომლის ნაშრომი⁵, თუმცა შეიცავს შედარებასაც დასახლებული ნუსხებისას, მაგრამ ახალს ამათ ერთმანეთთან მიმართების საქმეში არას იძლევა. ასურელ მამათა ცხოვრების გარშემო, და ნათ რიცხვში იოანე ზედაზნელის ცხოვრების შესახებაც, მსჯელობა და ანა-

¹ ამას გამოცემაში A-თი აღნიშნავთ.

² ივ. ჯავახიშვილი ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს. ს.), თბილისი, 1916.

³ იქვე, გვ. 257, შდრ. 1945 წლის გამოცემას, გვ. 304.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მე-2—3 გამოცემა თბილისი, 1945 წ. გვ. 37—44.

⁵ მხედველობაში გვაქვს ავტორის სადისერტაციო შრომა კანდიდატის სამეცნიერო ხისტიის მოსაპოვებლად.

ლიზი სამეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად მიიმართებოდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეტაფრასული რედაქციის მიხედვით.

თუ რას წარმოადგენს ერთმანეთთან მიმართებით იოანე ზედაზნელის ცხოვრების დასახელებული წიგნები და რომელი მათგანია ადრინდელი, ეს ქართული ფილოლოგიის საზრუნავი საქმე უნდა ყოფილიყო ადრევე, იმ დროიდან მაინც, რაც ხელ-მისაწვდომი შეიქნა მესამე წიგნი (ანასეულ ქართლის ცხოვრებასა დართული), მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით სრული ანალიზი არ ყოფილა ჩატარებული.

ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხაში დაცულ იოანე ზედაზნელის ცხოვრებას ვრცელი შესავალი მიუძღვის. ცხოვრების წიგნთათვის წამძღვარებული ასეთი შესავლების მსგავსად (მოვიგონოთ თუნდ ფრიგოლ ხანძთელის ცხოვრება) ესეც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შინაარსისაა.

ამ შესავალში ის აზრია გატარებული, რომ საქირთა თხრობით, ე. ი. ისტორიით, ითქვას დიდ პირთა შესახებ, რომლებიც უნდა იქადაგენ ქვეყანაზე სიტყვის მსახურთაგან. ჩვენო, —აცხადებს აგიოგრაფი, —ვეძებთ არა თუ ადვილად საზრუნავს, არამედ ისეთ პატიოსან, ანუ ძვირფას მარგალიტებს, რომლებიც შრომითა და გარჯითა მოსაპოვებელი ზღვის სიღრმეში. გვინდა გამოვაცხადოთ ისინი, რომლებიც მზად არიან გაუყონ სიმდიდრე — საღვთო ძღვნის წაუხდენელი განძი — ჩვენ ხალხსა.

თუ ვისი საქმენია გამოსაცხადებელი, ამას აგიოგრაფი გვაუწყებს იმ საპასუხო ეპისტოლით, რომელიც მას მიუწერია, როგორც ირკვევა. ზედაზნის უდაბნოს წინამძღვრისათვის, ვინმე მიქელისთვის. ამ წერილიდან ვტყუობილობთ, რომ აგიოგრაფისათვის მიქელს უზოგია, აეწერა „დიდისა იოანე ზედაძნელისა ცხოვრება“ და მიეწოდებინა უდაბნოსათვის იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, დაეიწყებას არ მისცემოდა დიდი მოძღვრის სათნოებანი და, მეორეც, რომ მის სათნოებათა აღწერით სარგებელი შეეძინა ყველას.

აგიოგრაფს მიუღია წინადადება და მცირე ქარტაც, ომელშიც ზოგი რამ ამოუკითხავს იოანეს შესახებ, მაგრამ მის გარდა ის გამოკითხვასაც შესდგომია: „ზოგი რამე მისთხს... და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, პათ შინა ადგილთათხს“, ერთი სიტყვით იგი ცდილა მოეპოვებინა ოქროს მარცვლები. რომელთაგან მას, როგორც ხელოვანს, უნდა შეექნა ტურქელი.

მევიღე წინადადება — გვითხრობს აგიოგრაფი — მაგრამ, როცა შევატყვევ. რომ ნაკლებ მცოდნე და ენა-ბრგუ აღმოვჩნდი დავალებისათვის და არ ვიცოდი, საიდან დამეწყო თხრობა, გადაეწყვიტე, ნიშნებაჲ შრომის აუცკაოღ ფუტკრისათვის, რათა „სამოთხეთა შუენიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყლა ვილნი, რათა ვანუმზადო ქამადი ტკბილი წადიეროთა“-ო. მაგრამ ამის შედგომამდე საქირთა ლოცვა, რომელმაც დედის მუცელში „განაპოხა სამოელ და წინასწარმეტყუელად გამოაჩინა“; იგია, რომ შეეწია ნოსე სჯულმდებელს სჯულის ფიცართა მიღებისასო.

მოსეს მოგონება დასაწყისშივე იმისთვისა კ არის საქირო, რომ იგია „დამწყებელი სახლის წერიოთა, კეშმარტიისა მომასწავებელითა“-ო. მოსე აირჩია

ისრაელის წინამძღვრად ღმერთმა, რომელიც არის დაუსაბამო, უხილავი, უცვალებელი-ო... აქ აგიოგრაფი ჩამოთვლის დამახასიათებელ ნიშნებს დიოფიზიტური მოძღვრების შესაბამისად, რომლებიც ვითომც ღმერთს მოეპოვებოდეს; იგონება, თუ როგორ ვერ ცნეს კრეშმარტად საზღვარი გვამისა და ბუნებისა არიოსმა და მისმა მიმდევრებმაო და აკრიტიკებს მაკედონის მოძღვრებას სულიწმიდის რაობის განსაზღვრების საქმეში.

დიოფიზიტურ შეხედულებათა გადმოცემის შემდეგ აგიოგრაფი გვაჩვენებს თავის განზრახვას, უცთომელად შეამკოს იოვანე ზედანხელი.

წინასიტყვაობისა თუ შესავლის ამ მოკლე შინაარსიდან ნათელია, რომ აგიოგრაფს დაკვეთილი ჰქონია დაეწერა იოანე ზედანხელის ცხოვრება, რომელიც აღწერილი იქნებოდა ამ მოღვაწის სათნოებანი. გარდა ზოგიერთი იმ ცნობისა, რომელიც იოანეს შესახებ მოკლე წიგნით ანუ ქარტით თვით დამკვეთს მიუწოდებია, აგიოგრაფს განუზრახავს კიდევ მოეკრიბა საჭირო ცნობები, მაგონამ არა მარტო იოანეს სათნოებათა შესახებ, არამედ მის მოწაფეთათვისაც და აკოეთვე ადგილთათვის (ალბათ ამათ სამოღვაწეო ადგილებზეა საუბარი). ავტორის აღიარებით არც ეს აღმოჩენილა საკპარისი. ის საგონებელშია: როგორ მოვახერხო სათნოებათა გადმოცემა, საიდან დავიწყო თბრობაო, და იქვე გამოსაეალსაც პოულობს,—უნდა ვემგსავსო შრომის მოყვარე ფუტკარს და მის მსგავსად მოვიწილო ნააღაო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს წიგნებით უნდა შეავსოს მასალა, რომ შეადგინოს სათანადო საზრდო,—ცხოვრების წიგნი,—რომლითაც, ჯერ ერთი, აო მიეცემა დავიწყებას იოანეს სათნოებანიო და, მეორეც, სასარგებლო იქნება ის უდაბნოს სპოდიონთათვისო,

ი. როგორც თვითონვე ხსნის. მოსწრაფეთათვისო (ან მონაზონთათვის: თაბაზაჲჲ — მოსწრაფე, გადატანილ—მონაზონი). მიუხედავად ცდისა, ფაქტობრივი მასალა, რომელსაც სათნოებანი უნდა დაემოწმებინა, აგიოგრაფის შეფასებითვე, საკმარისი არაა, მცირეა მრავლისაგან, რადგან ამის მიზეზიაო—დაყოვნებაჲ თამისაჲ, ე. ი. ხან-დაზმულობაო.

ამრიგად, ცხოვრების წიგნის დასაწერად აგიოგრაფს ხელთ ჰქონია შემდეგი წყაროები: 1) მიქელისგან გამოგზავნილი წუთილი ქარტაჲ, 2) მოკითხული ცნობები იოანესთვის, მისი მოწაფეებისა და მათი მოღვაწეობის ადგილის შესახებ. და 3) წიგნთაგან გამოკრებილი მასალა. რაში ან სად შეინიშნება პირველი ან მეორე წყაროს გამოყენება, ძნელია ზედმიწევნით მითითება, მაგრამ შესაძებ—წიგნთაგან გამოკრებილი მასალა—ნათლად შეიმჩნევა ცხოვრების წიგნში. მეტადრე მის შესაეალსა თუ წინასიტყვაობაში. საღვთისმეტყველო საკითხები, რომლებზედაც საუბარი აქვს აგიოგრაფს ამ ნაწილში, სწორედ წიგნთაგან არის მოწილეული, ცხადია, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან. პირველ რიგში ე. წ. ეკლესიის მამათა ნაწერებიდან, რომლებიც ასეთ საკითხებს ეხებიან.

ცხოვრების წიგნი რამდენიმე თავისაგან შედგება. პირველი მათგანის საკუთარი ცხოვრებაშივეა მოყვანილი: დასაბამი ცხოვრებისა წმიდისა მამისა

ჩუენისა იოანე ზედძნელისაჲ. სხვას, ცალკე გამოყოფილ თავს, იქ ველარ ვხვდებით, მაგრამ ამ ერთის არსებობაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ცხოვრების წიგნს სხვაც ექნებოდა. ჩვენი ვარაუდით ეს თავი იქ უნდა სრულდებოდეს, საიდანაც იწყება თბრობა იოანეს ჯერ განზრახვასა და მერმე ვადაწყვეტილების მიღებაზე საქართველოში გამოსამგზავრებლად.

ამ მეორე თავში ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობასაც ვხვდებით. დასაწყისიდანვე აშკარა ხდება, თუ ვინ აოის ცხოვრების წიგნის გამომთქმელი. იგია მცხეთის კათალიკოსი, რაც ნათლად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ესე ნეტარი იოვანე... წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთ. მოიწია ქუეყანასა ქართლისასა მახლობელად დედა ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას“ (გვ. 12,15-19). „მცხეთაა ჩვენი დედაქალაქიო“, აგრე VI ს.-დან ქართლის კათალიკოსს შეეძლო ეთქვა და არა სხვა რომელიმე პირს.

ავიოგრაფი ამ თავში თავის მიზან-დასახულებასაც გვიმჟღავნებს. როცა იოანეს ასურეთში (სირიაში) მოღვაწეობას მოკლედ გადმოსცემს, ურთავს: „ამას რაჲ ვიტყუ, არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხოვრებასა მისსა გაუწყებ თქუნდძნანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მიგითბრობხოლო პირველი იგი ცხოვრება და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“ (გვ. 18,13-20). ან აღგილიდან აშკარა ხდება, რომ ჩვენს ავიოგრაფს უმთავრესად აინტერესებს. იოანეს მოსვლის მიზეზი ჩვენში, მისი აქ მოღვაწეობა. წინა პერიოდი, ასურეთში მოღვაწეობა, იმ პირველ წიგნში სწერიანო. ამ თქმასთან დაკავშირებით საკითხის მისის, თუ რომელია ეს მითითებული პირველი ცხოვრება, რომელშიც ცალკე ყოფილა აღწერილი იოანეს ასურეთში მოღვაწეობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრების წიგნის შედგენისას ავიოგრაფს ხელთ ჰქონია, როგორც ეს აცხადებს, ერთი წერილობითი წყარო, — მიქელისაგან განოგზავნილი აწულილი ქარტაჲ, — რომელშიც მას ამოუკითხავს „რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო „პირველი იგი ცხოვრებაჲ“, სადაც „საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან“. ამ წიგნთან მიმართებით ავიოგრაფს მეორედ აღწერილად თავისი მიაჩნია. პირველის გეგმა და მიზან-დასახულება, ეტყობა, ჩვენს ავიოგრაფს არ აკმაყოფილებს. ეს კი იმიტომ, რომ მასში იოანეს მოღვაწეობა ყოფილა უფრო მეტად აღწერილი ასურეთში და მისთვის კი იმდენად ეს არ ყოფილა ძირითადი („არა აუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხოვრებასა გაუწყებ თქუნდ“, რამდენადაც ეს, თუ „რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა“. ამის განსაზოოციელებლად თავის მეორედ აღწერილ ცხოვრებაში ზოგი რამ იოანეს მოღვაწეობის შესახებ საქართველოში თუ ასურეთში მაინც ამოუკითხავს და გამოუყენებია.

მომდევნო მესამე თავად შეიძლება გამოვეყოთ ის ნაწილი, რომელიც მოგვითბრობს ზედაზნელის საქართველოში მოსვლას და ზედაზნეს დამკვიდრებას. საგულისხმო ცნობები ამ თავშიც მოიპოვება. ერთი მათგანი ისაა, რომ ცხოვრების წიგნის ავტორის დროს ზედაზნეს აშენებული ყოფილა მონასტერი, —

„აღვიდა მთასა მას მალაღსა, რომელსა ჰრქვან ზედაზადენ, სადა-იგი აწ მო-
ნასტერი მისი აღშენებულ არს“; გვ. 26,7-10).

არა ნაკლებ საინტერესოა აგიოგრაფის ის სიტყვებიც, რომლებითაც იგი ცდილობს ახსნას ზედაზენელისა და მისი მოწაფეების საქართველოში („ქართლში“ დამკვიდრების მიზეზი, — „რამეთუ უფალმან ყო დამკვიდრებამ იგი მისი აქა ორი-
სა საქმისათჳს: პირველად, რაათა სამკაულ იქმნას და გვრგვინ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატივის-ცემულნი... და მეორედ, რამეთუ აღგილი იგი, რომელსა მიივლინა, გოდოლი იყო პირ-
ველთა მათ წარჩინებულთაჲ, სადა-იგი კერპთ მსახურებამ აღმალღებულ იყო... რაათამცა მათვე აღგილთა ამალღა ღმრთის მსახურებამ, განწმიდნა მიერ გეს-
ლოვანებამ იგი უკეთურთა მათ ეშმაკთაჲ, ვითარცა ყო ოდენსე საბა აღღრღსა
ას კასტელისასა...“ (გვ. 26-28).

ამ ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ აგიოგრაფი საქართველოს კათალი-
კოსია, რადგან მცხეთას ისევე-და-ისევე თავის ქალაქს ეძახის („სამკაულ იქმნას
და გვრგვინ ჩუენისა ამის ქალაქისა“). ამას გარდა, ავტორის ცნობის თანახმად,
ზედაზენელის მოსვლის დროს, ე. ი. VI ს-ში, მცხეთის ახლოს ჯერ კიდევ არ
ყოფილა აღმოდგერილი კერპთმსახურება. აშკარაა ისიც, რომ აგიოგრაფი
იცნობს საბა განწმენდილის ცხოვრებას, რომელთანაც ის ერთ შემთხვევაში
პარალელს ატარებს. საფიქრებელია, რომ საბას ცხოვრებას ზედაზენელის ცხო-
ვრების წიგნის გამომთქმელი ქართული თარგმანით იცნობდეს, რაც, ცხადია,
თარგმანის აღმოცენების *terminus post quem non* იქნება და ერთი აღრინდ
ლი მოწმობაც საბას ცხოვრების გამოძახილისა ქართულ მწერლობაში.

მეოთხე თავად უნდა ავიჩინოთ ცხოვრების წიგნის ის ნაწილი, რომელიც
მოკვითხრობს იოანე ზედაზენელის მიერ მის მოწაფეთა დაგზავნას საქართველოს
სხვადასხვა კუთხეში ახალ ნერგი ქვეყნის განსამტკიცებლად და მისთვის სათნო
ცხოვრების ნიმუშთა მისაცემად. ვრცელი დამოდღერის შემდეგ, ნათქვამია
აქ, იოანემ წაოავლინა „რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხე-
თაჲ კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშე-
თად, და ახუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეფოსა. ხოლო იგინი წარ-
ვიდეს და ღვენეკდრნეს რომელნიმე ქალაქთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა
და ჯერელთა ქუეყანისათა“ (გვ. 38,4-11).

როგორც უინა თავებში, ისე აქაც აგიოგრაფი მცხეთას ეძახის „ქალაქსა
ამას ჩუენსა სამეფოსა“, რაც, ცხადია, იმას მოწმობს, რომ გამომთქმელი
ავტენტის (რომელიც, როგორც ვნახეთ, მისთვის ხან არის „ღვდა ქალაქი ესე
ჩუენი“ და ხან „ჩუენი ესე ქალაქი“), უეჭველად ისე უცქერის, როგორც თავის
რეზიდენციას. ასეთი პირი, ასურელ მამათა მოღვაწეობის ხანისათვისაც კი,
სხვა არ შეიძლება იყოს ვინმე, თუ არ ქართლის კათალიკოსი.

მომდევნო მეხუთე თავს უნდა მიეკუთვნოს ცხოვრების წიგნის ის აღგი-
ლი. რომელიც მოკვითხრობს მოწაფეთა დამკვიდრებას თვითანთ სამყოფელ
ადგილებში, სადაც მათ თან ჰქონდათ მოძღვრისაგან ბოძებული ნიშნი წმი-
დათანი, რომელთა სახელზე ისინი ეკლესიებს აშენებენ.

მეექვსე თავად უნდა გამოიყოს ტექსტის ის ნაწილი, რომელიც იოანე ზედაზნელის ცხოვრება-მოღვაწეობას ეხება მის ერთ მოწაფესთან ერთად, ელიასთან, ზედაზნეს, რასაც თითქოს ვერ უთმობენ ეშმაკები, რომლებიც თავს ესხმიან მას და ურჩევენ დატოვოს ადგილი, მაგრამ იოანე ვითომც კრისტეს შეწევნით თვით მათ აიძულებს გაშორდნენ იქაურობას და მიმართონ „უშინარესთა წარმართთასა... ჩრდილოეთ კერძო“.

შინაარსობლივ ანავე თავს უნდა მიეკუთვნოს სხვა „სასწაულებიც“ იოანესი, როგორცაა: ა) წყაროს ამოხეთქა იმ ადგილს, სადაც თითქოს იოანეს ჯვარი დაესვენებინოს, „რომელი დღეს, — აცხადებს ავტორი, — დის მყოფათს მის მონასტრისათა და არა ხოლო თუ მათ კმა-ეყოფვის, არამედ სიმრავლისათს დიდძალისა“ (გვ. 50, 18-22) იგი წარმოადგენს სამკურნალო წყაროსაცო. ბ) დათვის დატუქსეა, რის შემდეგ მხეცმა თითქო ხელი აიღო თავის მხეცურ ბუნებაზე და გ) ღრეკილის განმრთელება, რომლისაგან მხოლოდ დასაწყისი სიტყვებიღა არის შემორჩენილი. დანარჩენი კი ცხოვრების წიგნის გავრცელებასთან ერთად დაკარგულა.

ქართლის ცხოვრებისა ანასეულ ნუსხაში დაცულ იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნს გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილია კიდევ ამ ცხოვრების ორი წიგნი: მოკლე და ვრცელი. ვრცელს ეძახიან მეტაფრასულს; იგი მოდის პირველისაგან, ე. ი. მოკლისაგან.

განვიხილოთ თვითელი მათგანი ანასეულ ნუსხაში დაცული იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთან მიმართებით.

შესავალი, რომელიც ანასეულს გააჩნია და მისი ავტორის განცხადებას წარმოადგენს, თუ რა მიზნითა და რა წყაროებზე დაყრდნობით ააგო მან თავისი წიგნი, მოკლეს სრულიად არ მოეპოვება. პირველთან შესაბამისი ადგილება ამის შემდეგ იწყება მეორეში. ზოგან თითქმის სიტყვა-სიტყვით გასდევნენ ისინი ერთმანეთს, ზოგან კი მოკლე წიგნის ტექსტი ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების წიგნის არსებითი ნაწილის გამონაკრებს წარმოადგენს. გვაქვს რამდენიმე გადახვევა, რომლებიც მათს ერთმანეთთან მიმართებაზე მეტყველებს.

ერთი ასეთი გადახვევა ისაა, რომ მოკლე წიგნში ავტორის ვინაობის მაუწყებელი ადგილები, წინააღმდეგ ანასეული ნუსხის ცხოვრების ტექსტისა, ისეა მოცემული, რომ მითითება ცხოვრების წიგნის გამომთქმელზე სრულიად წაოხცილია. აღნიშნული გეჟონდა ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხაში დაცული ზედაზნელის ცხოვრების განხილვისას, თუ როგორ გამოსტყვივის პირველი თავის დასაწყისი სიტყვებიდან ის, რომ მისი გამომთქმელი მცხეთის კათალიკოსია. ამ წიგნის სიტყვები: „ესე ნეტარი იოვანე... მოიწია ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად დედა-ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას“, ასეა წარმოდგენილი მოკლე წიგნში: „ესე ნეტარი მამა ჩუენი იოვანე... მოიწია ქუეყანასა ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა დედა-ქალაქსა მცხეთასა“ (გვ. 12, 15-21). ასევეა მომდევნო თავებშიც: „მოიწია ჩუენსა ამას დედაქალაქსა მცხე-

თას“ (ანასეულით) — „მოიწინეს ქალაქსა მცხეთისასა“ (მოკლით); ან „უფალ-მან ყო დამკვდრებდა იგი მისი აქა ორისა საქმისათჳს:— პირველად, რამათა სამკაულ იქმნას და გვრგვან ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი... სარგებელ და მკურნალ ყოველთათჳს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა, რომელნი ხადიან მათ“ (გვ. 26-28; ანასეულით) — „ხოლო ესე ამისთჳს ყო ღმერთმან, რამეთუ პირველად სამკაულ ექმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა“ (მოკლით); ან კიდევ: „წარავლინნა... სხუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეფოსა“ (ანასეულით) — „წარავლინნა... სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსა“ (მოკლით). თუ რით არის გამოწვეული ასეთი ცვლილებები, ამის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

შეცვლილია აგრეთვე პირველი თავის ბოლო სიტყვებიც, სადაც აქტორი იმაზე ლაპარაკობს, ოუ რა მიზან-დასახულება ჰქონდა მას, როცა ხელი მოჰკიდა ცხოვრების წიგნის გამოთქმას:

ანასეულით:

„ამას რა ვიტყუ, არა თუ მუნ რომელთაზე საქმეთა და ცხოვრებასა მისსა გაუწყებ თქუენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მიგიბორობ, ხოლო პირველი იგი ცხოვრება და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ აოიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“. (გვ. 18,13-20)

ოკლით:

„ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან“ (გვ. 18,15-17).

როგორც ვხედავთ, აქაც, მოკლეში, აქტორის სახე გაუჩინარებულია. ამასთან ტექსტი ისეა შემოკლებული, რომ დაუკავშირებელია ის როგორც წინა. ისე მომდევნო კონტექსტთან.

რაზე უნდა ნიგვითითებდეს ცხოვრების წიგნის დასაწყისშივე შესამჩნევი ასეთი მიმართება ამ ორი ტექსტისა? უეჭველია იმაზე, რომ მოკლე ცხოვრების წიგნი ნამდვილად შემოკლებდა ანასეულ ნუსხაში დაცული ვრცელი ცხოვრების წიგნისა. შემოკლებას, როგორც ჩანს, გარკვეული მიდგომა ახასიათებს. შემოკლებელს, ეტყობა, მიზნად აქვს მესამე პირით იყოს გამართული თხრობა და არსად ჩანდეს მითითება ავტორზე და მისი ესა თუ ის აღიარება ცხოვრების წიგნის განკარგვისათან დაკავშირებით. ამ მოვლენის სამოწმოდ აღიღები ბლომადა ტექსტში. აი ერთი მათგანი: „ხოლო ღვინისათჳს მეტსა ვგონებ ჩემსა სიტყუასა“ (ვრცელით, ანასეულით) — „ხოლო ღვინისათჳს ნამეტნავ არს სიტყუადცა“ (მოკლით).

ცხოვრების წიგნის უკანასკნელი თავის ერთი ადგილიდან ირკვევა, რომ ბოლომდის მაინც ვერ დაუკავს ეს მომენტი მოკლე წიგნს. ვრცელის თხრობა პირველი პირით აქაც უცვლელად რჩება: „და კუალად მუნეე მივიდე, რომელსა-იგი მიწყის“ (ვრცელით) — „ხოლო მე პირველსავე ვიტყუი“ (მოკლით).

აღნიშნულ მოვლენას თუ დაუყვირდებით, უნდა დავადგინოთ, რომ მოკლე წიგნი ავტორის ხელიდან გამოსული არაა. მისი განმკარგველის, ე. ი. რედაქტორის მიზანია, მოგვეცეს ცხოვრების წიგნის ისეთი საკითხავი ანუ რედაქცია, როგორსაც სენაქსარებში ვხვდებით ჩვეულებრივ. ამრიგად, ცხოვრების მოკლე წიგნი, ისე გამოდის, რომ ერთგვარ სენაქსარულ რედაქციას წარმო-

ადგენს და არა არქეტისს, როგორც მას გამომცემელი ეძახის¹, ანდა გამო-
მთქმელის ხელიდან გამოსულ ნაშრომს, კიმენურ რედაქციას, რომელიც თით-
ქოს საფუძვლად დასდებოდეს ვრცელ რედაქციებს, კერძოდ ანასეული ქართ-
ლის ცხოვრების ნუსხაში წარმოდგენილ ვრცელი ცხოვრების წიგნს, რომე-
ლიც მეტაფრასულ რედაქციად წარმოუდგენია ზოგ ჩვენ მკვლევარს².


ეს სენიანქსარული რედაქციის ნიშნები, რომელთაც ცხოვრების წიგნის
პირველსავე თავში ვხვდებით, გასდევს მთელს მოკლე რედაქციის წიგნს. ამათ
ზოგიერთი ახალი ნიშანი მომდევნო თავებიდანაც ემატება. ერთი ასეთი ახალ
ნიშანთაგანი ისაა, რომ მოკლე რედაქციაში ვერსად ვხვდებით ანასეულ ნუს-
ხაში დაცული ვრცელი რედაქციის ისეთ ადგილებს, რომლებიც ავტორს შე-
დარებათა და პარალელების გასატარებლად, ანდა ძირითადი საღვთისმეტყვე-
ლო კატეგორიების განსამარტავად მოჰყავს (მაგ., სულისა, ხორცისა, ნებისა
და სხ...), როგორც ის შესავალში აცხადებს, მოწილვით სხვადასხვა შეუნიეო-
თა წიგნთაგან. ამას მოკლე წიგნის განმკარგველი, როგორც ვნახეთ, ავირ-
დებდა ის ზოგჯერ შედარებათა და პარალელის მოყვანას ბიბლიიდან (კერძოდ
მეორე თავის დასაწყისში, როცა ავტორს იოანე ზედაზნელის გადაწყვეტილება
— განვიდეს თავისი ქვეყნიდან, ასურეთიდან, და მიმართოს ჩრდილო სხა-
რეს — აგონებს აბრაამს, რომლის მსგავსად იოანესაც გაუწია წინამძღვრობა
სულიწმიდამო).

სხვა ნიშნებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორის გომნობების გამო-
მხატველი ადგილები, რომლებიც ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების წიგნ-
გააჩნია, მოკლე რედაქციაში ისეა გადაკეთებული, რომ ამ თვისებისაგან და-
ცილილია. როდესაც სხენებულ ვრცელ რედაქციაში იოანეს მოწაფეების ვადა-
წყვეტილებაზეა საუბარი — არ დაშორდნენ თავიანთ მოძღვარს, რომელიც სატო-
თველოში ეპირება გამოემგზავროს — ავიოგრაფი წერს: „ჟ შეუნიეოთა მოძღუო-
სა მოწაფეთა კეთილი იგი შეთქმულება! საკრველსა მას სიყუარჯლისასა შე-
ეკრნეს, ორნატსა მას ქრისტესსა მიზიდვიდეს ეუთობით“, რაც მოკლეში ანა-
წარმოდგენილი: „ესრეთ შეკრულ იყვნეს სიყუარჯლითა სულიერითა“³. ი. ლენ-
ტესად ასეთი ადგილები მოკლე რედაქციაში ნთლიანად არის ხოლმე გამოტო-
ვებული (გვ. 27, 14-16), თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც, მსგავსად თბრო-
ბის მესამე პირზე გადაყვანისა, სულ ბოლომდის ეს ტენდენცია გატარებული
არაა, განსაკუთრებით წიგნის ბოლო ნაწილში. ცხოვრების მოკლე წიგნი

¹ ს. კაკაბაძე, ასურულ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები. «საისტორიო კრებულისა»
წიგნი I-ის დამატება, თბილისი, 1928 წ., გვ. 1-18.

ამ ჩვენი დასკვნის მსგავსი მოსახრება შენიშვნის სახით გამოთქმული აქვს აკად. ს. ჯანა-
შვიას (შრომები, II, გვ. 288, შენიშვ.): «კაკაბაძის მიერ გამოცემული ტექსტები, რასაკვირველია,
არქეტიპები კი არ არის, არამედ მერმინდელი შემოკლებები (სენიანქსარული მიდრეკილებისა).
სიმოკლე არ არის ერთადერთი და აუცილებელი ნიშანი ამგვარი ძველების სიძველისა».

² კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, «თბილისის
უნივერსიტეტის მოამბე» VI, გვ. 83-84.



ოითქმის ყველგან გამოტოვებულია ვრცელი რედაქციისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორიც არის ავტორის თანამედროვე ხანის რეალიების წარმოდგენა, რომლის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ აგიოგრაფის განცხადება, რომ ზედა-ზადენს „აწუ მონასტერი მისი აღშენებულ არს“-ო.

ამნაირად, მოკლე ანუ სვინაქსურული რედაქცია, ზემოთ ჩამოთვლილი წესით განკარგული, ყველგან მისდევს ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხაში დაკულ ზედაზნელის ცხოვრების ვრცელ წიგნს სათანადო ადგილების ან მთლიანი გადმოღებით, ანდა არსებითი ნაწილის გამოკრებით. ვრცელისაგან მომდინარე მოკლე ცხოვრების წიგნში მთლიანად გამოტოვებულია ის ადგილები, რომლებშიც საღვთისმეტყველო საკითხებზეა საუბარი; ამასთან ერთად მეტწილად დაგდებულია, ან მეტად შემოკლებულია ის ადგილები, რომლებიც ავტორის გრძნობებს გამოხატავს, ანუ, როგორც იტყვიან, ლირიულ გადახვევას წარმოადგენს. ასევე ხშირად უგულვებელ-ყოფილია ავტორის თანამედროვე სინამდვილის რეალიების დაცვა. არის მოკლეში შეტანილი ცვლილებებიც, რომელთაგან უმთავრესი ისაა, რომ ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ვინაობა ამ რედაქციაში გამოუმტყაფებელია და თხრობაც, რომელიც ვრცელში მომთხრობის, ე. ი. პირველი პირობით მიმდინარეობს, მოკლეში, უმთავრესად დასაწყის თავებში, მესამე პირობით მიიმართება.

გვევხე ნიშნები ახასიათებს ცხოვრების წიგნის ბოლო ნაწილსაც, რომელიც მოკლე, სვინაქსურული რედაქციას დაუტყავს, ხოლო ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხაში დაკულ ვრცელ რედაქციას აღარ შემორჩენია დეფექტურობის გამო. თუ ეხლა მოკლე რედაქციაში წარმოდგენილ ამ ნაწილს მივადევნებთ თვალს, უნდა აღვიაროთ, რომ ცხოვრების წიგნის დასახელებულ ვრცელ ნუსხაში მეშვიდე თავად უნდა ყოფილიყო თხრობა იოანეს მოწაფეთა შესახებ, რომელთაგან უმთავრესის, შიოს შესახებ თხრობას მოკლე რედაქციაში ცალკე სათაური მოეპოება: „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა რუენისა შიოსის და ევაგრესისა. ამის მომდევნო თავად კი იოანე ზედაზნელის სხვა მოწაფის. ისე წილკნელისათვის თხრობა იქნებოდა. მერვე და მეცხრე თავად კვლავ შიოს დაუფლებისა და აღსასრულის თხრობა, რასაც მოსდევდა მეთექვსმეტი და უკანასკნელ თავად ერთოდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის აღწერა.

ასეთ მიმდევრობას ვრცელისათვის (ე. ი. ანასეული ქართლის ცხოვრებისა დანართისათვის) ის გვევარაუდებინებს, რომ მოკლე, რომელიც ვრცელთან მიმართებით შემონახულ ნაწილში წარმოადგენს ვრცელის თანმიმდევრულ გამოწერას, ბოლო ნაწილში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრძელ მსჯელობას საღვთისმეტყველო საკითხებზე), თითქმის უცვლელად სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს ვრცელის ტექსტს.

ცხოვრების ვრცელ წიგნში რომ საუბარი უნდა ყოფილიყო იოანეს დასახელებულ მოწაფეთა შესახებ, ამას მისი შესავალიც მოწმობს: იქ, როგორც ვნახეთ, აგიოგრაფი აცხადებს, რომ იოანეს ცხოვრების წიგნის შესადგენად, გარდა „წუთილი ქარტისა“, რომელიც ზედაზნის მონასტრის წინამძღვარს მიქელს გაუზღავნია, „ზოგი რამეჲ გამოუკითხეთ მისთჳს - ლა მისთა მათ მოწაფეთა მათ.

თა, მათ შინა აღდილათსა“-ო (გვ. 4,22 24). მაშასადამე, მოწაფეების შესახებ მას ცხოვრების წიგნში შეუტანია თხრობანი.

ამრიგად, წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შემდეგ დასკვნამდის მივდივართ: «ქართლის ცხოვრების» ანასეულ ნუსხაში დაცული ცხოვრების ვრცელი ტექსტიდან მომდინარეობს მოკლე, ე. ი. სვინაქსარული რედაქცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვრცელი ტექსტი უშუალოდ გამოსულია ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ხელიდან, ხოლო მოკლე ამ ვრცელისაგან წარმომავლობს.

ეს ჩვენი დასკვნა უპირისპირდება სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის გამოთქმულ მკვლევართა აზრს, კერძოდ მოკლე წიგნის ანუ სვინაქსარული რედაქციის გამომცემლის პროფ. ს. კაკაბაძისას, რომელსაც ის მიაჩნია VII ს-ის დასასრულს დაწერილად არსენ საფარელის მიერ¹. არც გამომცემელს და არც სხვა რომელიმე მკვლევარს ანასეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხაში დაცული ზედაზნელის ცხოვრების წიგნი საგანგებოდ არ შეუსწავლია. მათ იცოდნენ მხოლოდ სათაური ამ ცხოვრების წიგნისა და მისი ზოგიერთი ექსცერპტი, რომლებიც აკად. ი.ვ. ჯავახიშვილს ჰქონდა გამოკვეთებული თავის «ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში», და მათ მიხედვით ის ერთ-ერთ ნეტაფრასულ რედაქციად მიაჩნდათ, მომდინარედ მოკლე რედაქციისაგან, ან როგორც ისინი ეძახდნენ, არქეტიპიდან. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც აკად. კ. კეკელიძე წარმოადგენს. მისი საგანგებო გამოკვლევის მიხედვით, «იოანე ზედაზნელის ბიოგრაფია გადაკეთებულია, როგორც ეს ანა დედოფლისეული ნუსხიდან ჩანს, ზედაზნის წინამძღვრის მიქელის შეკვეთით ვიღაც უცნობი მეტაფრასტის მიერ, რომელიც მიქელს უპასუხებს „ძმური“ ტონით და კრძალულებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის არაა კათალიკოსი საზოგადოდ და არსენი კერძოდ, როგორც ცხოვრების სათაურშია აღნიშნული“².

ავტორის ხელიდან გამოსულია მოკლე რედაქციაო, გვიმტკიცებენ ისინი. ასე რომ იყოს, მაშინ რით ავხსნათ ვრცელი ცხოვრების წიგნის გამომთქმელის ის ხშირი განჯახდებანი, რომლებითაც ის მცხეთას თავის დედაქალაქს ეძახის, ხოლო მოკლე მარტო დედაქალაქს, თუ არ იმით, რომ ვრცელი წიგნი ავტორის ხელიდან არის გამოსული და მოკლე კი მისი გამონაკრებია, ერთგვარი სვინაქსარული რედაქცია! ანდა, როგორ განვმარტოთ ვრცელი ცხოვრების წიგნის ის ადგილი, სადაც აგიოგრაფი აცხადებს, რომ ეს ჩემი წიგნი ცხოვრების მეორედ აღწერას წარმოადგენს, ხოლო აღრინდელი ასურეთს ცხოვრებას შეიცავსო? თუ მოკლე, არქეტიპად წოდებული რედაქცია, იქნებოდა აღრინდელი, მასში ხომ უმთავრესად იოანეს მოღვაწეობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი ასურეთში, მაშინ როცა მოკლეში გა-

¹ ს. კაკაბაძე. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები: «საისტორიო კრებულის» წიგნი 1-ის დამატება, თბილისი, 1928 წ. გვ. 7—15.

² კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე» VI (თბილისი, 1928 წ.), გვ. 83.

მოკლე რედაქციიდან მომდინარედ წარმოუდგენია ანასეული ნუსხის ცხოვრების წიგნი ლ. მენანდესსაც, რომელიც იცნობს ორივე რედაქციას ერთმანეთთან შეჯერებით.

მოკრებით იგივეა ნათქვამი, რაც ვრცელში! ამასთან, ამ შემთხვევისათვის მოკლე წიგნში ნათქვამი სიტყვები: „ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან“ (გვ. 18, 15-17) ხომ მხოლოდ ვრცელის სადანადო ადგილის გათვალისწინებით ხდება გასაგები და ვერ აიხსნება, თუ არ შევიწყნარეთ, რომ იგი ვრცელი ცხოვრების წიგნიდან არის გამოკრებილი და საზოგადოდ მოკლე რედაქციაა.

ეს ძირითადი მომენტები ექვს არ უნდა ტოვებდეს, აღვიაროთ, რომ ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხის ბოლოს მოთავსებული ცხოვრება აგიოგრაფის, მცხეთის კათალიკოსის ხელიდან გამოსული ცხოვრების წიგნია, რომელიც მისი სათაურის მიხედვით არსენ კათალიკოსს ეუთვნის და რომლიდანაც შემდეგში, გამოკრების გზით, შეუღვენიათ მოკლე, ე. ი. სვინაქსარული რედაქცია.

ამ მოკლე რედაქციისა და მისი წყაროს, ვრცელი რედაქციის ტექსტები თანხმობაშია ერთმანეთთან ყველგან ცალკეული სიტყვებით თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმებით, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, როცა ისინი ერთმანეთს სკლდეებიან: დაცილება ვეკაქეს იმ ადგილს, სადაც საუბარია იოანეს მიერ მოწაფეების დაგზავნაზე. ვრცელი წიგნით იოანე ზედაზნელმა მისი მოწაფეები წაოგზავნა: „რომელნიმე მათგანნი კახეთად და რომელნიმე კუხეთად კუძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით, და ერთი ვინმე გარეშეთად“ (გვ. 38, 4-7). ეს ადგილი (იქვე) მოკლეში ასეა გადმოცემული: „წარავლინა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით, და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა“. პირველი წიგნით არც ერთი იოანეს წარგზავნილი მოწაფე არაა დასახელებული, მოხსენებულია მხოლოდ ის მხარეები, სადაც მოძღვარი აგზავნის მათ: კახეთი, კუხეთი, ზენა სოფელი (ქართლისა) და გარეშეთა. მოკლე წიგნით უკანასკნელს გარდა ყველა ადგილია გამოვრებული, „გაოგმეთა“ კი, ჯერ ერთი, „გარესჯის უდაბნოდ“ არის შეცვლილი და, მეორე, ისიც არის დართული, რომ აქ დავითი გაიგზავნაო. შეიძლება ვიფიქროს, რომ აქ სიტყვები „გარეშეთა“ თუ „გარეშითი“ და „გარესჯა“ ერთიმეორის ნაცვლებმა, ხოლო იქ წარგზავნილი დავითი მოკლე წიგნის მიერ არის დასახელებული. ეს ასეც გვეონია, რადგან „გარესჯა“ ერთ წყაროში, სახელდობო XIII ს.-ის მიწურულის სომეხ ისტორიკოსთან — სტეფანოს ორბელიანთან — „გარეშეთად“ — (*Գարշէ*) მოიხსენიება. აქ ნათქვამია, რომ ნორავანსა და ტაოკეს შორის ჯერის კუთვნილებისათვის ამტყუარი დავის გამო ივანე ათაბაგმა დენის მოიწვია სასამართლო და მის მონაწილედ მიიხმო „დიდი მამათნთავარი გარეშეთა — *գլխ յաթախարն Գարշէուց*“¹, რომელიც გარესჯელად ეგულება აკად ივ. ჯავახიშვილს². „გარეშეთი“ თუ „გარეშეთა“ შეიძლება, ამ ადგილს (გარესჯას) იმიტომაც პრქეოდა, რომ ქართლ-კახე-

¹ *Պատմութիւն նահանգին Սիւնսկոն, արարեալ Ստեփանոսի Օրբէլեանս արքեպիսկոպոսի Սիւնսոց. Թիֆլիս, 1910, გვ. 355.*

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948 წ. გვ. 307.

ოისათვის ის ზენა სოფლის მსგავსად გარე შენს ოგარე შენს წარმოადგენდა (შრდ. შიგნი კახეთი და გარე კახეთი).

ამ მხარეში წარგზავნილი პირის სახელად რომ მოკლე წიგნის რედაქტორი დავითს უმატებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იქვე ვრცელი ცხოვრების სიტყვებს: „ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკვდრნეს რომელნიმე ქალაკთა და რომელნიმე მათთა, ქუაბთა და ჭურელთა ქუეყანისათა“ (გვ. 38,8-11) მოკლე წიგნი ურთავს: („ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკვდრნეს რომელნიმე ქალაკთა და რომელნიმე ქუაბთა და ჭურელთა ქუეყანისათა), ხოლო ეხდერიოს ქალაკსა სამთავისისასა“.

ამრიგად, ვრცელი ცხოვრების წიგნის ბუნებრივი თხრობა მოკლე რედაქციაში რამდენადნე შეცვლილია.

ამ ორი რედაქციის ერთმანეთთან დაპირისპირებითი შესწავლით ნათელი ხდება, რომ ვრცელის სათაურის სიტყვები: ეს ცხოვრება „განაახლა და განაურცო წმიდამან [მამანან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან“, სწორია. ამ სათაურის წარმწერელი ამოდის აგიოგრაფის განცხადებიდანვე, რომელსაც „ხოლოდ ანასეული ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში წარმოდგენილი ვრცელი ცხოვრების წიგნში ვხვდებით. განაახლებად აქ შეფასებულია აგიოგრაფის ნათქვამი: „ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“-ო (გვ. 18,19-20), ხოლო გავრცობად—სიტყვები: „ზოგი რაამე გამოვიკითხეთ მისთჳს და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ შინა ადგილთათჳს“ (გვ. 4,22-24), ანდა: „განივზრახე, რაამთა ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შეუნიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყუაჲილნი“ (გვ. 6,15-17), ე. ი. სათანადო ლიტერატურითაც შევავსეო. სათაურის გამკეთებლისაგან ახლად აღნიშნული ისაა, რომ მის მიერ დასათაურებელი ცხოვრების წიგნის გამომთქმელი, რომელიც ტექსტით მცხეთის კათალიკოზი ჩანს, აქ სახელით არის მოხსენებული: „წმიდა მამა ჩუენი ქრისტეს მიერ არსენი“, რომელსაც თურმე, როგორც ცხოვრების წიგნისათვის წამძღვარებული ცნობიდან ჩანს (სახელები წმიდათა მოწაფეთა იოვანე ზედაქელისათა), შემდგომად ოთხას ოცისა (var. ოთხისა) წლისა (ე. ი. X ს.-ის მეორე ნახევარში) გამოუკითხავს და გამოუქვია... და აღუწერია «ცხოვრება და მოქალაქობა წმიდათა მათ მამათაჲ». ამრიგად, ეს მეორედ აღწერილი იოვანე ზედახელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება შეუდგენია X ს.-ის მეორე ნახევრის მოლავწეს არსენ კათალიკოსს (955—980), რომლის ნაშრომს, სამწუხაროდ ბოლო-ნაკულს, ჩვენამდის მოუღწევია ანასეული ქართლის ცხოვრების» დანართად.

რაც შეეხება სათაურს მოკლე ცხოვრების წიგნისას, რომელიც ჩვენ ახლახან სენებული არსენი კათალიკოსის ნაწარმოებიდან მომდინარე სვინაქსარულ რედაქციაში მიგვაჩნია, იგი, რამდენადაც მასში არ შეინიშნება აგიოგრაფის ის განცხადებანი, როგორც არიან მითითება მეორედ აღწერასა და დამატებითი ცნობების გამოძიებაზე, ბუნებრივად არც ატარებს ცნობას ცხოვრების წიგნის განაახლება-გავრცობაზე, არამედ აქ მარტივად არის ნათქვამი: „ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარკებელად, რომელნი ისმენდნ“-ო.

ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მოკლე წიგნი არაა უშუალოდ აგიოგრაფის ხელიდან გამოსული ნაწარმოები, ის მხოლოდ სხვისი ნაწარმოებიდან გამონაკრებს წარმოადგენს, ერთგვარ კომპილიაციას, რომელსაც შეიძლება ავტორის სახელიც ჰქონოდა სათანადოდ წარწერილი.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნს გარკვეული დამოკიდებულება აქვს აგრეთვე ცხოვრების იმ წიგნთან, რომელიც მ. საბინინის მიერ არის გამოცემული. ცხოვრების ამ წიგნთა ერთმანეთთან მიმართება ზედმიწევნით აქვს გარკვეული პროფ. კ. კეკელიძეს. მისი მართებული დაკვირვებით ეს ნაწარმოები (იგულისხმება ცხოვრების მოკლე რედაქცია) უნდა იყოს ის პირვანდელი თხზულება, რომლის ნიადაგზე მერე შეუქმნიათ მეტაფრასული ცხოვრება, საბინინის მიერ გამოცემული. „მართლაც—განაგრძობს მკვლევარი—ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია ფაქტიური მასალა და ჩონჩხი საბინინის რედაქციისა, არაერთი რიტორული ელემენტი, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობა აქ არ არის“¹. ამ საზოგადო თვისების გვერდით პროფ. კ. კეკელიძეს შენიშნული აქვს მაინც იოანე ზედაზნელის ცხოვრების მოკლე წიგნში ის, რომ „შედარებით უფრო ვრცელადაა გადმოცემული სასწაული სვეტიცხოვლის აღმართვის შესახებ და ექ, სადაც დათვისა და სხვა მხეტია დამორჩილებზეა ლაპარაკი, ქადაგებისებური ტენდენციური მოძღვრება“².

თუ საიდან არის ეს უკანასკნელი მომენტები მოკლე რედაქციაში, ჩვენთვის უკვე ცნობილია. ესენი არსენი კათალიკოსის ვრცელი ცხოვრების წიგნიდან არიან გადმოღებული: პირველი თითქმის უცვლელად, ხოლო მეორე ერთ ნაწილში—შემოკლებით, და მეორეში—თითქმის სიტყვა-სიტყვით. ქადაგებისებური ტონი თავიდან ბოლომდის არსენის ნამდვილი თხზულებისათვის არის დამახასიათებელი, როგორც ეს ზემოთ მისი შინაარსის განხილვიდან ჩანდა. ქადაგების მიზანი და მისი ავტორის მსოფლმხედველობაც,—დაიცვას დიოფიზიტობა,—ნათლად გამოსჭვივის ყველა იმ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საკამოდ გრძელი ჩანარებიდან, რომლებსაც ცხოვრების წიგნის განვითარებაში არსენ II აქსოვს. ამ მხრივ არსენის ნაწარმოები ძირითადად განსხვავდება მეტაფრასისაგან, რომელსაც ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რომლებიც ჩამოთვლილი იყო პროფ. კ. კეკელიძის ნაშრომიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერში, სახელდობრ: რიტორული ელემენტები, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობანი.

როცა მ. საბინინის მიერ გამოცემული ცხოვრების წიგნს, ანუ მეტაფრასს მოკლე წიგნთან მიმართებით ვიხილავთ, ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ მართლაც პირველი წარმოდგენს ნამდვილ მეტაფრასს, აღმოცენებულს მოკლე წიგნზე. ის უცილობლად ამოდის მოკლე წიგნიდან და მას მეტაფრა-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე მუხავებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, 1941 წ., გვ. 141.

² იქვე, გვ. 141—142.

სისათვის დამახასიათებელი ყველა წესის თანახმად წარმოგვიდგენს ზედმიწევნით. მეტაფრასი მოკლე წიგნს ეყრდნობა, მაგრამ მეტაფრასტისათვის, მისევე განცხადებით („გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ვორციელი ნათესაობაჲ...“, გვ. 13, 13-15), ცნობილი ყოფილა უკვე იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთი აღმწერელი კი არა (ვთქვათ მოკლე წიგნისა), არამედ მეტიც (აქ შემოვა არსენ II-ის ნაწარმოებიც). ენის თვისების მიხედვით ეს მეტაფრასი, პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვების თანახმად¹, XII ს.-ის პირველ ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

რომ ასურელ მამათა ზოგიერთ მეტაფრასულ ცხოვრებას წინ უსწრებდა მათი სხვა რიგის ცხოვრებები, ისიც ზოგჯერ ვრცელი და მოკლე, ამას მაგ., იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიმართ ადასტურებს შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრების გამომთქმელიც, რომელიც ერთგან ამბობს: „და ნოვიდოდეს ყოვლით კერძო ... სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრზანი, ღრეკილნი, კრუნი და ყოველნი განიკურნებოდეს ლოცვითა მათ წმიდათა მამათაჲთა, ვითარცა წერილ ზრს ვრცელსა შინა ცხოვრებასა ნეტარისა იოანესისა“ (ო. გვ. 86, 22-28). არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს არსენის თხზულებით, თუ ვივარაუდებთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს არსენის თხზულებით (ვრცელი ცხოვრების წიგნი), რომლისგანაც გამოკრებილია სვინაქსარული რედაქცია (ანუ მოკლე ცხოვრების წიგნი).

ამრიგად, დამოკიდებულება იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნებს შორის შემდგენიარია: მოკლისაგან ვრცელისაკენ, ისიც მხოლოდ მეტაფრასისაკენ და არა იმ ვრცელისაკენ, რაც ნაკლულევანად არის დატული ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხაში, რომელიც, ჩვენი მტკიცებით, წარმოადგენს არსენი ქართლის კათალიკოსის, მეორედ წოდებულის (955—980 წწ.) ნამდვილ თხზულებას, რომლიდანაც თვით მოკლეა წარმომდგარი.

2. შიო მღვიმელის ცხოვრების წიგნები

შიო მღვიმელის ცხოვრებისა ორი წიგნია დღემდის ცნობილი—მოკლე და ვრცელი. უკანასკნელი უფრო ადრე იქმნა შენიშნული და გამოქვეყნებული. ის პირველად მ. საბინინმა გამოსცა თავის „საქართველოს სამოთხეში“¹. ცხოვრების მოკლე წიგნს კი პირველად თ. ჟორდანიამ მიაკვლია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში, აწინდელ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდში (№ 199). მან ამ თხზულების მიმართაც ისეთივე შენიშვნა გააკეთა მის მიერ შედგენილ აღწერილობაში, როგორც იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიმართ: „это древнейший вариант жития св. Шиса“². გამოქვეყნებით ეს წიგნი პროფ. ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა სხვა ზოგიერთი ასურელი მამების ცხოვრებათა ასეთსავე მოკლე ცხოვრების წიგნებთან ერთად,

¹ „საქართველოს სამოთხე“ სრული აღწერა დუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შერებილი... მ. საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882 წ., გვ. 219—252. გამოცემაში გამოყენებულია ამ რედაქციის სამი ნუსხა, რომლებიც C, D და E-თი აღნიშნული.

² Ф. Л. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея... книга I. Тифлис, 1901 г., стр. 224. გამოცემაში მას ვიყვებით და B-თი აღნიშნავთ.

რომელთაგან ის მან იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთან ერთად 680—690 წწ. შედგენილად მიიჩნია¹.

შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი სხვა ნუსხაში მკვლევართათვის წინათ უცნობი იყო. ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ.-მის მუზეუმის ხელნაწერთა (აწინდელის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა II ფონდის) აღწერილობის შედგენისას, რომლითაც ამ ათიოდე წლის წინათ დაიწყო საერთოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების აღწერილობათა გამოქვეყნება, გამოივილინა შიოს ცხოვრების მოკლე წიგნის ერთი ახალი ნუსხაც, რომელიც 1669 წელს არის გადაწერილი ზებედე დიღმელის მიერ დედოფალთ დედოფლის ელენეს დაკვეთით² (H 1336).

შიოს ცხოვრების დასახელებული ვრცელი და მოკლე წიგნები ერთმანეთთან მიმართებით დაწვრილებით აქვს შესწავლილი პროფ. კ. კეკელიძეს. მან თავისი დაკვირვებანი ამ მხრით ჯერ თავისი ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომში ასახა (პირველად 1923 წ.) და მერმე სპეციალურ გამოკვლევაში³.

პროფ. კ. კეკელიძის აზრით, თუმცაღა მოიპოვება შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი თავისივე საგანგებო სათაურით, მაგრამ ის დამოუკიდებელ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, არამედ „ორგანიულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა ცხოვრებისა“, რომელიც არსენ II-ს ეკუთვნისო⁴. მკვლევრის ეს მოსაზრება და ის არგუმენტები, რომელთაც იგი ეწარმება, დანაჯერებელია და უდაოდ სწორი იმ ნაწილში, რომლითაც შიოს ცხოვრება განუყოფელ ნაწილად არის აღიარებული იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნისა ოდნოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული (ზემორე მოყვანილ იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნთა განხილვისას), რომ ცხოვრებად და მოქალაქობად იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა წარმოადგენს არსენი II-ის უწილო ნაწარმოებს კი არა, არამედ მისი ვრცელი თხზულების თანმიმდევრულ გამოწაკობა თუ შემოკლებას (მოკლე რედაქციას), არ არის შესაწყნარებელი მკვლევრის აზრი, თითქო შიოს ცხოვრების მოკლე წიგნი არსენის ხელიდან იყოს განოსტლი. იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრებათა მოკლე წიგნების სახით ჩვენ ვვაქვს ერთი მთლიანი ნაწარმოები (ცხოვრებად იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა), რომელიც წარმოადგენს შემოკლებას ასეთივე მთლიანის. მაგრამ უკვე ვრცელი ცხოვრების წიგნისას, რომელიც ნაკლულევიანად, უნიკალურა ნუსხის სახით ჯერ-ჯერობით ჩვენამდის მოღწეულია ანასეული ქართლის ცხოვრებისა დამატებად.

¹ ასუფელ მანათა ცხოვრებათა არქტიკები: საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, გამოცემა ს. კაკაბაძემ, თბილისი, 1928 წ.

² ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H კოლექციისა, ტ. III, შედგენილი და დასაბუთებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948 წ., გვ. 275. ეს ნუსხა გამოცემაში B'-ით აღინიშნება.

³ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსავლის შესახებ. თბილისი, უნივერსიტეტის მოამბე, VI. თბილისი, 1926 წ., გვ. 82—107.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორე გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 140.

შესაწყნარებელია პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვება იმ საკითხშიც, რომელიც ხსენებული ცხოვრების მოკლე წიგნისა და შიოს ვრცელი ცხოვრების (საბინინის მიერ გამოცემულის) მიმართებას შეეხება. ცხოვრების ეს მოკლე წიგნი ამ ვრცელისათვის მართლაც არქეტიპია, ე. ი. ისეთი პირველწყარო, რომელზედაც აღმოცენებულია ეს ვრცელი ცხოვრება, რომელიც მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამო მეტაფრასად იწოდება. მაგრამ ამდენად დამაჯერებლად ვერ მივაჩნევთ ჩვენი მკვლევრის იმ მტკიცებას, თითქოს იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებათა წიგნები ერთი და იმავე პირობის მიერ იყოს გამოთქმული¹. ამას ეწინააღმდეგება იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის მსვლელობის ის განსხვავებული აღწერა, რომელიც მეტაფრასს ახასიათებს. ისეთი დაწვრილებითი აღწერა ამ მოღვაწეობისა, როგორც შიოს მეტაფრასულ ცხოვრებაშია, უფრო შესაფერისი იქნებოდა იოანეს მეტაფრასულ ცხოვრებაში და ისიც შეფერებული იმასთან, რაც დღეს მასშია. ეს ასეც იქნებოდა, რომ ცხოვრების ეს ვრცელი წიგნები ერთი პირის ნახელავი ყოფილიყო. ზოგიერთი ტერმინის ან გამოთქმის ერთნაირობა, რაც ორსავე ნაწარმოებში შეინიშნება, მათ ერთი ავტორის ნაწარმოებებად ვერ გამოაცხადებს, რადგან ზოგ ამ ტერმინთაგანსა და ფრაზოლოგიურ გამონათქვამს სხვა ცხოვრების წიგნებშიც ვხვდებით. მართალია, შიოს მეტაფრასული ცხოვრების სათაური, სადაც წიგნის ავტორად მარტვირია გამოცხადებული, ფსევდო-ეპიგრაფულია, მაგრამ ის, რომ იქ არსენი მაინც არაა ხსენებული, იმის გამოძახილი უნდა იყოს, რომ ტრადიციულად მის ავტორად მაინც სხვა პირი იგულისხმება.

შიოს მეტაფრასული ცხოვრება ენობრივი ნიშნების მიხედვით, როგორც ამას მართებულად ადგენს პროფ. კ. კეკელიძე, შედგენილი უნდა იყოს XII ს.-ის პირველ ნახევარში².

3. ლავით გაკანჯალის სხოპარპის ნიშნები

ღვთისმეტყველის ცხოვრებათა წიგნები ორი რედაქციით არის მოღწეული: ვრცელითა და მოკლით. ვრცელი, მსგავსად იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ასეთივე ცხოვრებებისა, უფრო ადრე ვახდა ცნობილი. მისი პირველი გამოცემა მ. საბინინს ეკუთვნის³, ხოლო მოკლე ცხოვრების წიგნი ყველაზე უწინარეს თ. ჟორდანიამ შენიშნა ზედაზნელისა და მღვიმელის ცხოვრების მოკლე წიგნთან ერთად (A 199) და მისცა მასაც სათანადო შეფასება: «Вариант этот самый древний из дошедших до нас и притом весьма различный от известных вариантов»⁴. ამ მოკლე ცხოვრების წიგნის შემცველ ხელნაწერს

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I. პელოვ გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 494.

² იქვე, გვ. 496.

³ «საქართველოს სამოთხე»... პეტერბურგი, 1882 წ. გვ. 265—286. გამოცემისათვის ამ რედაქციის სამი ნუსხა გამოვიყენეთ A—160, A—130 და S—449 (C, D და E).

⁴ Описание рукописей Тифлисского церковного музея... составленное Ф. Д. Жордания, книга I, Тифлис, 1901 г., стр. 226. ეს ნუსხა გამოცემაში B-თი არის აღნიშნული.

ბოლო, თითქმის მთელი წიგნის ნახევარი, აკლია. ასეთი სახით აქვს ის გამოქვეყნებული ს. კაკაბაძემ¹ ჩვენ კი მას სრულად ვაქვეყნებთ, რადგან აღმოჩნდა ამ მოკლე რედაქციის უნაკლულო ხელნაწერი².

დავით გარესჯელის ცხოვრების მოკლისა და ვრცელი წიგნების ერთმანეთთან შეჯერება ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომლითაც ვრცელი წარმოადგენს მეტაფრასს, რომლის ავტორს ზედმიწევნით გამოყენებული აქვს ჩვენამდის მოღწეული მოკლე წიგნი. ვინ არის მეტაფრასტი, არსაიდან ჩანს, მაგრამ მისი დამკვეთი კი—ვინმე ონოფრე—მარჯვედ აქვს მიკვლეული პროფ. კ. კეკელიძეს, რომლის დასკვნით ის, „მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლად უნდა მივიჩნიოთ“, რასაც კარგად უდგება ჩისი ენაცო³. ანრიგად, დავით გარესჯელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია XII ს.ში ჩანს აღმოცენებული.

4. აბიბოს ნაქრისაჲს მოქალაქობისა და ნამუხის ნიგნაბი

აბიბოს ნეკრესელის წამების წიგნის ორი სახეა დღემდის ცნობილი: ერთი, რამდენადმე ვრცელი მეორესთან ნიმართებით, მ. საბინინმა გამოსცა 1882 წ.⁴, ხოლო მეორე, რამდენადმე მომცრო პირველთან შედარებით, 1908 წ. გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა⁵. პირველი წიგნი უმთავრესად XVII—XVIII სს.-ის ხელნაწერებს დაუყვას, ხოლო მეორე, ჯერხნობით მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერით, და ისიც ნაკლულევანით, არის შემონახული: აკლია მას შუა ნაწილი, თითქმის მთელი წიგნის მესამედი. გადაწერის თარიღი მას არ გააჩნია, მაგრამ ხელის მიხედვით ის XIII ს.-ის ხელნაწერად ითვლება.

ამ ორი წიგნის ერთმანეთთან მიმართების შესახებ მკვლევართა საგულისხმო დაკვირვებანი მოიპოვებიან სამეცნიერო ლიტერატურაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით წამების ვრცელი წიგნი მომცროსთან შედარებით ისეთ ენობრივ ნიშნებს შეიცავს, კერძოდ ზოგიერთი ტერმინის ხმარების მხრით, რომ ის უკანასკნელზე ადრინდელი ჩანს. სიძველის მანიშნებელი ეს ტერმინები რომ ამ წიგნში ბოლომდის არაა ერთნაირი სახით დაცული, ავტორის დაკვირვებით იმით აიხსნება, რომ იქ, სადაც წიგნის მეორედ გამოთქმელი, არსენ კათალიკოსი, გამოკრების გზით სარგებლობს მის მიერ დასახელებული ძველი წყაროთი, რომელიც VI ს. დამლევის ან VII ს.-ის დამდევისა უნდა იყოს, ტერმინები ჯეროვნად არის მოყვანილი, ხოლო იქ, სადაც ის სხვებულ წყაროს შინაარსის გადმოცემის საშუალებით იყენებს, ტერმინე-

¹ ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები: «სასიტორიო კრებულის» I წიგნის დამატება. გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბილისი, 1928 წ., გვ. 36—42.

² ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H კოლექციისა, ტ. III, შედგენილი და დასაბუთად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948 წ., გვ. 274—276. გამოცემაში B'-ით არის აღნიშნული.

³ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე კარცება, 1941 წ., გვ. 494.

⁴ «საქართველოს სამოთხე»... პეტერბურგი, 1882 წ., გვ. 213—216.

⁵ М. Г. Джанашивили. Описание рукописей первоного музея... книга III. Тифлис, 1906 г., стр. 24—26.

ბი შეცვლილია „IX ს-ის (თუ უფრო მერმინდელის?)“ მწერლის ხანის შესაბამისად¹.

თავის ასეთი დასკვნებით აკად. ივ. ჯავახიშვილი უპირისპირდება სხვების მიერ აღრე გამოთქმულ მოსაზრებებს. უდაოდ სწორია ის, როცა წინააღმდეგ მ. ჯანაშვილის განცხადებისა, რომლითაც თითქოს წამების მომცრო წიგნი განსხვავებული და ყველაზე უძველესი ვარიანტი იყოს², უპირატესობას სიძველის მხრით ვრცელ წიგნს ანიჭებს. ასევე მართებულია მისი მსჯელობა მაშინაც, როცა ის, წინააღმდეგ ს. კაკაბაძის შეხედულებისა, — თითქოს წამების წიგნის შერეული ტერმინოლოგია, ჯერ ერთი, VII—VIII სს.-ის ნაწარმოებად აღიარებდეს მას და, მეორეც, ვითომც მისი ავტორი ან დროს მოღვაწე არსენი კათალიკოსი ყოფილიყოს³, — ამტკიცებს გარკვეული ტერმინების ხმარების საფუძველზე, რომ წამების წიგნის მეორედ გამოთქმელი, „IX ს-ის (თუ უფრო გვიანდელის?)“ არსენი კათალიკოსია, ხოლო ავტორი მისი წყაროსი VI-VII სს.-ის უცნობი აგიოგრაფია.

პროფ. კ. კეკელიძე ჯერ თავის საპეციალურ გამოკვლევაში: «საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ»⁴ და მერმე სახელმძღვანელოში: «ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია»⁵ წამების ვრცელ წიგნს მეტაფრასულ რედაქციად მიიჩნევს, შედგენილს XII ს. ში, რასაც „ნაკლებად განუცდია მეტაფრასტის ხელი, რომლის რედაქციული მუშაობა უმთავრესად ამოიწურება პროლოგით⁶, ცეცხლთაყვანისმცემლობასთან პოლენიკური დიალოგის ჩართვით შუაში⁷ და ეპილოგის დამატებით⁸. ამასთან ის აქ წიგნის სათაურში ავტორად მოხსენებულ არსენ კათალიკოსს მიიჩნევს გამოთქმელად მისი იმ ძველი რედაქციისა, რომელიც თვით ძველშია გამოყენებულად დასახელებული და რომელსაც მეტაფრასტის ხელში გაუფიქრო⁹. ეს არსენი, მისი აზრით, არის ის არსენ დიდი, რომელიც 855-882 წლებში კათალიკოსობდა.

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნებისაგან დიდად განსხვავდება, ჯერ ერთი, იმით, რომ ვრცელი წიგნი მიჩნეულია ერთგვარ მეტაფრასულ ნაწარმოებად, წინააღმდეგ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებისა.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი. 1951 წ., გვ. 362—364.

² М. Г. Джанашивили, Описание рукописей ц. музея, кн. III, стр. 26.

³ ს. კაკაბაძე. «სასიტორიო ძიებანი», თბილისი, 1924 წ., გვ. 49—51.

⁴ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: «რევილიისა უნივერსიტეტის მოამბე», VI, 1926 წ., გვ. 81.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა. ტ. I. პეოვო გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

⁶ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 83; პროლოგისათვის იხ. წინამდებ. გამოცემის გვ. 188, 1—189, 14 (C).

⁷ ამ ჩანართად პროფ. კ. კეკელიძე თვლის ტექსტს, რომელიც მოთავსებულია ხეცა გამოცემის გვ. 192, 80—193, 88 (C).

⁸ ეპილოგი პროფ. კ. კეკელიძის შეხედულებით მოიცავს ტექსტს, წინამდ. გამოც. გვ. 194, 10-იდან (C) ბოლომდის. შდრ. «ქართული ლიტერატურის ისტორია», ტ. I; კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე: ძველი ქართული ლიტ.—რა (V—XVIII სს.), თბილისი, 1954 წ., გვ. 82.

⁹ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 84.

ბისა, რომლითაც ის არა VII ს-ის არსენს, როგორც ეს ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, არამედ, „IX ს-ის (თუ უფრო მერმინდელის?)“ არსენ კათალიკოსს მიეწერება, რომელსაც მის მიერ გამოყენებულად დასახელებული წყარო, ადრინდელი აგიოგრაფიული ძეგლი, გარკვეული მიზნით ადგილ-ადგილ გამოუკრებია და ადგილ-ადგილ თავისი სიტყვით გადმოუცია შინაარსი. მეორე მხრით განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წამების ვრცელი წიგნის ავტორის მიერ ნასარგებლევად დასახელებული ადრინდელი წამების წიგნი პროფ. კ. კეკელიძის აზრით IX ს-ში მოღვაწე არსენ დიდისაა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, უცნობი ავტორის ეს წამების წიგნი VI ს-ის დამლევისა ან VII ს-ის დამდევისა უნდა იყოს.

წამების წიგნთა ნუსხების ერთმანეთთან შეჯერება, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ძირითადად ორი სახის რედაქციას აჩენს: ვრცელსა და მოკლეს. მოკულობის მხრით ეს განსხვავება ბოლო ნაწილზე მოდის. ვრცელს, რომცროსთან მიმართებით, ამ ნაწილში ის გააჩნია მეტი, რომ სახელდებით ჩამოთვლილი აქვს ასურელ მოღვაწეთა ერთი წყება (აბიბოს. ნეკრესელი, ისე ჭილენელი. იოანე ზედანელი და შიო მღვიმელი). „რომელთა თუსითა მით სიმგნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი“, და ის საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ქართლსა და კახეთში როგორც დასახელებული, ისე დაუსახელებელი მოღვაწეები. რაც შიოსა და მისი მემკვიდრის ევაგრეს მემღვიმეობითი ცხოვრების აღწერით მთავრდება.

მომცრო წიგნი იმათაც მოკლეობს რამდენადმე ვრცელზე. რომ უკანასკნელის გავრცობილი წინადადებანი, ცალკე თუ რთულის წევრად წარმოდგენილი. რომლებიც ხშირად გამომეტყველებისა და მხატვრულობისათვის ჩანს გამოყენებული, მომცროსთან გაუვრცობლად და მარტივად არის წარმოდგენილი ეს მხაოე ვანსაკუთრებით მკვეთრად ჩანს შესავალში.

უოველივე ანით აშკარაა, რომ საქმე ორ რედაქციასთან გვაქვს, წამების მოკლე წიგნთან და არა ერთთან, როგორც ეს პროფ. კ. კეკელიძეს მიაჩნია. როგორც წამების წიგნთა ზემორე მოყვანილი შედარებიდან ჩანს, სწორი ანაა მისი შეხედულება. თითქოს უძველეს ხელნაწერში დაცული წამების წიგნი (A-832), ჩვენ რომ მომცროს ვეძახით, „ოდნავი ცვლილებით“ ხასიათდებოდა სხვა ხელნაწერ ნუსხებთან მიმართებით¹, რომელიც ცალკე რედაქციას წარმოადგენენ (ჩვენი სახელწოდებით „ვრცელს“). სინამდვილეს უფრო აწორად ასახავს აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება, რომელიც წამების წიგნთა („ვრცელსა“ და „მომცროს“) ტექსტების ენობრივ ანალიზს ეყრდნობა.

ეკრძოდ კი გარკვეულ ტერმინთა ხმარებას². მისი დასკვნა, რომლის მიხედვით ის რედაქცია, რომელსაც ჩვენ „ვრცელს“ ვეძახით, ენობრივი ნიშნების

¹ კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ-რის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951 წ., გვ. 360-363.

გამო უფრო აღრინდელია იმაზე, რომელსაც ჩვენ „მომცროს“ ვარკვეთ, უეჭველია, წამების წიგნთა ორგვარი რედაქციის დამადასტურებელია.

წამების ვრცელი წიგნი, აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, წინ უაწყრებს მოკლეს, ამიტომ ეს წიგნი უპირატესობით სარგებლობს მის თვალში და მასზე დაყრდნობით არკვევს ამ ნაწარმოებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხს. ამავე წიგნს ეყრდნობა პროფ. კ. კეკელიძეც თავისი ძიების დროს. მაგრამ არა იმიტომ, რომ ის მის თვალში რაიმე უპირატესობით იყოს აღქურვილი, არამედ იმიტომ, რომ მომცრო წიგნი ამასთან მიმართებით „დღე ფეტიურად და ოდნავი ცვლილებებით“ არის შენახული¹.

ხსენებული მარტვილობის წიგნია, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი როგორც წიგნის სათაურშია გაცხადებული, არსენ კათალიკოსის ნაწარმოებად მიიჩნევს (არსენს, მასშივე დაცული მითითების თანახმად, გამოყენებული ჰქონი წინათ არსებული მარტვილობის წიგნი, ავტორისავე დაკვირვებით, ზოგჯერ გამოკრებიდა და ზოგჯერ შინაარსის თხრობით გადმოცემული), ხოლო პროფ. კ. კეკელიძე მეტაფრასულ ნაწარმოებად აცხადებს, რომელიც XII ს.-შია შიშულად გამოყენებული IX ს.-ის ავტორის, არსენი დიდისაგან შედგენილი მარტვილობის წიგნის გამოყენებით, რომლისთვისაც მეტაფრასტს წაუშემღვარებია პროლოგი, ჩაურთავს ახალი ეპიზოდი და დაურთავს ეპილოგი. მისივე აზრით, არსენ დიდისაა მარტვილობის ის წიგნი, რომლითაც სარგებლობა წამების წიგნის დამოწმებული, და არა სხვა ვინმე აგიოგრაფისა, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით VI ს.-ის გასულს ან VII ს.-ის დამდეგს უნდა დაეწერა იგი.

ამ ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებს რომ ახლად გამოწმებთ ჩვენ ტექსტების ჩვენებათა მიხედვით, ირკვევა, რომ დანიჯრებელი არაა პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრება, თითქოს აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის წიგნი მეტაფრასული ნაწარმოები იყოს, და არც არგუწინტები, რომლებითაც ის ნაწარსენის ნაწარმოებად არ ცნობს, წინააღმდეგ აკად. ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც, პირიქით, ეს შესაძლოდ მიაჩნდა.

აბიბოს ნეკრესელის წამების რედაქცია, გამოცემული მ. საბინინის მიერ (ე. ი. ვრცელი მარტვილობა), „არ შეიძლება არსენის შრომა იყოს“-ო, იმიტომ რომ „ის წმინდა მეტაფრასტული ჟანრის ნაწარმოებია, ამ ჟანრის ყველა დამახასიათებელი თვისებითაა“², მხოლოდ ლიტონი განცხადებაა პროფ. კ. კეკელიძისა. არსაიდან არ ჩანს, რომ ეს მისი ხასიათი ყველასათვის თვალნათლივ იყოს და დამატებით ჩვენებას აღარ საჭიროებდეს. პროფ. კ. კეკელიძე მეტაფრასტს უმეტესად პროლოგს, ეპილოგსა და შუაში ჩართულ ცეცხლთაყვანისმცემლობის საწინააღმდეგო პოლემიკას მიაწერს. მაგრამ საიდან ჩანს, რომ სადმე ამ მხრივ მეტაფრასტის ხელი ერიოს? არა ერთი ცხოვრება-წამების წიგნი მოგვეპოვება, რომელთაც საგანგებო პროლოგი მიუძღვის და არც თუ

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერის ისტორია. ძველი მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 127.

² იქვე.

ნაკლები მოცულობისა, ზოგჯერ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ საკითხზე-დაც კი (ავიღოთ თუნდ გ. მერჩულის ნაწარმოები, იოანე საბანიძის თხზულება ან ზემოთ განხილული არსენ კათალიკოზის ცხოვრება იოანე ზედა ზნელისა, რომელიც ანასკული ქართლის ცხოვრების ბოლოსაა მოთავსებული და სხვ.), მაგრამ ამით გამო ისინი მეტაფრასულ ნაწარმოებად არ მიიჩნევიან. ისეთ ნიშანზე მითითებაც, როგორცაა ენაწყლიანობა, პირობითია, რადგან ისეთი მრავალსიტყვაობა, როგორც აბიბოს ნეკრესელის ვრცელ რედაქციას ახასიათებს, სხვაგანაც გვაქვს კინენურ ნაწარმოებში. არა ნაკლებ პირობითია სტილის საკითხიც. ამას ისიც ნათლად მოწმობს, რომ ერთხანს თუ, მაგ., თვით პროფ. კ. კეკელიძეს აბიბოს ნეკრესელის წამების დასახელებული წიგნი იმავე მეტაფრასტის ხელში გაეკლიო ეგონა, რომელშიც იოანე ზედა ზნელისა და შიო მღვიმელისა¹, სულ უკანასკნელ ხანს ის უკვე ამ წიგნის შესახებ სხვა აზრისაა: „ეს მეტაფრასტი არაა ის მწერალი, რომელმაც, როგორც ამდენხანს ვფიქრობდით, გადააკეთა დანაზრჩენ ასურელ მამათა ცხოვრება. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ეპისკოპოსი ნეკრესის კათედრისა. ეს ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: ჩემი არს მოწამე ესე და არა სხუსა, ჩემისა ამისკან საყდრისა ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი“².

მაშ, როგორღაა საქმის ვითარება?

სინამდვილის აღსადგენად უნდა განვიხილოთ იქედან, რომ ვრცელი წამების წიგნი, რომელსაც მოკლესთან მიმართებით, თანახმად აკად. ივ. ჯავახიშვილის მართებული დაკვირვებისა, მეტი სიძველე ატყვია, არის, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, არსენი კათალიკოზის ნაწარმოები (მე-IX-ისა თუ X ს-ის პოლვაწისა). ენობრივი ნიშნების ჩამოთვლას აქ აღარ გამოვუდგებით, იტყვიან მხოლოდ იმას, რომ ამ რედაქციის არსენისეულად და არა მეტაფრასტულად მიჩნევის სხვა მხარეებიც უწყობენ ხელს.

1. ვრცელი წამების წიგნის ავტორი ერთგან თავ-მოწონებით იცხადებს: „ეს არს მოწამე ესე და არა სხუსა, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი“ და სხ. (გვ. 189, 1-2). როგორც ვნახეთ, პროფ. კ. კეკელიძე ამ სიტყვებს ალან კათალიკოზს კი არა, არამედ მისი ნაწარმოების გადამკაზმელს, უცნობ ნეკრესელ ეპისკოპოსს მიაწერს. მაგრამ ეს სიტყვები ნეკრესელს კი არა, ეტყობა. ნებისა კათალიკოზს ეკუთვნის. უთუოდ აგიოგრაფ კათალიკოზს ეკუთვნის სიტყვები, რომელთაც შემდეგი სახით ვხვდებით ვრცელ წიგნში:

„და ვითარ მოიწინეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეფო ოსა ქალაქსა მცხეთისასა, ჰხადოდა იგი დედასა თუსსა რაქელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლესიაჲ სამოციქულოჲ“³.

ხოლო იმავე სიტყვების ისეთი სახით წარმოდგენა, როგორც ეს მოკლე წამების წიგნშია—

¹ კ. კეკელიძე ქართ. ლიტ-რის ისტორია. ძველი მწერლობა, თბილისი, 1941 წ., გვ. 495.

² ქართ. ლიტ-რის ისტორია, ტ. I, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე—ძველი ქართ. ლიტ-რა (V—XVIII სს), თბილისი, 1954 წ., გვ. 83.

³ იბ. წინამდებ. გამოც., გვ. 191, 8—9.

„და ვითარ მოიწივნეს სამეფოფოსა ქალაქსამცხეთასა, ვედრებით ხალოდა იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა,“¹ უეპველად მოწმობს იმას, რომ აქ ავტორის სახე გაუპიროვნებულა, რაც იმ შემთხვევაში ხდება ხოლმე, როცა სვინაქსარულ, შემოკლებულ საკითხავად მუშავდება რომელიმე აგიოგრაფიული ნაწარმოები.

ანალოგიური შემთხვევა არა ერთგზის გვექონდა, როგორც წინათ ვნახეთ, მაგ., იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნის განხილვისას. იქაც ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ყველგან, სადაც ანასეული ქართლის ცხოვრებისა ნუსხის დანართად მოთავსებული ცხოვრების წიგნი (რომელიც X ს.-ს მოლავწის არსენ კათალიკოზისა ჩანს) ასეთი მკვეთრი გამოთქმები იყო, მსგავსადვე გადაკეთებული აღმოჩნდა ე. წ. არქეტიპში, რაც უეპველს ხდის იმას, რომ არქეტიპებისა სახით ჩვენ სვინაქსარულ ცხოვრება-წამების წიგნებთან გვაქვს საქმე.

ასეთი შეხვედრა X ს.-ის არსენ კათალიკოზის ნაწარმოებთან აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ამ წიგნისა, რომლის სათაურში ავტორად დასახელებულია არსენ დიდი (რომელიც პროფ. კ. კეკელიძეს ამ, თითქოს მეტაფრასული წიგნის წყაროს ავტორად, IX ს.-ის არსენ დიდ კათალიკოზად მიაჩნია), სრულიად შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ წიგნის ავტორი თუ IX ს.-ის არსენი დიდი არა, X ს.-ის არსენი მაინც გამოდის, რომელსაც ერთ შემთხვევაში მოუცია ცხოვრების წიგნი იოანე ზედაზნელისა და მისი უმთავრესი მოწაფეებისა, ხოლო მეორე შემთხვევაში—აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის წიგნი.

2. შეხვედრა ამ ძეგლებში შორის (ზედაზნელის არსენისეული ცხოვრების წიგნიდან მომდინარე ცხოვრების მოკლე წიგნსა და აბიბოს ნეკრესელის ვრცელი მარტვილობის წიგნს შორის) აშკარად გვაქვს იქაც, სადაც ცნობაა იმის შესახებ, თუ სად, რა ადგილას ააშენეს ასურელმა მამებმა ჩვენში მონასტრები.

ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს
მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა

„ერთმან ვინძე მათჯანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდელად დღედმდე დიდნი საკურველებანი და მრავალნი კურნებანი, განთქმულნი გარემოს ყოველსა მას სოფელსა; და სხუამან ქუაბი იულთისა, და სხუათა დაჰნერგეს კუხეთს მონასტერნი, და ერთმან უდაბნოა გარესჯისა და მრავალნი საკურველებანი ქმნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და

ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი ს ა რ ქ ე -
ტ ი პ ი ა

„ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი ვიდრე დღენდელად დღედმდე; და სხუამან ქუაბი იულთისა, და სხუათა აღაშენნეს კახეთს მონასტერნი. ხოლო დავით აღაშენა უდაბნოა იგი გარესჯისა და დაყუნა მრავალნი ქამნი ვეშაპსა თანა... ხოლო ერთმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაა შევალს

ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი ს მ ე ტ ა -
ფ რ ა ს ი

„...რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაა აღავერდისა აღაშენა წოდებასა ზედა სახელ-განთქმულისა მოწამისა გიორგისა, რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მოძლუარმანცა მისმან. ხოლო სხუამან ქუაბი იულთისა სამკდრებელად ღმრთისა მოღლაწეთა და მოწესეთათჳს შეკმზადა. და ერთმან მათგანმან ზენა სოფელს აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი

¹ იხ. წინამდ. გამოც., 191, 6-8.

აბიბოს ნეკრესელის
მარტკლობა

დადგა სასწაული ესე, რათა
არარაჲ დედალთაგანი შე-
ვიდეს მას შინა... ვერ იკად-
რებდეს დაბუღებად მას ში-
ნა... ხოლო სხუათა მათ ყო-
ველთა ვერ ძალ-მიც მოქსე-
ნებად, არამედ მცირედითა
ამით სიტყვთა დიდნი იგი
ჯენათ და გემოჲ ვიხილოთ
წმიდათაგან წყაროთა...“
[გვ. 196, 1-24]

ზედაზნელის აარქე-
ტიპი

და ვერცა რაჲ მფრინველი
იბუღებს. ხოლო ყოველთაჲ
ვერ ძალ-ჯუჯ მოქსენებაჲ.“
[გვ. 66-67, 37-16]

ზედაზნელის მეტა-
ფრასი

არარაჲ შევალს და არცა
მფრინველი იკადრებს და-
ბუღებასა. და სხუათა კუ-
ლად მონასტერნი აღაშენნეს
კახეთს შინა...“
[გვ. 67, 4-16]

3. ასეთსავე დამოკიდებულებას ვხვდებით სხვაგანაც, ჯერ შიო მღვიმე-
ლის შესახებ:

„ხოლო ნეტარმან შიო
მღუმესა მას შინა პოვა ზე-
ციისა იგი მარგალიტი და
მოიღო თვისა შინა თუსსა
და დაამკვდრა, და ისწრაფ-
და მისლგასა მის წინაშე...“
[გვ. 196, 26-29]

„ხოლო ნეტარმან ამან
მამამან ჩუენმან შიო მღუმე-
სა მას შინა პოვა ზე ცისა
იგი მარგალიტი და მრავ-
ალნი სულნი შეწირნა ქრის-
ტეა, რამეთუ ფრიად შეკ-
რიბნა მონაზონნი...“
[გვ. 141, 7-13]

„ხოლო მადლითა ამის
წმიდისა მამისაჲთა აღორ-
ძნდა უდაბნოჲ იგი და აღ-
სავე იქმნა მონაზონთა
მიერ...“
[გვ. 141, 8-10]

4. შემდგომ კი ყველაურის მოუქსენებლობის შესახებ:

„ხოლო სხუათა მათ ყო-
ველთა ვერ ძალ-მიც მოქსე-
ნებად, არამედ მცირედითა
ამით სიტყვთა დიდნი იგი
ჯენათ და გემოჲ ვიხილოთ
წმიდათაგან წყაროთა და
ადრდებდით მამასა თქუენსა
ზეცათასა...“
[გვ. 196, 21-25]

„ესე მხოლოდ მრავალთა
დიდთა საქმეთა დავწერეთ
მიმყოფრებისათუს ჟამისა.
ხოლო გემოჲს ხილვად
ღმერთ-შემოსილის ამის კა-
ციისათუს კმა არს, ვითარცა
მდინარისა დიდისაჲ ტაყუ-
კითა ერთითა იხილვების,
ოჲ რაჲ გემოჲ აქუს...“
[გვ. 61, 19-26]

„...რომელთა თითოეუ-
ლად მოქსენებაჲ შეუძლებელ
არს მიმყოფრებისათუს ჟამი-
სა. ხოლო ესე მცირედნი სა-
კრველებათა მისთაგან წარ-
მოვთქუენით მაუწყებელად
ვითარებისა ღმერთ-შემო-
სილისა ამის მამისაჲსა“.
[გვ. 61, 25-30]

ბუნებრივია, ასეთ შეხვედრათა გამო დავასკვნათ, რომ აბიბოს ნეკრესე-
ლის მარტვილობის ვრცელი წიგნის სათაურში გამომთქმელად მოხსენებულნი
არსენი იგივე იყო, რაც იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა ცხოვრების
წიგნში ავტორად აღნიშნული არსენი. მეონია, არაფერი არ უნდა გვაბრკო-
ლებდეს, რომ მეათე საუკუნის არსენ კათალიკოზი იქნეს მიჩნეული აბიბოს
ნეკრესელის მარტვილობის ვრცელი წიგნის გამომთქმელად, რომელსაც გამო-
უყვენიებია ადრე არსებული მარტვილობის წიგნი VI—VII სს-ისა, როგორც
ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა.

წამების ვრცელ წიგნს ორი ნუსხის მიხედვით ვაქვეყნებთ: A—130 (D)
და H—2121 (F), ხოლო მომცროს—ერთით: A—832 (B).

Օրվեր Օրեր

ცხროვამად¹ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაქმელისად², რომელი ბრძანებითა ღმერთისადთა³ და წინამწერობითა ხულისა წმიდისადთა⁴ მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქაქთლისად ათორკმბთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა

განაახლა⁵ და განავრცო წმიდამან (მამამან) ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან *

ნიზეზნი არიან აღმკრეულ⁶ სიტყუსა და სიტყუსა არს მიმბრობელ მიზეზთა, რომლისათჳს პირველ მივლენან საგომნობელთა და ნიართან⁷ მიწლებელსა, და მიმღებელმან მისციის განმკითხველსა და განმკითხველმან — 5 დამმარხველსა. და ესრეთ გამოსახული იგი მოიქცის და დაებერის ნესტუსა ენისა თჳსისასა და განგებულ(ად) ოზრინ, რადთა⁸ კუალაჲ საანგნელთა სხუათა მისცემდეს თჳთ თანა-ზიარებითა სმენისადთა⁹, რომელ არს აწინდელი ესე ჩუენი მოქცევაჲ¹⁰.

რამეთუ ჯერ-არს გამოცხადება სანატრულთაგან უწყებასა, — ჳელით-მოვსენებულთაგან წერილთასა, — სიტყუად დიდთა მათჳს, რომელნი განუენილ ქადაგებად ჯერ-არიან 15 ყოველსა სოფელსა მსახუოთაგან სიტყუსათა გამოკებადებითა მალისადთა¹¹, რომელნი განმუენდეს გამოცხადებითა¹² კეშმარიტები-

ცხროვამად და მოქალაქობამად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაქმელისა¹ და მოწაფეთა მისთად, რომელთა განანათლეს ქუეყანად ესე ჩრდილოეთისად

ხოლო აღწერა არსენი ქაქთლისა კათალიკოზმან საკვაბელად რომელი იხმედენ

გუაკურობენ, მამაო!

* * ვრცელ რედაქციებს წინ უძღვის: «სახელები წმიდათა მოწაფეთა იოვანე ზედაქმელისათა (ზედაქმელი A); დავით გარეჯელი (გარესჯელი C), სტეფანე ქისიკელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი (ენონ იყალთოელი A), ანტონი (ანტონე A) მარტოპოყოველი, ისე წილკნელი, თათა სტეფანეშვიდელი, ელაა დიაკონი, შიო მღვმელი, ისიდორე სამთაკნელი, მიქაელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი (ბართელი A), აბიბო ნეკრესელი (abs. A). მრავალნი სხუანიცა დაემოწაუნეს წმიდასა მას (abs. C) მამასა იოვანეს (abs. A), კაცნი წმიდანი და სულიერნი მამანი დაყოველნი»

ტ¹ ცხორება A. ² ზედაქმელისა A. ³ ღმერთისათა A. ⁴ წმიდისათა A. ⁵ განახლდა A. ⁶ აღმკრეველ A. ⁷ მიართონ A. ⁸ რათა A. ⁹ სმენისათა A. ¹⁰ მოქცევა A. ¹¹ მალისათა A. ¹² გამოცხადებულად A.

9¹ ზედაქმელისად B.

**ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაქმელისად,
რომელი ბრძანებითა ჭმრთისადთა და წინამძღურობი-
თა სულისა წმიდისადთა მოვიდინა ძუეჲანით შუამდინა-
ჩით ძუეჲანად ქართლისა ათორგობთა მოწაფეთა მის-
თა წმიდათა თანა**

**ბანაახლა და ბანავაცო წმიდამან მამამან ჩუენმან
ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსანი***

გუაჲურთხენ, მამო!

სულნი მართალთანი კელთა შინა ღმრთისათა წერილისაებრ, და არა შე-
ეხოს მათ რადეთრთით რომელივე შემაწუხებელთაგანი, ვითარ განწმედლითა
ბიწთაგანი, რამეთუ ესენი ყოველთა ამათ ნიეთიერთა და ზრქელთა ზესთ(ა) აღ-
სრულნი ფრთითა სათნოებათადათა და ბრწყინვალეებასა საღმრთოსა მიმთხუეულნი
განაბრწყინებენ მზის ქუეშესა ყოველსა. ხოლო კსენებისა მათისა მიერ¹ ცის- 5
კროვან² იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანაჲ, ვინაჲთგან მსგავსად
მანათობთა დიდთა განმტყეებელნი ბრწყინვალეთა შარაგანდედთანი ელვარე
ჰყოფენ ყოველთა კსენებისა მათისა. მედღესასწაულეთა და საღმრთოსა მადლ-
სა მიჰფენენ სულსა ზედა მორწმუნეთასა, რომელნი სარწმუნოებით და სურვი-
ლით სამარადისოდ აღწერილთა წიგნსა შინა ცხოველთასა ქუენათა ამათგან 10
და უპატიოსნესთა ჩუენ მიერ ძღუენთა, ესე იგი არს სიტყუათა³ ქებისათა,
პატივ-სცემდენ საღმრთოჲსა დიდებისა ზიარ-ქმნულთა.

ვინაჲ გვღირს ჩუენ, ჳ მორწმუნენო და კსენებისა წმიდათაჲსა მოყუარე-
ნო, ვითარ თანამდებსა რომელსამე, თანა-წარუვალსა⁴, მიცემაჲ წმიდათაჲს
ქებისა და შესხმისა მიერ დღესასწაულისა მათისა სრულ-მყოფელთა, რათა მათ 15
მიერ ნაცვალის გებაჲ⁵ კეთილთა ნიჭთაჲ მოვილოთ, რამეთუ ამათგანნი რომელ-
ნიმე სისხლითა თჳსითა⁶ მომგებელ იქმნენს გვრგვინთა ზეციერთა, ხოლო სხუა-
ნი მღღელთ-მოდღურებისა საცხებელითა ცხებულნი და წმიდად დამმარხველნი

ნებითა (დაჰყუნეთ A) ჟამისა(ა)თა. და შემდგომად ოთხას ოცისა (ოთხისა C) წლისა⁷ გამოიკით-
ხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოზმან. რომელიმე წიგნთა-
გან აღმოვიკითხეთ და რომელიმე მამათაგან (მათგან A) სმენილ იყო საქმეთაგან მათთა, და
აღუწერეთ ცხორება(ა) და მოქალაქობა(ა) წმიდათა მათ მამათა(ა) საცნობელად (საცნაურ,
მყოფელად C) ჩუენ მორწმუნეთა და სადიდებელად სამებისა წმიდისა აწ და⁸ მარადის⁹ და (ახს,
C.) უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

¹ მიერ]—C. ² ცისკროვანად C. ³ სიტყუათა D. ⁴ თანა-წარუვალსა DC. ⁵ ნაცვლისგე-
ბაჲ C. ⁶ თჳსით D.

ც

ჟ.

სა(ა)თა. არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვე-
ძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღუსათა პატიო-
სანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა,
გუნებავეს ცხადად გამოჩინება¹; რომელნი
გამზადებულ არიან განყოფად² სიმდიდრესა, 5
უხრწნელსა საფასესა საღმრთოთა ნიჭთასა,
ნათესავისა მიმართ ჩუენისა სიტყუთა მალ-
ლისადათა³.

წიგნი ვედრებისა შენისა⁴ აღმოვიკითხე-
ძმო მიქაელ, და თხოვისა შენისა წადიერე 10
ბა⁵ გულისწმა-ცყავ⁶ და ფრიალ მონდა სწავ-
ლის მოყუარება^{6a} შენი, რამეთუ გენება, რა-
თამცა⁷ დიდისა იოვანე ზედაძნელისა ცხო-
რება⁸ აღუწერე და მიუძღუანე თქუენსა მას
უდაბნოსა, პირველად, რადათა⁹ არა სიღრმე-
სა შინა დაფარულ იყვნენ¹⁰ სათნობა-
ნი¹¹ წმიდისა მის მამისა და მოძღურისანი,
და მერმე, მათ გამო, რადათა⁹ სარგებელი
ვპოოთ. და ქარტა¹² იგი წულილი, რომე-
ლი¹³ წარმოგედღუანა ჩუენდა, რომელთაგა-
ნი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი
(წარვიკითხე) და ზოგი რადათა^{13a} გამოვიკითხეთ
მისთვის და მისთა მათ მოწაფეთა მათთა, მათ
შინა ადგილთათვის, ვითარცა ვინ მარცულეუ-
ლი¹⁴ ოქრო¹⁵ წარსცის ვისმე¹⁶ კელოვანსა, 25
რადათა⁹ შექმნეს^{16a} იგინი კურკულად შუენიე-
რად ერთად შეკრებულთა.

და ანით ესევეითარითა წადიერებითა არა
თუ რას მიიღებ ჩუენგან, არამედ მომცემ,
ვითარცა უფალი იგი დიდებისა¹⁷ მისრული 30

ც¹ გამოჩინება A. ² განყოფად A. ³ მადლისათა A. ⁴ შენისა A. ⁵ წადიერება A.
⁶ ყავ A. ^{6a} მოყუარება A. ⁷ რათამცა A. ⁸ ცხოვრება A. ⁹ რათა A. ¹⁰ იყუნეს A. ¹¹ სათნობა-
ნი+და A. ¹² ქარტა A. ¹³ რომელ A. ^{13a} რამე A. ¹⁴ მარცულელნი A. ¹⁵ ოქრო A. ¹⁶ ვინმე-
^{16a} შექმნენ A. ¹⁷ დიდებისა A.

ღ

მისნი ყოველთავე მსოფლიოთა ბიწთაგან უბიწოდ და სიწმიდით წარდგომილ არიან წინაშე ყოველთა ღმრთისა მსხუერკლსა ქებისასა შემწირველნი უნივთოთა¹ პირებითა², ხოლო სხუანი ყოველთავე ამათ ჯორციელთა შუებათა და³ გემოთა შეურაცხის-მყოფელნი მარხვისა მიერ⁴ სამარადისოჲსა ლოცვისა განმკაფელნი სხეულისანი და ყოველთა იწროებათა მიერ დამაჰნობელნი და⁵ მომაუძღურებელნი მძღავრებისა მისისანი ნაცვალად⁶ სასყიდელთა შრომათა მათთასა მომღებელ არიან მარჯუენისაგან საუფლოჲსა.

რამეთუ ნაცვალად⁷ ტკივილთა და ღუაწლთა, რომელნი მოითმინეს საწუთოსა ამას შინა ცხოვრებასა⁸, ბრწყინვალენი ნიქნი და სიმდიდრენი უხრწნელთა შუებათანი მოენიჭნეს მათ, ზეცისა სავანეთა და ფუფუნებათა შინა⁹ მკვდრ ქმნულთა¹⁰, რომელთა ერთი არს სანატრელიცა ესე მამაჲ ჩუენი და ბრწყინვალე მნათობი იოანე, რომელიცა ვითარ ბრწყინვალე რამე ვარსკულავი აღმოუბრწყინდა¹¹ ბნელსა შინა უმეტრებისასა შეცთომილთა სულთა და დაულამებელისა ნათლისა მიმართ წინამძღუარ ექმნა მათ, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისაჲთა განიოტა ბოროტი მგელი და ტაცებათაგან მისთა უვნებელად დაიცვა სამწყსოჲ თჳსი ძალითა სამებისაჲთა განძლიერებულმან.

ღ¹ უნივთო C. ² პირებითა]—C. ³ სხუანი ყოველთავე... შუებათა და] რომელნიმე სოფლისა C. ⁴ მიერ]—და C. ⁵ ნაცვალად C] ნაცვალთა D. ⁶ ნაცულად D] ნაცლვად C. ⁷ ცხოვრებასა შინა C. ⁸ ქმნილთა D. ⁹ აღმოუბრწყინდა C.

C

9

7

ჯუროდმულსა¹ მას ზედა და წყალსა ითხოვ-
და დედაკაცისა მისგან სამარიტელისა*, არა
თუ მოიღებდა, არამედ წყაროსა ცხორები-
სასა მიანიჭებდა². ესრეთ მოვიღებ³ და⁴
არა თუ მიგცემ. ხოლო მე, ვითარ გიხილე 5
კეთილი იგი სტუმარი, რომელი მოვიდა ჩემ-
და, სიხარულით მივრბიოდე და აღვიყვანე
იგი ქორსა ჩემსა და მინდა განძღებად შიმ-
შილი მისი, რომელსა-იგი ეძიებდა.

და ვითარ აღვიხილე საუნჯე ჩემი, ვპო- 10
ვე იგი ნაკლულევიანად მცირედ მეცნიერები-
სა ჩემისაგან და, რამეთუ ენა ბრკუნვალ ვარ
და ვერ-მეტყუელ, ვინაჲთ⁵ ვიწყე წმიდისა
მისთვის თხრობად სათნოებათა მისთა! არამედ
განვიზრახე, რაჲთა⁶ ვემსგავსო ფუტკარსა 15
შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შუენიერ-
თა წივთა მიერ მოვიწილნე ყუავილნი, რაჲ-
თა⁶ განუზნადო ჭამადი ტკბილი წადიერთა
სადიდებელად ჩუენ(და). არამედ ჯერ-არს,
რაჲთა⁶ ლოცვაჲ⁷ წინათ წარუძღუანოთ, ჯე- 20
ლი შემოყავთ ჩემ თანა ვედრებითა!

რამეთუ ყოველთა კეთილთა განმასურ-
ნელებელ ლოცვა არს. ამან მუცელსა შინა
დედისასა განაპოხა სამოელ და წინასწარმე-
ტყუელად გამოაჩინა. იხილეთ-ლა⁸ ნაყოფი 25
იგი ლოცვისაჲ⁹—[წინაჲსწ]არმეტყუელ იქმნა
ქეშმარიტებისა სიყრმიტგან, რამეთუ ითხოვა
იგი ანა ცრემლითა და ლოცვითა**.

კუალად სჯულის მდებელსა მოსეს მო- 30
რაჲ-აქუნდეს¹⁰ ფიცარნი იგი სჯულისანი, ორ-
ნეოც დღე ლოცვა და მარხვა საფუძველ ყო.
და მოსეს ფიცარნი, დაწერილნი თითითა
ღმრთისაჲთა¹¹, გარდამოაქუნდეს მთისა მის-
გან ერთ გზის და მეორე(დ)—სრულგებად, რა-
მეთუ პირველნი¹² იგი შეიმუსრნეს, ვითარცა 35
ურიანი¹², ხოლო მეორენი პატივ-იცნეს მო-
ცვალეებითა***. მისთვის ჯერ-არს, რაჲთა⁶ ყო-
ველმან, რომელმან ჯელ-ყოს საღმრთოსა მსა-

C¹ ჯუარცმულსა A. ² მინიჭება A. ³ მოიღებ A. ⁴ და—A. ⁵ ვინათ A. ⁶ რათა A.
ლოცვა A. ⁸ იხილეთ-ლა A. ⁹ ლოცვისა A. ¹⁰ მო-რა-აქუნდეს A. ¹¹ ღმრთისათა A. ¹² პირ-
ველნი A. ¹³ საურიანნი A.

* შდრ. იოანე 4,4-15. ** | მეფ. 1,1-20; 3,20. *** გამოსლგ. 32,15-19; 34,1; 34,28-29.

C

9

L

ხურებასა, ითხოვოს¹ მისგან, რომელი-იგი უხუად მიმნიკებელ არს ღმერთი, და მის-ცემს საზრდელსა, ვითარცა იტყვს იაკობ მოციქული: უკუეთუ² ვინმე ნაკლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს⁵ მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან*.

ხოლო დაწყებასა მწერალთასა ჯერ არს მოკსენებაჲ³ დიდისა მოსესი, დამწყებელისა სახლის წერითა, ქეშმარიტისა მომასწავებელითა, აგი, რომელ ნოეს მსგავსად კიდობნი-10 სა მის წყალსა ზედა იქცეოდა შექურვილი დიდებისაგან შიშითა განგდებულ, განრინებულ იქმნა მოლუაწებითა ღმერთთაჲთა⁴, ფარაოჲს ასულისაგან განიპოხა სახლსავე მას შინა მისეჲ მეფისასა, მოკლა მეგვპტელი იგი,¹⁵ სიძე ფარაოჲსი⁵, არა მშორებელი⁶ და უჩინოჲ⁷, არამედ მახლობელი ფარაოჲსი⁸ (ვითარცა იყო სახე ყოველთავე ქეშმარიტისა, პირველი იგი—ახლისა მის სჯულისა სიძე იგი ფარაოჲსი⁸, ფარაო უჯორცოჲსა⁹ მის ფა-20 რაოჲსი⁸, ვითარცა ეგვპტე ჯოჯოხეთისა, ერთიერთისა მახლობელი სახითა). მეოტ იქმნა რისხვისაგან მეფისა, განვიდა უდაბნოდ მთასა სინასა. გამოეცხადა ანგელოზი ღმრთისაჲ¹⁰ ცეცხლითა მაყულოვანსა მას ში-25 ნა, საიდუმლოჲ¹¹ ქალწულისაჲ!¹² და ზარგანდილი მოვიდა ხილვად. მის მიერ უწოდა და ტყავი იგი მკუდრისაჲ¹³ განსძარც(უ)ა¹⁴ ფერჯთაგან ცხოველი და წარმოიდგინა განოცხადებად, რომელი მისეჲ მალღისაგან იწამა 30 ყოფად იგი ღმერთი ფარაოჲსი⁸, მთავრისა ბნელისა და განდგომილისა უზეშთაესისაგან კეთილისა, იგი, რომელ მაღალთა უმწუერვალესთა [მ]ათა უმაღლეს იქმნა (სახე იგი ქეშმარიტისა მის სჯულისა მდებელისაჲ!¹⁵), 35 მას ქსნად ისრაელისა¹⁶ წარავლინებდა სასწაულითა და ნიშებითა.

C¹ ითხოვს A. ² უკუეთუ A. ³ მოკსენება A. ⁴ ღმერთთათა A. ⁵ ფარაოჲსი A. ⁶ მშორ-
ველი A. ⁷ უჩინო A. ⁸ ფარაოჲსი A. ⁹ უჯორცოჲსი A. ¹⁰ ღმრთისა A. ¹¹ საიდუმლო A. ¹² ქალ-
წულისა A. ¹³ მკუდრისა A. ¹⁴ გარსძორცა A. ¹⁵ მდებელსა A. ¹⁶ ისრაელსა A

* შდრ. იაკ. 1,5.

ს

ღ

ლ

ხოლო მომავლინებელი იგი თავსა თვსსა გამოუცხადებდა, ვინ იგი იყო, და თქუა: **მე ვარ ღმერთი¹ აბრაამისი, ღმერთი ისაკისი, ღმერთი იაკობისი* და მაუწყებელისა მამათა შენთაჲსა². სახელსა მისსა მთით აუწყებდა 5** საწმთა მათ ნახაპეტთა, დიდთა მათ და მართალთა, სახელ-იდვა ღმრთად. მერმე კუალად იკითხავს-ვე ღმერთსა მიმღებელი იგი მოსე: უკუეთუ მრქუან, ვინ მოგავლინა, რაჲ ვთქუა? ერთი იგი უფსკრულით სიღრმე ასწავა თქუ- 10 მად და ჰრქუა: ესრეთ არქუ, „რომელი-იგი არს, მან მოავლინა**“. არს იგი არს, რომლისა დასაბამ არა არს. და მარწმუნებლად მისცნა ათნი იგი დიდ-დიდნი სასწაულნი, რომლითა³ არს⁴ იგი (ღ)მერთი მამათაჲ⁵, 15 (რაჲთა ჰ)რწმენეს ჭეშმარიტისა ღმრთის მეცნიერებისა საზღვარი, ნათელი იგი დიდი; შეიპყრნეს იგინი ბნელმან და სიღრმესა დაინთქნენ. და რომელი ნათელი იგი არს⁶, ერთი უხილავი და უცვალებელი ღმერთი არს⁶, 20 არა დასაბამიერი, არცა გასრულებადი, განუზომელი, მარადის კურთხეული, ნათელი სამების[ად], რამეთუ ესე უსალმრთეებისა შეჰკრებს სამგლამოვნებასა: მამისა, ძისა და სულისა წმიდისა თანა. აღირაცხების ესრეთ 25 შეკრებულად შეურწყმელი და განუყოფელი. და არა ჯერ-არს დაკლებად ძე მამისაგან და არცა სული ძისაგან. და უკუეთუმცა⁷ არა ესრეთ იყო ღმრთებაჲ⁸, ვიდრემე-მცა არა დიდებულ იყო ფრიად, რამეთუ არს იგი 30 უხილავი, უჟამო. დაუტევნელ. უცვალებელ, — უცვალებელ თვნიერ ვითარებისა⁹, თვნიერ რაოდენობისა, ხატებისა, — შეუპყრობელ და შეუნაწევრებელ, თუთ იძრვის¹⁰ მარადის ძრვითა, თავით თვსით ძლიერ. დაღათუ მიიწევის 35 პირველისა მიზეზისა ყოველი, რომელი მისი არს, ვითარცა ძე, მხოლოდ(ჲ) ცხოველი და განმაცხოველებელი, მომუცემელი ცხოვრებისაჲ¹¹,

ს¹ ღმერთა A. ² შენთასა A. ³ რათა A. ⁴ არსი A. ⁵ მამათა A. ⁶ არს]—A. ⁷ უკუეთუ-
 ჰვა A. ⁸ ღმრთება A. ⁹ ვითარებისა A. ¹⁰ იძრვისა A. ¹¹ ცხოვრებისა A.

* გამოსლვ. 3,6 ** მდრ. გამოსლვ 3,14.

ს.

ღ

ღ

ვითარცა იტყვს: მე ცხოველ ვარ და თქვენ-
ცა ცხოველ იყვინით, და რომელსა (ჰ)რწმე-
ნეს ჩემი, იგიცა ცხოვნიდეს ჩემ მიერ. ნათე-
ლი იგი მარადის კურთხეული და ბრწყინვა-
ლე, განუ[რჩ]ეველი უზეშთაესისაგან ბუნებისა 5
აზსებისა, საუკუნებრ ნათელი სმენით-რე¹. და
სული წმიდა მთავრობისა უვალი, წარმავ-
ლინებელი, განმკუთხველი, ტაძრად თვსა მოქ
მედი, ვითარ (ჰ)ნებავნ და ვის თანაცა უნებნ.

რამეთუ სული მომცემელი და შემოქმე- 10
დი და არა შექმნილი, რომლისაგან დადგა
შექმნილიცა იგი ნათელი მეორეთა მათ
ბრწყინვალეებათაჲ², ანგელოზთასა ვიტყვ, და
ნათელი მესამე (...)ცი ესე, დაწყებულნი პირ-
ველისა მისგან ნათლისაჲ³, დასაბამისაჲ⁴ იგი, 15
რომლისაგან სამნი და სამისაგან ერთი, გარ-
ნა ესე ხოლო. რამეთუ მამა არა ძე და ძე
არა მამა და სული წმიდა არცა მამა, არცა
ძე. და ესე არა განყოფს ბუნებასა. არამედ
განყოფენ ბუნებასა შინა და მოასწავებს 20
ერთობასა. ხოლო რომელთა სამებისა⁵ ერთ-
სწორება⁶ ვერ^{6ა} გულსკმა-ყვეს, ბნელსა შინა
არიან და ეჩქუებიან. ჰ(რ)ცხუენოდენ არი-
ოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუ-
მად სიტყუაჲ⁷ იგი ღმრთისაჲ⁸, რომელი-იგი 25
მისი იყო და არა სხუაჲ. და ესე შეემთხვა,
რამეთუ ვერ ცნა საზღვარი გუამისა და ბუ-
ნებისა მისისაჲ⁹, ხედვიდა მას კაცად და ბუ-
ნებაჲ¹⁰ ღმრთეებისაჲ¹¹, დაუსაბამოჲ¹² ვერა
ცნა.

და კუალად არიანნიცა¹³. რომელნი იტ- 30
ყვან ქრისტესა, ვითარმედ სიტყუაჲ იყო
ღმრთისაჲ¹⁴, და სული კუალად დაბადებულ-
თა შეაერთეს¹⁵ და იტყვან, ვითარცა ადამიო
სიტყუაჲ⁷ იგი დაბადა ღმერთმან, რამეთუ 35
()*. ყოველთა კაცთა უუგუნურესნო,
უკეთეთ¹⁶ სიტყუაჲ⁷ მისი იყო, ვითარმემცა

ს¹ სმენელ-რე ა. ² ბრწყინვალეებათა ა. ³ ნათლისა ა. ⁴ დასაბამისა ა. ⁵ სამებისა ა. ერთსწორობა ა. ^{6ა} ვერ[ერ]თ ა. ⁷ სიტყუა ა. ⁸ ღმრთისა ა. ⁹ მისისა ა. ¹⁰ ბუნება ა. ¹¹ ღმრთა-ებისა ა. ¹² დაუსაბამო ა. ¹³ აგარიანნიცა ა. ¹⁴ ღმრთისა ა. ¹⁵ შეაერთენ ა. ¹⁶ უკეთეთ ა.

* აქ რაღაც უნდა აკლდეს, თუმცა ხელნაწერში ეს დაკლებულობა არაა რითმე აღნიშნული.

ც

ღ

ლ

იყო ზოგი ღმრთეებისა¹ მისისაჲ² დაუსაბამოდ და ზოგი დაბადებული? რომელი-იგი ხურომან ქმნის, სუეტი გინა ტაძარი, არა ითქ(უ)შის სიტყუაჲ³ ხუროსაჲ⁴ მის, არამედ სიტყუთა შექმნილი⁵. და აწ ვითარცა⁵ იყო სიტყუაჲ³ ღმრთისაჲ⁵ ქრისტე და კუალად დაბადებული⁶ სიტყუაჲ იგი?! ვიდრე მათი დასჯის მათ! უკუეთუ⁷ სიტყუაჲ³ იგი არა იყო მის თანა, დაუსაბამოჲ⁸ უკანათ დაებადა!?! პირველ უტყუ ვიდრემე იყოა ღმერ- 10 თი შენისა სიტყუაებრ! და კუალად (ჰ)ნებაჲს, რაჲთა⁹ მიუგონ მკითხველსა ყოველთა, რომელნი ერთსწორებასა სამებისა წმიდისასა არა შეიწყნარებენ, ღმერთი შემწყნარებელი შესრულისაჲ¹⁰ არს ანუ არა? უკუეთუ⁷ აღი- 15 აროს, ვითარმეუ ღმერთი არა შემწყნარებელი არს შესრულისაჲ, ვიკითხოთ: სიტყუაჲ³ ღმრთისაჲ⁵ შესრული არს ანუ არა? უკუეთუ⁷ თქუას, შესრული არს, უვარ-ვეყო, რომელი-იგი¹¹ აღვიარე. არამედ ნუ იყოფეინ, ვითარ- 20 მცა შე-რაჲმე-ვიდა ღმრთისა თანა, რომელცა არა იყო უკუეთუმცა¹² შემწყნარებელი იგი ჩანს, რამეთუ ყოველსა შემწყნარებელსა აღმატების და დააკლდების, და ვითარ შესაძლებელ არს ესე ღმრთისათჳს თქ(უ)მად, ვი- 25 თარმედ: აღმატების და დააკლდების. დაშთა, რაჲთა⁹ იყოს შანთ, რამეთუ ყოველი ორითავე განიყოფეინ: შანთითა და შესრულითა. და რომელი არა იყო შესრული, ჩანს; რამეთუ შანთი არს იგი. და რომელი შანთი 30 არს, მდგომარე არიან იგინი¹³ თავით თჳსით. ხოლო რომელი ღმრთისა არს, ესე არს დაბადებული და არა დაბადებული. ვიტყუ სიტყუასა დაუსაბამოსა, რომლისა მიერ დაბადა ღმერთმან ყოველი დაბადებული. და ვერ 35 შემძლებელ არს ყოფად, რამეთუ ყოველივე განიყოფეინ ორ პირად: დაბადებული და დაბადებული. და რომელი დამბადებული არს,

ც¹ ღმრთეებისა A. ² მისისა A. ³ სიტყუა A. ⁴ ხუროსა A. ⁵ შექმნილ A. ⁶ ღმრთისა A. ⁷ უკუეთუ A. ⁸ დაუსაბამო A. ⁹ რათა A. ¹⁰ შესრულისა A. ¹¹ რომელი-იგი A. ¹² უკუეთუმცა A. ¹³ იგი A.

ს

ღ

ღ

და არს დაბადებულ, და ჩანს, რამეთუ სიტყუაჲ¹ იგი არა დაბადებული არს და, რაჲთა² მოკლედ ვთქუათ, ვითარცა არაჲაჲ³ არს დაბადებულთა შორის; რომელმცა დაბადებულ იყო. 5

ესრეთვე ვიტყვ სულისა წმიდისათჳსცა. ხოლო მაკედონ იკადრა სულისა წმიდისა დაბადებულთა შორის შერთვა, და მადლით მოვლენა თვთმფლობელისა მის სულისა წმიდისა. კადნიერი იგი, თავგედი, რომელსა თავი 10 ვი თჳსი რაჲმე ეგონა ყოფად, რომელ-იგი არა იყო. ამან ენაჲ⁴ თჳსი ღმრთის მბრძოლად განაძლიერა შემდგომად საშინელისა მის სმენისა, ვითარმედ: ყოველნი ცოდვანი და გმობანი მიეტევნენ კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ⁵ არა მიეტეოს*. და არცა გულისგმა-ყო წინაჲსწარმეტყუელისა დავითის თქ(უ)მული იგი, ვითარმედ: «სიტყუთა უფლისაჲთა⁶ ცანი დაემტკიცნეს, და სულითა პირისა მისისაჲთა⁷ ყოველი ძალი მათია**». უკუეთუ⁸ სული პირისა მისისაჲ⁹ არს, წმიდაჲ¹⁰ იგი სული ვითარმცა იყო დაბადებულ! რამეთუ ყოველი, რომელი არს, მისი არს. უკუეთუ⁸ დაბადებულ, უსულო ვითარმე იყო მამაჲ¹¹ ვიდრე დაბადებამდე მის სულისა! 25 არამედ დაბადებულ(ი) მის(ი) სული იგი ჰეშმარიტებისაჲ¹², რომელი მამისაგან გამოვალს და ძისა თანა თაყუანის-იციემების, იგი სული, რომელი წყალთა ზედა იქცეოდა და ქცევითა მით მათ ზედა გამოსახვიდა და დაბადებდა 30 ყოველთა დაბადებულთა და მადლით წარმოაჩინებდა¹³ თითოეულსა, ვითარცა მას უნდა; იგი სული, რომელი¹⁴ ცეცხლისა მსგავსად გარდამოვდა მოციქულთა ზედა, უზეთაესითა საკრველებითა ენანი განუყვნა¹⁵. 35 აჲა მადლი გამოუთქ(უ)მელი, ებრაულად იტყვს მოციქული ერთითა ხოლო ენითა და ყოველთა ენითა ბარბაროზთა ესმინა!***

ს¹ სიტყუა ა. ² რათა ა. ³ არაჲა ა. ⁴ ენა ა. ⁵ გმობა ა. ⁶ უფლისათა ა. ⁷ მისისათა ა. ⁸ უკეთუ ა. ⁹ მისისა ა. ¹⁰ წმიდა ა. ¹¹ მამა ა. ¹² ჰეშმარიტებისა ა. ¹³ წარმოაჩინებდა ა. ¹⁴ რომელ ა. ¹⁵ განუყვნა ა.

* მათე 12,31. ** ფსალმ. 32,6. *** საქმე 2,1 = 11.

C

9

ამის სულისაგან სული სიბრძნისა და ნეცნიერებისა და გულისკმის-ყოფისა(ა) მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მადლი სიტყუსა¹ ენასა ჩუენსა, რაჲთა² წმიდისა მის იოვანე ზედაძნელისათჳს ვიტყოდი უც- 5 თონელად შემკობად, სარგებელისათჳს სპოდონთა უდაბნოთაჲსა³, რომელ არიან მოსწრაფებანი. ხოლო თქუენ განმზადენით სასწენელნი⁴ თქუენნი და სარწმუნოებით შეიწყნარეთ, ნუ ვითარმცა გესმა სათნოებაჲ⁵ 10 ყოვლისა მის კაცისაჲ⁶, არამედ მცირე მრავლისაგან დაყოვნებითა ეამისაჲა⁷.

1. დასაბამი ცხორებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ⁸

1. ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუა- 15 მდინარით და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა⁹ მოიწია ქუეყანასა ქართლისაჲსა, მახლობელად დედა-ქალაქსა ამას ჩუენსა მცხეთას, რომელმან განუკუთნვა¹⁰ თავი თჳსი სიყრმითა თჳსითგან ქრისტესა.

1. ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქისათა. ხოლო წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოიწია ქუეყანასა 20 ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა დედა-ქალაქსა მცხეთასა.

C ¹ სიტყუსა A. ² რაჲთა A. ³ უდაბნოთასა A. ⁴ სასწენელნი—და A. ⁵ სათნოება A. ⁶ კაცისა A. ⁷ ეამისათა A. ⁸ ზედაძნელისა A. ⁹ წმიდისათა A. ¹⁰ განუკუთნვა] განკუთვნილად ა.

ჟ

1. ესე ღირსი ქსენებისაჲ საკრველი და ყოვლად ქებული მამაჲ ჩუენი აღმოეცენა ქუეყანისაგან შუამდინარისა, რომელიცა ესე ქუეყანაჲ მრავალთა მომთხრობელთა მიერ ძუელ სადვე მყოფთა და კჳალად შემდგომთა მათთა¹ მრავლისა ქებისა მიმთხუეულ არს იეფობისათჳს ნაყოფთა მისთასა და ჰაერისათჳს² კეთილისა და წყალთა ტკბილთა, კეთილად მდიდრად მცენარეთა აღმო-
დენისათჳს და უფროდსლა კეთილთა და საჩინოთა მამაკაცთა გამოღებისათჳს, რომელთა მიერ უმეტესად შემკობილი მოქადულ არს ესევეითართა სიმდიდრეთა და დიდებათა მოგებისათჳს. ამისთჳს პირველ ქსენებულისა ქუეყანისაგან მომღებელ არს ნათესაობასა მიწიერისა მამულისასა სანატრელი ესე კაცი. ხოლო უმახლობელესი³ ადგილი და გამომღებელი დაბაჲ და სახელისა მისისა⁴ 5
წოდებაჲ უცნაურ არს ჩუენგან; და არცალა მშობელთა მისთა ვინაობაჲ და რომელობაჲ სახელისაჲ გჳსწავიეს, თუ ვიეთნი იყენეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ⁵ მოაქუნდა კორციელი ნათესაობაჲ მახლობელად ანტიოქიასა⁶ მყოფისა 15
რომლისამე დაბისაგან, აქა შინა წილ-ხდომილისა⁷ შობისა⁸ და აღზრდისასა და სწავლათა მიერ და საღმრთოთა მოძღურებათა სისრულედ ჰასაკისა აღწევნულსა. ხოლო ჩუენ უსაკუთრესი მამული ამისი ზენაჲ იერუსალჳმი⁹ უწყით და მეცნიერ ვართ, და მამაჲ ყოველთა დამბადებელი ჯეროვნად გჳსწავიეს, მამაჲ ამის სანატრელისა მამისაჲ, რამეთუ ყოველნივე მის მიერ არარაჲსაგან არ- 20
სად მოვიყვანენით და კელთა მიერ უხრწნელთა აღვიზილენით, რათა უხრწნე-

ჟ¹ მათთა|+მიერ C. ² აჳერისათჳს C. ³ უმახლობელესი|+ესე C. ⁴ მისასა C. ⁵ შუამდინარისაჲთ C. შუამდინარისად D. ⁶ ანტიოქიასა C. ⁷ წილზდომილსა C| წილზდომილსა D.

ს

ღ

და აღიღო უღელი მძიმე სიჭაბუკითგან თუსით და დაჯდა თუსაგან და დაყუნა, რამეთუ არს სასოება¹ თმენისა². პირველად თუსსავე ქუეყანასა ასურეთს იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა³ სიმდაბლითა⁴, მარხვითა და მღუძარებითა, ცრემლითა და ვედრებითა. შრომითა და მოთმენითა დღითი-დღე წარმატებოდა⁵, რაჟთა⁶ სრულებასა მას მიემთხვოს, რომელცა-იგი მიიღოს, რომელსა იტყუს: «ირეკლით და განგელოს, 10 ეძიებდით და ჰპოვოთ*».

ამან წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან (მამამან) თუსსავე მას ქუეყანასა იწყო მონაზონებად. და იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა და მოღუაწებითა, მარხვითა და მღუძარებითა, და ცრემლითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, ვითარცა იტყუს: «ირეკლით და განგელოს, ითხოვდით და მოგეცეს, 10 ეძიებდით და ჰპოვოთ*».

ს¹ სასოება A. ² თმენისა A. ³ ყოველითა A. ⁴ სიმდაბლითა A. ⁵ წარმადებოდა A. რათა A.

* მათე 7,7; ლუკა 11,9.

ჴ

ლებისა¹ მეძიებელთა უკუდავი ცხორებაჲ და წარუვალი სუფევად დავიმკვლ-
როთ საენეთა შინა ზეცისა² მიმისათა.

ესე უკუე სანატრელი სწავლულ იქმნა წურთილობითა³ საღმრთოთა წე-
რილთაჲთა და ყოველი სიმდიდრე სულიერთა მოძღვრებათა მდიდრად დაი-
უნჯა გულსა შინა თჳსსა. და ერთბამად ჰასაკისა აღორძინებასა თანა ფრია-
დი რამე სათნოებათა სიმაღლე იხილვებოდა კაცისა მის თანა აღორძინებუ-
ლად, რამეთუ ფრთოვან⁴ იქმნებოდა სულითა და ყოვლითურთ ქუეყნიერნი
ესე და მიწად დამზიდველნი ნივთნი, ვითარცა არარანი შეერაცხნეს⁵, ვინაჲ
ერთ გზის დამდებელი ჯელისა ერქუანსა ზედა ანეულ მყოფელსა სულთასა მიუ-
ქცევულ იყო მართლ უკუნ, რამეთუ მოშიშვებდა, ნუ სადა შებრკოლებისა ლოდ-
სა წარკუთენეს⁶ სასუფეველისა და ღმრთისა მიმართნი სლვანი.

ესრეთ სრულ იქმნა რაჲ ყოვლითა წურთილებითა, და ფრიადი სიმდიდ-
რე სწავლულებისა შეუკრიბა თავსა თჳსსა, შეიშურვა შური უფლისაჲ წინა-
აღრჩევითა მონაზონებრივისა სახისაჲთა. და ესე შერმეცა ყრმებრივსა ჰასაკსა
შინა მყოფმან, გარნა მცოცვანმან და ფრიადმან გონებისა სიმახვლითა, რამე-
თუ⁷ ესწავა მეტყუელისა, ვითარმედ: მხოლო ვარი მე, ვიდრემდის თანა წარგ-
ჯდე. ამისთჳსცა ღარტოებით⁸ ენება ნონებაჲ ნხოლოჲსა, რათა არა თანა-შეკ-
რული მსოფლიოთა ზრუნვათა თანა-შეუღლვითა დედაკაცისაჲთა დაიყენებო-
დის მოსწრაფებით მსახურებაჲ უფლისაჲ, ვინაჲცა „გიხაროდნესა“ მეტყუელი
სოფლისა და მსოფლიოთა ყოველთა ნიშართ, მორბედ იყო შემდგომად კუალ-
სა უფლისასა არა⁹ ქუეყნიერთა ნივთთაგან დამძინებული, რამეთუ¹⁰ დლითა-
დღე გამოიძარცუებოდა შრონათა მიმართ მოლუაწებისათა მარხვისა და მღვდა-
რებისა¹¹ შემტკობელი.

ხოლო სიმდაბლე ესეოდენი¹² იხილვებოდა საღმრთოჲსა ამის მამაკაცი-
სა თანა, ვიდრედა ყოვლითურთ არარად შეერაცხა თავი თჳსი მეტყუელსა:
მე მატლ ვარ და არა კაც, და თანად საყუედრელ კაცთა. ხოლო სიმშუდე რა-
ბამი, რამეთუ ყოვლად ურისხუელ იყო, რომლისა¹³ მიმართ მოშურნე მშდლთა-
თჳს განმზადებულსა ქუეყანასა დამკვლრებად. ხოლო რისხვაჲ ნხოლოდ ბო-
როტთ დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოეგო, ვითარ მისა მიმართ მხოლოდ
ბრძოლად და წინა-განწყობად ბრძანებულსა¹⁴ და არა მსგავსთა თჳსთა კაც-
თა მიმაჲთ. ამის თანა წყაროჲ ცრემლთაჲ დაუწყუედელი მარადის გარდა-
მოსდინ თუალთა¹⁵ მისთა და დღე და ღამე დაალტობნ სარეცელსა თჳსსა
ცრემლითა და განჰბანნ მას ნაკადულითა თუალთაგან ჩანომდინარითა¹⁶ წი-
ნაჲსწარმეტყუელისაებრ მეტყუელისა: და ევედრებინ¹⁷ უფალსა, რათა ნძლედ
ქორცთა მძლავრებისა გამოაჩინოს, რომელნი მრავლად მიზიდვენ სულსა მი-
წიერთა და ზრქელთა ვნებათა მიმართ და ესე ჰასაკსა შინა სიკბაბუკისასა,
ვითარ მაშინ მარჯუედ ორღანოდ ქონებითა სხეულისაჲთა ვნებათა მიმართ.

ჴ¹ უხრწნელების C. ² ზეციერთა C. ³ წურთალებითა C. ⁴ ფარულად C. ⁵ შეერაცხ-
ნეს C. ⁶ წარკუთენეს C. ⁷ რამეთუ—D. ⁸ მარტოებით C. ⁹ არა+რთა C. ¹⁰ რამეთუ—C
¹¹ მღვდარებისათა D. ¹² ესოდენი D, ¹³ რომლისაჲ C. ¹⁴ ბრძოლასა D. ¹⁵ თვალთა D. ¹⁶ შთა-
ომდინარითა C. ¹⁷ ევედრებიან C.

C

Q

ვითარ იგი განათლდა, დიდებასა¹ მას მიიწია პირველ, და მშორებელსა მას ვითარცა მას მახლობელსა ხედვიდა. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალნი იგი, რომელნი იქმნეს მისგან ღმრთისა⁵ მიერ კურნებათა მრავალ-ფერთა სახეთა სენთასა განსხმად ეშმაკთასა.

ამანცა ნეტარმან პოვა მადლი წინაშე ღმრთისა და შორიელსა ვითარცა მახლობელსა ხედვიდა. და გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი. და განმრავლდეს ძალნი და საკურველებანი, რომელთა იქმოდა ღმრთისა მიერ მრავალ-ფერთა და თითო სახეთა სენთასა.

მაშინ დაუტევა ადგილი იგი, სადა იქ-¹⁰ ცეცინ, და წარვიდა განშორებულსა უდაბნოაა. და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა მოწაფეთა თუსთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალ ჟამ. და იშუთ³ სადმე განავლინის მოწაფეთა მისთაგანი მოღებად სა-¹⁵ ზრდელისა. და ესრეთ ფარულად იყოფოდა ხოლო, ჰგონებდა ფარვასა თავისა თუსისასა.

ხოლო დაუტევა ადგილი იგი, სადა იყოფოდა, და წარვიდა შორსა უდაბნოსა, რამეთუ ევლტოდა ცუდსა ამას დიდებასა¹, და პოვა² ქუაბი უდაბნოსა მას და დაჯდა მას შინა მოწაფეთა მისთა თანა. და არავინ იცოდა ადგილი იგი მრავალ ჟამ. და წარავლინის ოდესმე მოწაფეთაგან(ი) მოღებად საზრდელისა. და ესრეთ ფარულად²⁰ რაჲ იყოფებოდა,

C¹ დაბადებულსა A. ³ იკუთ A.

Q¹ დ'ბსა B. ² პოა B.

¶

ესრეთ საპარადისოჲსა ლოცვისა და ვედრებისა მიერ სირცხულელნი მართლუკუნ აქციება მტერნი, რამეთუ შეიწყნარა უფალმან ლოცვაჲ მისი და საძლეველნი მოიხუნა მბრძოლთა ზედა ძლევისა აღმადგინებელმან. და დამცხრობელი ჯორციელთა გულის-თქუმათა და ვნებათა განკაფითა და შეიწრებითა სხეულისაჲთა აღმოდღებოდა დღითი-დღე სათნოებათა სიმწუერვალისა 5 მიმართ.

და მადლი სასწაულთა სრულ ქმნისაჲ მოენიჭა მას ღმერთისა მიერ და შორიელთა¹ საქმეთა ვითარცა მახლობელთა ზედვიდა, რამეთუ ესევეითართა მადლთა მიერ შეამკო ღმერთმან მონაჲ თვისი, რომელი ჰყოფს ნებასა მოშიშთა მისთასა. და მსგავსად ვარსკულავისა ბრწყინვალისა აღსრულებითა ძალ- 10 თა და სასწაულთაჲთა ელვარე ყო მბრწყინავი სულითა და ცისკროვანი გონებითა, რამეთუ თითო სახეთაგან სენთა შეპყრობილნი კურნებასა მრჩობლ კერძოსა მიემთხუროდეს ამის მიერ, ვინაჲთგან ბრმათა ნათელი მიემადლებოდა და სნეულთა სიმრთელე, და ეშმაკისა მიერ ტანჯულთა თავისუფალ ქმნაჲ მძლავრებისაგან მისისა.

ესევეითარნი რაჲ საკურველებანი აღესრულებოდეს მის მიერ, მოვიდეს მისა ყოვლით კერძო ხილვად და კურთხევისა მიღებად მისგან, რანეთუ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ასურეთისასა სასწაულთათჳს და ნიშთა, რომელნი მონიჭებულ იყვნეს მისა ღმერთისა მიერ.

ამას შინა რაჲ წარადეს ქამნი რაოდენნიმე, სინდა წმიდასა და ღირსსა 20 მამასა იოანეს წარსლვაჲ მიერ ადგილით, რამეთუ ველტოდა იგი კაცთამიერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა და შეაცთუნებს მათ გზისაგან საღმრთოჲსა და მთხრებლად² წარწყმედისა შთაიყვანებს, ვითარ-იგი ძუელ ოდესმე ზუავიცა იგი და ამპარტავანი სილაღით მოქადული და-დგმასა საყდართასა ღრუბელთა ზედა ამპარტავანებისა ძლით ბნელთა შინა 25 უღრმესთა ჯოჯოხეთისაჲთა შთავრდომილ იქმნა. ამას ბოროტსა ვნებასა, ვითარცა მაკუდინებელსა რომელსამე გესლსა განმქდელი, განიოტებდა.

და აღმზუმელი³ ფრთითა სულიერთა წარივლტოდა უდაბნოდ განსუენებისად რომელთამე თანა მოწაფეთა მისთა, რათა მხოლოდ საღმრთოთათჳს მოცალე ქმნულსა შემოკრებულად აქუნდეს გონება წურთად და ქმნად მათდა, 30 რომელნი აღასუბუქებენ სულსა ჯორციელთა ამათ ვნებათაგან. ვინაჲცა უდაბნოდ მიწვენული⁴ და ქუაბსა მიმთხუელი მუნ მყუდროებით დაადგრა მას შინა მოწაფეთა თვსთა თანა ლოცვისა და მარხვისა მიმართ ტანკრძალული და ყოველთავე საღმრთოთა მცნებათა აღსრულებად მოსწრაფე. ხოლო ადგილი იგი მრავალთა ქამთა შინა მიფარულ იქმნა და არავინ უწყყოდა სანახებთა მათ მიმართ 35 წარსლვაჲ წმიდისა, დაღაცათუ მრავლად სურვიელ იყვნეს პოვნასა სასურველისა, სულთა და ჯორცთა მკურნალისა მამისა⁵, გარნა ვერ შეძლებელ იყვნეს⁶ იგინი მიმთხუევისა საძიებელისასა, რამეთუ მოწაფენი მისნი ფარულად

¶ ¹ შორიელთა C. ² მთხრებლადმი C. ³ ამზუმელი C, აღმზუმელი D. ⁴ მიწვენულნი D.

⁵ მამისასა C. ⁶ იყვნენ C.

ც

ყ

ხოლო ღმერთმან მერმეცა გამოაცხადა¹ თუხი იგი მონაჲ², რამეთუ ჩუეულებაჲ³ ესე არს ღმრთისაჲ⁴: ყოველი რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თუსსა, იგი ამაღლდების*. იწყეს კუალად მოსლვად მუნცა მისა, რომელ⁵ დამალულ იყო ქუაბსა შინა. მიაქუნდა სნეულები ცხედრებითა ფერად-ფერადად გუემულნი და მუნთქუეს ლხინება პოვიან.

ხოლო ღმერთმან კუალადცა გამოუცხადა თუხი იგი მონაჲ, ვითარცა იტყვს: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თუხი, იგი ამაღლდესა*. და ვითარცა განცხადნა, სადა-იგი იყოფებოდა, მიჰგურიდეს მას ცხედრითა სნეულებსა და ეშმაკეულებსა და ყოველნი განიკურნებოდეს ძალითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მამისა ჩუენისა წმიდისა იოვანესითა.

ამას რაჲ⁵ ვიტყვ, არა თუ მუნ რომელთამე⁶ საქმეთა და ცხორებასა მისსა გაუწყებთქუნენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა¹⁵ მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა მიგიტხოვბ, ხოლო პირველი იგი ცხორებაჲ⁷ და საქმენი იგი ანის ნეტარისანი წეროლ არიან პირველსა მას⁸ წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერაჲ.

ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი მუნ აღწერილ არიან.

2. მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე განზრახვად გონებასა თუსსა, რაჲთამცა⁹ წარვიდა იგი შორსა სოფელსა, სადაცა არა იყო ყოვლადვე ვჰაჲ¹⁰ სმენისა სათნოებათა მისთაჲ¹¹, და იტყოდა^{11a}: ვინა(ჲ) ვეკრძალო, ჯერ-²⁰ იყოს წარმართებაჲ¹² სლვისა მისისაჲ¹³.

2. ხოლო ვინაჲთგან ევლტოდა პატივთა სოფლისათა, განიზრახა წარსლვაჲ¹⁴ ცხოვებად, სადა-იგი არა ისმოდა ჰანბავი მისი.

ც¹ გამოაწხადა A. ² მონა A. ³ ჩუეულება A. ⁴ ღმრთისა A. ⁵ რა A. ⁶ რათა A. ⁷ ცხო რება A. ⁸ ამას A. ⁹ რათამცა A. ¹⁰ ვჰა A. ¹¹ მისთა A. ^{11a} ეტყოდა A. ¹² წარმართება A. ¹³ მა- სისა.

* მათე 23,12; ლუკა 18,14.

ღ

წარსრულნი ქალაქად მოიყიდდიან საზრდელსა კელთ-საქმრისა მათისა მიერ, და კჳალად ფარულად უკმოქცეულთა მოძღურისა მიმართ საქმედ აქუნდეს დაუცადებელი ლოცვაჲ და ვედრებაჲ უფლისა მსგავსად მასწავლელისა მათისა. და ამას კჳალად კელთ-საქმარი ენაცვლებოდის და მღუმრიადი ენისა მიერ ზრახვაჲ მადლოვნებით¹ ღმრთისა მიმართ, რათა² ყოვლითურთ არა³ მიეცეს⁵ სხეულსა განსუენებაჲ უქმობისა მიერ კელთაჲსა, რამეთუ მეცნიერ იყენეს მოციქულისასა, ვითარმედ: კელთა ამათ მმსახურეს მე და ჩემთანათა*.

არამედ არა ენება ღმერთსა დაფარვაჲ ესევეთარისა მამაკაცისაჲ უმეცრებასა შინა, ვინაჲთგან არცა აღანთიან სანთელი⁴ და დადგიან⁵ ქუეშე კვმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, რათა ნათობდეს იგი ყოველთა**.

რამეთუ გა-10 მოუცხადა წმიდაჲ ესე თჳსი მეძიებელთა და მოსურნეთა პოვნისა მისისათა და საუნჯე დაფარული მიეცა მოქენეთა განმდიდრებისათა, ვინაჲთგან საღმრთოჲთა სურვილითა აღძრულნი ვიეთნიმე⁶ და ყოვლით კერძო ძიებისა მოქმედნი არა გუებულ იქმნეს სასოებისაგან, არამედ მიემთხვენეს საწადელსა მათსა ღმრთისა მიერ საჩინო ქმნითა მონისა თჳსისაჲთა სარგებელად მრავალ-15 თა. ვინაჲ კჳალად სიმრავლე ურიცხვ შეკრებებოდა მისა⁶ მიმართ სურვიელი⁷ სმენად სიტყუათა მისთა და მოძღურებათა. და სნეულნი, მპოვენელი მკურნალისანი, ცხედრითა⁸ ზე ტჯრთულნი მიიყვანებოდეს მისა მიმართ. და თანად ეშმაკთა მიერ და რომელთაჲვე ენებათა მძლავრებულნი ამის ყოვლად ღირსისა მამისა მიმართ მოსწრაფებით და სარწმუნოებით მქონებელ იყენეს სრბასა⁹, 20 ვინაჲ მიემთხუოდესცა სრულიადსა კურნებასა ლოცვითა ამის წმიდისაჲთა, რამეთუ ყოველთაჲვე ენებულებისაგან უენებელობაჲ მიენიკებოდა და უძღურებისაგან ძლიერებაჲ მსწრაფლი^{9a} მიენიკებოდა.

და სასწაულთა და ნიშთა სიმრავლე რომელთაჲვე ენებულებისა მქონებელთა ზედა აღესრულებოდა ამის ღირსისა მამისა მიერ, რომელთა აღწეოაჲ 25 თითოეულად¹⁰ შეუძლებელ არს.

2. ხოლო ვინაჲთგან ევლტოდა იგი პატივთა და უფროჲსლა პატივისა მიერთა^{11***} შფოთთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წაოსლვაჲ, სადა-იგი უმეცრებასა მისსა მქონებელ იყენენ ყოველნი. რათა ესოღო საღამე¹² შეუძლოს მარტოებით დაყუდებაჲ.

30

ღ¹ მადლოვნებითი C. ² რათა|—D. ³ არა|—C. ⁴ სანთელი D. ⁵ დადგინ D. დადგინ C. ^{6a} ვიეთნიმე;ქე D. ⁶ მისსა D. ⁷ სურვილი C. ⁸ ცხედართა C. ⁹ სრბასა CD. ^{9a} მსწრაფი D. ¹⁰ თკიაჲულად C. ¹¹ მრ C. ¹² საღამე C.

* შდრ. საქმე 20,34. ** მათე 5,15. *** აქედან იწყება E ხელნაწერი.

ჯ

ღ

დალათუ ჰგონებდა იგი ხოლო. განმგებელ-
 მან მისმან, სულმან წმიდამან, წამს-უყენა¹
 მას ქუეყანად ჩრდილოდ, რა(ა)თა მიუძღუეს
 ქუეყანად ქართლად. ხოლო² არს, რომელ-
 სა უნებს წარმოსლვაჲ³ აქათ, არამედ სხუა⁵
 იყო მიმყვანებელი მისი, რომელმან-იგი ოდეს-
 მე აბრაამს უწოდა და (ჰ)რქუა: ჟამოვედ
 ქუეყანისაგან შენისა და შორის ნათესავთა
 შენთა, მივედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუე-
 ნო შენ.* ერთისაგან ქუეყანისა, ერთისაგან¹⁰
 ნათესავისა გამოიყვანა აბრაამი და იოვანე;
 და რამეთუ ქეშმარიტად ნაშობთაგან აბრა-
 ამისთა იყო წმიდა(ა) იოვანე. ისმინე პავლე
 მოციქულისა(ა), რასა იტყვს: ჟუკუეთუ⁴ თქუენ
 ქრისტესნი ხართ, აბრაამისნი ვიდრემე შეილ-¹⁵
 ნი ხართ, ალთქ(უ)მისა მისგან მკვდრნი**. ქეშ-
 მარიტად წმიდამან ძირმან კეთილი აღმოაცენა.

მაშინ იწყო ნეტარმან იოვანე განზრახ-
 ვად და (ჰ)რქუა მოწაფეთა თვსთა: იყვნით
 თქუენ აქა, რამეთუ მინებს, რაჲთა⁵ წარვიდე²⁰
 განშორებულსა ქუეყანასა, დალათუ ვპოვო,
 რომელსა ვეძიებ⁶.

და ვითარცა ამას განიზრახ-
წმედოილთა სულთა მოუწოდს⁵ განმზადებულთა და შემკობილთა 'ესსლვად სა- 15
სძლოსა ცათასა, ვინაჲცა მარხვასა ზედა დასძენდა მარხვათა და ლოცვასა
—კჳალად ვედრებათა და ფსალმუნებასა.

ხოლო მთაჲ, რომელსა ზედა დამკვდრებულ⁶ იყო ნიშებ-შემოსილი ესე
მამაკაცი, ურწყულ⁷ იყო პირველად, და, ხედვიდა რაჲ ფიცხელსა შრომასა
და ოფლთა მოწათისა თჳსისათა, რომელთა მოითმენდა მოღებასა შინა წყლი 20
სასა (რამეთუ აღიკიდის საჩწყული და შთასრული ძირსა წის მთისასა, მიერ
აღმოიღებდის წყალსა საქმარად⁸ ბერისა შეეწყალა იგი ბერსა), და ცრემლით
ვედრა ღმერთსა, რათა რომელმან-იგი უდაბნოს ისრაჲლსა წყალი უდინა
კლდისაგან მყარისა, მანვე და აქაცა მთასა მას ზედა აღმოუცენოს მათ⁹ წყა-
როჲ ნუგეშინის-საცემელად მათჳს.

25

ხოლო¹⁰ ღმერთმან შეისმინა ვედრებაჲ მსახურისა თჳსისაჲ და კმელსა
მას და უნოტიოსა მიწასა, ანუ თუ უფროსლა კლდესა ზედა აღმოეცენა მას¹¹

ღ ¹ ნიშება DE. ² მოვლიდის C. ³ მოწათეთა D | მეუფეთა C. ⁴ თჳსთა AB. ⁵ მოუწოდ-
დეს C. ⁶ მკვდრ C. ⁷ ურწყული C. ⁸ საქმარად D. ⁹ მათ]—DE. ¹⁰ ხოლო]—CD. ¹¹ მას]—C.

4. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

ც

სითა, მონისა თვისისათა¹, და გამოუტევენა მდინარენი კლდისაგან ვმელისა ცემითა კუერ-
 თხისათა², განარინნა ათორმეტნი ნათესაფ-
 ნი, ძენი ისრაელისანი, ბანაკი იგი დიდი არა
 ერთ გზის, ანუ ორ გზის, არამედ მრავალ გზის,
 ვითარცა იტყვს ჰაველე მოციქული: «რამეთუ
 სუმიდეს იგინი სულთერისა მისგან კლდისა,
 რომელსაცა შეუდგეს, ხოლო კლდე იგი იყო
 ქრისტე*³. კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და
 კუერთხი იგი—აჩრდილი ჯუარისა⁴. და რა-
 ნეთუ ნეტარიცა იგი ყოვლადვე შეუდგა
 ქრისტესა, რომელმან ისმინა ლოცვა⁵ მისი,
 და იყო მეყსეულად ვედრებასა მისსა ადგილ-
 სა მას, სადა ჯუარი ქრისტესი აღეშარათა,
 და ვითარცა⁶ კუერთხისა მის წილ მოსესისა
 ჯუარითა მით სცა ვმელსა მას ქუეყანასა,
 რომელ⁷ არავის ეხილვა ყოვლად წყალი მუნ,
 და გამოჰდა წყალი ტკბილი, გრილი და
 ფრიალ შლენიერი მდიდრად, რომელი დღეს
 დის წყოფთათს მის მონასტრისათა და არა
 ხოლო თუ მათ კმა-ეყოფვის, არამედ სი-
 მრავლისათს დიდძალისა.

და ვითარცა იქმნა სასწაული ესე დი-
 დი. მოვიდეს ყოვლით კერძო ხილვად, რამეთუ
 იყოდეს გარემო(ა)ს მკვდრთა⁸ მათ, ვითარ-
 მედ წყალი არა იყო ადგილსა მას. ხოლო
 ნადლითა მის წმიდისა(ა)თა წყარო⁹ იგი იქმ-
 ნა არა თუ სამსახურებელად, არამედ კურნე-
 ბანიცა მრავალნი იქმნებოდეს. მოაქუნდა უძ-
 ლურები ფერად-ფერადი და ეშმაკეულები,
 და რაოდენნი იცხებდეს მის წყარო(ა)საგან,
 განიკურნებოდეს. და წარაქუნდა იგი შორად
 სოფლად. ხოლო რომელნი სარწმუნოებით
 მოვლენ. დღენდელად დღენდელად სარგებელ
 ეყოფვის.

ხოლო შენება⁷ არა ინება მას ადგილ-
 სა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ

ღ

უდაბნოს მოსეს მიერ, მონისა
 თვისისა, და კლდესა ვმელსა გა-
 მოეცნეს წყალნი და განაძლნა ათ-
 ორმეტნი ნათესაენი, მანვე სახი-
 5 ერმან ღმერთმან შესიმინა ვედრე-
 ბაჲ წმიდისა მის ბერისაჲ და ვმელ-
 სა ქუეყანასა მთასა მას ზედა აღ-
 მოუცინა წყალი ტკბილი და გრი-
 ლი, რომელი მოაქამომდე დის სა-
 10 დიდებელად ღმრთისა მამისა და
 ძისა და წმიდისა სულისა.

და ვითარცა იქმნა სასწაული
 ესე და განითქუა მათ მიერ, რო-
 25 მელნი გარემოჲს მთასა მას მკვდრ
 იყვნეს, რამეთუ ყოველთა იცო-
 დეს, ვითარმედ არა იყო წყალი
 ყოვლად მთასა მას, ამისთვისცა
 მოვიდოდეს ყოვლით კერძო. და მო-
 30 აქუნდა უძლურები და სჯან რაჲ
 და იცხიან, ყოველნი განიკურნე-
 ბოდეს. და რომელნიცა სარწმუნ-
 ნოებით მოვლენ, ვიდრე აქამო-
 მდეცა სარგებელ ეყოფვის.

ხოლო შენება⁷ ადგილისაჲ
 მის არა ინება, არამედ მარტოდ

ც ¹ თვისისათა A. ² კუერთხისათა A. ³ ჯუარისა A. ⁴ ლოცვა A. ⁵ ვითარცა A. ⁶ რო-
 მელი A. ⁷ მწყდართა A. ⁸ წყარო A. ⁹ შენება A.
 * I კორინთ. 10,4

ჟ

წყალი ტკბილი¹ და გემოვანი, რომელი ვიდრე აქამომდე მდიდრად აღმოეცენების სადიდებელად ღმრთისა და მონისა მისისა იოანესსა.

და ვითარცა განითქუა სასწაული ესე მახლობელთა მიმართ და გარემოჲს მკვდრთა მის მთისათა, თუ ვითარ ლოცვითა წმიდისა მის კაცისაჲთა აღმოეცენა წყალი მთასა მას ზედა, რამეთუ ყოველთავე იცოდეს, ვითარმედ² განვმელი და ურწყული იყო პირველად, ამისთჳსცა მოვიდეს მისა³ ყოვლით კერძო მტკრთველნი უძღურთა და რომელთავე ვნებათაგან შეპყრობილნი⁴, და სჯან⁵ რაჲ წყლისა მისგან და დაიწვეთიან⁶ რომელსავე წყლულსა ზედა, მეყსეულად კურნებასა მიემთხუროდიან და ვიდრე აქამომდე, რომელნი სარწმუნოებით მიიღებდეს წყლისა ამისგან, სარგებელ ექმნის მათ ლოცვითა¹⁰ წმიდისა მამისა იოანესითა.

ხოლო შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება⁷ ღირსმან იოანე⁸, არამედ ქუაბსა რასამე⁹ მცირესა მპოვნელმან მთასა მას ზედა, მუნ შინა დაასრულა

ჟ¹ ტკბილი C. ² ვითარ C. ³ მოვიდოდეს მისა C. ⁴ შეპყრობილთანი D. ⁵ სჯიან D. ⁶ დაიწვეთიან C. ⁷ ენება D. ⁸ ხოლო შენებაჲ ... იოანე—E. ⁹ რასამე C.

ტ

ღ

მყოფობისაჲ¹, იყოფოდა; ნაპრაღსა მას კლდისასა. ეპოვნა ქუაბი მცირე, რომელსა შინა აღასრულა მწირობაჲ² სარწმუნოვსა³ ამის ცხოვრებისა(გ) ნაკლულეფანებითა დიდითა ქირვეული, ძვრ-ხილული, რომლისა-⁵ თვს ღირსვე არა იყო სოფელი ესე⁴, და შემდგომი ამისი.

და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, განვდა ამბავი მისი ქუიყანასა ქართლისასა და გამოუბრწყინდა ვი-¹⁰ თარცა მთიები განთიადისაჲ⁴, რომელმან ფარულად აღიდა ღმერთი და მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი და დაიტია ნათელი იგი დიდი მალლით მოყვანებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო, ვითარცა ვინ აღანთო სანთელი¹⁵ და დაფარა ქუეშე ჯვმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რადთა⁵ ნათობდეს კაცთა^{**}. დაღათუ უნებნ მათ, რადთამცა⁶ დაფარნეს თავნი თვსნი, ვითარცა მენელსაცხებელმან რაჲ⁷ აღავსის შიგშავი⁸ სულნელითა და შთაავდის²⁰ იგი სხუასა ჭურჭელსა და შეხვის^{8a} იგი კეთილად, და (ჰ)კიდის იგი წარღებად, სადაცა ჰქნებავნ. და (ჰ)გონებნ მესურნელე იგი, ვითარმედ დაფარულად აქუს მას, ხოლო ყოველთა მათ, რომელნი მიეახლნენ, ეცემინ სისურნე-²⁵ ლე მის ნელსაცხებელისაჲ⁹. ესრეთვე კეთილნი საქმენი ვერ დაიფარნიან, დაღათუ არა ჰქნებავნ მოქმედთა მათ.

დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დიაკონი მივიდა წყაროსა მას ღმრთივ³⁰ მოცემულსა მოღებად წყლისა. და მუნ დგა, წყაროსა მას თანა, დათვ¹⁰ მალნარისაჲ¹¹ დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ფრიად ნეტარსა ელიას და გარე-იქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მოვიდა და ეტ-³⁵ ყოდა დათუსა მას: უკუეთუ¹² არა გისუამს

მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ პოვა მუნ ქუაბი რადმე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი. და იყოფებოდა „ქირვეული და ძვრ-ხილული, რომლისა ღირსი არა იყო სოფელი ესე“^{*}. ხოლო თვსითა მოქმედებითა გამობრწყინდა ვითარცა ვარსკულავი განთიადისაჲ.

და განვდა ჰანბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, რომელმან აღანთო სანთელი და ქუეშე ჯვმირსა დადგა, არამედ სასანთლესა, რადთა⁵ ჰნათობდეს კაცთა^{**}. დაღაცათუ ენება დაფარვად თავისა თვსისაჲ. ვერცეა ვერ დაფარა, ვითარცა მენელსაცხებელმან რაჲ აღავსის შიგშავი ნელსაცხებელითა და შთავდის სხუასა ჭურჭელსა და შეხვის¹ და ჰგონებდის დაფარვად მისსა. ხოლო რომელნი მიეახლნიან, ეცის სულნელებად ნელსაცხებელისაჲ. ესრეთ აღიდა იგი ღმერთმან და ღმერთიცა ილიდებოდა მის მიერ.

ხოლო დღესა ერთსა მივიდა წყაროსა მას ზედა მოწაფე იგი მისი, რადთა მოიღოს წყალი. და ზედა დგა დათვ დიდი. და შეეშინა და უკუნ-იქცა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერი მივიდა და ჰრქუა დათუსა მას: უკუეთუ არა გისუამს³⁵ სუ და წარვედ. და გეტყვ: ამიე.

ტ¹ მყოფობისა A. ² მწირობა A. ³ სარწმუნოსა A. ⁴ განდიადისა A. ⁵ რათა A. ⁶ რათაჲ A. ⁷ რა A. ⁸ შეეშინა იგი A. ^{8a} შეხვა A. ⁹ ნელსაცხებელისა A. ¹⁰ დათვთ A. ¹¹ მალნარი-
 აა A. ¹² უკუეთუ A.
 ღ¹ შეხვისა B.
 * ებრ. 11, 37—38. ** შდრ. მათე 5,15.

¶

ცხოვრებაჲ თჳსი. და სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა გამობრწყინდა ვითარცა მზე.

და განითქუა ჰამბავი¹ მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა. რამეთუ მადლთა სიმრავლე ურიცხვ² და საკურველთ-მოქმედებანი განაცხადებდეს მათ ყოველთა მიმართ, ვინაჲთგან ესრეთ უწყის ღმერთმან დიდებაჲ მადიდებელთა თჳსთა ძალთა და ნიშებთა სიმრავლისა მიერ.

ხოლო დღესა ერთსა მივიდა³ ოდესმე მოწაფე ამის ღირსისაჲ წყაროსა მას ზედა, რომელი ლოცვითა წმიდისაჲთა აღმოცენებულ იყო. და ვითარცა მიეახლა, იხილა, რამეთუ მღგომარე იყო მას ზედა დათვ⁴ ყოვლად დიდი. და შეშინებული, რაოდენ ეძლო, სრბით მიიწია ბერისა მიმართ და მიუთხრა მას¹⁰ დათჳსათჳს, რომელი⁵ ეხილვა⁶ წყაროსა⁷ ზედა. ხოლო ბერი აღდგომილი შეუდგა მოწაფესა თჳსსა წყაროჲსა მიმართ და მხილველი დათჳსაჲ სიმშვიდით იტყოდა მისა მიმართ: სუ⁸, უკუეთუ გწყურის და წარვედ, ხოლო გეტყჳ შენ, ამიერითგან ნუ ვის ავნებ მთასა ამას შინა დამკვდრებულსა⁹ კაცთაგანსა, ნუ-

¹ ანბავი D, ამბავი C. ² ურიცხვი D. ³ მივიდოდა C. ⁴ დათვი DE. ⁵ რამეთუ C. ⁶ იხილა E. ⁷ წყალსა DE. ⁸ სვი DE, სუი C. ⁹ დამკვდრებულთა C.

ც

წყალი ეგე, სუ¹ და ვილოდე. და რჩული და-
უღდა მას და (3)რქუა: სახელითა უფლისა ჩუე-
ნ[ისა] იესუ² ქრისტესითა გეტყუ, ნულარა-
მცა გაქუს ფლობა³ ბოროტებად და ვნებად
მათა, რომელთა შეემთხუეოდე კაცთა მათსა⁵
მას ზედა. და ვითარ მოილო ბრძანება⁴
მგეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა
ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა
ტკბილად მეტყუელსა უკუმოხედვიდა, თავი
ძოედრიკა და მყუდროებით მორჩილებისა⁶ 10
სახესა აჩუენებდა. და ყოვლადვე მგეცებრივი
ბუნება(ა), არცა სივლტოლა⁶ [ეჩინა], რამეთუ
ცვალა თვისი იგი სიბოროტე და გარდაიქცა კე-
თილად. და ლოცვითა მის წმიდისადა⁷ მო-
აქამომდე რომელთა შეემთხუეოდა, ვითარცა¹⁵
ცხოვარი მშვიდი თანა-წარვალს. და არა სა-
კვრველ არს ესე, რამეთუ იციან მგეცთაცა
პატივისა-ცემა⁸, მმართველთა მიხედ(ე)ენ
და ნათელსა.

რომელი-იგი ჯურღმულსა შორის მგეც- 20
თასა შთაჟარდა და პირი დაულო პირველით-
გან საზრდელ-მოკლებულთა და ფრიად მში-
ერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქვა⁹
ანდამატისა¹⁰ განუტეხელი იღვა და ყოვ-
ლადვე ვერ იკადრებდეს შეხებად მისა მგეც- 25
ნი იგი, არამედ მოუტდეს და ლოშნიდეს ფე-
რჯთა მისთა. და ვითარცა იტყოდეს, ესე იგი
ვოროცნი არა არიან, რომელნიცა¹¹ ჩუნენ სა-
ზრდელ გუექმნეს, ვინაჲთგან¹² არა თავს-ილ-
ვა მან ტაბლისაგან სამეუფოთა¹³ სანოვანე- 30
თა გემოვს ხილვა¹⁴, გარნა თესლსა ხოლო.
ამან სამთა შვდეჟულთა პური არა კამა და
წყალი არა სუა. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა¹⁵,
ვისწავლნეთ მმარხველთა იგი პატივისა პყრო-
ბა¹⁶.

ხოლო ნეტარმან მან ბერმან თვისითა
ფიცხელით¹⁷ შრომითა მარხვისა(ა)თა არა

ღ

რითგან ნუ ვის ავნებ კაცთაგან-
სა, რაჲამს შეგემთხვოს კაცი მთა-
სა ამას ზედა. და ეგრეცა იქმნე-
ბის აქამომდე, არა ოას ავნებს
დათუ ყოვლად. ხოლო ვითარცა
ესე პრქუა ბერმან დათუსა მას,
მორჩილ ექმნა ვითარცა მონაჲ,
და თავ-დადრეკით და მყუდროე-
ბით წარვიდა.

ჰ ძმანო, რომელთა გესმის,
გულისწმა-ყავთ აწ საკვრველებაჲ
და დიდებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ
ვითარცა ძუელ¹ ოდესმე დანიელ
დაამდოვრნა მგეცნი მღვმესა მას
შინა მარხვისა მისთუნ, რომელი
საღმრთოთაჲსა სჯულისათჲს დაი-
მარხა, და არა შეეხო ყოვლად.
საზრდელსა ქალდეველთასა, ეგ-
რეთვე ლოცვითა წმიდისა ამის.
მამისა ჩუენისადა მშვიდ და უე-
ნებელ იქმნეს მგეცნი მთისა მის.
მისისანი.

35.

ც 1 სუუ A. 2 იესო A. 3 ფლობა A. 4 ბრძანება A. 5 მორჩილობისა A. 6 სივლტოლა A.
7 წმიდასათა A. 8 ცემა A. 9 ქვა A. 10 ანდამატისა A. 11 რომელმანცა A. 12 ვინაჲთგან A. 13 სა-
მეფოსა A. 14 გემოს ხილვა A. 15 რათა A. 16 პყრობა A. 17 ფიცხელით A.

ღ 1 ტუსლ B.

¶

ცა ერთსა ვის. ესე სიტყუაჲ რაჲ ესმა დათუსა ბერისაგან, ვითარცა მონაჲ მორჩილი და შეკდიმებული ღირსისაგან თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვილოდა. ესრეთ უწყოდა სჯულის დებაჲ¹ უსიტყუთა ცხოველთაცა კეთილმან ამან სჯულის მდებელმან², რამეთუ მიერითგან ვიდრე აქამომდე ესრეთ დამმარხველ არიან მცნებასა წმიდისასა უსიტყუთ-ნათესაობანი³ ამით მწეცთანი, 5 ვიდრეღა და უკუეთუ ვიეთმე შეემთხვნენ მთასა ამას ზედა, მყის სრულ ჰყოფენ ბრძანებულსა წმიდისასა და მართლ უკუნ ქცეულნი სხვსა ადგილისა მიმართ, ჰყოფენ სლვასა თვსსა არა რომელსა ვნებასა შემამთხუეველნი კაცთათჳს.

ესე სასწაული მრავლად ზესთა ჰმატს⁴ დანიელისსა⁵, რამეთუ მან ლოცვისა მიერ მხოლოდ თავი თუხი დაიცვა ლომთაგან უვნებელად და ესე მაშინ 10 მღვმესა შინა მის თანა შეყენებულთაგან მხოლოდ, ხოლო დიდმან ამან და საკვრველმან მამამან⁶ ნაშობნიცა მის მიერ ხილულისა დათვსანი⁷, განსწავლნა, ვითარცა პირველი იგი, არა მხოლოდ მისდა არა ვნებად, არამედ და არცალა სხვსა ვის კაცთაგანისა მთასა მას ზედა მავალისა, რომელსაცა⁸ ვიდრე დღენდელად⁹ დღედმდე დამცველ არიან დათუნი ამის მთისანი. 15

¶ ¹ სჯულის დებაჲ DE. ² სჯულის მდებელმან DE. ³ უსიტყუთა ნათესაობან C. ⁴ მატს C. დანიელისასა DE. ⁵ მამამან+და C. ⁶ +და—DE ⁷ რომელსა C. ⁸ დღენდელად DE.

C

Q

თავს-იდვა, [რადთამცა] თვისისაგან ხოლო განეყენა მწეცი იგი ჯორცის მკამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარივლინა თვსთა მიმართ მოციქულთა, ნათესავთა და მოყუარეთა, რამეთუ ნაშობნი ნაშობთაცა მათთა ნათესავთა[...]*, რადთა¹ არავის ავნონ. და მცნება² იგი აღჯრ-ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოალბნა(!), და ჰვიან ვიდრე დღენდელად დღედმდე მთასა მას და არავის აენებენ³.

10

მრცხუენინ და შევეწუხდი, ესელა მესმინ, ვითარ მწეცებრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ე შინა სიტყუაჲ⁴ იგი წმიდათაჲ⁵, და ჩუენ მწეცთა უბოროტესად გამოვჩნდით, ყოფილთა მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. დაჟენებულ ვართ ჯორცის ჭამისაგან და ჯორცთა⁶ მოყუსისა ჩუენისათა ვცობნით⁷. მწეცთა მათლა თუ ვეძსგავსნეთ და არა (ჯორცის?) მქაძმელ კაცთა. მიგვლებიეს მცნებაჲ⁸ ღმრთისაგან, [რადთა] შევიყუაროთ მოყუასი ვითარცა თავი თვისი*, ხოლო ჩუენ ვაძულეთ იგი თავისა თვისისა თანა, რადეთუ⁹ სიძულილი მოყუსისაჲ¹⁰ სიძულილი არს თავისა თვისისაჲ¹¹, მომატყუებელ ამისსა არს შური.

ჟ¹² მოშურნეო, განეყენე შურსა. შური სიკუდილი არს, ევლტოდე მისგან, რა(დ)თა არა მოკუდე. ნუ შურობ წარმატებულთა სათნოებითა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ. ქებულ აოს შური—სიყუარული იგი სიკუდილისათჳს. ესე ცხორებისათჳს მქსნელ და

ხოლო მრცხუენის¹ ამისთჳს, რამეთუ მწეცებრივსა ბუნებასა და უტყუსა ესმნეს სიტყუანი მისნი და აწ ნაშობნი და ნაშობის ნაშობნი აღასრულებენ ბრძანებასა წმიდისა მამისა იოვანესსა, ხოლო ჩუენ მწეცთა და პირუტყუთა უბოროტეს გამოჩენილ ვართ, რანეთუ დღითი-დღე აღმოვიკითხავთ ყოფილთა მათ და მოცემულნი მცნებანი გუესმიან² და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. განეყენებულ ვართ ჯორცისა ჭამისაგან და ჯორცსა მოყუასთა ჩუენთასა ვცობნით. მცნებაჲ მოგვლებიეს, რადთა ვიყუარებდით შრთიერთას³, ხოლო ჩუენ უდებ გჳქმნიეს ბრძანებაჲ იგი უფლისაჲ და უწყოდეთ, რამეთუ თანა-მდებ ვართ სასჯელისა.

განვიფრთხოთ ამიერიტგან, ძმანო ჩემნო, განვიფრთხოთ და განვაგდოთ ჩუენგან შური და მედგრობაჲ და ძჳრის ზრახვაჲ მოყუსისაჲ და ყოველივე უკეთურებაჲ მოვსპოთ და ღმრთისა სათ-

C¹ რათა A. ² მცნება A. ³ ანებენ A. ⁴ სიტყუა A. ⁵ წმიდათა A. ⁶ ჯორცთ A. ⁷ ცხობნდეთ A. ⁸ მცნება A. ⁹ რამეთუ + რამეთუ A. ¹⁰ მოყუსისა A. ¹¹ თვისისა A. ¹² ჟოი A. ¹³ სათნოებათა A.

Q¹ მრცხუენის A. ² გუესმიან B. ³ შრთიერთარს B.

* აქ რაღაც უნდა აკლდეს. ** მარკ. 12,31.

ჴ

C

აღუქეილებ(!), რომელმან განკაფის გონებანი მომგონებელთა მისთანნი, არამედ ერჩიდი წერილთა და პოვე გამოცხნა¹, და ბაძევი განსრულებულთა სათნოებასა შინა. ნუ შურობ, რაჟთა² განერო მცირედ საბრკესა 5 ნტერისასა.

და კუალად მუნვე მოვიდე, რომელსა-იგი მიწყის.

შემდგომად ამისსა მოართუეს მათდა ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა, და 10 ძნიად განრლუეული, რამეთუ წყლულ იყვნეს³ ყოველნი კორცნი მისნი, რამეთუ გუმულ იყო იგი ჟამთა მრავალთა ფიცხელ.....

ჟ

ნოდ ვმოქალაქობდეთ, რაჟთა არა დავისაჯნეთ საუკუნოდ.

ხოლო მე პირველსავე [სიტყუასა] ვიტყოდი.

ამას წმიდასა მამასა ჩუნესა იოვანეს მოართუეს¹ ოდესმე ცხედრითა ღრეკილი და განრლუეული². და დაქსნილ იყვნეს³ ყოველნი ასონი მისნი. შეიყვანეს წინაშე მისსა, ევედრებოდეს წმიდასა იოვანეს: 15 შეიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განრლუეული² ესე, რამეთუ გურწამს, ვითარმედ შემძლებელ ხარ განკურნებად ქრისტეს ძალითა. და კუალად განრლუეული² 20 იგი ჯმობდა: შემიწყალე, მონაო ღმრთისაო, მკუდარი ესე დაუფლველი და მომბადლე მცირედი მადლი, რაჟთა განვიკურნო.

C ¹ გამოცხნა A. ² რათა A. ³ იყუნეს A.

ჟ ¹ მოართუეს B. ² განრლუეული B. ³ იყუნეს B.

ქ

მოიყვანეს ოდესმე ამის საკვრველთ მოქმედისა მამისა იოანესა განრღუე-
ული ვინმე და ყოვლითურთ დაჯსნილი ასოჲთა, საწყალობელი სახილველი¹
თუალებისა მიერ მხედველთა მისთასა, რომელიცა დადვეს წინაშე წმიდისა
განრთხმული ცხედარსა ზედა და გოდებით იტყოდეს ნეტარისა მიმართ ნა-
თესავნი განრღუეულისანი: შეიწყალე განრღუეული ესე, წმიდაო ღმრთისაო, 5.
რამეთუ გურწამს, ვითარმედ ვედრებითა შენითა ღმრთისა² მიმართ შემძლე-
ბელ ხარ ყოველსავე ვითარ ნების მყოფელი და სარწმუნოჲ მონაჲ უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესი. ხოლო არა უდარეს კმობდა განრღუეულიცა იგი სა-
წყალობელითა კმითა, რაოდენ სადამე³ შემძლებელ იყო, უკუეთუ სადაღა
დაშთომილ იყო მისა კმაჲ მეტყუელებად: შემიწყალე, მონაო მოწყალისა 10
ღმრთისაო, მკუდარი ესე საფლავად მიუცემელი⁴ და ვევედრე ჩემთჳს ღნერთ-
სა, რათა განვიკურნო ლოცვითა შენითა.

ქ ¹ სახილავი C. ² უფლისა CD. ³ სადამე C. ⁴ მიუცემელი C| მოცემული DE.

ღ

ხოლო ნეტარსა იოვანეს და-
 ლაცათუ მძიმე უჩნდა საქმე ესე მის
 მიერ, არამედ მოგვსენა სიტყუად
 იგი პავლესი, რომელ იტყუჱ, ვითა-
 რმედ ძლიერთა უძღურნი იტურ- 5
 თენით*. ამისთჱსცა ჰრქუა ფან-
 გკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ
 ქრისტე**. და მასვე ჟამსა აღემა-
 რთა იგი ფერკთა ზედა თჱსთა და
 ასონი იგი დაქსნილნი მსწრაფლ 10
 განიკურნნეს. და რომელთა იხი-
 ლეს, ჰმადლობდეს ღმერთსა და
 წმიდასა იოვანეს.

ღ

ხოლო ნეტარსა იოანეს დაღაცათუ მძი-
 მე უჩნდა საქმე იგი, არამედ ლმობილ იქმნა
 სულითა საწყალობელსა მას ზედა განრღუე-
 ულსა და აღდგომილი ლოცვად ევედრებოდა
 ღმერთსა¹, რათა განკურნოს² ბოროტითა
 ვნებითა შეპყრობილი იგი კაცი. ამისა შემ-
 დგომად მოქცეული მისა მიმართ, ვითარ
 ოდესმე თავადიცა უფალი განრღუეულისა მი-
 მართ საბანელსა ზედა პროვატიკისასა, იტ-
 ყოდა³: ალდეგ, ალიღე ცხედარი შენი***,
 რამეთუ განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ
 ქრისტე. ჰ⁴ საკრველებათა შენთა, ქრისტე,
 ნახევარ მკუდარი და ყოვლითურთ წარწი-
 რული იგი მამაკაცი მეყსა⁵ შინა აღემართა
 15 ფერკთა თჱსთა ზედა და დადგა წინაშე ბე-
 რისა განკურნებული ყოვლითავე ასოჯთა.
 ესე საქმე დიდებული იხილეს ყოველთა მუნ
 დამთხუეულთა და განკრვებულნი ადიდებ-
 დეს ღმერთსა მოქმედსა ესევეითართა სასწაულ-
 20 თასა მონისა თჱსისა მიერ. და განმტკიცე-
 ბოდეს მსმენელნი და მხილველნი საკრველე-
 ბათა ამათ დიდთანი სარწმუნოებასა ზედა
 წმიდისა სამებისასა.

კუალად მოიყვანეს ეშმაკეული
 ფრიად გუემული¹, რომელ სი- 25
 ტყუადცა ვერ შემძლებელ იყო.
 და იხილა იგი და შეეწყალა. მიუ-
 გო წმიდამან იოვანე და ჰრქუა:
 სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ
 ნაგას, რამეთუ მიცემულ არს შენ- 30
 და ადგილი უდაბნოდ და ურწყუ-
 ლი. გეტყჱ შენ სახელითა უფლი-
 სა ჩუენისა იესუ ქრისტესითა,
 განეუდ კაცისა მაგისგან. ხოლო
 იგი ბრძანებასავე თანა მისსა გან- 35
 ვიდა. და განიკურნა კაცი იგი,
 და ყოველთავე დაუჯრდა. და ბე-

კუალად სხუასა ჟამსა მოიყვანეს ამის
 წმიდისა კაცი ვინმე, რომლისა შორის დამკ-
 დრებულ იყო ეშმაკი უტყუებისაჲ და ფრიად⁶
 იგუემებოდა ბოროტისა მის სულისაგან ვერ-
 შემძლებელი ყოვლითურთ მეტყუელებად,
 რომელიცა იხილა რაჲ წმიდამან იოანე, შე-
 იწყალა⁷ იგი და ეტყოდა ეშმაკსა, რომელი
 დამკვდრებულ იყო კაცისა ამის⁸ თანა: სუ-
 ლო ბოროტო და უკეთურო, რაჲსა სტანჯავ
 დაბადებულსა ღმრთისასა, გეტყჱ შენ⁹ სახე-
 ლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა,
 განეუდ კაცისა მაგისგან და წარვედ უდაბნო-
 თა ადგილთა და უვალთა¹⁰. ხოლო ეშმაკი
 იგი მყის ბრძანებასავე თანა¹¹ ბერისასა გან-

ღ ¹ გუემული B.
 ღ ¹ უფალსა CD. ² განკურნოს C. ³ იტყოდა—DE. ⁴ ჰ და ჰ CD. ⁵ მეყსა D.
 * ფრიად| მრავლად CD. ⁷ შეეწყალა CD. ⁸ მის CE. ⁹ თ შენ გეტყჱ E. ¹⁰ უალთა E. ¹¹ თანა—C.
 * შდო. რომ. 15,1. ** საქმე 9,34. *** იოანე 5,8.

ღ

რი ესრეთ ეტყოდა: და რასა განკვრეგებულ ხართ, რამეთუ არა ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებიითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტის ყოველი სენი და ყოველი ძალი ბნელისაჲ. რამეთუ მან თავადმან ბრძანა, «რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროდსი ჩემსა ქმნეს»*.

ესე მხოლოდ მრავალთა დიდ-თა საქმეთა დავწერეთ მიმოვრე-ბისათჳს ჟამისა. ხოლო გემოდს ხილვად ღმერთ-შემოსილისა მის კაცისათჳს კმა არს. ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთი-თა იხილვების, თუ რაჲ გემოდს აქუს, ეგრეთვე ნეტარისა იოვანესი, რომელთაცა ენებოს. ხოლო მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი ქმნნა მამამან ჩუენმან წმიდამან იოვანე.

ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდით, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოჲთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენნეს, რომელნი ვიღრე აქამომდე ჰვიან და კურნებანი იქმნებიან,

ღ

ვიდა კაცისა მისგან და დაუტევა იგი განკურნებული, რომელიცა¹ დაუკვრდებოდა ყოველთა მხილველთა და ზარ-განჯდინი იტყოდეს: ვინ არს რომელი² სიტყუთ³ ეშმაკთა იოტებს და სნეულთა⁴ კურნებასა მსწრაფლ მიანიჭებს. ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მათდა მამართ: ნუ განკვრეგებულ ხართ, ზ კაცნო, დიდებულებათა ზედა ღმრთისათა, რამეთუ არა მე ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებაჲ იუფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი იოტებს ეშმაკთა და განსდევნის სენთა და უძლურებათა კაცთასა. და ყოველი ძალი მაცთურისა ეშმაკისა განქარდების, რამეთუ მან თავადმან ბრძანა, ვითარმედ: «რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროდსნიცა ჩემსა ქმნეს»*⁵, და იგი არს მკურნალი ყოველთა⁶ და მოქმედი საკვრველებათა⁷.

ესევეითართა მადლთა ნიერ ბრწყინვიდა სანატრელი იოანე და ესევეითართა სასწაულთა მიერ შემკობილ იყო ღმრთისა მიერ. რამეთუ ურიცხუნი ძალნი და ნიშნი აღასრულნა ქუეყანასა ზედა. ვინაჲთგან მრავალ არიან სასწაულნი, რომელნი ქმნნა ქუეყანასა ასურეთისასა(!), რომელთა თითოეულად მოკსენებაჲ შეუძლებელ არს მიმოვრეებისათჳს ჟამისა. ხოლო ესე მცირედნი საკვრველებათა მისთაგან წარმოვთქუენით მაუწყებელად ვითარებისა⁸ ღმერთ-შემოსილისა ამის მამი-30სა(დ)სა.

ღ ¹ რომელიცა]+ესე C. ² რამეთუ CD. ³ სიტყუთ C. ⁴ სნეულებათა CD. ⁵ ქმნეს E. ⁶ ყოველთა მკურნალი C. ⁷ საკვრველთა C. ⁸ ვითარებასა E.

* იოანე 14,12.

ღ

ღ

რომელთაჲ თითოეულად მოთხრო- 5
 ბაჲ ვერ ძალ-გვც. ერთმან მოწა-
 ფეთაგანმან, სახელითა თათა, ქუე-
 შე¹ ძირსა მის მთისასა აღაშენა
 მონასტერი, რომელსა შინა გან-
 მრავლდეს მონაზონნი და ყოვ- 10
 ლითავე წესიერებითა იქცეოდეს.
 ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა
 მოვიქსენნეთ და ღმერთსა ვადი-
 დებდეთ, რომლისაჲ არს დიდებაჲ
 უკუნითი უკუნისამდე, ამენ. 15

16* (7) ხოლო ნეტარი მამაჲ
 ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას
 შინა და აღასრულა სრბაჲ თვისი
 მრავლითა ღუაწლითა. და იწყო
 მოკლებად.

და მოუწოდა მოწაფეთა რო-
 მელთაჲ და თათ[ა]ს, რომელი იყო- 25
 ფებოდა ქუეშე მთასა მას, და
 ელია დიაკონსა და ჰრქუა: შვილ-
 ნო. ჟამი აღსასრულია ჩემისაჲ
 ნოწვევულ არს და მივალ უფლისა
 ჩემისა და ფრიად მეშინის ჰაერის 30
 მცველთაგან, რამეთუ საზარელ
 არიან, დააყენებენ სულთა², რაჲთა
 არა აღვიდენ სასუფეველად. და

7. ვინაჲთგან განელინეს ჯორცნი მარხვი-
 სა მიერ და სამარადისოჲსა ლოცვისა, და მო-
 უძღურებულ იყო ყოველითურთ მცოცვანებასა¹
 კეთილსა შინა მიწვევული და ღუაწლთა
 ფრიადთა თავს-მდებელი ქუაბსა მას შინა ზე-
 მოქსენებულსა, სათანადო იყო მისიცა და-
 ცხრომაჲ ესეოდენთა² შრომათაგან და მი-
 ლებაჲ ნაცვალსა სასუიდელსა ოფლთა და
 ღუაწლთასა, რამეთუ ყოველივე თვისი და
 უფროჲსდა თვთ იგი ჯორცნიცა განასხნა მონე-
 ბად ღმრთისა და უფლისა თვისისა, რომლისა-
 თვისცა ფრიადი სიმდიდრე შეეკრიბა საუნ-
 ჯეთა შინა ზეცისათა.

ვინაჲ სულისა მიერ წმიდისა მცნობელ-
 მან ჟამსა აღსრულებისასა მოუწოდა მოწა-
 ფეთა თვისთა³ რომელთაჲ, და ელიას დია-
 კონსა და თათას, რომელსა აღეშენა მონას-
 ტერი ქუეშე კერძო მთისა მის და იყოფოდა
 მას შინა ძმათა თანა მრავალთა მის მიერ
 შეკრებულთა მონასტერსა მას⁴ შინა. და ეტ-
 ყოდა მათ: შვილნო ჩემნო, ჟამი აღსასრუ-
 ლისა ჩემისაჲ მოწვევულ არს და მეგულების
 განსლვაჲ ჯორცთა ამათგან, ვინაჲ ფრიად

ღ¹ ქუეშე B. ² სულსა B.

ღ¹ მცოცვანებასა C. ² ესოდენთა C. ³ მისთა CD. ⁴ მას—C.

* ღ. ოუდაქიაში აქ ცალკე სათაურით იწყება შიოსა და ვვაგრეს ცხოვრება. რადგან ამიერიდან ამ ოუდაქიის ტექსტი მეტაფრასტულის (ღ-ს) მიმდევრობით ეწყობა, ამიტომ აქ არის გადმოადგილებული ღ-ში შიოს მოღვაწეობის გაგრძელებად მოთხრობილი ამბები, რომლებიც იოანე ზედაზნელის აღსასრულსა და მის მოწაფეთა აღმშენებლობას ეხება.

ღ

ღ

ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილ-
ნო ჩემნო საყუარელნო, და აწვე
განაკრძალენით თავნი თქუენნი და
ჩემთჳს ილოცევდით. და ვინმცა
გუჳსნა სხუამან ჳელთაგან მათთა, 5
გარნა ღმერთმან, რომელმან მო-
ავლინა ძე თჳსი, უფალი ჩუენი
იესუ ქრისტე და მან. განმათავი-
სუფლნა სიკუდილისაგან და ყოვ-
ლისა საეშმაკოჲსა ვნებისა, გარნა 10
იგინი ოდენ, რომელნი მჳურვალი-
თა გულითა შეუდგენ და სიწმი-
დით ჰმსახურებდენ მას და ამის-
თჳს გევედრები, რაჲთა სიწმიდით
და სამართლით ვიქცეოდით.

მოშიშ ვარ, ნუ სადა წინააღმდეგობთა ბო-
როტთა გუნდი ჰაერის მცველთაჲ მათ მწარ
და¹ დამაყენებელ მექმნეს მე სიღრმემდი²
ჯოჯოხეთისა დაჯდად მოსწრაფენი კაცთა
ნათესავისანი. აწ უკუე, ძმანო ჩემნო, თქუენ
ცა მოელოდეთ სამარადისოდ სიკუდილსა და
კეთილად განეკრძალენით საბრჯეთა³ ეშმაკი-
სათა, ნუ სადა ლოდ შებრკოლებისა გექმნეს
თქუენ ბოროტი იგი მტერი ჩუენი, რომელი⁴
უმზირის ბრკალთა სულისა ჩუენისათა დღი-
თი-დღე. და ვინმე შემძლებელ არს განრი-
ნებად⁵ ჳელთა მათთაგან, არა თუ მარხვითა
და სიწმიდითა ჳორცთაჲთა მოილოს ძალი
ღმრთისაგან. ამისთჳსცა გევედრები თქუენ,
15 შვილნო ჩემნო, რათა მღჳძარე იყვენთ ყო-
ველსა ეჲმსა და სიწმიდით მსახურებდეთ
უფალსა. ხოლო მომიჯანებდით მეცა ლოც-
ვათა შინა თქუენთა. ეჳა, სიმჳდე და სიმდა-
ბლე სულისა უმანკოჲსა, რამეთუ ჳორცთა
20 შინა ყოვლადვე საზარელ ეშმაკთა იხილვე-
ბოდა და სიტყუთ განიოტებდა მათ, ხოლო
აწ ყოვლითურთ დამტევებელი სხეულისა და
საყდართა წინაშე სამეუფოთა მღგომარე გან-
წმედითა სულისა და გონებისაჲთა და მად-
25 ლსა წინაღმწარ მეცნიერებისასა⁶ მიმღებელი
საღმრთოჲსა და წმიდისა სულისაგან, მერმე-
ცა გარდამატებულითა სიმდაბლითა⁷ უღირ-
სად მსჯელი თავისა თჳსისა ჰაერის მცველ-
თა სულთაგან მოშიშებდა, რამეთუ ესწავა
30 ამას⁸ არა დიდ მეტყუელებჲჲ პავლეს მიერ,
ქრისტეს პირისა, არამედ სიმდაბლით ესრეთ
თქუმაჲ, ვითარმედ: რომელი თანა-მდებ იყო
ქმნად, მიქმნიეს, და ნეშტი—მონა ვარ უჯ-
მარი უფლისა ჩემისაჲ⁹.*

ხოლო ამცნო, რაჲთა ჳორც-³⁵ ესრეთ რაჲ ასწავა მოწაფეთა თჳსთა,
ნი მისნი დასხნენ მასვე ადგილსა
მწირობისა მისისასა. და მიიხუნა
კუალად ამცნო მათ¹⁰. რათა სხეული¹¹ მისი
დადგან მასვე ადგილსა შინა მწირობისა მი-

ღ¹ მწარ და] მწარეთა CE. ² სიღრმემდი DE. ³ საფრჯეთა CE. ⁴ რომელი—DE. ⁵ გან-
რომად C. ⁶ მცენარებისასა C. ⁷ სიდაბლითა C. ⁸ ამას]—E. ⁹ ჩუენისა DE. ¹⁰ მათ]—E. ¹¹ სახე-
ლი C.
* შდრ. მათე 25, 26-29.

ღ

სიწმიდენი და აღიხილნა თუალნი და მხიარულითა პირითა ხედვიდა ვითემე ნუგეშინის-ცემად მისსა მოსრულთა. და მიაყვანნა თუალნი ვითარცა მეგობართა და განუტე-
ვა სული და შეჰვედრა უფალსა.

ხოლო კიბე იგი იაკობისი აქა- 15

ცა იხილვებოდა და ანგელოზნი ღმრთისანი გარდამოვიდოდეს. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: *ემე ვარ ღმერ- 20*
*თი აბრაჰამისი მამისა შენისაჲ**; აწ მოვედ ჩემდა, რადთა განგისუენო¹ შრომათა შენთათჳს. ესრეთ აღი-
დებს, ძმანო, ღმერთი მადიდებელ-
თა მისთა.

ხოლო მოწაფენი მისნი ტი-
როდეს განშორებისათჳს მათგან
წმიდისა მამისასა.

ღ

სისასა. ამისა შემდგომად ეზიარა უბრწენლ-
თა და უკუდავთა ქრისტეს საიდუმლოთა და
აღმზუმელი თუალთაჲ საგონებელ იყო მხიარ-
ულენით მიხედვასა ვითესამე, რომელთაცა
5 მიიმართა¹. თუალითა მიხედვიდა, რამეთუ
მვედრობაჲ ზეცისა უჯორცოთაჲ მოვლინე-
ბულ იყო, რათა აღიდოს უფალმან² მონაჲ
თჳსი, რომელმან ქუეყანასა ზედა ჯორცითა
უძლურითა აღიდა იგი. და შემდგომად მცი-
10 რედისა ანგელოზთა მიმართ განუტევა სული
მიყვანებად იგი უფლისა თჳსისა მიმართ, რომელმან მოუწოდა მას ზეცისა განსასუენებელ-
თა³ მიმართ ნაცვალად შრომათა და ტკი-
ვილთა თავს-დებითა ქუეყანასა ზედა.

25

ხოლო მოწაფენი მისნი შევერდომილნი
ფერჯთა მისთანი ცრემლითა⁴ დაალტობდეს
მათ და მწარედ გოდებდეს, ვითარ ობლად
დაშთომილნი ესევეთარისა მამისაგან, და
30 თანა ესევეთართა სიტყუათა იტყოდეს: პა-
ტიოსანო მამაო და მოლუაწეო სულთაო,
ამიერითგან სადალა ვიხილოთ სახე ანგელო-
ზებრივი, გინა ვინლა⁵ იყოს მკურნალი ორ-
კერძოსავე უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ
35 აღადგენდეს დაცემულთა გონებითა, და სადა
იყოს წამალი ეშმაკთა მიმართ კაცთა, ვინ⁶
ესრეთ, ვითარ შენ! დაალტობდეს იატაკსა

ღ ¹ განგისუენო B.

ღ ² მიიმართა D. ³ ღმერთმან E. ⁴ განსასუენებელთა| და სუფევთა C. ⁵ ცრემლით C.

⁶ ვინლა E. ⁶ ვინა E.

* დაბად. 28, 12-13.

ღ

ხოლო სიტყუაჲ ბერისაჲ 5 უდებ ყვეს, რამეთუ საწუნელ უჩნდა ადგილი იგი, სადა ეუწყა დასხმაჲ ჯორცთა მისთაჲ, რამეთუ მოვიდეს მლდელნი და დიაკონნი და სიმბრავლე ერისაჲ და წარმო- 10 იხუნეს ნაწილნი ბერისანი, დასხნეს მონასტერსა თათაჲსა, მოწაფისა მისისაჲ, და შექმნეს ლუსკუმაჲ პატრიოსანი და მუნ შინა დაჰკრძალნეს წმიდანი იგი ჯორც- 15 ნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესნი.

ხოლო მოწაფენი იგი მისნი 20 ტიროდეს და იტყოდეს: კეთილო მამაო, რაჲსათჳს დაგკტევენ ჩუენ? ვის თანა-ლა ვიხილოთ სახე ანგელოზებრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძღურებასა კაცთასა, ანუ ვინ 25 აღმადგინებელი გონებათა დაცემულთაჲ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყლულთაჲ, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა? და ესრეთ მტირალნი 30 წარვიდეს.

ხოლო წმიდამან იოვანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყუსა მისისაჲ, არამედ სადა-იგი მოეპო- 35 ვა¹ დაყუდებით მადლი და რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს, ვითარმედ შემდგომად მიცვალებისაჲ ცხოველ არს და აქუს კადნიერე-

ღ

ცრემლთა მიერ წმიდათა. ამათ და ესევეითართა უმრავლესთა იტყოდეს, ვითარ შეეტყუების ესევეითარისა სულთა საუნჯისაგან დაკლებულთა.

ხოლო უდებ-ყვეს სიტყუაჲ ბერისაჲ, რომელი ემცნო¹ მათჳს სხეულისა მისისა ძლით, რამეთუ სადა ემცნო დადებად ჯორცთა მისთაჲ მოწაფეთათჳს, უღირსად შეერაცხა მათ ადგილი იგი ყოვლად ღირისა მისთჳს. ხოლო მოვიდეს მლდელნიცა და დიაკონნი და სხუაჲ სიმბრავლე ერისაჲ ფრიადი და მოწინებით წარძგრაგნელთა სხეულისა მისისათა წარბიხუნეს იგინი მონასტერსა თათას მიერ (მოწაფისა მისისა) აღშენებულსა, და ლარნაკისა² მოქმედთა მას შინა დასხნეს პატრიოსანნი ნაწილნი მისნი კრძალულებით და ამბორის მყოფელნი სამარხოჲსა მისისანი წარვიდეს მსწრაფლ.

ხოლო დიდმან მამათა შორის იოანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყუსა თჳსისაჲ³, არამედ ქეშმარიტად ცხოველსა შემდგომად სიკუდილისაჲცა ენება, რათა მასვე ადგილსა შინა დაისხნენ ნაწილნი მისნი, სადა-იგი მერმეტა ჯორცთა შინა მყოფმან ილუაწადა სარბიელი ესე მოლუაწებისაჲ სრულ ყო, ვინაჲ-

ღ ¹ მოეპოა B.

ღ ¹ ამცნო C. ² ლარკნისა D. ³ მისასა CD.

5. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

9.

7.

აჲ წინაჲ ლმრთისა. ამისთჳსცა ინება ნაწილთა მისთა მუნვე დასხმაჲ. და იქმნეს ადგილსა მას, სადა ისხნეს ჳორცნი მისნი, სასტიკნი ძრვანი, და კაცნი მის ადგილისანი იგუმენეს¹. და მოეჳსენა მცნებაჲ იგი ბერისაჲ და გულისჳმაჳყვეს, ვითარმედ მისთჳს არიან ძრვანი იგი. ამისთჳსცა აუწყეს მამათ მთავარსა. ხოლო იგი განკჳრდა და წარვიდა მღღელთა თანა და დიაკონთა და დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თჳსსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენენეს². ნაწილნი მისნი. და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესიაჲ. ხოლო შემდგომად აღმოყვანებისა დასცხრა ძრვაჲ იგი. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნეს ნებითა ქრისტესითა და მადლითა წმიდითა იოვანესითა. რამეთუ მრავალნი სნეულნი, ღრეკილნი და ეშმაკეულნი განიკურნეს აღმოყვანებასა და ყოველნი რომელნი ხედვიდეს, ლმერთსა აღიდებდეს. და უკუეთუ (ვინ სარწმუნოებით მივიდეს, აწცა იქმნებთან მის მიერ კურნებანი.

ცა ძრვანი დიდნი იქმნეს ადგილსა მას ცხად მყოფელნი, ვითარმედ პირველადვე სამკვლრებლად ეგულეების წარსლვაჲ წმიდასა ლმრთისასა. მაშინ მოეჳსენა სიტყუაჲ იგი ბერისაჲ მოწაფეთა თჳსთა და აუწყეს მათთჳს მცნებულთა ღირსისა მიერ კათალიკოზსა¹ და ყოველსა სავსებასა ეკლესიისასა. ხოლო კათალიკოზი² მსმენელი ამათ³ წარვიდა მღღელთა თანა და დიაკონთა. და დიდითა პატივითა და წინაძღომითა ერისაჲთა თანად სიმრავლითა სანთელთა და დიდების მეტყუელებათათა აღიყვანეს მრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი პირველ ქსენებულსა მას ქუაბსა შინა და მუნ დადვეს იგი პატივის მოყუარებით. ხოლო შემდგომად აღყვანებისა ნაწილთა მისთასა დასცხრა ძრვაჲ, რომელი იყო მონასტერსა მას შინა თათაჲსსა. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნეს აღყვანებასა⁴ ნაწილთა მისთასა, რამეთუ მრავალნი სნეულნი და თითო სახითა⁵ სენითა⁶ შეჳყრობილნი მხოლოდ⁷ შეხებითა სხეულისა ამის წმიდისაჲსა განიკურნეს. და უკუეთუ ვინმე სარწმუნოებით მოუჳდეს სამარხოსა მისსა რომლისავე უძლურებისაჲან მოცული⁸, მაღიადსა ჰპოებს განკურნებასა მაჭირვებელისა მის სენისასა⁹.

17(8). ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტო³⁰ კათალიკოზსან აღმოსავალით კერძო ეკლესიისა სხუაჲ ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმკვემელისასა სადიდებულად სანებისა წმიდისა ერთ-არსებისა.

8. ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტოს კათალიკოზსან მცხეთისაჲან აღმოსავალით კერძო ამის ქუაბისა სხუაჲ ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმკვემელისასა სადიდებულად ლმრთისა და მონისა მისისა სანატრელისა მამისა ჩუენისა იოანესსა.

ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერ-

ესევითართა მადლთა მიერ განბრწყინვებულმან ყოვლად ქებულმან იოანე განაშუე-

9. ¹ იგუმენეს B. ² დასუენენეს B.
 7. ¹ კათალიკოსსა C. ² კათალიკოსი C. ³ ამათი C. ⁴ აღყვანებასა] + მას CD. ⁵ სახეთა C.
⁶ სენითა C. ⁷ მხოლოდ E. ⁸ მოცული C. ⁹ მისისა CD.

ღ

დი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკრველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე. და სხუამან ქუაბი იულთისაჲ და სხუათა ალაშენნეს კახეთს მონასტერნი. ხოლო დავით 5 ალაშენა უდაბნოჲ იგი გარესჯისაჲ და დაყუნა მრავალნი ჟამნი ვეშაპსა თანა. უკუანაჲსკენელ უბრძანა და მუნით განავლინა ბუდე იგი ეშმაკთაჲ. და სხუანი მრავალნი სა- 10 სწაულნი აღასრულნა. ხოლო ერთმან ზენა სოფელ[ს] ალაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაჲ შევალს და ვერცა რაჲ მფრინველი იბუდებს. ხოლო ყო- 15 ველთაჲ ვერ ძალ-გვც მოვსენებაჲ და წმიდაჲ ისე წილკანს ებისკოპოს იქმნა და აქამომდე ჩანს სამარხოჲ მის ნეტარისაჲ.

ღ

ნა ქუეყანაჲ ქართველთაჲ და ღმრთის მსახურებაჲ სრულიადი ასწავა. და არა მხოლოდ თავისა თვისისა მიერ, არამედ და მოწაფეთა- 5 ცა მიერ თვისთა, რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაჲ ალავერდისაჲ ალაშენა წოდებასა ზედა სახელ-განთქმულისა მოწამისა გიორგისისა¹, რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მოძღუარ- 10 მანცა² მისმან. ხოლო სხუამან ქუაბი იულთისაჲ³ სამკვდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათჲს შეჰმზადა⁴. და ერთმან მათგანმან ზენა სოფელს ალაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი არარაჲ შევალს და არცა მფრინველი იკადრებს დაბუდებასა. და 15 სხუათა კუალად მონასტერნი ალაშენნეს კახეთს შინა და მრავლად აღაორძინეს სარწმუნოებაჲ ქადაგად განჩენილთა უფლისა მიერ და სწავლად უმეცართა მეცნიერებასა ღმრთისასა.

20 ესევეთარნი არიან კაცისა ამის ღმრთისა მოღუაწებანი და შრომანი, რომელნი ღმრთისათჲს ისხნა⁵ და კუალად მსგანსივე ნაცვალის⁶ გებანიცა სასწაულთა და ნაშთა⁷ მიერ შემკობითა⁸, ვიდრელა კორცთა შინა იყო. ხოლო შემდგომად კორცთაგან განსლ- 25 ვისა და სოფლით გარდაცვალებისა უოხქნოთა შინა იშუებს საშუებელთა ზეცისა ტალავართა და სასძლოთა დამკვდრებული და ხე- 30 დავს ნათელსა მას დაუღამებელსა საღმრთოსა დაგებისასა მოხარული კეთილთა ზედა გამოუთქმელთა, რომელნი თუალმან არა იხილნა და ყურსა არა ესმა⁹ და გულსა კაცისასა არა აღვიდა¹⁰. და იხარებს იგი მწყობრსა თანა მამათასა განწესებული და გან- 35 სცხრების გუნდსა თანა ანგელოზთასა ჳპითა მელღესასწაულეთაჲთა მგალობელი. რამეთუ განვლო ცეცხლი და წყალი მრავალთა ღუაწლთა დათმენითა ხილულსა ამას და გრძნო-

ღ¹ გიორგისისა E. ² მოძღუარმან C. ³ ულთისაჲ C. ⁴ შეჰმზადეს E. ⁵ იღვა DE. ⁶ ნაცვლის CE. ⁷ ნიშებთა CD. ⁸ შემკობილთა DE. ⁹ ესმნეს C. ¹⁰ აღვიდეს CD.

9

1

ბაღსა სოფელსა შინა და რაჲღა სხუაჲ ჯერ-
იყო ამისა, გარნა თუ შუენოღა აღსლვაჲ გან-
სასუენებელად უხილავთა მათ და გონიერთა
სავანეთა შინა.

- 5 არამედ, ჭ მამაო მამათაო და დიდებაო
მონაზონთაო, რომელი გამოსჩნდი სიქადუ-
ლად ქართველთა ნათესავისა, ნანდვლვე¹ ლირ-
სო ზეცისა ნეტარებათა დამკვდრებად, სამ
გზის სანატრელო, მოწესეთა სამკაულო. მო-
10 იხილევდ ზეცისა კამართაჲთ ჩუენ ზედა-
უღირსთა ამათ შვილთა შენთა, რომელნი
ვიმძლავრებით ფრიად ბოროტთა და კაცთ-
მოდულეთა მტერთა ჩუენთა ეშმაკთაგან, და
წარდგომილი წინაშე საყდართა სამ მნათობი-
15 ერისა² წმიდისა სამებისათა იოხე ჩვენთს
ჟსნაჲ ჯორცთა და ვნებათა მძლავრებისაგან³,
რათა მრავლად შემაწფოთებელთა ბოროტთა
გულის ზრახვათაგან ჟსნითა ჯეროვანი სადამე
მოცალებაჲ ვპოვოთ. და ესრეთ გონებითა
20 განწმედილითა მადლობასა და ქებასა შე-
წირვად ლირს ვიქმნეთ დაუსაბამოჲსა მამი-
სა და მხოლოდ შობილისა ძისა მისისა თანა-
დაუსაბამოდ⁴ და ყოვლად წმიდით და ცხო-
ველს მყოფელით სულითურთ აწ და მარადის
25 და საუკუნეთა საუკუნეთასა, ამინ.

1 ¹ ნანდვლ CD. ² ნათობიერისა DE. ³ მძლავრობისაგან E. ⁴ დაუსაბამოთ CD.

ცხოვრებად და მოქალაქეობად
 ღირსისა მამისა ჩუენისა უიოდ-
 ხი¹ და ევაგარისი

გუაქურთხენ, მამაო!²

თუენსა მამისა თ დღესა

ცხოვრებად და საკრძველგანისი წმი-
 დისა და ნებაჩისა უიოდხისი, კომელი
 იჟო ანტიოქიადთ უზამდინარისადთ. ხო-
 ლო მოიწვია ქუეყანად ქართლისა და
 დამგვადრა საკინისა მღვმისა¹, კომელი-
 ესე აღწერა ღირსხან მარტვი, პირველ
 კომელსა ეწოდა იოანე, კომელი იჟო
 მოწაფეთაგანისი წმიდისა იოანესთა კო-
 ტანთინეჟოლით²

გუაქურთხენ, მამაო!

ესენებითა წმიდანთა ოდესცა³ სადა იქმნა
 განძლომაჲ ცნობისა მქონებელთაგან არა თუ
 ვინმე სრულიად წარტყუენულ იყოს გონები-
 თა ეშმაკისა მიერ და თუალნი სულისანი
 5 აქუნდეს ყოვლად უმხედველო⁴, რამეთუ წე-
 რილ არს: ესენებაჲ მართლისაჲ ქებით აღე-
 სრულების. ხოლო რომელთა-იგი ესენებაჲ
 ოდეს⁵ საქებელ არს, მათი სამარადისოდ მო-
 ესენებაჲ რაოდენმე აღესრულებოდის⁶ ტრფი-
 10 ალთა საღმრთოჲსა სიბრძნისათა და მოსურ-
 ნეთა ქეშმარტისა ცხორებისათა⁷ მიბაძვე-
 ბად თუთ მათ მათთა სათნოებათა და მოქა-
 ლაქობისა. იტყუს ბრძენთაგანი ვინმე პირველ-
 თა, ვითარმედ: ბრძენთა მაქებელნიცა ბრძენ-
 15 ნი უკვან, ხოლო წმიდათა მათებრვე განწმე-
 დილნი სულითა და თუალითა გონებისადთა
 საცნაურად მხედველნი მათისა ცხორებისანი.
 ამისთჳსცა ჩუენცა საწინასწარმეტყუე-
 ლოჲსა სიტყუსა მიერ ვყოთ დაწყებაჲ მიზეზ-
 20 სა ამას სიტყუსა ჩუენისასა, რათა წმიდანი
 წმიდათა მიერ შეისხმოდენ, მოქადულნი ღი-
 დებასა ზედა, რომელი განიკუთნეს⁸ წინაჲ-
 სწარვე ღმრთისა მიერ მართალი, ვითარცა

9 ¹ შიოსი A. ² მამაო—A.

10 ¹ მღვმეს C. ² კოსტანტინოპოლით CD. ³ ოდესცა C. ⁴ უმხედველ D. ⁵ ოდენ C.

⁶ აღისრულებოდის CD. ⁷ აღსძრავს E. ⁸ განიკუთნეს C.

ღ

ღ

ფინიკი აღყუავენეს და ვითარცა ნაძუ ლიბა-
 ნისა განმრავლდეს, ქეშმარიტად ამაღლდეს
 წმიდანი უფროჲს სიმაღლეთა და განმრავლ-
 დეს ნაყოფნი მათნი უფროჲს ყოველთა ხეთა
 5 ნაყოფიერთა და ყუავიან სახლსა შინა ღმრთი-
 სასა ვითარცა ვარდნი შუენიერნი და ვითარ-
 ცა შროშანნი სულნელნი, რომელთაგანი ერ-
 თი არს ჩემი ყოვლად სასურველი ღმრთივ
 ცნობილი წინაჲსწარ და მიერვე გამორჩეუ-
 10 ლი სამ გზის სანატრელი შიო, მამად მამათად
 და მოლუაწებისა ძეგლი, რომელმან არარად
 შერაცხა სოფელი და სოფლისა შინა ყოველი
 სიყუარულისათჳს ღმრთისა, მშობელი და
 ნათესავნი, სიმდიდრე და პატივნი და გან-
 15 სუენებაჲ ჯორცთაჲ, ვითარცა წარმავალი და
 მომაკუდინებელი სულისა¹ მოიძულა², დაუ-
 ტევა ნებასა თანა ჯორცთასა ყოველი ნებაჲ
 მსოფლიოჲ, მეუღლებჲჲ უმრავლესთა მიერ
 საწადელი, თუთ იგი ქუეყანაცჳ მშობელი და
 20 აღმზრდელი თჳსი დაუტევა და მხოლო[ა]სა
 ოდენ ღმრთისა საკუთარ ქმნილი ეკუეთა
 ღუაწლთა ძლიერად და იწროჲთ გზით და
 საჭირველით მავალი ფართოსა მას და სა-
 ცხოვრებელსა ზეცისა ჩინებისასა მოსწრაფე
 25 იყო მიწვენად, მორჩილი სამოციქულოჲსა ვში-
 სა. დაუთმო³ ჰაერთა⁴ სიფიცხლესა, უცხო-
 ვებასა, სიგლახაკესა, შიშლოებასა და ყოვლი-
 თურთსა უპოვარებასა, რომლისათჳსცა არა
 სცა ჰრული წამთა და არცა განსუენებაჲ
 30 ჯორცთა, ვიდრემდის ჰოვა ადგილი უფლი-
 საჲ და საყოფელსა⁵ შინა წმიდათასა განი-
 სუენა, რომელსა შინა აწ მკვდრი მეოხად
 დგას წინაშე მეუფისა თჳსისა კადნიერად სურ-
 ვილით მაქსენებელთათჳს მისთა და წმიდისა
 35 დღესასწაულისა მისისა აღმსაარებელთა⁶.

1. ესე წმიდაჲ და ღმერთ-შემოსილი მა-
 მად შიო⁷ იყო ქუეყანით ასურეთისაჲთ, დი-

ღ. ¹ სული C. ² მოიძულა] და E. ³ დაურთო C. ⁴ ჰერთა C. ⁵ საყოფელსა C. ⁶ აღმსა-
 ბელთა CD. ⁷ შიოჲ C.

ღ

ღ

დით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიადთ, რომელმან მრავალნი ესევეთარნი წმიდანი აღმოაცენნა მშობელთა ღმრთის მსახურთა და აზნაურთა შვილი, რომელნი-იგი მრჩობლ 5 მდიდარ იყვნეს ღმრთის მსახურებითა და მშობლობითა ამის წმიდისადათ. და არა ესუა¹ მათ შვილი სხუად, გარნა ნეტარი შიო მოეცა მათ ნაყოფად მუცლისა მათისა, კეთილი და ღმრთივ მონიკებული კუერთხი სიბერისა. და 10 ესე ოდენ² აქუნდა³ მკვდრ⁴ მამულისა მათისა. ხოლო ნეტართა მეუღლეთა შუენიერი იგი ნაყოფი მათი აღზარდეს შრაველთა მოლუაწებითა⁵ და ზედადგომითა სწავლათა შინა საღმრთოთა წერილთასა. და ასწავეს 15 მას ყოველი წერილი ძუელი და ახალი და თარგმანებაჲ მათი. ხოლო იგი მიიღებდა ყოველსა სწავლებასა, ვითარცა ქუეყანად კეთილი, რამეთუ აღორძინდებოდა⁶ თჳს⁷ შორის კეთილად ცვითა და წურთითა მათითა, და 20 დაისწავა⁸ უმრავლესი მათი ზეპირით, ხოლო წმიდაჲ სახარებაჲ და ეპისტოლენი⁹ პავლე მოციქულისანი და წიგნი ფსალმუნთაჲ მალადის განუშორებელად ეპყრნეს, და ენითა და პირითა მარადის იგინი მოაქუნდიან და უფ- 25 როჲს თაფლისა¹⁰ დაატკობდეს¹¹ სასასა მისსა.

იქმნა რაჲ წლისა ათექუსმეტისა, იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა წიგნისა, და ზინ და იკითხავენ განუსუენებელად დღე და 30 ლამე, და მადლითა სულისა წმიდისადათ ყოველსა უცთომელად გულისგმა-ჰყოფნ¹² და გამოსთარგმანებნ, ვიდრემდის ყოველთა უკვრ- და მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი მდიდრად მეტყუელებდა პირით მისით¹³. შეეშინა 35 უკუე მშობელთა მისთა და იურვოდეს¹⁴ მისსა მას ეგრეთ შეუსუენებელსა შრომასა და ეტყოდეს, რათა მისცეს მოცალეზადცა ოდესმე

ღ¹ -ესვა E. ² ესე ოდენი ესოდენ E. ³ აქუნდ D. ⁴ მკვდრი C. ⁵ მოლუაწებითა D. ⁶ აღორძინდებოდა CDE. ⁷ მის E. ⁸ ასწავა C. ⁹ ეპისტოლენი C. ¹⁰ თაფლისა|+და D. ¹¹ დატკებოდეს E ¹² ჰყოფენ D. ¹³ მისითა C. ¹⁴ ირვოდეს E.

ღ

ღ

თავსა თვსსა და არა ეგრეთ¹ მიმდემად² აჭირვებდეს სხეულსა. და წიგნთაჲცა კელ-
ყვეს, რათა მიუხუნენ³. შეწუხნა ამას ზედა
ნეტარი იგი ყრმაჲ და ეტყოდა მშობელთა
5 თვსთა, ვითარმედ: რად ესრეთ ჰყოფთ, უფალ-
ნო ჩემნო, და განმაშორებთ მე ზრახვისაგან
ღმრთისა, რამეთუ რომელი არა ზრახავს მა-
რადის სჯულსა⁴ ღმრთისასა, იგი შორს არს
სასუფეველისაგან ღმრთისა და ტყუე იქმნის⁵
10 ეშმაკისა. აწ ნუ, კეთილნო მშობელნო ჩემნო,
იხილეთ რასა-ეგე ჰყოფთ და ნუუკუე პირი ჩემი
თქუენცა განგეშოროს მაგისტვს, რომელსა
ჰყოფთ ჩემ თანა. მიილო მშობელთაგანცა
ფლობაჲ და მიერჩდეს ნებასა მისსა. და წა-
15 რეჩატებოდა ნეტარი ესე ყოველთა ჰასაკი-
სა⁶ სწორთა შიშითა ღმრთისაჲთა და წურ-
თითა საღმრთოთა წერილთაჲთა, რამეთუ
ირწყებოდა⁷ იგი სჯულსა⁸ შინა ღმრთისასა
წერილისაებრ და ნაყოფიერ იქმნებოდა ვი-
20 თარცა ზეთის ხილი მსხმომ სახლსა ღმრთი-
სასა.

ჟამთა მათ შინა ოდეს ღირსი შიო იქმ-
ნა ოცისა⁹ წლისა, დიდი იგი მნათობი და
თჳალი მოღუაწეთაჲ ყოვლად განთქუმული
25 იოანე ნიშებ-შემოსილი გამოჩნდა, ვითარცა
ვარსკულავი მრავალ მნათობი, რომელნი-იგი¹⁰
განანათლებენ¹¹ ყოველთა მკვდრთა ანტიო-
ქიამსათა¹² და იყოფებოდა იგი უდაბნოსა
ადგილსა მრავალთა თანა მოწაფეთა. მიიწია
30 უკუე შიო ფარულად მშობელთაგან თვსთა
დიდისა მის მწყემსისა იოანესსა, შეუვრდა
ნეტართა მათ ფერჯთა, მოეხუეოდა, ამბორს
უყოფდა¹³ და ვითარცა ღმრთივ აღძრული
სიყუარულითა, რომელი ცეცხლისაცა¹⁴ უშე-
35 მწეულეს არს და ყოველსა ბუნებასა შინა
უზემთაეს ყოვლისა. ხოლო ნეტარმან იოანე
იხილა რაჲ გოხიერებაჲ ჰაბუკისა მის და ში-

ღ¹ ეგრე C. ² მიმდემდის CD. ³ მიხუნენ D, მიიხუნენ E. ⁴ სჯულსა DE ⁵ იქმნების C.
⁶ ჰასაკითა C. ⁷ ირწყებოდა CDE. ⁸ სჯულსა D. ⁹ ოცის D. ¹⁰ რომელი-იგი C. ¹¹ განანათ-
 ლებენ E. ¹² ანტიოქიისათა E. ¹³ უყოფდა] + და რასა არა ჰყოფდა C. ¹⁴ ცეცხლსაცა C.

ღ

ღ

ნაგანი მხედველობა და სიმდაბლე გონებში-
 სა, შემუსრვილება გულისა და მუდროე-
 ბა სიტყუსა და სიმტკიცე შინაგანისა მის
 კაცისა, გულისგმა-ყო სულითა სიმალლე
 5 სულის მისისა და, თუ ვითარ¹ ქუეყანასა
 კეთილსა უწყის შეწყნარებად თესლსა მას
 ღმრთისა ბრძანებათასა და, რამეთუ იყო-ცა
 ნეტარი იოანე მეცნიერ წინასწართა და ჰრქუა
 მას ესრეთ: შვილო შიო! განჰკრთა უკუე სა-
 10 ხელის-ღებასა ზედა თუსსა ნეტარი შიო² და
 ცნა, ვითარმედ მიემთხზა, რომელსა-იგი
 სურვიელ იყო, ეგევითარსა მოძღუარსა და
 განმანათლებელსა თუსსა. კულად ჰრქუა მას:
 შვილო შიო, რად შეშფოთნები ამისთს,
 15 რამეთუ სახელი შენი მაუწყა მე ღმერთმან³.
 უკუეთუ გრწამს წმიდისა სახარებისა, რომე-
 ლი შეიყუარე, გრწმენეს, რამეთუ სარწმუ-
 ნობა ღმრთისა⁴ ყოველსავე შეუძლებს.
 აღადგინა იგი ნეტარმან იოანე და ამბორს
 20 უყო მას და მისცა კურთხევა და მიექცა მო-
 წაფეთა და ჰრქუა ნელიად: აჰა ჰაბუკი ესე
 გამოირჩია ღმერთმან და აღავსო სულითა
 წმიდითა და იქმნეს ესე მამა მრავალთა
 სულთა, რომელთა წარუძღუეს ღმრთისა სა-
 25 თნობათა მიერ თუსთა, რამეთუ იქმნეს ესე
 სანთელ მნთებარე სასანთლესა ზედა, რათა
 ყოველთა უნათობდეს. და კულად მოექცა
 შიოს და ჰრქუა: შვილო, ნეტარ ხარ შენ,
 რამეთუ დიდ იქმნე წინაშე ღმრთისა და ნე-
 30 ტარ ვარ, რამეთუ მამა ვიწოდო ეგევითა-
 რისა მამათა მამისა.

ეზრახა მას დღე ყოველ და თაფლისა
 უტკბილესთა მათ სიტყუათა მისთა მიერ გა-
 ნანათლა გონება მისი და მხიარულ ყო. მეო-
 35 რესა უკუე დღესა ჰრქუა მას: წარვედ აწ
 შვილო და მშობელთაგან შენთა ოილე კურ-
 თხევა და მერმე მოვედ ჩემდავე და მადლმან
 ღმრთისამან დაგიფარენ და განგაძლიერენ.

ღ¹ ვითარსა CD. ² განჰკრთა უკუე . . . შიო]—C. ³ უფალმან E. ⁴ საღმრთო C.

¶

¶

შეწუხნა ნეტარი შიო ფრიად წარგზავ-
 ნისათჳს, რამეთუ ეშინოდა მორჩილსა მას
 სულსა, ნუჟუჟე მშობელთაგან ნაცვალად¹
 კურთხევისა სასჯელი მიიღოს, რაჟამს ცნან
 5 სურვილი მისი მონაზონებისა მიმართ. არა-
 მედ დაუმტკიცა მას ნეტარმან იოანე, ვი-
 თარმედ: გრწმენინ ჩემი, რამეთუ უწინარეს
 შენსა მათ მიიღონ წმიდისა მონაზონებისა
 სახე; წარვედ, უფალი იყავნ შენ თანა მო-
 10 გზაურ და განმამტკიცებელ შენდა! ხოლო
 შიო მიიღო კურთხევაჲ იოვანესი და ყოველ-
 თა ძმათაჲ, და წარვიდა სახიდ² მშობელთა
 მისთა. და მიიწია რაჲ, ჰკითხვიდეს, თუ სა-
 და არს იგი და რად დაუფარა მათ, უკუეთუ
 15 აქუნდა რაჲმე მიზეზი წარსლვისაჲ სადამე³.
 გარნა ფრთხილმან ამან სულმან ყოვლად არა
 აუწყა, რათა არა განაკრთენეს ანაზღაგთისა⁴
 მის საქმისათჳს, არაჲმედ დაიდუმა და კეთი-
 ლითა მით სივერაგითა სხუაჲ რაჲმე ღონე
 20 მოიპოვა⁵ დარწმუნებისა მათისა. ხოლო შე-
 სწუვიდა ალი იგი მოტყინარისა მის სიყუა-
 რულისა ღმრთისაჲ, რომელი ცეცხლებრ ეგ-
 ზებოდა შინაგან მისსა და ასწავებდა მას,
 რათამცა⁶ ვითარ სასურველსა მას თჳსსა
 25 უადრეს⁶ მიემთხვა.

იყო დიდებული დღეთა შორის წმიდა
 კკრიაკე და წარვიდეს მშობელნი მისნი წმი-
 დად ეკლესიად და ჟამსა წმიდასა ჟამის
 წირვისასა დადგა იგი თჳნიერ ჩუეულე-
 30 ბისა მახლობელად მამისა თჳსისა. ხოლო
 მოიწია რაჲ დიაკონი საფსალმუნეთა ზედა
 წარკითხვად წმიდისა სახარებისა, ჰრქუა
 ნეტარმან შიო მამასა თჳსსა: უფალო ჩემო,
 მივეახლნეთ⁷ წმიდისა მის სახარებისა ქუეშე
 35 კერძო, რამეთუ მასმიეს ხუცესთაგან, ვითარ-
 მედ ყოველნი სენნი და უძღურებანი განეშო-
 რებიან, რომელთა თავსა ზედა წარიკითხონ⁸
 დღესა⁹ კკრიაკესა წმიდაჲ სახარებაჲ. ერჩღა
 ნამაჲ მისი¹⁰ სიტყუათა მისთა და¹¹ და-

¶ ¹ ნაცვალად C. ² სახედ CE. ³ სადმე C. ⁴ მოიპოვა C. ⁵ რათა C. ⁶ უადრეს E| უდა-
 რეს CD. ⁷ მივახლნეთ E. ⁸ წარიკითხვიან C. ⁹ დღეს C. ¹⁰ თჳსი E. ¹¹ და|—C.

ღ

ღ

- დღეს ქუეშე კერძო წმიდისა სახარებისა. ხოლო
 ესე სახარებაჲ წარიკითხა დიაკონმან: ყოველ-
 მან რომელმან არა მოიძულოს მამა და დე-
 და და ცოლნი და შვილნი, აგარაკი და მო-
 5 ნაგებნი¹, ვერ ძალ-უც მოწაფე ყოფად ჩემდა*.
 აღესრულა რაჲ წმიდაჲ ჟამის წირვაჲ, წარ-
 ვიდეს სახლსა თჳსსა და დასხდეს სამხრობად.
 და ჰკითხა ნეტარმან შიო მამასა თჳსსა: უფა-
 ლო ჩემო, რაჲ იყო სიტყუად იგი, რომელი
 10 დღეს აღმოიკითხეს წმიდასა შინა სახარება-
 სა? და მან ჰრქუა² მისთჳს, რომელი ესმინა
 წმიდისა სახარებისაგან. მერმე მიუგო კე-
 თილმან მან³ შვილმან: უფალო, რაჲ ყოვნე-
 ბად არს ჩუენდა, რათა გუერქუას ჩუენ მო-
 15 წაფე ქრისტესი, და ვითარცა გესმა⁴, ასი
 წილი მოვილოთ მისგან მომავალსა მას საუ-
 კუნესა⁵ მცირედისა ამისთჳს, რამეთუ რაჲ
 შევიძინოთ სოფლისა ამისგან, უკუეთუ მე-
 ფეცა ვიყვნეთ, ვგრეცა ვერას შემძლებელ
 20 ვართ განრინ ბად⁶. ხოლო მამისა მისისა⁷
 გული ვითარცა ცკლი ლბილი საბეჭდავისა-
 გან ვგრეთ აღმოიტჳფროდა და ჰრქუა ძესა
 თჳსსა: შვილო, ვითარ შენ ჰხედავ, მე და დე-
 დაჲ შენი მოხუცებულ ვართ და შენ მარტომ
 25 მკვდრი მამულისა ჩუენისა მოგუეცი. აწ უკუე-
 თუ ინებო, ჩუენ გუყვენ⁸ მონაზონ და შენ
 მოიყვანე შენდა ცოლი და⁹ ნუ უმკვდრო
 ჰყოფ მამულსა შენსა. აჰა ესერა ყოველი წი-
 ნაშე შენსა არს, მიიღე ყოვლისა უფლებად.
 30 განიხარა ესე ნეტარმან შიო და თქუა გულ-
 სა თჳსსა: ოდეს მშობელნი ჩემნი იქმნენ მო-
 ნაზონ, მე თავისუფალ ვარ, რაჲ მინდეს, ვყო.
 და მოეწესენა სიტყუად ესე, რომელი ჰრქუა
 ნეტარმან იოანე, ვითარმედ: შენსა უწინარეს
 35 მიიღონ მშობელთა შენთა სახე მონაზონები-
 საჲ. ხოლო ნეტარმან შიო მიუგო კეთალთა
 მათ მშობელთა თჳსთა: უფალნო ჩემნო, ოდეს
 კეთილი გონებაჲ მოგცა თქუენ ღმერთმან¹⁰,

ღ ¹ მონაგებნი C. ² + მას C. ³ თმან კეთილმან C. ⁴ გუესმა C. ⁵ საუკუნოსა D. ⁶ განე-
 ბად C. ⁷ მამასა მისსა DE. ⁸ გუყუენ D. ⁹ და—AB. ¹⁰ აღმერთმან თქუენ C. * შდრ. ლუკა 14,26.

4

7

ნუ სდროებთ ქმნად მაგისსა, არამედ რად-
იგი გიქმს თქუენ, მიეცით შესაწირავად, რო-
მელსაცა მონასტერსა გთნავს და მე მომავალ-
სა წელსა, უკუეთუ სათნო- უჩნდეს ღმერთსა,
5 მოვიყვანო, ვითარიცა მინდეს მეუღლდე. ეს-
რეთ რად ამისა ქმნად მოიმტკიცნა მშობელ-
ნი, არლარა ყოვნა, არამედ პირველად წა-
რიყვანა დედაჲ თვისი ქალწულთა მონასტერ-
სა და შეჰვედრა დედათა დიაკონსა და აღ-
10 ქუეცა იგი. და ჰრქუა მას ნეტარმან შიო:
დედაო, უწყოდდე, რამეთუ ამიერითგან. ეგო¹
მცნებასა შინა და აღთქუამად დაგიც ქრის-
ტესდა² წინაშე საკურთხეველისა, არცა ჩემ-
და ხილვად შემძლებელ ხარ და არცა მამისა
15 ჩემისა. იყავ შენ აქა მოჩილ წმიდისა ამის
დედათა დიაკონისა და დათა ყოველთა, და
ნულარა გეურვებინ ჩემთს, ოდენ ნუ დაივი-
წყებ ლოცვათა შინა შენთა ჩემთსცა³. და
მოიკითხნეს ფრიადითა ცრემლითა და მისცეს
20 ურთიერთას უკუანაჲსკენელი ამბორის-ყოფად
და განეშორნეს.

ეგრეთვე წარიყვანა მამად თვისი მონას-
ტერსა ზოგად ცხოვრებულთასა და შეიმოსა
მანცა წმიდაჲ სქემად და მრავალი სიტყუად
25 სწავლისად ჰრქუა ნეტარმან შიო მამასა თვის-
სა მოთმინებისათს. და ორთავე მონასტერ-
თა არა მცირედი საფასე შეწირა, სადა-იგი
იყვნეს მშობელნი ამის წმიდისანი და მსგავ-
სადვე დედისა მამასაცა მისცა უკუანაჲსკენელი
30 მშუდობად და მიიღო მისმიერი კურთხევაჲ და
განეშორა. ესრეთ მიიღო რად თავისუფლე-
ბითი⁴ ცხორებაჲ ღმრთივ გონიერმან შიო,
მიიწია სახილ⁵ და განუყო ყოველი მონაგე-
ბი თვისი გლახაკთა და განათავისუფლნა მო-
35 ნანი და მკვევალნი⁶ და განყიდა ყოველი,
რადცა იყო მშობელთა მისთაჲ დატევებული,
და მისცა მონასტერთა და მოქენეთა, თვნიერ
ოდენ იპყრა წმიდაჲ სახარებაჲ და წიგნი სა-

1. ' ვგრე D. ვეე C. 2 ქრისტესა და E. 3 ჩემთსცა]—E. 4 თავისუფლებით E. 5 სახედ D.

6 მკვევალნი CD.

ღ

ღ

ფსალმუნე, დაუტევა «გიხაროდენი» ყოველთა საქმეთა მისთა თანა სახარებისაებრ მეტყუელისა, თუთ სულიცა უარ-ყო ქრისტესთს და განვიდა სოფლით და სახლით თვისით და წა-
 5 რემართა სასურველისა მიმართ თვისისა გზისა, რომლისათს ყოლადვე სუროდა და ტრფიალ იყო მოგებად მისდა, რომლისაგანცა არა ჭუებულ იქმნა, ვითარცა ქუემორეცხად ყოს სიტყუამან.

- 10 მიიწია კუალად იოანესა¹ და² მოუდრიკნა მეჭლნი და მიილო კურთხევაჲ და მის მიერ³ განიხარა იოანე სიხარულითა დიდითა და შეიწყნარა და შეიტკობდა მას დიდითა სიყუარულითა და ეტყოდა: შვილო სარწმუნოო შიო, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ დასდევ⁴ კელი ერქუანსა და უკუანა არა⁵ მხედველობდი, არამედ კეთილად წარმართე⁶ ურნატი⁷ შენი. ჰე, გეტყუ შენ⁸, ძმაო, და გრწმენინ, ვითარმედ უშრომელად განეშორო ყოველთა-
 20 გან ბრძოლათა მტერისათა ამისთს, რამეთუ ყოველითა სასოებითა შეიყუარე შენ ქრისტე და მტკიცითა სარწმუნოებითა აღასრულენ წმიდანი ბრძანებანი მისნი. ხოლო შიო ევეჯრებოდა ნეტარსა იოანეს, რათა აღკუეცოს⁹
 25 იგი და შერთოს იგი მწყობრსა თანა მონაზონთასა. იხილა რაჲ დიდი იგი სიყუარული მისი იოანე, არღარა ყოვნა, არამედ დასხნა მის ზედა წმიდანი კელნი მისნი, აღკუეცა და შეჰმოსა წმიდაჲ სქემაჲ. და იხილა, რამეთუ
 30 პირი მისი იქმნა ვითარცა პირი ანგელოზისაჲ.

ხოლო ამიერიჲგან რაჲღა ვინ თქუას ლუაწლთა მისთათს ძლიერთა, რომელ თავსისხმიდა, დლითი-დღე წარემატებოდა ძალი-
 35 თი ძალად, ვითარცა ხე თანა-წარსადინელსა წმიდათა წყალთა ღმრთის მეცნიერებისათა დანერგული. და ნაყოფიერ იქმნებოდა. ვითარცა ფინიკი მსხმოჲ ტკბილთა და სულიერ-

ღ¹ იოანესა CD. ² და—E. ³ მიერი CD. ⁴ არა დასდევ C. ⁵ არა—C. ⁶ წარმართე E. ⁷ ორნატი E. ⁸ შენ—C. ⁹ აღიკუეცოს C.

9.

1.

თა ნაყოფთაგან და სწავლათა ღირსისა
 იოანესთა, ვიდრემდის ყოველი გზად მონა-
 ზონებისაჲ ვითარცა კელოვნებაჲ რამეჲ ეს-
 რეთ დაისწავა და მიიწია საზომსა სრულთა ¹
 5 და დიდთა მამათასა, ვიდრემდის თუთ მო-
 ძლუარი იგი მისი იოანე განკურდა ² მადლსა
 მას ღმრთისასა, რომლითა ხედვიდა ნეტარსა
 შიოს აღსავსედ, რამეთუ ეშმაკთა და მათ
 მიმართ ³ ზედა მოსლვათა, ვითარცა ქსელთა
 10 დედა-ზარდლისათა დაჰსნიდა. და მოეცა მას
 ღმრთისა მიერ მადლი სენთა ოტებად კაც-
 თაგან და პირუტყუთა და ეშმაკეულთა სი-
 ტყუთ განკურნება ⁴ და ყოვლით კერძო მო-
 მავალნი იოანესსა სნეულნი და ეშმაკეულნი
 15 ლოცვათა ამისითა განიკურნებოდეს, რამეთუ
 იყო ნეტარი ესე ყოვლად უმანკოჲ და რამე-
 თურთით არა შევიდოდა ⁵ გულსა მისსა კუა-
 ლიცა სიმადლისა და ამპარტავანებისაჲ, ხო-
 ლო სიმდაბლე ესეოდენი მოეგო, ვიდრემდის
 20 არცალა ⁶ თუ არა რადმე შეერაცხა თავი
 თუსი.

2. ოდეს-იგი აღასრულნა ნეტარმან შიო
 ოცნი წელნი სხუანი მონაზონებასა შინა,
 მოიწია იოანესსა ბრძანებაჲ ზეგარდამო, რა-
 25 თა გამოირჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგან
 თუსთა ძლიერნი სიტყუთა ⁷ და საქმიითა ⁸ და
 წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განა-
 მტკიცენეს ⁹ ერნი სარწმუნოებასა ზედა, რამე-
 თუ ახალ-ნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი და
 30 ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს
 მოქცევით მათითგან; ოდეს-იგი მოციქულთა
 მადლითა განმტკიცებულმან წმიდამან ¹⁰ დე-
 დამან ნინო აღმოშენა წმიდითა ემბაზითა და
 განანათლნა ღმრთის მეცნიერებითა. ესე რამ
 35 ბრძანებაჲ გამოეცხადა მისგან დიდსა იოანეს,
 ამცნო ყოველთა მოწაფეთა თუსთა, რათა გა-
 ნეკრძალნენ ლოცვასა, და მარხვითა გარ-

1. ¹ სრულსა D. ² განკურდა E. ³ მიმართ] ნართა C. ⁴ განკურნება D. ⁵ შევიდოდეს
 C. ⁶ არცა CE. ⁷ სიტყუთა DE. ⁸ საქმიითა CE. ⁹ განამტკიცა C, განამტკიცენ DE. ¹⁰ წმიდა-
 მან]—CD.

ღ

ღ

დავლენენ ათნი იგი დღენი ვედრებასა შინა ღმრთისასა და იხილონ, თუ რაჲ არს აღსასრული გამოცხადებისაჲ მის.

- გარდავდეს დღენი იგი, მოუწოდა ყო-
 5 ველთა და ჰრქუა ნეტარმან იოანე: შვილო ჩემნო და ძმანო საყუარელნო, აჰა ესერა ყოველთა მადლითა ღმრთისაჲთა გხედავ სრულთა ყოველთა შინა საქმეთა ღმრთისათა. ისმინეთ, რომელი-ესე მეუწყა ღმრთისა მიერ,
 10 რამეთუ ვიხილე მე ყოვლად წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი და მიბრძანა, რაჲთა აღვიხუნე¹ ჩემ თანა ათორმეტნი თქუენგანნი და წარვიდეთ ქუეყანად ქართლისა და მუნ ვიღუაწოთ სარწმუნოებისათჳს ქუეყანი-
 15 სა. აწ უკუე დავწერო² მე³ თქუენ ყოველთა სახელები და დავდვათ წმიდასა ზედა ტრაპეზსა. ხოლო განვათიოთ ყოველთა ღამე ესე ზოგად ვედრებასა შინა ღმრთისასა და როგელთაცა მოგუცეს⁴ ღმერთმან, ვერჩდეთ სა-
 20 ღმრთოსა ამას ნებასა.

- და ჰრქუეს ყოველთა: მამაო წმიდაო, ვითარცა გამოგიცხადა⁵ შენ ღმერთმან, ყავ. ხოლო ჩუენ არასადა დაგიტეოთ და არცა განვეშორნეთ წმიდასა პირსა შენსა. და იყვნეს ყოველნი დიდსა შინა მწუხარებასა, რამეთუ არა იცოდეს⁶, თუ რომელთა ჰნებვი-
 25 და⁷ დატევებაჲ⁸, რამეთუ ესრეთ უძნდა დატევებაჲ⁹, ვითარ ცოცხლივ ჯოჯოხეთს შთასლვაჲ. ხოლო განათიეს¹⁰ ღამე ყოველ ლოც-
 30 ვასა შინა ზე-დგომით. და იქმნა ჟამი დღისაჲ მესამე, ყოველთა მღუდელთა უბრძანა ნეტარმან იოანე, რათა შეწირონ უსისხლოჲ იგი მსხუერპლი. და აღესრულა რაჲ წმიდაჲ იგი ჟამის წირვაჲ და ეზიარნეს წმიდათა
 35 საიდუმლოთა, უბრძანა ყოველთა, რათა აღიპყრნენ კელნი და იტყოდნენ კირიელეისონსა. და ვითარცა განიპყრნეს კელნი ყოველთა და იტყოდეს კირიელეისონსა ჟამ ერთ, აღიღო

ღ¹ აღიხუნე D, აღვიხუნე E. ² დავწერო D. ³ მე—E. ⁴ მოგუცნეს E. ⁵ გამოგიცხადა E. ⁶ იტყოდეს CD. ⁷ ჰნებვიდა+და D. ⁸ დატეობა C. ⁹ დატეობა CDE. ¹⁰ განათლდეს CD.

ღ

ღ

ანგელოზმან ღმრთისამან საკურთხეველისა-
გან და შთადგა ჯელთა შინა იოანესთა სა-
ხილველად ყოველთა ათორმეტი¹ ქარტა,
რომელსა² ეწერა ათორმეტთა ძმათა სახელი,
5 რომელნი-იგი უფალმან გამოირჩივნა³: შიო,
დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა⁴,
პიროს, ელია. პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე.
ხოლო ესე ამისთჳს ყო ნეტარმან იოანე, რა-
თა არა თუალ-ღებით ჰგონონ სიყუარული

10 მათდა მიმართ ძმათა და რომელნი-იგი და-
შთენ, არა შეწუხნენ მოძღურისათჳს.

ესე რაჲ ესრეთ იქმნა, მოიყვანნა და-
შთომადნი იგი ძმანი შეწუხებულნი, მწარედ
მტირალნი დატევებისათჳს⁵ მათისა და მედ-
15 რებელნი⁶, რათა არა დააკლდენ ეგევითარსა
სახიერსა მოძღუარსა, არამედ მიუგო ნეტარ-
მან იოანე და ჰრქუა მათ: შეილნო, შეუძლე-
ბელ არს ნებასა ღმრთისასა წინააღდგომაჲ
და თქუენ მეწამებით, რამეთუ მიერ დღით-

20 გან, ოდეს ინებეთ გლახაკისა იოანეს მოწა-
ფეობაჲ, არავის თუალ-ვახუენ თქუენგანსა,
არამედ ყოვლითა გულითა მარტივად შეგი-
ყუარენ ყოველნი, ვითარცა ქრისტე მეწამე-
ბის ამას თჳთ. და აწ ოდეს ნებაჲ მისი თქუენ

25 ზედა ესრეთ არს, რათა თქუენ აქა სათნო-
ეყვნეთ მას, ხოლო ესენი, სადა-იგი მიუძღუეს,
ნუ სწუხთ, არამედ სიხარულით ერჩლით
ბრძანებასა და ჩინებასა მისსა, რათა არა წი-
ნააღმდგომცა ვიპოვნეთ⁷ ღმრთისა. და ფრი-

30 ად ჰლოცვიდა⁸ და ევედრებოდა, რათა და-
აცხრონ გოდებაჲ იგი უზომოჲ. და განუჩინა
მათ ეფთჳმი წინამძღურად და მსწავლელად⁹
ნაცვალად თჳსსა. და აღაპყრნა ჯელნი და ილო-
ცა მყოვარ ჟამ და შევედრნა იგინი უფალსა.

35 და მოექცა თითოეულსა მათგანსა, დასდგა
ჯელი¹⁰ და აკურთხნა და მერმე ზოგად ყო-
ველნი, და ესრეთ მრავლითა ცრემლითა იჯ-
მნა მათგან.

ღ. ¹ თორმეტი D. ² რომელთა C. ³ გამოირჩივნა უფალმან C. ⁴ თათთა C, თათა E.
დატევებისათჳს CDE. ⁵ მევედრებელნი E. ⁶ ვიპოვნეთ D. ⁷ ილოცვიდა C. ⁸ მსწავლელად E.
⁹ დასდგა ჯელი C.

¶

¶

ამათ ჟამთა შინა აღსრულ იყო დიდი მნათობი სუმეონ საკვრველთ-მოქმედი მთასა საკვრველსა, გარნა არა და სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და 5 ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა, რომელი-იგი მრავლითა შრომითა წარვლეს.

3. ხოლო მიიწივნეს რაჲ ქუეყანად¹ 10 ქართლისა, დაადგა² ევლავიოს კათალიკოზსა ჩუენებასა შინა ღამისასა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: აჰა ესერა მოვალს იოანე ყოვლად განთქმული მონაჲ უფლისაჲ მოწაფეთა თუსთა თანა, რომელმან განანათ- 15 ლოს ყოველი ესე³ ქუეყანაჲ, ვითარცა პირველ ნინო. აწ უკუე აღდგე და მიეგებოდე⁴ მათ და მრავლითა მოლუაწებითა შეიწყნარენ იგინი, რამეთუ ღმრთისა მიერთა ბრძანებითა მოიწივნეს იგინი და ნუ ხედავ შეურაცხებით 20 მოსილებასა⁵ მათსა, რამეთუ შინაგანი მათი კაცი ყოვლად ბრწყინვალე და შემკობილ არს.

აღდგა უკუე ღირსი ევლავიოს ყოველ- 25 თანა ეკლესიისა შვილთა და განვიდა ზენა სოფლამდე და იმსტურობდა⁶ ყოველთა თანა-წარმავალთა, თუ ვინმე არიან⁷ მონანი იგი ღმრთისანი. და აჰა მოვიდოდეს⁸ წმიდანნი იგი მამანი უჯამლონი და⁹ დაბეჭულითა მოსილნი, შეურაცხად სახილველნი¹⁰, კუნკულითა შემოსილნი წესისაებრ ასურთა ქუე- 30 ყანისა. იხილნა რაჲ ღირსმან კათალიკოზმან გულისკმა-ყო, ვითარმედ ისინი არიან, რომელთათჳს-იგი ეუწყა. აღდგა და შეუპყრა ქედსა იოანესსა და ჰრქუა მას: კეთილად მოხვედ¹¹, მამაო წმიდაო. შეუვრდა უკუე 35 იოანე ფერკთა მისთა და ეტყოდა: წმიდაო მეუფეო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირს მყო თაყუანის-ცემად სიწმიდისა

¶ ¹ ქალაქად E. ² და დადგა C. ³ აესე ყოველი C. ⁴ მიეგებოდე CDE. ⁵ მოსილებსა C. ⁶ იმსტურობდა DE. ⁷ არნ CD. ⁸ მოვიდეს C. ⁹ და—C. ¹⁰ სახილავნი DE. ¹¹ მოხუედ CDE.

9.

11

შენისა. ეგრეთვე თითოეულად ყოველთა მი-
იღეს კურთხევად კათალიკოზისა მიერ.

აქა დამაყენა მე სიტყუამან მითხრობად
თქუენდა საკვრველებისა დიდისა, თუ ვითარ
5 ღირსმან კათალიკოზმან და ნეტარმან იოანე
ისწავნეს ერთმანერთისათჳს და სახელი თი-
თოეულისა¹ და კუალად, ვითარ მოეცა
იოანეს ენად ქართულად მეტყუელი ყოვლად
დაუბრკოლებელი. ეჴა საკვრველებასა შენსა,
10 ქრისტე ღმერთო, ვითარ აღიდებ მადიდებელ-
თა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსე-
ბულ არს სიონს² გარდამოსლვასა სულისა
წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და
განყოფასა მას ენათასა³ ცეცხლისათა*. ჴეშ-
15 მარტად საკვრველ არს ღმერთი შორის წმი-
დათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა
წამსა შინა აღატყუა სიტყუთა ზრახვად იოანე,
რომელი არცა ოდეს ასმიოდა, არა თუ ეს-
წავა⁴. ესე ვისმცა⁵ არა დაუკვრდა, ვისიმცა
20 ცნობად არა განცვბრდა, რომელნი მაშინ მუნ
იყვნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაუ-
ლი, ყოველნი განკვრევებულნი და ზარ-გან-
ვდილნი აღიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა სა-
კვრველებათასა.

25 ხოლო სასმენელად ყოველთა ჰრქუა კა-
თალიკოზმან ნეტარსა იოანეს: მამაო იოანე,
მე უფალმან მაუწყა მოსლვისათჳს შენისა და
აწ ვჴმადლობ⁶ ღმერთსა, რომელმან მოაფ-
ლინა სიწმიდე შენი, რათა წარუძღუე მრავ-
30 ვალთა სულთა მეცნიერებასა ღმერთისასა და
განსწავლენე ჴეშმარტებასა⁷ შინა⁸ ცხოვრე-
ბასა, რომელი მოიყვანებს სასუფეველად
ცათა. თაყუანის-სცა მას წმიდამან იოანე და
მიუგო ესრეთ: წმიდაო მეუფეო, შენ მიმსგავ-
35 სებულ ზარ ქრისტესა სიმდაბლითა, ვითარ
მისგან გისწავიეს, ხოლო ჩუენ, მონანი შენ-
ნი, უფროსად ვჴმადლობთ⁹ ღმერთსა, რამე-
თუ ღირს ვიქმენით¹⁰ ეგევითარისა კეთილი-

1. თითოეულისა DE. 2. სიონს—E. 3. ენათასა]+ენითა C. 4. ასწავა C. 5. ვითარმცა D.

6. ვმადლობ CD. 7. ჴეშმარტება E. 8. შენსა C. 9. ვმადლობთ C. 10. ვიქმენით C.

* საქმე 2, 1—4.

ღ

ღ

- სა მწყემსისა პოვნად, რომელსა ყოველნი დაფარულნი გამოეცხადებინან ღმრთისა მიერ. მადლი დიდებულსა მას, რომელმან ღირს გუყვნა ხილვასა წმიდისა პირისა შენისასა, რა-
- 5 თა უფროხსლა შენ წარგვძლუე მრწემთა ამათ შენთა გზასა ცხოვრებისასა, რამეთუ ვხედავ მადლსა ღმრთისასა სრულ ქმნილად შენ შორის უღირსი ესე, რამეთუ რაჟამს ღირს ვიქმენ კურთხევისა შენ მიერისა მოღებად, აღე-
- 10 ლო პირი და ენაჲ ჩემი ზრახვად ენასა შენსა და განებუნეს სასმენელნი ჩემნი, რათა მესმოდენ წმიდანი ბრძანებანი შენნი, მეუფეო ჩემო. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, ჰმადლობდეს ღმერთსა.
- 15 წარემართნეს უკუე და მიიწივნეს წმიდად ეკლესიად და დაეარდეს წინაშე¹ განმაცხოველებელისა მის ადგილისა, სადა-იგი ღმრთისა ჯერ-ჩინებითა აღემართა საკვრეველებით სუეტით იგი დიდებული, რომელი
- 20 მდგომარე არს ჰაერთა შინა თუნიერ ჯელთა კაცობრივთა ზედა კერძო კუართისა მის ზეგარდამო ქსოვილისა ქრისტეს მცხნელისა ჩუენისა (რომლისათჳს სხუათა თხრობათა² შინა მოქსენებულ არს). ამას
- 25 წინაშე მრავალთა ცრემლთა დაალტობდა იოანე იატაკსა მოწაფეთა თანა მყოვარ³ ჟამ. ხოლო სრულ ყვეს რაჲ ლოცვაჲ, კათალიკოზმან მრაველითა მოლუაწებითა ისტუმრნა. და დაადგრეს მუნ დღეთა მრავალთა. და
- 30 ხედვიდეს ყოველნი პირსა ნეტართა მამათასა, ვითარცა ანგელოზთასა. და მოიწეოდეს ყოვლით კერძო ყოველთა სენთაგან შეპყრობილნი და ყოველნი მიემთხეოდეს მსწრაფლ კურნებასა. და ესმოდეს ყოველთა მათ მიერ
- 35 სიტყუანი საუკუნოხსა ცხოვრებისანი და განმტკიცებოდეს ყოველნი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა და ყუაოდა მოძლურებათა მათთა მიერ ყოველი ქუეყანაჲ ქართ-

ღ¹ და მიიწივნეს. . . წინაშე]—C. ² თხრობასა C. ³ მყოარ D.

ღ

ღ

ლისაჲ ვიდრემდის თუთ თავადიცა მეფე და
 ყოველნი მთავარნი ქართლისანი მიიწი(ე)ნეს
 მუნ და მათგან კურთხევისა მიმღებელნი გა-
 ნათლდებოდეს სწავლითა მათითა და ვითარ-
 5 ცა მდინარისაგან დიდისა ირწყუებოდეს
 სწავლათაგან ნეტარისა იოანესთა. ხოლო ნე-
 ტარნი ესე მამანი მრავლითა ლოცვითა და
 ვედრებითა ითხოვდეს ღმრთისაგან, რათა
 უჩუენოს მათ ადგილი მკვდრობისა მათისაჲ.
 10 და მოვლიდეს ყოველთა მათ ადგილთა, სადა
 ნეტარი ნინო იყოფოდა¹ და ამბორს-ჟყოფ-
 დეს იატაკსა და ვითარმცა² მას ცხოველსა
 ხედვიდეს. ეგრეთ შეიტკობდეს და ეზიარე-
 ბოდეს და იკითხვიდეს და სცნობდეს ყოველ-
 15 სა მას ცხოვრებასა მისსა და ქადაგებასა და
 შრომათა მის ნეტარისათა³. და ჰმადლობდეს
 ღმერთსა, როჲელმან უძღურსა ბუნებასა ში-
 ანიჲჲ მადლი მოციქულებისაჲ და ესევეითარ-
 თა ლუაწლთა ძლიერთა შინა განაძლიერთა და
 20 უმკნეს იპოვა მამათა.

4. დღესა ერთსა იხილა ნეტარმან იოა-
 ნე აღმოსავალით კერძო მთასა ზედა ზადენი-
 სასა, რამეთუ ვითარცა ნისლი ეშმაკთა სი-
 მრავლენი ჰყოფდეს მრავალთა რათმე საოც-
 25 რებათა; და განჰკვრდა და ჰრქუა მოწაფეთა
 თჳსთა⁴: იხილეთ-ლა⁵, უკეთურნი ისი რასა
 ჰყოფენ, ამისთჳს რამეთუ⁶ მთნდა ადგილი
 ისი⁷ საყოფელად ჩემდა; შინებისათჳს ჩუენი-
 სა⁸ სახილველად ჩუენდა⁹ შეკრებულ არიან
 30 და ჰყოფენ საოცრებათა, გარნა ძალი ქრის-
 ტესი თანა-მუე ვიყოთ. მერმე მიექცა სულთა
 მათ ბოროტთა და ეტყოდა: იყავნ უფალი
 კურთხეულ, რამეთუ მანდაჲთ ლტოლვილთა
 ვერცა სხუაგან სადა¹⁰ ჰპოვოთ¹¹ სამკვდრე-
 35 ბელი, სადაცა გლახაკისა იოანეს¹² და ძმათა
 ამათ ჩემთა სახელები ითქმოდის. ხოლო მი-
 ვიდეს წინაშე წმიდისა კათალიკოზისა და

ღ¹ იყოფებოდა E. ² ვითარცა C. ³ და შრომათა მის ნეტარისათა—E. ⁴ თჳსთა—CD..

⁵ იხილეთა E. ⁶ რამეთუ]+მე E. ⁷ იგი E. ⁸ ჩემისა C. ⁹ ჩემდა DE. ¹⁰ სადა—E. ¹¹ ჰპოვოთ D

¹² იოანესი E.

ღ

ღ

ითხოვეს ადგილი იგი, მთად ყოვლად რაჲ-
მე მალნარი და შეუვალი კაცთა მიერ, რათა
დაემკვდრნენ მუნ, ვიდრემდის განუჩინოს მათ
მადლმან ღმრთისამან შემდგომი¹.

- 5 და უბრძანა კათალიკოზმან, ვითარმედ:
წმიდანო მამანო, ყოვლად უნუგეშინისცემო
და მალნარ არს და შეუვალ კაცთაგან მთად
ისი², და უწინარეს კერპიცა იგი³ ბილწისა
ზადენისი მდგომარე ყოფილ არს იქი, რომე-
10 ლი-იგი შემუსრა ნეტარმან ნინო, და აწ ვი-
თარ მესმის სულთა მიერ ბოროტთა აღსავე-
სე არს მთად იგი. ხოლო მათ ჰრქუეს: იყავნ
ნებაჲ ღმრთისაჲ, წმიდაო მეუფეო, და წმი-
დანი ლოცვანი შენნი შემწე მდაბალთა ამათ
15 მონათა თანა შენთა, მოგუეც კურთხევა შენი
და წარგუავლინენ. და ვითარ ვერ დააყენნა
იგინი კათალიკოზმან, მისცა მათ კურთხევაჲ
და წარავლინნა იგინი.

- ხოლო იყო ჟამი მაისისა (თ)თჳსა და
20 მდიდროოდა⁴ მდინარე არაგვ. მიიწინეს უკუე
კიდესა მდინარისასა. ხოლო თჳთ ევლავიოს
კათალიკოზი მუნ იყო მრავალთა თანა ეპის-
კოპოსთა და სხჳსა სიმრავლისა ფრიადისა,
რათა უვნებელად წიალიყვანენ⁵ ფიცხელისა⁶
25 მისგან მდინარისა. იხილეს რაჲ დიდროაჲ⁷
იგი წყლისაჲ, აყენებდეს მათ წიაღსლვად,
რამეთუ უღონო იყო განსლვაჲ მისი ჟამსა მას.

- ჰრქუა დიდმან იოანე ნეტარსა შიოს:
ილოცე მამაო, რათა ღმერთმან უვნებელად
30 წიაღვყვანნეს იმიერ. ხოლო მორჩილმან
ამან⁸ სულმან ყოვლად არარაჲ ჰრქუა სხუაჲ,
არამედ მინდობილმან ბრძანებასა მოძღურო-
სასა მოიდრიკნა სამ გზის⁹ მუკლნი აღმოსავე-
ლით, ჯუჳარი გამოსახა წყალსა მას ზედა და
35 ჰრქუა: ¹⁰ მამაჲ ჩუენი იოანე გიბრძანებს,
წყალო¹¹, რათა დაეყენნეთ სლვისაგან, ვიდ-
რემდის წიაღვიდეთ იმიერ ვმელად. ეჰა უსა-
ზღვროსა¹² კაცთ მოყუარებასა შენსა, ქრის-

ღ¹ შემდომნი E. ² იგი E. ³ ისი CD. ⁴ მდიდროობდა E| მდიდრო და C, მდიდრობდა D. ⁵ იყვნენ C. ⁶ ფიცხლისა DE. ⁷ დიდროა C. ⁸ მან E. ⁹ სამ გზის—C. ¹⁰ ჰრქუა|+მათ CD.
¹¹ წყალნო C. ¹² უსაზღროსა CD.

¶

¶

ტე ღმერთო! რამეთუ სიტყუასა თანა მისსა დადგა მდინარე იგი სლვისაგან, ვიდრემდის წიაღვიდეს ივინი ჳმელად. იხილეს რაჲ ესე სიმრავლემან ერისამან, ყოველნი აღიდებდეს
 5 ღმერთსა, რომელმან ესევეითარი მადლი მოსცის მონათა თჳსთა. და იხარებდა კათალიკოზი და ერი ყოველი¹ და მადლობდეს ღმერთსა, რომელმან ეგვეითარნი განმამტკიცებელნი სარწმუნოებისანი მოანიჭა მათ.

10 ხოლო ნეტარნი იგი მამანი აღვიდეს მთასა მას ზედა ფრიადითა ღუაწლითა სიწოდსაგან სერტყთაჲსა. და მიმოვლო ნეტარმან იოანე ყოველი იგი მთაჲ და ჰოვა მცირე ქუაბი და შექმნა იგი წმიდად ეკლესიად,
 15 და დაემკვდრნეს მუნ. და იქმნეს მცირედი რაჲმე ტალავრები და ილუწიდეს ძლიერად, რამეთუ განიკაფებოდეს ყინელისაგან სასტოკისა ჟამსა ზამთრისასა. და იყო მათდა საზრდელად მდელთაგან ქუეყანისათა. ხოლო
 20 განისმა ჰამბავი² მათისა მუნ მკვდრობისაჲ და შექმნეს მთასა მას შინა გზაჲ ფრიადმან სიმრავლემან და მოვიდოდეს ყოვლით კერძო სიმრავლე ერისა აურაცხელი: სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ღრეკილნი, ყრუნი და
 25 ყოველნი განიკურნებოდეს ლოცვითა მათ წმიდათა მამათაჲთა, ვითარცა წერილ არს ვრცელსა შინა ცხორებასა ნეტარისა იოანესსა.

5. დღესა შინა ერთსა გულს-იდგინა კათალიკოზმან კრებისა თანა თჳსისა, რამეთუ
 30 მუნ იყვნეს ყოველნი ეპისკოპოსნიცა³ მისნი, რათა აღვიდენ და მოიხილნენ წმიდანი იგი მამანი. წარვიდეს უკუე და აღვიდოდეს მთასა მას ზედა და იხილნეს ნეტარნი იგი
 35 ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი თჳნიერ ყოვლისა სოფლისა განგებისა და საქმრისა. იხილნეს რაჲ წმიდათა მათ⁴ მამათა კათალიკოზი და ყოველნი იგი ეპისკოპოსნი⁵

¶ ¹ ყოველი ერი E. ² ამბავი CD. ³ ეფისკოპოსნიცა C. ⁴ მათ—E. ⁵ ეპისკოპოსნი E⁺ ეფისკოპოსნი C.

ღ

ღ

მიმავალნი, განიხარეს სიხარულითა დიდითა, მოეგებ(ვ)ოდეს მათ და შეუვრდებოდეს ფერჯთა მათთა და მიიღებდეს კურთხევასა მათ მიერსა¹. ეგრეთვე ეპისკოპოსნიცა² იგი ლოცვასა 5 მათ მიერსა. ხოლო კათალიკოზმან ყო რაჲ ლოცვაჲ დასასრულისაჲ, დასხდეს უკუე ქუაზსა მას მახლობელად, რომელი შეემზადა ეკლესიად. ეტყოდა ნეტარი იოანე კათალიკოზსა და ყოველთა ეპისკოპოსთა³: რად მოშუერით, 10 უფალნო ჩემნო, სიმდაბლისა ჩემისა? და ვითარ ღირს ვართ ჩუენ, მონანი სიწმიდისა თქუენისანი, რათამცა მოაშურეთ⁴ სიწმიდე თქუენი აქა?⁵ არამედ ღმერთმან მოგეცინ სასყიდელი, რომელი მდიდარ არს წყალო- 15 ბითა. უბრძანა კათალიკოზმან იოანეს, რათა ჰრქუას მათ სიტყუაჲ სარგებელისათჳს სულისა. ხოლო იოანე ეტყოდა: შენ გშუენის ესე, წმიდაო მეუფეო, და შენი არს საქმე ესე, რათა ჩუენ ვირწყუებოდით⁶ სწავლათა 20 შენთა მიერ. მრავალ ჟამ აიძულა რაჲ⁷ კათალიკოზმან იოანეს, აღალო პირი თჳსი⁸ და იწყო სიტყუად სიტყუათა ცხოვრებისათა შუენიერთა, რამეთუ ნეტარისა იოანეს პირი, ვითარცა წყაროდ ტკბილი მდინარე, ეგრეთ აღმოაცენებდა სწავლათა დაულევნელ- 25 თა, ოდეს აიძულის ვინ თქუმად რასამე. და ისმენდეს მისსა ყოველნი იგი ეპისკოპოსნი⁹ და სარგებელ ეყოფოდეს ფრიად და იხარებდეს.

11 (6). ხოლო ჯერ-არს, რაჲ- 30

თა მოვიკსენოთ ერთი მოწაფეთა-განი წმიდისა იოვანესთაჲ¹, სახელით ისე, განთქმული ყოვლითავე² სათნოებითა, ნერგი იგი სა-მოთხისაჲ, ყუავილი შუენიერი³ 35 და ყოვლისა კეთილისა ძირი.

(6). ამას ჟამსა შინა აღსრულებულ იყენეს ეპისკოპოსნი ორნი, ერთი წილკნისა და

ღ¹ წმიდისა იოვანესთაჲ| წინაშე ღ'ისა B'.² ყოვლითვე B. ³ შუენიერი BB'.

ღ⁴ მათ მიერ C. ⁵ ეფისკოპოსნიცა C. ⁶ ებისკოპოსთა E, ეფისკოპოსთა C. ⁷ მოაშურეთ

E. მოაშრვეთ C. ⁸ აქა თქუენი E. ⁹ ვიწყარობდეთ C. ¹ რაჲ აიძულა E. ² თჳს E. ³ ებისკოპოსნი E, ეფისკოპოსნი C.

ღ

ესე ნეტარი ისე შეიპყრა წმი-
დამან მამათ მთავარმან¹ კათალი-
კოზმან და აკურთხა იგი ებისკო-
პოზად საყდარსა ზედა წილკნისა-
სა². და³ დაღაცათუ იგი არა თავს-
იდებდა საქმესა მას და შევრდო-
მით ითხოვდა განტევებასა.

ხოლო მან უნებლიით დაასხ-
ნა ჭელნი და წარგზავნა საყდარსა
ღმრთისა დედისასა და⁴ დედისა⁵
მის, რომელმან დედაჲ თჳსი ცთომი-
საგან⁶ აღადგინა, დედისა მის, რო-

ღ

ერთი ნეკრესისა. და ზრახვა ყვეს კათალი-
კოზმან და ეპისკოპოსთა, რათა მათგანნი
ყენენ ეპისკოპოს ორთავე შინა საყდართა და
განიზრახეს ესრეთ, რათა რომელთაცა დღეს
5 შეწირონ უსისხლო მსხუერპლი, მათ დაასხნენ
ჭელნი თჳნიერ ყოვლისა ცილობისა. ხოლო
მოიწია რაჲ ჟამი წმიდისა ჟამის წირვისაჲ,
აბიბოს იქმნა მსახურ წმიდისა ჟამის წირვი-
სა და ისე—დააკონი.

და აღესრულა რაჲ ჟამის წირვაჲ, შე-
იპყრა კათალიკოზმან ერთითა ჭელითა ისე,
ხოლო ერთითა აბიბოს და ამბოროს-უყო აბი-
ბოს(ს) და ჰრქუა: გიხაროდენ აბიბოს ეპისკო-
პოსო¹ ნეკრეს ქალაქისაო! და ამბოროს-უყო
15 ისეს და ჰრქუა: გიხაროდენ ისე, ეპისკოპო-
სო¹ წილკნისაო! ხოლო იგინი განცუბრდეს
მოულოდებელსა მას ზედა სმენასა, შეწუხე-
ბულნი იჯმნიდეს, უღირსებასა იტყოდეს,
ევედრებოდეს, შეუფრდებოდეს ფერჯთა ცრემ-
20 ლითა განტევებად² მძიმისა მისგან საქმისა,
გარნა კათალიკოზმან ესრეთ ჰრქუა მათ:
ცხოველ არს უფალი ჩუენი³ იესუ ქრისტე,
არა გარე-მივაქციო სიტყუაჲ ესე, რომელი
იქმნა ჩემ გლახაკისა⁴ მიერ გამორჩევითა
25 ღმრთისაჲთა.

ესე რაჲ ესმა იოანეს, ჰრქუა მათ:
შვილნო, ნუ ხართ ურჩ განგებისა საღმრთოჲ-
სა და წმიდისა ამის მეუფისა ჩუენისა და
რამეთუ მოვიწიენით⁵ აქა ამისთჳს, რათა ვი-
30 ლუაწოთ ადგილად-ადგილად ღმრთისათჳს,
რომელმან-იგი მიბრძანა ჩუენ მოსლვაჲ. ეს-
მა რაჲ სიტყუაჲ მოძღურისაჲ, ერჩიდეს ბრძა-
ნებასა მისსა. და წარიყვანნა⁶ კათალიკოზმან
და ყენა ორნივე ეპისკოპოს. და წარავლინა
აბიბოს საყდარსა ზედა ნეკრესისასა, ხოლო
საკურველი ისე წარავლინა საყდარსა წილკნი-
სასა, რომელსა შინა მდგომარე არს ხატი

ღ¹ მამად მთავარმან B'.² წილკნისსა B'.³ და—B'.⁴ დედისასა და—B'.⁵ ცთომისა-
გან⁶ დაცემისაგან B'.

ღ¹ ეპისკოპოსო CE.² განტევებად C.³ ჩემი C.⁴ გლახაკის D.⁵ მოვიწიენით D.
⁶ წარიყვანა E.

ღ

ღ

მელმან დედანი წყევვისაგან იქსნა: დედისა მის, რომელი შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა იქმნა და აცხოვნა ყოველი¹ ნათესავი კაცთაჲ, რომელნიცა სარწმუნოებით² თაყუანის-სცემენ ქრისტესა, მისგან შობილსა ღმერთსა.

ჟ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიაჲ, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ³, რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენით და აწ შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებით და შენ მიერ⁴ უხრწნელებაჲ და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ მოვიგეთ⁵. ამისთჳ შენის⁶, რაჲთა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებულნი კაცნი იყვნენ⁷ ზედა⁸ დღვომელად⁹ ტაძრისა შენისა და ამისთჳსცა განორჩეულ იქმნა ღირსი ესე წმიდაჲ ისე ზედამდგომელად საყდრისა შენისა, წმიდაო დედოფალო!

ხოლო წმიდამან ამან მამამან და ებისკოპოზმან¹⁰ იწყო სწავლად და წურთად სამწყსოთა თჳსთა და მიჰმართა ჩრდილოთ კერძო¹¹ რამეთუ ჯერეთ¹² მოუქცეველ იყვნეს¹³ და მტკიცედ ეპყრა კერპთ მსახურებაჲ.

ყოვლად უბიწოჲსა ღმრთისა დედისაჲ, რამეთუ მებრვე ესევეითარი ღირსი მღუღელთ მთავარი შეენოდა წილ-ხდომად საყდარსა ღმრთისა მტკრთველისა ქალწულისასა მწყემსად¹ ჯეროვნად ძისა და ღმრთისა მისისა სისხლთაგან მოგებულთა სამწყსოთა.

ხოლო ვითარცა დადგინებულ იქმნა წმიდაჲ ესე ებისკოპოსად², კუალად დასძინა პირველსა მოსწრაფებასა უმეტესი შრომაჲ, რამეთუ იწყო სწავლად და მწყსად სამწყსოთა თჳსთა გულს-მოდგინებით და არა კმა-იყო მახლობელთა მხოლოდ განმტკიცებაჲ სარწმუნოებასა ზედა მართალსა, არამედ აღიძრა შურითა საღმრთოთა და ფრთეთა სულიერთა მიმხუმელი წარვიდა დამკვდრებულთა მიმართ ჩრდილოსა კერძოთათა, რომელნი მერმეცა მოუქცეველ³ იყვნეს ქრისტეანეთა მართლისა სარწმუნოებისა მიმართ და კერპთ მსახურებისა საცთურითა შეპყრობილნი ბრმად მქონებელ იყვნეს თულთა სულისათა.

ღ. ¹ ყოველივე B'. ² მისისაჲ შენისაჲ B'. ³ საუკუნო მოვიღეთ BB'. ⁴ შეშნის BB'. ⁵ იყუნენ BB'. ⁶ ზედამდგომელად B'. ⁷ ებისკოპოსმან B'. ⁸ ჩრდილოთ კერძო B'. ⁹ ჯერეთ B'. ¹⁰ იყუნეს BR'.
 ჟ. ¹ მწყსად C. ² ებისკოპოსად CE. ³ მოქცეულ C.

¶

და იწყო სწავლად მათდა სწავლითა სიმშვიდისაჲთა და ყოვლითაჲ¹ ღონისძიებითა და სასწაულთა მოქმედებითა მოაქცევდა² სარწმუნოებად, რამეთუ სნეულთა ჰკურნებდა და³ ეშმაკთა ბრძანებით განასხმიდა და მრავალნი საკრველებანი ჰქმნა⁴ და ესრეთ კეთილად სწავლითა მრავალნი სულნი მოაქცივნა⁵ და ტაძარნი კერპთანი დაღწენა და ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელსცა და განამტკიცნა⁶ ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა. და ესევეთარითა საქმითა კეთილითა შემკული მოვიდა საეპისკოპოსოდ თჳსად წმიდაჲმ ესე ეპისკოპოსი ისე.

¶

აქა შინა მიწვეულმან ღირსმან ამან მამამან იწყო სწავლად მათდა სიმშვიდით და სიტკბოებით მზრახველმან მათდა მიმართ, რამეთუ წარმოუხზობდა მათ კაცთა მომართ გარდამოსლვასა ღმრთისასა ზეცით, რათა გამოიგნნეს ეშმაკთა და კერპთა მონებისაგან და ამოებასა¹ და საცთურსა მტყუართა² მათ ღმერთთა მათთასა განუტყუადებდა და ევედრებოდა მათ, რათა დაუტეონ საცთური იგი ბოროტი და შეუდგენ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა. და ესრეთ ყოვლითა ღონისძიებითა და კეთილითა სწავლითა მოაქცივნა იგინი სარწმუნოებად სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა, რამეთუ სნეულთა განჰკურნებდა და ეშმაკთა განასხმიდა სახელისდებითა ქრისტესითა, ვინაჲცა მრავალნი შეეძინნეს³ სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოძღურებითა ამის ღირსისა მამაკაცისაჲთა. და მრავალნი ტაძარნი კერპთანი დაარღვნა და ბომონნი დაამკუნა, ხოლო ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელს⁴-სცა და ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა განამტკიცნა ამიერ დამადგინებელი მუნ მლუდელთა და დიაკონთა. კუალად საყდრადვე თჳსად უკუ-
 20
 25
 30
 35
 40
 45
 50
 55
 60
 65
 70
 75
 80
 85
 90
 95
 100
 105
 110
 115
 120
 125
 130
 135
 140
 145
 150
 155
 160
 165
 170
 175
 180
 185
 190
 195
 200
 205
 210
 215
 220
 225
 230
 235
 240
 245
 250
 255
 260
 265
 270
 275
 280
 285
 290
 295
 300
 305
 310
 315
 320
 325
 330
 335
 340
 345
 350
 355
 360
 365
 370
 375
 380
 385
 390
 395
 400
 405
 410
 415
 420
 425
 430
 435
 440
 445
 450
 455
 460
 465
 470
 475
 480
 485
 490
 495
 500
 505
 510
 515
 520
 525
 530
 535
 540
 545
 550
 555
 560
 565
 570
 575
 580
 585
 590
 595
 600
 605
 610
 615
 620
 625
 630
 635
 640
 645
 650
 655
 660
 665
 670
 675
 680
 685
 690
 695
 700
 705
 710
 715
 720
 725
 730
 735
 740
 745
 750
 755
 760
 765
 770
 775
 780
 785
 790
 795
 800
 805
 810
 815
 820
 825
 830
 835
 840
 845
 850
 855
 860
 865
 870
 875
 880
 885
 890
 895
 900
 905
 910
 915
 920
 925
 930
 935
 940
 945
 950
 955
 960
 965
 970
 975
 980
 985
 990
 995

7. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. შემდგომად წარსლვისა ნეტართა ამათ აბიბოს და ისესა განმრავლდა მოსლვაჲ ყოვლით კერძო ნეტარისა იოანესსა, დაუტეობდეს სოფელსა და იქმნებოდეს მონაზონ, ვითარცა წერილ არს მისთჳს⁵ მას შინა ცხორებასა⁶, რამეთუ მთაჲ იგი, პირველ მღწისწამალი, ყოვლად განშიშულდა სიმრავლისაგან მიმავალთაჲსა⁷ და მუნ დამკვდრებულთაჲსა⁸, რამეთუ აღივსო ყოველი იგი მთაჲ მადიდებელთა მიერ ღმრთისათა⁹.

¶ ¹ ყოვლითჲ B. ² მოაქცევდ B ³ და|—B' ⁴ ქმნა B'. ⁵ მოაქცივნა B'. ⁶ განამტკიცა B'.
 ¶ ¹ ამაობასა E. ² მტყუვართა C. ³ შეიძინნეს C. ⁴ ნათელ CE. ⁵ მისთჳს| მის თჳსსა C.
 * ცხორებასა|+მისსა E. ⁷ მომავალთაჲსა E. ⁸ დამკვდრებულთასა CD. ⁹ ღმრთისა DE.

ღ

ღ

ღამესა შინა ერთსა გამოუჩნდა ნეტარ-
სა იოანეს ყოვლად წმიდაჲ ღმრთის მშობე-
ლი და წმიდაჲ დედაჲ ნინო¹ და ეტყოდა
მას დიდებული იგი სახილაევი, რათა განსთეს-
5 ნეს თვისნი იგი მოწაფენი ყოველთა ადგილ-
თა შინა ქართლისათა. განიღძა უკუე
იოანე და მიუთხრა ჩუენებაჲ ესე ყოველთა
ძმათა და უბრძანა მათ, რათა განემზადნენ
ძლიერად აღსრულებად ნებასა ღმრთისასა.
10 და წარვიდეს თვთეული² მათგანი ადგილად-
ადგილად, სადაცა მიუძღუეს მათ სული წმი-
დაჲ. ესმა რაჲ ესე მათ, შეწუხნეს ფრიად
განშორებისათჳს მისისა, გარნა არარაჲ წი-
ნალმდგომი იკადრეს, არამედ ერჩიდეს ნება-
15 სა ღმრთისასა და ბრძანებასა მოძღვრისასა.
და წარვიდა თვთეული² მათი ვითარცა გა-
ნუჩინა მათ სულმან წმიდამან. მოვიდა უკუე
ნეტარი იოანე და მოიყვანნა ყოველნი კა-
თალიკოზისა ევლავიოს წინაშე და აუწყა
20 მას ჩუენებაჲ იგი და ევედრა, რათა მისცეს
მათ კურთხევაჲ და შეზღუდნეს იგინი ლოც-
ვითა მისითა. ესრეთ უკუე მოიღეს რაჲ³ კურ-
თხევაჲ მისი, მრავალი ასწავა მათ⁴ ნეტარ-
მან იოანე, ვითარცა წერილ არს ცხოვრე-
25 რებასა შინა მისსა. და წარვიდეს უკუე
ყოველნი და თვთეულმან⁵ მათგანმან წარი-
ტანნა ახალ ნერგთა მათგან ქართველთა მო-
ნაზონთა, ვითარცა უბრძანა მათ იოანე.

8. არამედ ნეტარი შიო იყო დაყუდე-
30 ბის მოყუარე და ევედრებოდა იოანეს, რა-
თა უბრძანოს მას დაყუდებით ყოფაჲ. და
ჰრქუა მას იოანე: შვილო შიო, წარვედ, სა-
დაცა უფალი მიგიძღუეს, რამეთუ გამომი-
ცხადა მე ღმერთმან, ვითარმედ დაყუდები-
35 თაცა ცხოვრება წარვლო და მამაჲ იქმნა
დიდისა ლაერისა; არამედ წარვედ და მიიღე
კურთხევაჲ ნეტარისა მეუფისა ჩუენისა კათა-
ლიკოზისა და იყავნ უფალი შენ თანა. ვი-

ღ ¹ ნინო დედაჲ E ² თითოეული C. ³ არაჲ მიიღეს E. ⁴ მათ—C. ⁵ თითოეულმან C.

ღ

7 (8). ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძნობილი მამად ჩუენი წმიდად შიო ნოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისათა¹ და 10 დაემკვდრა² დასავალით კერძოდ დედა ქალაქსა მცხეთასა. და პოვა კევი ღრმად ფრიად³ ფიცხელი, უდაბნოდ და⁴ ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საგმართაგან, 15 და ჰაერი ზაფხულისად ფიცხელ⁶ და ეგოეთვე ზამთრისად უფიცხელეს. და პოვა⁶ მუნ მცირე ქუაბი და⁷ დაჯდა მას შინა დაყულებით სასოებითა ღმრთისა მინდობისად- 20 თა, ჟელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა თავი თვისი მის. თვის, რომელმან არაოდეს უგულვებელს ყენის მოსაენი მისნი⁸.

ღ

თარცა არასადა დამიტევა მე მდაბალი ესე ბრძოლასა შინა სულთა უკეთურთასა, იგი იყავნ ჳელისა აღმპყრობელ¹ შენდა დღე და ღამე, მფარველ და ნუგეშინის-მცემელ და 5 შენ წილ მბრძოლ და დამარღუეველ ყოველსა ძალსა და სივერაგესა ეშმაკთასა.

ესრეთ რად შეზღუდა ლოცვითა ნეტარ- 10 მან იოანე ღირსი კურთხევისაა შიო, წარვიდა კათალიკოზისა წინაზე და მოილო კურთხევა მის მიერ² და წარემართა დასავალით კერძოთა მცხეთისათა კაცთაგან ყოველად უვალთა მალნართა და კლდეთა საშინელთა. ვლო და იხილა კევი რადმე ღრმად უნუგეშინისკემოდ, ურწყული, საესე მტეცთა მიერ და 15 ქუეწარმავალთა გესლიანთა, რომელი-იგი მიხედვით ოდენ შეაძრწუნებდა³ კაცობრივისა ბუნებასა. და ვითარ მიმოვლო⁴ ადგილი, თქუა⁵: ესე იყავნ განსასუნებელ მონისა შენისა, ქრისტე, ღმერთო ჩემო, და მადლი შენი მწე სიმდაბლისა ჩემისად და ლოცვანი მამისა ჩემისა იოვანესნი მფარველ და შემწე ყვენ ჩემდა. პოვა ჩრდილოდთ კერძოდ მდინარესა მას დიდსა, რომელ არს მტკუარი, ქუაბი ყოველად მცირე, რომელი კმა-ეყოფ(ვ)ოდა 25 დამფარველად სხეულსა მას მისსა. ამას შინა დაემკვდრა ნეტარი შიო მარტოებით⁶ მხოლოდ მინდობილი ღმრთისა მხოლოდსა თვნიერ საზრდელისა, თვნიერ სასუმელისა, თვნიერ ყოვლისა ნუგეშინის-ცემისა, რომლითა 30 ჰაცნი ცხოვნდებიან. ხოლო გარდავლნა რად ორმოცნი დღენი, იხილა ღმერთმან გულს-შოდგინება მისი და მიტევებად ზრუნვისა მისისად მისდა, რამეთუ არცაღა მხალთაგანი რადმე ილუაწა განმადლიერებელად გუამისა 35 მისისა, მისცა მას ძალი უმეტესი. და განასრულა ღირსმან შიო სამოცი დღე ყოველად მიუღებელმან საზრდელისა და სასუმელისა-

ღ¹ წმიდისათა B'.² დაეთმინა B. *აფრიად ღრმად B'.⁴ და) დიდად B'.⁵ ფიცხელი B'.
 6 პოვა B. ⁷ და) — B'. * მისნი|თვისნი B'.

ღ¹ ამპყრობელ CD, მპყრობელ E. ² მისმიერი E. * შეაძრწუნებდა E. * მიმოვლო|+ C. *ათქუა ადგილი C. * მარტობით C.

9

1

მან¹. და ესრეთ მინდობითა სასოებისა² ღმრთისაჲთა სურვილით და წადიერებით შეიტკბო მკვდრობაჲ ქუაბსა მას შინა, რამეთუ უგულუბელს-ყო თავისა თვისისა ზრუნ-
 5 ვაჲ ყოველთაჲვე მსოფლიოთა და ჯორციელთა შეუებათათჳს და მისცა იგი იწროებათა და ქირთა, რომელთა მიერ მონად და მსახურად სულისა მორჩილებად დადგინებაჲ ჯორცთა შეუძლოს. ხოლო სასოებაჲ თჳსი ყოველი
 10 აქუნდა ღმრთისა მიმართ და მის მიერ მოელოდა შეწევნასა და განძლიერებასა თჳსსა ყოველთა მიმართ საბრჯეთა³ და სივერაგეთა მტერისათა.

ხოლო დღეთა ამათ შინა ვინ განძლიერდეს მის ზედა განსაცდელნი ეშმაკისანი, რამეთუ არა დაშთა სისრ(ა)თა მისთაგანი, რომელი არა მოიწია წმიდისა ამის ზედა მრავალ სახედ და მრავალ ფერად განცდად იგი გუ-
 20 ლის სიტყუათა მიერ აურაცხელთა და ჩუენებათა შინა ოცნებითა⁴. და ვითარ ვერარაჲ უძლო⁵ ამათ მიერ, მერმე იწყყო შინებად მისდა ოდესმე სახითა მჯეცთაჲთა, ოდესმე სახითა ქუეწარმავალთაჲთა, რამეთუ იქნის⁶
 25 ლომ და ვეფხ და დათუ და გუელ რქოსან, და აშინებენ ოდესმე ლამით და ოდესმე დღისით. ხოლო იხილა რაჲ⁷, რამეთუ გურდემლსა ჰედდა, ანუ კუერსა⁸ სცემდა, კუალად მოიცვალა სხვთ კერძო და ლამესა ერთსა ქმნა
 30 ესევეთარი რაჲმე ოცნებაჲ, რამეთუ შეკრბეს მუნ დამკვდრებულნი იგი ეშმაკნი და იქმნეს სიმრავლე ამბოხისაჲ ფრიად⁹ და დაესხნეს, ვითარ ჰნებვიდა მოკლვაჲ მისი. არამედ ყოველად არა შეირყია ნეტარი ესე ოცნებათა
 35 მათგან მათთა, სრულ ყო გულს-მოდგინებით და დაწყნარებულად ლოცვაჲ თჳსი. მერმე გამოვიდა ქუაბით და ჰრქუა მათ: უბადრუკნო, არა უწყითა, რამეთუ სადა ძალი ქრის-

1 სხსუმელისაგან E. 2 სასოებითა G. 3 საფრჯეთა CD. 4 რომელნი CDE. 5 უცნებით-
 თა D 6 უძლოს C. 7 იქმნი C. 8 რაჲ—E. 9 ჰუერსა C. 10 ფრიადი C.

ღ

ღ

ტესი არს, მუნ თქუნ მიერ არარაჲ¹ შესაძ-
 ლებელ არს. აჰა ესერა ესეოდენნი² დღენი
 არიან და ყოველსა რომელსა ჰყოფთ და
 ვერცა მოახლებად ჩემდა უძღვებთ³, რამე-
 5 თუ ქრისტე ღმერთი ჩემი ძალ⁴ ჩემდა და
 ცხოვრება და სიქადულ, და მე თქუნგან
 ყოვლად არა მეშინის, არამედ უფროდსა
 აწ მე გეტყვ თქუნ სახელითა უფლისა ჩუე-
 ნისა იესუ ქრისტესითა: წარვედით და განმე-
 10 შორენით ჩემგან ყოველნი მოკმედნი უსჯუ-
 ლოებისანი. ხოლო ეშმაკნი სიტყუასა ამას
 ზედა ივლტოდეს მისგან და ჰრქუეს მას: შიო,
 ამპარტავანო ბერო, აჰა ესერა ხვალე მთა-
 ვარი ჩუენი მოიწვევის აქა, რამეთუ აწ ბრძო-
 15 ლად და მოკლვად არს მოძღურისა შენისა
 იოანესსა და ხვალე მოაკუდინოს იგიცა და
 მოიწიოს აქა და მოგაკუდინოს შენცა ბო-
 როტად. ესე ჰრქუეს და წარვიდეს.

ხოლო განიპყრნა გელნი თჳსნი ღმერთი-
 20 სა მიმართ ნეტარმან შიო და ხადოდა შემწედ
 ძალსა მისსა. და ღამე იგი განათია გელ-
 განპყრობით გარეგან ქუაბისა მის თჳსისა.
 და ვითარცა მოეახლა ცისკარი, იხილა
 ქუაბსა მას შინა თჳსსა ნათელი მიუთხ-
 25 რობელი, რომლისა განცდად ვერ შეუძ-
 ლებდა. და მოეფინა სულნელებაჲ რამ-
 მე მიუთხრობელი, ვიდრემდის ყოვლითურთ⁵
 აღავსო სული მისი სიხარულითა და ჰრქუა
 ქუაბით გამო: შიო, მონაო ერთგულო ძისა
 30 ჩემისაო, მოვედ! და იხილა ქუაბისა მის კარ-
 სა მდგომარე დედაკაცი ყოვლად დიდებული,
 რომლისა განცდად უღონო იყო, ხოლო ერ-
 თი სხუაჲ სახითა მოღუაწეთაჲთა მამაკაცი
 ყოვლად დიდებული და სიმრავლე ფრიად⁶
 35 ერთა ზეცისათა, რამეთუ განღებულ იყო ზე-
 და კერძო კლდისა მის, სადა იყო მცირე იგი
 ქუაბი და ცადმდე იხილვებოდა მწყობრი ან-

ღ ¹ არარაჲ] არა C. ² ესეოდენი E. ³ უძღვო E. ⁴ ძალ] + არს C. ⁵ ყოვლითურთ] — E.

⁶ ფრიადი E.

¶

¶

- გელოზთაჲ, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდისა[სა] ტკბილითა რაჲთმე და მიუთხრობელითა ჳმითა და ყოველნი იყვნეს ნიშითა ჯუარისაჲთა შექურვილ. ხოლო საშინელები-
- 5 სა მისგან დაეარდა ნეტარი შიო ქუეყანასა ზედა, რამეთუ ვერ იტვრთვიდა ბრწყინვალე-ბასა მას განუცდელსა, რომელი დედაკაცისა მისგან გამოკრთებოდა¹. ხოლო მიჰყო² ვითარცა წუერი რაჲმე კუერთხისაჲ დიდებულ-
- 10 მან დედაკაცმან. განაძლიერა³ იგი და ჰრქუა მას: აღდეგ! და აღადგინა იგი და მისცა ჳელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისაჲ მცირედი და ჰრქუა: მე ვარ მშობელი ქრისტეს ღმრთისაჲ, რომელი-იგი შენ შეიყუარე; ხო-
- 15 ლო ჩემ თანა მდგომარე ნათლის-მცემელი არს იოანე. და ვიხილეთ რაჲ სრული სიყუარული შენი ძისა მიმართ ჩემისა, მოვედ ნუგეშის-ცემად შენდა. აწ შეჰამე ეგე, რომელი არს ჳელსა შენსა და ამიერითგან რაჲ-იგი
- 20 ზეცით მოგეცემოდის, მას სჰამდი⁴, და ნულარა გეშინის ბრძოლათაგან ეშმაკთასა⁵, რამეთუ გაქუს მდიდრად მადლი ღმრთისაჲ და იქმნეს უდაბნოჲ ესე აღსაფსე კაცთა მიერ ღმერთ-შემოსილთა, რომელნი მობაძავ იყვნენ
- 25 ცხოვრებასა შენსა და მაქებელ შენდა ეგოს იგი⁶ უკუნისამდე.

ხოლო მოვეგო რაჲ ნეტარი შიო თავსა თვსსა⁷ და ცნა მეუწრნობაჲ ღმრთისა და უბიწოჲსა დედისა მისისაჲ და ჰამა საზრდე-

30 ლი იგი, რომელი აქუნდა ჳელთა მისთა მსგავსი თოვლისაჲ, რომელი მოუძღუნა ბრწყინვალემან მან დედაკაცმან, დატკბა პირი მისი მიუწდომელითა რაჲთამე⁸ სიტკბოებითა და სიხარულითა⁹ განძლიერდა; ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: ჰ იესუ სახიერო და კაცთ მოყუარეო, ჳრომელი იშვე წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთის მშობელი-სა, რათა აცხოვნე შეცთომილნი ეშმაკისა-

ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი იყო¹⁰ ფებოდა რაჲ ქუაბსა მას შინა,³⁵ ილოცვიდა და იტყოდა: ჰ იესუ სახიერო, რომელი მოხუედ¹ ქუეყანად ცხოვრებისათჳს კაცთაჲსა

¶ ¹ მოხუედ BB¹.

¶ ¹ გამოკრთებოდა CE. ² მიყო CE. ³ განაძლიერა C. ⁴ შჰამდი C. ⁵ ეშმაკისათა E.

⁶ იგი—C. ⁷ თავად თვსად C. ⁸ რათამე CDE. ⁹ სიხარულითა|+და CD.

ღ

და იშვე წმიდისაგან ქალწულისა, რაჲთა აცხოვნენ რომელნი მჭურვალთა გულითა შეგიდგენ და გამსახურებდენ შენ. აწ მომეც მეცა მოთმინებაჲ, რაჲთა სათნოდ შენ- და აღვასრულნე მცირედნი ესე¹ დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა და დედისა² შენისა² მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა³ და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა.

15

ამას იტყოდა და ცრემლითა და განგრძობებითა ლოცვისაჲთა⁴ იატაკსა დაალტობდა და განჰმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად⁵. და ვითარცა დაადგრა სამარადი- სოდ მოუწყინებელად ლოცვასა და იხილა ღმერთმან გულს მოდგინედ მოთმინებაჲ მისი და ვითარ⁶ არარაჲ ეპოვნებოდა⁷ უდაბნოსა მას ნუგეშინის-საცემელი⁸ ვითარცაჲ, მანვე სახიერმან და დაფარულთა მხედველმან ღმერთმან, რომელმან გამოზარდა ელია უდაბნოსა⁹ შინა ყორნისა მიერ*, ეგრეთვე წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი¹⁰ გამოზარდა⁹, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა. ხოლო მარჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე კლდისაგან ვშელისა, რომე-

ღ

გან და გამოიქსნენ¹ მოსაენი და ღმრთად კორც-შესხმულად აღმსარებელნი² შენნი მანქანებათაგან მისთა. შენ, მეუფეო უფალო, მომეც მე უღირსსა ამას მონასა შენსა მოთმინებით დადგრომაჲ ადგილსა მას³ შინა, რათა სათნოდ შენდა აღვასრულნე ნეშტნი ესე დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ღირს მყავ შეცა სხუათავე თანა შენ მიერ შეწყალებულთა ხილვად კეთილთა მათ საუკუნეთა მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა უბიწოჲსა დედისა შენისაჲთა და დიდებულთა წმიდათა მოციქულთაჲთა⁴ და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა.

ამათ მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძობილად ლოცვისა აღმასრულებელი⁵ და მუქლთ-მოდრეკით მადლობისა შემწირველი უფლისა მიმართ მრავალთა დღეთა შინა. ხოლო ამას შინა ვითარცა წარჯდეს დღენი რაოდენნიმე და დადგრომილ იყო ნეტარი შიო ლოცვასა და მარხვასა შინა შეუორგულებელსა, იხილა ღმერთმან გულს-მოდგინებაჲ და მოთმინებაჲ მისი და ვითარ არა ჰრიდებდა კორცთა თვისთა ესე- ვითარსა იწროებასა და უღონოებასა შინა დასჯად ნაკლულევაანებისა მიერ ყოველთავე საჭიროთასა, ვინაჲცა მანვე სახიერმან და კაცთ მოყუარემან არა უგულუბელს ყო მონაჲ თვისი, არამედ, რომელმან ელია ყორნისა მიერ უდაბნოს გამოზარდა*, მან⁶ აქა მსახურიცა თვისი შიო შურსა საღმრთოსა შემშორებელი⁷ ზარდა საზრდელისა მოვლინებითა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე მოუყვენდის მას საჭიროსა ნუგეშინის-საცემელსა კორცთასა

ღ¹ მცირედნი ესე]—B'.² და დედისა შენისა]—B. ³ შენთათა B'. ⁴ განგრძობებითა ლოცვისაჲთა] განგრძობული ლოცვითა B'. ⁵ შუენიერად BB'. ⁶ ვითარ]—B'. ⁷ იპოვებოდა B'. ⁸ უდაბნოს B. ⁹ გამოზარდა B'. * III მეფეთა 17, 2-7.
 ღ¹ გამოიქსნა D. ² აღმსარებელნი CDE. * ამას C. ³ მოციქულთაჲთა] + და ყოველთა წმიდათა საუკუნეთაჲსა სათნო ყოფილთა შენთათა C. ⁴ აღმსარებლებელი E. ⁵ მანვე E. ⁶ შემაწირებელი C, შემშურებელი D. * III მეფეთა 17, 2-7.

ღ

ლი კმა-საყოფელ მისდა იყო. ხოლო ესევეთარი რაჲ ღმრთისა წყალობაჲ იხილა მის ზედა, მადლობასა შესწირვიდა ღმრთისა და იტყოდა: ზ უფალო დიდებისაო, 5 კურთხეულ არს სახელი შენი და¹ დიდ არს წყალობაჲ შენი კაცთა ზედა და ვინაჲ ვარ მე უღირსი ესე წყალობისაჲ, გარნა ყოველსავე ზედა ვჰმადლობ სახიერებასა 10 შენსა.

და¹ იხარებდა სულითა და აღიდებდა ღმერთსა. და მიერთი-
გან განძლიერდა უხილავთა მტერ-
თა ზედა.

ღ

და ამას თანა წყალიცა კმა-საყოფელი მოანი-
ქა მას განწმელისა კლდისაგან მარჯუენით
კერძო ქუაბისა მის, რომელსა შინა იყოფე-
ბოდა. ესევეთარი რაჲ ღმრთისა მიერი მეურ-
ნობაჲ¹, მის ზედა ქმნული, იხილა წმიდა-
მან შიო, მადლობასა და ქებასა შესწირ-
ვიდა მისა მეტყუელი: ზ უფალო დიდებისაო
და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინის-ცემისაო^{1ა},
იყავნ სახელი² შენი კურთხეულ უკუნისამდე,
რამეთუ დიდებულ³ არს წყალობაჲ შენი ჩუენ
ყოველთა ზედა, ვინაჲთგან კაცთაცა⁴ და სა-
ცხოვარსა აცხოვენებ შენ, უფალო, სიმრავლი-
საებრ წყალობათა შენთასა, რომელმან ჯერ-
იჩინე ჩუენიცა⁵ უღირსისა⁶ და უნდოჲსა
15 ზრუნვაჲ, ვინაჲცა ყოვლისათსვე ვჰმადლობ
სახიერებათა შენთა, რომელი არა დამიტევებ
მე ცოდვილსა ამას და უჰმარსა მონასა შენსა.
ესრეთ ზეგარდამოჲსა მოურნეობისა^{6ა}
მიმთხუეული ღმრთისაგან იხარებდა სულითა
და აღიდებდა⁷ მეუფესა და მფლობელსა ყო-
ველთასა, რომელმან წყალობით მოხედვა-ყო
მის ზედა. და მიერთიგან დასძინა მღვდარე-
ბაჲ და ლოცვაჲ სხუათა ყოველთა თანა მო-
ღუაწებათა, რამეთუ აგრძნობდა იგი უხილა-
25 ვად წყობასა მისა მიმართ ბოროტთა მტერ-
თა ეშმაკთასა, ვინაჲცა განძლიერებულ იქმნა
საღმრთოჲსა ძალისა მიერ და მოეცა მას ძა-
ლი წმიდისა სულისა მიერ დათრგუნვად თავ-
სა მზაკუჲვარისა გუელისასა და ზესთა ქმნად
30 ისართა და⁸ მანქანებათა მისთა; და წარმოტ-
ნა იგინი დღე ყოველ ფსალმუნებითა და
ზე დგომითა, ლოცვითა ღმრთისა მიმართ,
რამეთუ პირსა შინა თსსა მოაქუნდა სიტყუაჲ
წინასწარმეტყუელისა დავითისი სამარადი-
35 სოდ: უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვაო
ჩემდა, ვისა⁹ მეშინოდის. უფალი შესავედ-
რებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევ-
ძრწუნდე... აღ-თუ-ღგეს ჩემ ზედა ბრძოლა,

ღ¹ და]-B'.
ღ^{1ა} ასეა! ^{1ა} ცემისა C. ² სახლ D. ³ დიდ C. ⁴ კაცთა C. ⁵ ჩემიცა E. ⁶ უღირსისა]+
ამის CD. ^{6ა} ასეა! ⁷ აღიდებდე C. ⁸ და]-C. ⁹ ვისსა C.
7. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

ღ

ღ

8. (9) და ვითარ მრავალნი
 ჟამნი წარვლნა აღზებულსა¹ მას
 საწმილსა შინა მარტოდ მყოფობი-
 სასა², ინება ზეგარდამომან³ გან-
 გებამან, რადთა არა იყოს დაფა-
 რულ ბრწყინვალე იგი ვარსკულა-
 ვი. ამისთვის გამოაცხადა იგი კაც-
 თა შორის. ხოლო სახე გამოცხა-
 დებისა მისისაჲ ესრეთ იყო. რა-
 მეთუ მას ჟამსა იყო ვინმე მთავა-
 რი. სახელით ევაგრე, ქრისტეს
 მოყუარე და საღმრთოთა წიგნთა-
 გან სწავლული და ქრისტეანეთა
 შვილი. ხოლო განგებითა ღმრთი-
 სადთა დღესა ერთსა ჰრქუა შვილ-
 თა⁴ თუსთა და მონათა: განვიდეთ
 ნადირობად. და განვლეს⁵ მტკუა-
 რი და განვიდეს დამართებით აღ-
 გილსა მას, სადა მჯდომარე იყო⁶
 ბერი. ხოლო ყოველნივე მიმოდა-
 იბნივნეს და ევაგრე დგა მარტოჲ
 და მიმოიხედვიდა, რადთა იხილოს
 ნიდირთაგანი რადმე. ხოლო მი-
 შუებითა⁷ ღმრთისადთა იხილა
 ტრედი იგი, რომელი მიართუმიდა⁸

ამისთვისცა მე შენ გესაგ*ა. და კულად: ეომად-
 გეს მე¹ და მომიცვეს მე და სახელითა უფ-
 ლისადთა ვერეოდე² მათ...ა**³. საფრტე შეიმუს-
 რა და ჩუენ განვერენით ამათ. და ესევეითარ-
 5 თა ლოცვათა ზედ-დამწმობელი³ ბოროტ-
 თა ეშმაკთა ძალსა⁴ განიოტებდა მათ⁵ ნი-
 შითა⁶ საუფლოდსა ჯუარისადთა მარტოებით
 მყოფი და მხოლო ღმრთისა მიმართ გალო-
 ბათა და ქებათა აღმავლენელი⁷ მყუდროე-
 10 ბით თუსაგან.

9. ხოლო ამას შინა წარვდეს რად მრავალნი
 ჟამნი, ინება ზეგარდამომამან განგე-
 ბულებამან გამოჩინებაჲ ბრწყინვალისა ამის
 სანთლისაჲ, ვინადთგან არცა შესაძლებელ
 იყო ქალაქისა მთასა ზედა სათნოებათასა და-
 ფუძნებულისა ესრეთ უმეცრებასა შინა და-
 ფარვაჲ***. ამისთვისცა სასანთლესა⁸ ზედა.მა-
 ლალსა დადგმულ იქმნა მნათობი ესე ნათე-
 ლი, რათა ჰნათობდეს იგი ყოველთა**** და გა-
 ნათლდებოდინან მოძღურებათა მისთაგან სულ-
 ნი მორწმუნეთანი. ამისთვისცა მრავალ ჟამ
 დაფარული ესე საუნჯე გამოაცხადა ღმერთ-
 მან სახითა ესევეითარითა. რამეთუ მას ჟამსა
 იყო ვინმე მამაკაცი საჩინოდ მთავარი ციხე-
 დიდისაჲ სახელით ევაგრე, შვილი ღმრთის
 მსახურთა და მორწმუნეთა მშობელთა, და
 სიყრმით თუსითგან ღმრთის- მსახურებასა და
 საღმრთოთა წერილთა წურთასა შინა აღ-
 ზრდილი. ესე⁹ ოდესმე დღესა ერთსა გამოვი-
 და¹⁰ შვილთა და მონათა თუსთა თანა ნადი-
 რობად ინიერ მტკურისა, სადა-იგი იყოფე-
 ბოდა¹¹ სანატრელი შიო. ხოლო ვითარცა
 მიიწივნეს¹² იგინი ამას აღგილსა, მიმოდაიბ-
 ნინეს ყოველნი მარჯულ და მარცხლ ძიებად
 ნადირისა. ხოლო ევაგრე მხოლო¹³ მდგომა-
 რე იყო ერთსა აღგილსა და იქი და აქა ზედ-

ღ ¹ წარავლინა ავზებულსა B'. ² მარტოდ მყოფობისა B'. ³ ზეგარდამო B. ⁴ შევილ-
 თა B'. ⁵ განვლო B. ⁶ იყო — B. ⁷ მიშუებითა B'.
 ღ ¹ მე — C. ² ვერეოდი E. ³ დამწმობელი + მათი E. ⁴ ძალისა CD. ⁵ მათ — CE. ⁶ ნიშ-
 თა D. ⁷ აღმავლენელი D. ⁸ სანთლესა C. ⁹ ესე + პირველ თქმული ევაგრე C. ¹⁰ განვიდა D.
¹¹ იყოფოდა C. ¹² მიიწინეს C. ¹³ მხოლო — C. * ფსალმ. 26,1-3. ** ფსალმ. 117,11. *** მათ.
 5,14. **** მათ. 5,15.

ღ

ღ

განიცდიდა მკვრსედ და იხილა, სადა-იგი შევიდა. ხოლო ვითარცა იხილავს, წარვიდეს სახედ თვსად.

ვიდა, რათა იხილოს რომელიმე მის მიერ ძიებულთა ნადირთაგანი და განგებითა საღმრთოთა იხილა ტრედი იგი პირველ ქსენებული, რამეთუ მიაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოს მიმართ მსგავსად ჩუეულებისა. ხოლო ევაგრე¹ მიხედვიდა ტრედსა მას სიმახვლით, სადა-იგი შევიდა, და იხილა ადგილი იგი და დაისწავა. ამისა შემდგომად ნადირისა კმა-საყოფელისა მომნადირებელი¹⁰ წარვიდა სახედ თვსად.

და ხვალისა დღე კუალად განვიდეს და ვითარცა ყოველნი მიმოვიდოდეს და მთავარი ევაგრე დგა მახლობელად ქუაბისა მის¹, სადა მჯდომარე იყო ბერი. და აჰა კუალად იხილა ტრედი იგი და მოაქუნდა საზრდელი ბერისათვის. და ვითარცა განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი², განკვრდა და შეუდგა კუალსა მისსა და იხილა წმიდა იგი³ შიომჯდომარე ქუაბსა შინა, დაუკვრდა და ჰრქუა: რაა ხარ, ანუ ვინაა. ხოლო ბერმან ჰრქუა: კაცი ვარ უცხოა და ქრისტეს მოსავი და ვარ ქუაბსა ამას შინა მცირესა, რაათა დაყუდებით აღვასრულენ დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო-ვეყო ღმერთსა. ხოლო ნეტარმან ევაგრე³⁰ ჰრქუა ბერსა: ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა⁴ წარვიდე სახედ ჩემდა. ხოლო ბერმან ჰრქუა: შვილო, ვერ ძალ-გიც ტვრთვად სიფიცხლესა ამას უდაბნოა⁵, რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა.

ხოლო ხვალისა დღე კუალად განვიდეს ნადირობად, ვითარ და უწინარესსაცა დღესა. და ვითარცა მიმოვიდოდეს სხუანი ყოველნი ძიებად ნადირისა, კუალად ევაგრე მდგომარე იყო მახლობელად ქუაბისა მის, სადა-იგი იყოფებოდა² ღირსი შიო. და აჰა ესერა ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელისა პირითა თვისითა ბერისა მიმართ. ესე რაა იხილა ევაგრე განცვრებულ იყო განსაკვრებელსა ამას სახილავესა ზედა, ვინაჲცა შეუდგა კუალსა ტრედისასა, რათა ცნას ზედამიწევით³, თუ რომლისა მიზეზისათვის აწლა ორ გზის იხილვა მის მიერ ტრედი მიმღებულად საზრდელსა მის ადგილისა მიმართ. ხოლო ვითარცა მიიწია⁴, იხილა წმიდა მამა შიო, მჯდომარე ქუაბსა მას შინა და მადლობისა აღმავლენელი ღმრთისა მიმართ. და ევაგრე უკუე განკვრებული უცხოა ამას სახილავესა ზედა ზარ-განჯდელი მოშიშებით იტყოდა მისა მიმართ, რამეთუ გულისკმა-ყო ღმრთისა ძლით დაყუდება მისი⁵ ქუაბსა მას შინა: ვინ ხარ და სადაათ, ჰ კაცი ღმრთისაო. ხოლო ბერი ეტყოდა მას: მე კაცი ვარ უცხოა და ქრისტეს მოსავი, ხოლო ვიყოფები ქუაბსა ამას შინა მცირესა განშორებულნი მსოფლიოთა ამბოხთაგან, რათა მყუდროებით აღვასრულენ⁶ დღენი ცხოვრებისა ჩემისანი

ღ¹ მისი B'.² იგი და B. ³ იგი—B'. ⁴ არცადა B'. ⁵ უდაბნოსა B.

ღ¹ ევაგრი E. ² იყოფოდა C. ³ ხედმიწვენი CD. ⁴ მიიწია]+ევაგრე E. ⁵ მისი—C.

⁶ აღვასრულენ D.

ღ

ღ

და ესრეთ უშფოთველად თანამდებსა მადლო-
 ბისა¹ და ღიდების მეტყუელებისა სრულ
 მყოფელი ყოველთა მეუფისა და უფლისა მი-
 მართ სათნო-ვეყო ქრისტესა ღმერთსა ჩუნ-
 5 სა. ხოლო ევაგრე სსმენელი ამათი ნეტარისა
 და ღირსისა შიომხსგან მხიარულ იქმნა ფრიად-
 სულითა და იტყოდა მისა მიმართ: ცხოველ არს-
 უფალი და ცხოველ არს სული შენი, არასადა
 დაგიტეო შენ ამიერიტგან და არცალა წარ-
 10 ვიდელ სახიდ ჩემდა. ხოლო ბერი ეტყოდა მას:
 ვერ ძალ-გიც, შვილო, მოთმენაჲ სიფიცხისა²
 და უღონოებისა ამის უდაბნოჲსაჲსა, რამეთუ
 ვითარ განოაჩინებს სახე შენი, მრავლითა ფუ-
 ფუნებითა აღზრდილსა გხედავ შენ, ვინაჲცა
 15 წარვედ სახიდ შენდა სამარადისოდ შიშსა
 ღმრთისასა მქონებელი გონებასა შინა შენსა,
 რათა დაგიცვას შენ ყოველთაგან საყენებელ-
 თა სულისათა.

ხოლო ევაგრე ჰრქუა: დალა-
 ცათუ ღღესვე იყოს სიკუდილი 20
 ჩემი შენ თანა, არავე¹ დაგიტეო.

და ევაგრე კჳალად სიტყუასა³ უგებდა-
 ბერსა: დალაცათუ ღღესვე⁴ იყოს სიკუდული
 ჩემი შენ თანა, არცა ესრეთ დაგიტეო შენ,
 ღმერთ-შემოსილო მამაო. არამედ აქა დავა-
 დგრე შენ წინაშე და შენ თანა ძკრ-ხილუ-
 ლობაჲ⁵ და იწროებაჲ ყოველივე აღვირჩიო,
 25 ვიდრელა უქუნქცევაჲ კჳალად მსოფლიოთა
 შუებათა მიმართ და განსუენებათა, რომელ-
 ნი მრავალთა შფოთთა მიერ აღსავსე არიან.

ხოლო ვითარცა განიცადა
 ბერმან სიმტკიცე გონებისა მისი-
 საჲ, ჰრქუა ესრეთ, ვითარმედ: მე 30
 რაჲცა გრქუა, ყავ². ხოლო მან
 ჰრქუა: ყოველივე რაჲცა მიბრძა-
 ნოს სიწმიდემან შენმან, ვყო. ხო-
 ლო ბერმან მისცა მას კჳერთხი³
 თჳსი და ჰრქუა: წარვედ და კჳერ- 35
 თხი³ ესე ჩემი ჩაყავ მტკჳარსა,
 ხოლო იგი გზა-გცემს და განვედ
 ჰქელად და წარვედ სახედ შენდა

ხოლო ვითარცა იხილა წმიდამან შიო-
 სიმტკიცე გონებისა მისისაჲ, თქუა ევაგრეს
 მიმართ: აწ უკჳე ვინაჲთგან ესრეთ შეგიყუა-
 რებდეს უდაბნოჲ და ღმრთისათჳს იწროებით
 ცხოვრებაჲ, მერჩიო მე, ყოველივე რაჲცა
 გრქუა შენ. და ევაგრე მიუგო: ყოველ⁴ რო-
 ნელი მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, მხიარუ-
 ლებით ვყო და შევიწყნარო იგი სიტყჳსაებრ-
 40 შენისა. ხოლო ბერმან მისცა მას კჳერთხი
 თჳსი, რომელი აქუნდის ჰელთა მისთა და
 ჰრქუა: წარვედ შვილო და წარიღე ესე და

ღ ¹ არა B. ² ყავ იგიცა ყავ B'. ³ კჳერთხი BB'.
 ჟ ¹ მადლობასა E. ² სიფიცხისა CE. ³ სიტყუას E. ⁴ დღესაჲ C. ⁵ ძკრ-ხილულება E.

ღ

ღ

და ყოველივე საცხოვრებელი შენი
განაგე და წარმოვედ. და ვითარ-
ცა მოიწიო მტკუარსა ზედა, კუა-
ლად ჩაყავ კუერთხი¹ ჩემი და,
უკუეთუ გზად-გცეს², მოვედ ჩემდა,⁵
და უკუეთუ არა გზად-გცეს³, წარ-
ვედ შინა, რამეთუ არა სთნავს
ღმერთსა საქმე ეგე, რომელსა
ჰლაში.

მი-რად-ხეიდე¹ მტკუარსა ზედა, შთაყავ ეგე
წყალსა შინა და შეწვენითა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესითა გზას²-გცემს³ მდინარე იგი
და წიალ-კედ ქმელად, და მისრულმან სახიდი
თვსად, განაგე ყოველი საცხოვრებელი შენი,
ვითარცა ღმერთსა სთნდეს და კუალად უკ-
მოიქვე ჩუენდავე. ხოლო მოიწიო რად მდი-
რესა ზედა, მსგავსად პირველისა კუალად შთა-
ყავ კუერთხი ესე ჩემი მან შინა და, უკუეთუ
10 გზად-გცეს, მოვედ ჩემდა მომართ მოსწრაფე-
ბით, რამეთუ ნება არს ღმერთისა⁴, ხოლო
უკუეთუ არა განიპოს და არცა ერჩდეს ამას
კუერთხსა არა გზად-მყოფელი შენი შორის
მისსა, უკუნიქვე⁵ სახიდი თვსად, ვინაფთ-
15 გან მტკიცედ უწყოდე, არა სთნავს ღმერთ-
სა ჯელ-ყოფად ეგე შენი.

ხოლო მან ფიცით⁴ მოიმტკი-
ცა ბერი და რადთა არა ივლტო-
დის ადგილისა მისგან. ხოლო მან
აღლუთქუა და იგი წარვიდა. და ვი-
თარცა მიიწია კიდესა მდინარისა-
სა⁵, შთაყო კუერთხი⁶ იგი ბერი-
სად და წყალმან გზად-სცა და ჯმე-
ლად განიარა.

მაშინ ევაგრეს დალაცათუ მძიმე უჩნდა
სიტყუად იგი წმიდისად ყოვლითურთ დატე-
ვებისათვს და განშორებისა რაოდენადცა
20 ღირისისაგან, არამედ ეგრეცა⁶ მორჩილ ექმნა
ბრძანებასა მისსა ფიცთა დასარწმუნებელთა
მიმღებელი მისგან, რათა არა ივლტოდის
მიერ ადგილით, რამეთუ იტყოდა გონებასა
შინა თვსსა ევაგრე, ვითარმედ: ნუ სადა ჩემ
ძლით დაუტეოს ადგილი ესე, რომელსა შე-
ურაცხ-უქმნიან ყოველნივე შფოთნი ქუეყა-
ნისანი და აქა შინა მარტოებით და იწროე-
ბით აღურჩევიეს ცხოვრებად შორს კაცთაგან
და ყოველთავე ამბოხთა სოფლისათა. ამის-
30 თვსცა ფიცით მიიღო სიმტკიცე ბერისაგან,
რათა დაადგრეს მას ადგილსა ვიდრე უკუნ-
ქცევადმდე მისა. ხოლო წმიდამან აღლუქუმით
დაარწმუნა, არასადა წარსლვად, ვიდრე მი-
წვევადმდე მისდა. და ესრეთ კუერთხისა თა-
35 ნა კურთხევასა ბერისასა⁷ მიმღებელი ევაგრე
წარვიდა აღსრულებად ბრძანებულისა. და
ვითარცა მიიწია მდინარესა ზედა, ჰრქუა
ყრმასა ერთსა, რათა წარვიდეს და ჰრქუას

ღ. ¹ კუერთხი BB'. ² გკცეს B'. ³ ქცეს B'. ⁴ ფიცითა B'. ⁵ მდინარისა B. ⁶ კუერთხი BB'.
ღ. ¹ მი-რად-ხედ D. ² გზა C. ³ გცემს+შენ C. ⁴ ზღმრთისა არს C. ⁵ უკუნიქვე DE,
უკუნიქვე C. ⁶ ეგრეთცა E. ⁷ ბერისა C.

ღ

და ვითარცა განაგო ყოველი-
ვე და მოვიდა და შთაყო კუერ-
თხი¹ იგი, კულადცა გზა-სცა.

ლ

ყოველთა სახლეულთა მისთა, რომელნი იყ-
ნეს ნასდაგის[ს], რათა მიიწიენენ წინაშე მის-
სა ციხედიდად. ხოლო მან შთაყო კუერთხი
იგი მას შინა, ვითარცა მცნებულ იყო მისთვის
5 ბერისაგან, და (ჟ საკვრველი!) მეყუსეულად
მდინარე ესე დიდი, რომელსა ყოველნი მე-
ცნიერ ხართ, განიპო საშუალ შეკდიმებუ-
ლი განკმელისა კუერთხისაგან და გზა-სცა
ევაგრეს დაულტოლველითა ფერჯითა სლვად
10 მას შინა.

ხოლო ვითარცა მივიდა სახიდ თვსად,
განაგო ყოველივე¹ საცხოვრებელი თვისი, ვი-
თარცა ემცნო მისთვის ბერსა. და მისცა გლა-
ხაკთა უმეტესი კერძო მონაგებთაგან თვსთა
15 და ზეხაროდენსა² დამტევებელი ნათესაგთა
და სოფლისა, მოსწრაფე იყო, ვითარ სხუაჲ
ვინმე ლოთ სეგორს ლმრთისა მონისა მიმართ
მიწევნად არლარა მიმხედველი გონებითა და
თუალითა სოფლამდე³, რამეთუ მოშიშებდა,
20 ნუსადა მართლ უკუნ მხედველი არა წარ-
მართებულ იქმნეს სასუფეველისა მიმართ
ცათასა, ვითარ ძეგლ მარლისად შეყინებუ-
ლი მიწიერთა და სოდომებრთა ცნობა ვნე-
ბულებათათვს,* ვინაჲცა მალიად მქონებელ
25 იყო სლვისა კიდედმდე მდინარისა ჯელთა ში-
ნა მქონებელი კუერთხსა ბერისასა და მსგავ-
სად პირველისა შთაყო წყალსა მას შინა კუერ-
თხი იგი ღირსისა შიოძისი და კულად გზა-
სცა³ ფრიად დიდმან და საზარელმან წყალ-
30 მან⁴.

ეჰა ძლიერებაჲ შენი ქრისტე ღმერთო!
ესე სასწაული არა უდარეს არს, ძმანო, სა-
სწაულსა მას, რომელი იქმნა წინასწარმეტყუე-
ლისა და ლმრთის მხილველისა მოსეს კუერ-
35 თხისა მიერ,** რამეთუ დაღაცათუ მუნ ღმერ-
თი იყო მბრძანებული და წინასწარმეტყუელ-
თა უპირატესი მოსე ბრძანებული მსახური
საღმრთოჲსა დიდებისაჲ, არამედ აქა მად-

ღ¹ კუერთხი BB'.

ლ¹ ყოველი E. ² ხოფლამდი D, სოფლამდი C. ³ სცა]+წყალმან C. ⁴ წყალმან]-D.

* შესაკმ. 19, 22—26. ** გამოსლვ. 14, 16—22.

ღ

ღ

ლით განღმრთობილი სულისა წმიდისა მიერ მსახური და მონაჲ ღმრთისაჲ შიო იყო მბრძანებელი ახლისა ამის მოსესი, რომელმან კუერთხისა ცემითა განიყვანა ისრაჲლი, ეგ 5 რეთვე ევაგრე შორს ყო¹ გონებაჲ თჳსი ყოველთავე ქუეყნიერთა ზრუნვათაგან ხედვად ღმრთისა მიმართ. ხოლო მეგჳპტელნი—შემაწუხებელნი სულისანი, ბოროტნი გულის სიტყუანი—დაანთქნა² სიღრმეთა შინა დაეიწყე- 10 ბისათა და ყოვლითურთ დაფარნა იგინი სამ მოქცევთა შინა მდინარებრთა ცრემლთა ნაკადულისასა. კჳლად ესე სასწაული არა უმცირეს არს, რაჲემს იორდანე განაპო ელისე ხალენითა ელიაჲსითა* და ვთქუა რამე შე- 15 კადრებით, მუნ ხალენი იყო შემცუველი ჳორცთა მათ დიდისა წინასწარმეტყუელისათა და მრჩობლ მიმღებელსა სულისა საწინასწარმეტყუელოჲსასა³, აქუნდა ელისეს, მან სამ ვზის სცა** და ეგრეთ განიპო, ხოლო აქა კუერ- 20 თხი მოლუაწისა კელთა შინა უსრულისა კაცისათა და ორ გზის განაპო ერთ გზის შთაყოფითა. გარნა მუნცა ღმერთი იქმოდა და აქაცა. იგივე აღიდებს მოშიშთა მისთა; დიდება დიდსა მას დიდებულსა სახელსა მისსა! 25 ესევეთარი კადნიერებაჲ მოელო ღმრთისაგან საკუთარსა მონასა მისსა სანატრელსა შიოს, რამეთუ განწმელისაცა კუერთხისა მიერ მხოლოდ ბრძანებით სხუათა მიერ აღჯრ-ასხმიდა ბუნებასა წყალთასა და შორის⁴ ნათსა 30 გზასა⁵ გარეშე ჩუეულებისა კელსა⁶ დასდებდა⁷, რამეთუ ესევეთართა სასწაულთა მიერ უწყის ღმერთმან შემკობაჲ მსახურისა თჳსისაჲ, ვინაჲცა ვისწრაფოთ ჩუენცა სიწმიდისა მიერ და კრძალულებისა სათნო-ყოფა ღმრთი- 35 სა, რათა მოვილოთ მაღლი საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევისა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ⁸.

ღ¹ მგრეთვე ევაგრე შორს ყო—CD. ² დაანთქენ C. ³ საწინასწარმეტყუელოჲსასა|+ რომელი E. ⁴ შორს E. ⁵ გზასა| გზა-სცემდა E. ⁶ კელსა C. ⁷ კელისა დადებითა E. ⁸ ვიდეთ C. * IV მეფეთა 2, 14. ** ასეა (მოსალოდნელი იყო: ორ გზის).

ღ

და მოვიდა წინაშე ბერისა და ჰრქუა: მამაო წმიდაო, ვითარცა მიბრძანე, ყოველივე ვყავ.

ღ

- ესრეთ საღმრთოხსა სურვილისა მიერ აღძრული, ევაგრე ღირსი, ვითარცა მოიწია წინაშე ბერისა ყოველსავე ბრძანებასა მისსა სრულ მყოფელი, თქუა წმიდისა მიმართ: წმიდაო მამაო, ვითარცა მიბრძანე, ყოველივე ეგრეცა¹ ვყავ და აწ ესერა მოსრულ ვარ წინაშე სიწმიდისა შენისა კუალად მორჩილებით სრულ ქმნად, რომელიცა რავე მიბრძანო.
- 10 ხოლო წმიდამან შიო მიუგო მას: კეთილ მორჩილებისა შენისა (მიერ), შვილო, და² უფალმან ღმერთმან³ განგაძლიერენ და მოგეცინ შენ ძალი მოთმენად ყოველთავე შემთხუეულთა შენდა ძკრის ხილვათა და ქირთა მტერისა მიერ მოწვევულთა, ვინაჲცა განეკრძალე ყოვლით კერძო და მღვდარე იყავ. რამეთუ მრავალ-მანქანა არს ბოროტი ეშმაკი და ისწრაფის შებრკოლებასა ჩუენსა გზათაგან საღმრთოთა, ნუ სადა შენცა დაგი-
20 რწყას⁴ საბრვე⁵ და შთასთესნეს⁶ კეთილსა იფქლსა შინა გონებისა შენისასა ბოროტნი ღუარძლნი კუალად სოფლად⁷ უკუნქცევი-სანი.

- ესევეითართა და მსგავსთა ამისთა სიტყუათა მიერ განამტკიცა ევაგრე ღირსმან შიო და ასწავა მას ვითარ ჯერ-არს წინა განწყობაჲ ღონეთა მიმართ და ძმაცუფათა მბრძოლისა ჩუენისა ეშმაკისათა და ჰრქუა: აწ უკუე, შვილო, ოდეს მოვიღეთ გულ-სავსებაჲ ღმრთისა მიმართ შენ ზედა ყოველი, რომელი გთნავს ცხოვრებისა შენისათჳს, ყავ. ხოლო შეუერდა⁸ ფერჯთა ბერისათა ევაგრე⁹ და ევედრებოდა, რათა სრულ-ყოს მონაზონებითა. ჰრქუა მას შიო: აჰა ესერა მე დაეასხამ, შვილო, ცოდვილ-
35 თა კელთა ჩემთა შენ ზედა, ხოლო უფალმან ღმერთმან უხილავად ზეცით დაგდევინ მარჯუენე¹⁰ და სრულ გყავნ¹¹ ყოვლითა კურთხევითა. და შეჰმოსა მას ნეტარმან შიო წმი-

ღ¹ ეგრეც C. ² და]—E. ³ ღმერთმან]—E. ⁴ დაგირწყას D, დაგირწყუას C. ⁵ საფრკე CE. ⁶ შთასთესნეს E. ⁷ სოფლადმი CD. ⁸ შეურდა DE. ⁹ ევაგრი CD. ¹⁰ მარჯუნა CD, მარჯუნა E. ¹¹ გყვენ C.

¶

¶

და ანგელოზთა სახე (სქემამ) და ასწავა მას ყოველი წესი მონაზონებისა და სჯულ-უღდა ყოველი¹ წესი მონაზონთა კრებულისა და ვითარ უღირს მას ყოველთავე ჯორციელთა-
 5 გან განყენებად და მხოლოდ ღმრთისათვის შესაკუთრებად, და განუჩინა მას საზღვარი ჯდომისა და² დგომისა, ლოცვისა და შრომისა. და მოვლო ზემო კერძო განშორებულად და პოვა ქუაბი და უბრძანა, რათა მუნ შინა
 10 იყოს. და განაკრძალა იგი სულთა ბოროტთა ზედა მოსლვისაგან და თუ ვითარ უგმს ბრძოლა მათი, ასწავა ყოველი და თავადი წარვიდა თვსადვე საყოფელად.

მიერიოგან³ განცხადანა სახელი შიომღისი ყოველსა მას გარემო⁴ სოფლებსა ევაგრეს ძლითა,⁵ და მოვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქმნებოდეს და დაემკვდრებოდეს მახლობელად ევაგრესსა⁶. ხოლო აღვიდის რამ კურიაქსა⁷ ნეტარი შიო, იხილნის ყოველნი
 20 და სწავლითა⁸ შემოზღუდნის.⁹ იგინი და თუ იყოფებინ მყუდროებით ქუაბსა მას შინა თვსსა.

დღესა ერთსა იხილა ნეტარმან შიო, რამეთუ ძმასა ვისმე მოაქუნდა წყალი და, ვი-
 25 თარ მოვიდოდა, უბრკუმ¹⁰ მას ეშმაკმან და შემესრა სარწყული მისი და მწუხარე იქმნა ძმად იგი, რამეთუ ფრიადი შრომად თავსედვა გზისა და მოაქუნდა დიდისა მისგან მდინარისა ძმათათვის სასუმელად, რათა მო-
 30 ილოს მათ მიერ კურთხევად. იხილა რამ იგი ნეტარმან შიო, რამეთუ ცრემლოვდა¹¹, შეწუხნა ფრიად იგიცა და მიხედნა, რამეთუ მახლობელად კლდისა მდგომარე იყო ანგელოზა, მზრდელი მისი, და კუერთხითა ვი-
 35 თარცა რასმე გამოაფოსოებდა ძირსა მას¹² კლდისასა. გულისკმა-ყო შიო, ვითარმედ მოავლინა ღმერთმან¹³ ნუგეშინის-ცემისათვის მათ ძმათასა, რათა მოსცეს¹⁴ მათ წყალი და

¶ 1 ყოველივე C. 2 და]—CD. 3 ამიერიოგან C. 4 გარემოს E. 5 ძლით E. 6 ევაგრესისა D. 7 კურიაქს C. 8 სწავლით C. 9 შეზღუდნის E. 10 უბრკამ CE. 11 ცრემლოვდა CDE. 12 მის CDE. 13 ღმერთმან]—C. 14 მისცე C.

ჲ

ჲ

ჰრქუა ძმასა მას: ნუ სწუხ, ძმაო, რამეთუ ცრემლთა შავათ წილ შენთა და სასოებისა მაგისტუს შენისა აჰა ღმერთმან მაგან აღგილსა აღმოაცენა წყალი, რათა მიერ აღმოივსე-
 5 ბოდეს სარწყული უშრომელად ძმათათჳს. და აჰა ესერა სიტყუსა თანა ბერისასა აღმოცენა მცირე წყაროჲ, რომელი კმა-ეყოფოდა ძმათა წათ მდიდრად, რამეთუ იყვნეს იგინი ოცდახუთ ოდენ და ჰმადლობდეს ღმერთსა.

9. (10) ხოლო მან ჰრქუა: 10
 შვილო ევაგრე, უწყოდე, რამეთუ ამიერითგან განმრავლებად არიან ძმანი უდაბნოსა ამას შინა¹. ამის-
 თჳსცა ჯერ-არს, რათა ეკლესიაჲ აღვაშენოთ, სადაცა გზბრძანოს 15
 ჩუენ უფალმან. ხოლო აღვიდეს ქედსა მას ზედა, რომლისა ძირსა მჯდომარე იყო წმიდაჲ შიო. და ვითარცა ილოცეს, ნოილო ცეცხ-
მღვმე ესე დასაფლველცა უბადრუკთა ამათ ჯორცთა ჩემთა. ხოლო თქუენ გამოირჩიეთ თქუენ ზედა წინამძღუარი, რომელი შემძლებელ იყოს¹ განგებად სულთა თქუენთა ცხოვრებისა. ჰრქუეს მას ყოველთა: მამაო წმიდაო, ჩუენ შენ მიერ შემოკრებულ² ვართ უდაბნოსა ამას³ შინა, მინდობილნი წმიდათა ლოცვათა შენთა და სულიერთა სწავლათანი⁴ ვმოქალაქობდით და მოველოდით შენ გუერ ცხოვნებასა⁵ სულთა ჩუენთასა. ხოლო აწ, ოდეს ვერ შეუძლებთ ნებისა შენისა განკუეთად. შენვე იხილე, რომელი იყოს და შემძლებელ განგებად ჩუენდა და ცხოვრებად სულთა ჩუენთა. ჰრქუა ნეტარმან შიო ევაგრის, რათა მიითუალნეს ძმანი იგი და უძლოდის⁶ მათ, ვითარცა იგი უხილავს მისგან ყოველსა მას გზასა.

ხოლო წმიდა ევაგრი, ვინაფთჳან მმუდ⁷ იყო და მდაბალ⁸ გულითა, არა თავს-იღებდა და მთავრად და წინამძღურად ძმათა ზედა დადგინებასა და უძლურებასა გონებისასა წინა-დაუღებდა ესრეთ მეტყუელი: ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაფცა ნუ მიიძულებ⁹ მე ჴელ-ყოფად საქმესა ამას უზემთაფსსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძლური ტართვად ესეოდნთა¹⁰ მონაზონთა ჯეროვანსა მოუტრნობასა. ხოლო ნეტარმან შიო მიუგო მას: უკუეთუ მორჩილ იგუექმნა, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და ნეტარებაჲ მორჩილთაჲ დაიმკვდრო დიდებისა მას შინა¹¹. უხილავსა, ხოლო უკუეთუ ურჩებაჲ შეიმოსო, ურჩებისა პატივსა ზღვეულ იქმნე მიცემად; ინებე¹² უკუე შენცა მსახურებაჲ ძმათაჲ, რომელი მოგატყუებს¹³ დიდებისა, ვითარცა იტყვს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე: რომელსა უნდეს

ღ ¹ მომატყუებელი BB'. ² ღმრთისა მერ B'. * მარკ. 10,44.

ღ ¹ იყო D. ² შეკრებულ D. ³ მას D. ⁴ სწავლათანი+კეთილად E. ⁵ ცხოვრებასა C.

⁶ უძლოდეს CD. ⁷ მმუდი CDE. ⁸ მდაბალი CD. ⁹ მებრალუბთ D. ¹⁰ ესოდნთა C. ¹¹ შინა—E.

¹² ინებე C. ¹³ მოატყუებს C.

ღ

ღ

თქუენ შორის დიდ ყოფად, იყოს იგი ყოველთა მონად და მსახურა*. და აწ ჯერ-არს შენდა, რათა დიდების მომატყუებელი სი-მდაბლე მიიღო¹.

ხოლო მან თაყუანის-სცა და 5
3 რქუა: რადცა მიბრძანო, ვყო, მამაო პატიოსანო. და წარემართა მსახურებასა ძმათასა.

მაშინლა ძნიად სადმე² ირწმუნა სი-ტყუად ბერისად და თაყუანის-მცემელმან მისმან: პატიოსანო მამაო,—თქუა,—რომელი-ცა რადვე მიბრძანო, მორჩილებით მივითუალო და ვინებო აღსრულებად მისი, ლოცვათა შენ-10 თა წმიდათა მინდობითა. ამისა შემდგომად ევაგრი, მოშიშმან³ ურჩებისა პატიეთამან, მიიღო კუერთხი წინამძღურობისად კელთაგან შიოხსთა. ხოლო ნეტარმან შიო მრავლითა სწავლითა განამტკიცა იგი და შევედრნა ძმა-15 ნი იგი. ევედრნეს უკუე ყოველნი ძმანი ნე-ტარსა შიოს, რათა მისცნეს მათ სწავლანი მის მიერნი, რათა აღმოიკითხვიდენ იგინი⁴ დღეთა შინა კვრიაკეთა და სურვილსა წმი-დისა მის პირისა მისისასა აღმოივსებდენ.
20 16. ხოლო აღუწერა მათ ნეტარმან შიო ას სამოცი თავი⁵ სწავლად ყოვლად⁶ შეუნიერი და ტკბილი, რომლითა განისწავ-ლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარა-დის და ირწყუებოდეს ვითარცა ნერგნი
25 ღმრთივ სულიერნი წყაროთა სამოთხისათა და აღორძნდებოდეს⁷ ნაყოფითა კეთილთა საქმეთადთა⁸. აღიპყრნა⁹ ღმრთისა მიმართ კელნი თჳსნი ნეტარმან შიო და შეჰვედრნა ყოველნი იგი ძმანი ღმერთსა და მერმე ამ-30 ბორს-უყო თითოეულსა მათსა და დაჯდა მღვმისა მის პირსა ზედა და ეტყოდა ესრეთ: შვილნო ჩენნო საყუარელნო და ძმანო ჩემნო სულიერნო და უფროდსლა უფალნო ჩემნო, კურთხეულ აოს ქრისტე ღმერთი ჩუე-35 ნი, რომელმან შეგპრიბნა თქუენ უდაბნოსა ამას მაქებელად წიდიისა სახელისა მისისა. აწ ისმინეთ ჩემი, შვილნო, მოხუცებულისა ამის მამისა ჩუქუენისა. უწყით განაღა, რა-მეთუ არა იძულებითა ვისითა¹⁰ შეპოხუედით

ღ¹ მოიღო D. ² სადამე D. ³ მოშიშმა D. ⁴ იგინი—E. ⁵ თავი—E. ⁶ ფრიად C. ⁷ აღორ-ძინდებოდეს DE. ⁸ საქმეთათა CD. ⁹ აღიპყრნა+უკუე C. ¹⁰ ვისითაჲ C. * მარკ. 10,44.

¶

¶

წესსა ამას შინა, არამედ ნებსით; და სიყუარულისათჳს ღმრთისა იჯმენით¹ აღმთქუმელთა წინაშე მისსა და ყოველთა ანგელოზთა მისთა უარ-ყოფად სოფლისა და საქმეთა მისთაგან და მოქალაქობად სიწმიდით და მორჩილებად წმიდისა სახარებისა მისისა² ყოველითა გულითა შეუორგულებელად და აღებდა ჯუარი მისი მწართა თქუენთა ზედა და მოძულებდა მამა და დედა და³ ცოლი და შვილი და⁴ ძმანი და დანი და თვთ სულიცა თქუენი და ეგრეთ შედგომად მისდა.

ეკრძალენით, ძმანო ჩემნო, მტერსა⁴ მას ბოროტსა, რომელსა ჰნებაეს მარადის წარწყმედად ჩუენი, ნუ სადა მიერჩდე⁵ სულთა მკლველსა მას გუელსა და უარ-ჰყოთ აღთქუმად ეგე⁶ თქუენი, რამეთუ დღე და ღამე მღვდარე არს მტერი ჩუენი, ვითარცა იტყვს წმიდა და დიდებული თავი მოციქულთა პეტრე, ვითარმედ: ღვანიფრთხუეთ და მღვდარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ღომი მყვრალი მიმოვალს⁷ და ეძიებს, ვინმეცა შთანთქა⁸. არამედ წინა-აღუდეგით მტკიცენი⁹ საწმუნოებითა, უწყოდეთ, იგივე ვნებათა მათ¹⁰ მიზეზად ამას სოფელსა შინა, ძმობასა მას თქუენსა კეთილად და სათნოდ¹¹ აღასრულებდით*.

ძმანო ჩემნო, მტკიცედ დეგით, რომელსა ზედა იჩინენით, რამეთუ უმჯობეს იყო ყოვლად არა შესლვაჲ მონაზონებად, უკუეთუ არა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან ცოდვისა, რომელი იქმნების ჯორცთაგან და რომელი იქმნების გარეშე¹² ჯორცთასა; ისმინეთ წმიდისა სახარებისა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: სიტყუათათჳსცა უქმთა სიტყუად მისცეთო დღესა მას** ეჰა, ვითარ ზარის¹³ საჯდელ არს ბრძანებაჲ ესე მეუფისაჲ, რამეთუ არა წინასწარმეტყუელისა არს, არცა მოციქულისა, არცა ანგელოზისა, არამედ თვთ მის

¶ ¹ იუნჯენით D. ² მისსა C. ³ და—C. ⁴ მტერსა—C. ⁵ მერჩდე C. ⁶ ეგე—E. ⁷ მიმოვალ C. ⁸ შთანთქას DE. ⁹ მტკიცენი—C. ¹⁰ მათ—C. ¹¹ კეთილად და სათნოდ—CD. ¹² გარე C. ¹³ ზარი C. * I პეტრე 5,8-9. ** მათე 12,36.

¶

¶

უფლისა მსაჯულისა ცხოველთა და მკუდარ-
თასა, რამეთუ თუ მან თქუა¹ ესე: რომელ-
სა ეგულვების განსჯად საქმეთა ჩუენთაჲ,
ვევედრნეთ თუალ-უხუაყსა მას მსაჯულსა, რა-
5 თა არა სიტყუათა ჩუენთაგან დასჯილად გა-
მოეჩნდეთ წინაშე მისსა, ვითარცა-იგი კუა-
ლად წერილ არს, ვითარმედ: «სიტყუათა შენ-
თაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან
დაისაჯოა*».

10 უწყოდეთ საყუარელნო, რამეთუ სიკუ-
დილი ახლოს არს, ახლოს და კართა ზედა,
და კმობს მეუფე: იღუძებდით, რამეთუ არა
იციით, ოდეს მოვიდეს მპარავი, ნუ უკუე გან-
კურითოს გუერდი სახლისა თქუენისაჲ, ოდეს
15 არა უწყოდით, და მიგპაროს სული თქუენი
და არღარა გერგებოდის^{1ა}, იღუძებდით უკუე²,
რამეთუ არა იციით დღე იგი არცა ჟამი, რო-
მელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს**.

განეკრძალენით, ძმანო, ყოველსა, რომე-
20 ლი მიიყვანებს სულთა წარწყმედად. იყვენით
მორჩილ³ სწავლათა შინა და მსახურებასა
შინა აღუზუავებელ. და ესრეთ შერაცხენით
თაენი თქუენნი, ვითარცა მკუდარნი მოძაგე-
ბულნი, რამეთუ პირველი კიბე სათნოებათა
25 არს სიმდაბლე, რომელი-იგი აღიყვანებს
ღმრთისა - შემტკობელთა⁴ მისთა, რამეთუ
შეიყუაროთ თუ სიმდაბლე, მსწრაფლ მოიხი-
ლოს ღმერთმან თქუენ ზედა, გესმის⁵ ვითარ
იტყუს: ვის მივხედნე, გარნა მშუდსა და მდა-
30 ბალსა და რომელი ძრწოდის⁶ სიტყუათაგან
ჩემთა.

მოიქსენეთ, უფალნო ჩემნო, ოდეს-იგი
სოფლით გამოხვდოდეთ⁷, ვითარ აღუთქუთ
ღმერთსა უნდოსაცა რასმე საკმრისა არა
35 მოგებად თქუენდა, არამედ რათა იყვნეთ
თქუენ ზოგებით, ვითარცა წერილ არს. და
იყვენეს ყოველთა სულნი და გულნი ერთ. ნუ
ხართ უსასო ქრისტესგან და ნუ ესავთ სი-

¶ ¹ თქუა მან CE. ^{1ა} გერგებოდეს CDE ² უკუე—CD. ³ ამორჩილ იყვენით CE. ⁴ შემ-
მტკობელთა C. ⁵ გესმისა C. ⁶ ძრწოდეს CD. ⁷ გამოხვდით E. * მათე 12,37. ** შდრ. ლუკა
12,39-40.

¶

¶

- მდიდრესა და მოგებასა და¹ საჯმართა², რამეთუ ესე არს დედაჲ ყოველთა ბოროტთაჲ და ესრეთ განჯრწნენს გონებანი უმანკოთანი, ბოროტმან ამან ძკრმან, რამეთუ იწყის პირ-
 5 ველად მცირით რაჲთმე და უნდოვთ საჯმრით და თქვს: ესე არარაჲ არს; და კუალად სხუაჲ რაჲმე მოიგის და თქვს: ესე არა სიმდიდრე არს, არამედ ჯოცთათჲს საჯკროჲ; და კუალად განვაჯკრის რაჲმე და თქვს: ვერ
 10 ეგების კაცი, თუმცა ცხოვნდა თჳნიერ ამისა და სხუათა ჳელსა მიხედვიდა, არამედ უფროჲსლა უმჯობეს არს, რათა მოვიგო³ ჳემთჲსცა და ვილუწიდე გლახაკთაჲცა; და კუალად მოასესხის ვისმე და ჳნებავენ უფროჲსი
 15 და თქვს: არა ვისგან მიმიხუეჳიეს, ჳემი არს უბრალოჲ და არა ჳრჳჳან ამას აღნადგინები; და კუალად თქვს: მივსცე ვისმე ესე, რათა ამიერ ვიზრდებოდიცა⁴ და უკუანაჲსკენელ ჳემთჲს წარაგონ სხუათა.
 20 ჳ უბადრუკებასა⁵ ბოროტსა, რამეთუ მრავალ გზის არცა თუ ერთი დანგი ვინმე⁶ წარაგის მისთჲს და ესრეთ მცირედ ანგაჳრებაჲ და ყოველთა უძკრესი კერპთ მსახურებაჲ, ვითარ არა უწყინ, ეგრეთ აღასრულის. განე-
 25 შორენით, ძმანო, სულთა დამაქციველსა ამას სენსა, რომელი მოიგო იუდა და იხილეთ, თუ⁷ ვითარსა ფსკერსა ჯოჯოხეთისასა მისცა თავი თჲსი. ნუმცა იპოვებიან თქუენ შორის კრებანი, ვაჳარნი და ვაჳრობანი. უფროჲს-
 30 ჲ ილუაწეთ, რათა მოივაჳკროთ სასუფეველი ცათაჲ, რამეთუ რაჲ შეიძინოს კაცმან, უკუეთუ ყოველი სოფელი მისი იყოს, ანუ რაჲ გჳძლავს განღებად სოფლით თჳნიერ კეთილთა საქმეთა, რომელთა სასყიდელი მუნ მო-
 35 ვილოთ? შეიყუარეთ უპოვარებაჲ, რომელი იგი მიმაახლე⁸ბელ არს ჲმრთისა. აჳა ესერა გუესმის წმიდათა მამათა ცხოვრებაჲ, რამე-

¶ 1 და]—E. 2 საჯმართასა CD. 3 მოიგოთ D. 4 ვიზრდებოდეცა CD. 5 უბადრუკსა C.

6 ვინმე]—E. 7 თუ]—E.

* აქედან 136-ე გვერდის მე-13 სტიქონამდის E-ს აკლია.

ღ

ღ

თუ ამით მოიგეს ღმერთი და ესრეთ თუ იყვნეთ, თქუენცა მოგეახლოს ღმერთი; უკუეთუ მისდა ოდენ დასდვათ¹ სასოებაჲ, ლოცვანი თქუენნი, ვითარცა საკუმეველნი სულ-
 5 ნელნი, მსწრაფლ შევიდენ წინაშე მისსა, რამეთუ იტყვს: ამან გლახაკმან ჳმა-ყო, უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჳირთა მისთაგან იჯსნა იგი. ესე განმამდიდრებელი სიგლახაკე შეიყუარეთ, რათა ამის მიერ მოიგოთ²
 10 გული შემუსრვილი და სული მდაბალი, რომელი არა შეურაცხ-ყოს უფალმან.

ევლტოდეთ, ძმანო ჩემნო, სოფლისა ამის გულის-თქუმისა ჳრწნილებასა, განისწავლენით საწოციქულოთა სიტყუათა მიერ,
 15 ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ და სათნოებასა შინა გეცნიერებაჲ და მეცნიერებასა შინა მარხვაჲ და მარხვასა შინა მოთმინებაჲ და მოთმინებასა შინა ღმრთის მსახურებაჲ და ღმრთის მსახურებასა შინა
 20 ძმათ-მოყუარებაჲ და ძმათ მოყუარებასა შინა სიყუარული. ხოლო უკუეთუ სიყუარული გაქუნდეს, გაქუს თქუენ შორის დამკვდრებულად ღმერთი. ამათ გცნებათა შინა იწურთიდინ³ კაცად-კაცადი თქუენი და სახე კეთილი იყვენით ურთიერთას; ურთიერთას კეთილისა⁴ მსწავლელ, ნუ ბოროტსა და მთრვალობასა სულთა წარწყმედელსა, რომლითა იქმნების ბილწებაჲ, ნუ სცემთ ადგილსა⁵ შემოსლვად თქუენ შორის ეშმაკსა. ნუ იქმნებინ⁶ თქუენ შორის ლალვანი⁶, ნუმცა დაგისწრობნ⁷ მზე შთასლვასა განრისხებულთა. ნუ ხართ მდრტუნავ, ურჩ და მაცილობელ და წინააღმდგომ უხუცესთა მიერ. ნუ გიყუარნ⁸ განსლვად სოფლად, რომლისაგან იჯმენით.
 30 ნით. ნუმცა არს თქუენ შორის შური და ჳდომამა. მოშურნე და მობაძავ კეთილთა იყვინიფუ და აღმაშენებელ ურთიერთას. რაჲ იგი გისწავიეს ჳრისტესგან, მას ჳყოფდით და

ღ¹ დადვათ D. ² მოვიგოთ C. ³ იწურთიდენ C, იწურთიდი [D. ⁴ კეთილის D. ⁵ ადგილ C. ⁶ ლალვანი]+და C. ⁷ გისწრობნ C. ⁸ გიყუარან D.

ღ

ღ

მას ასწავებდით ურთიერთას, რათა ძე ღმრთი-
 სა და შვილ სასუფეველისა გეწოდებოდის¹.
 მოიძულეთ² ყოველი შუებაჲ მსოფლიოჲ და
 შეიყუარენით მცნებანი ქრისტესნი, ვითარცა
 5 წმიდათა მამათა და მოძღუართა ჩუენთა შე-
 იყუარნეს და დაიცვნეს, და დაიმკვდრეს³
 სასუფეველი, რამეთუ რაოდენ ქუეყნიერთა-
 გან განეყენნეთ, ეგოდენისა წილ მოიგნეთ
 სულიერნი. ხოლო უკუეთუ ქუეყანისასა
 10 ჰზრახვიდეთ და იქმოდეთ, მიერიოგან განგე-
 შოროს თქუენგან ზეცისა იგი, რამეთუ ვი-
 თარცა წერილ არს, სიყუარული სოფლისაჲ
 მტერობა არს ღმრთისა*. იტვრენით სა-
 წერტელნი იგი უფლისა იესუჲსნი ჯორცთა
 15 შინა თქუენთა, ვითარცა ჯმობს პავლე: მო-
 ითმენდით ყოველსა სიყუარულისათჳს ქრის-
 ტესისა, რამეთუ მან სიყუარულისათჳს ჩუე-
 ნისა თავს იღვა გინებაჲ⁴ და ყუედრებაჲ,
 პირსა ცემაჲ, ბასრობაჲ, ძმარი და ნავლელი,
 20 ჯუართა დასჯაჲ და სიკუდილი. ესე ყოვე-
 ლი და უმრავლესი მოითმინა ჩუენთჳს, რათა
 ჩუენ გუაცხოვნნეს. ჩუენცა მოვითმინოთ, ძმა-
 ნო, სახელისა მისისათჳს სიგლახაკე, სიშიშუ-
 ლე, წყურვილი, ბასრობაჲ, კიცხევაჲ, გინე-
 25 ბაჲ და ყუედრებაჲ, რათა უკუანაღსკენელ, ვი-
 თარცა მან თავადმან აღმითქუა ჩუენ, მოვი-
 ლოთ ნეტარებაჲ იგი და გზხაროდის სასუ-
 ფეველსა ცათასა.
 ნუ დაჰბრკოლდებით ძმანო, რაჟამს
 30 ღმრთისა მიერ განისწავლებოდით. ისმინეთ
 წერილისა, მხილებათა მიერ უსჯულოებისა-
 თჳს განსწავლე კაცი. კუალად ძმად უფლისაჲ
 იაკობ იტყჳს: უკუეთუ განვიცდებოდით, თჳს-
 თაგან გულის-თქუმათა განვიცდებოთ⁵,**რამე-
 35 თუ⁶ უფლისა მიერ განვისწავლებოდით, გი-
 ნა თუ განვიცდებოდით⁶. ყოველსა შინა სი-
 ფრთხილე⁶ გჯჳს ფრიადი, რათა ლოცუვასა მი-
 ესცნეთ⁷ თავნი და არა დრტუნვასა ურგებსა,**

* 124-ე ბეგრდის 36-ე სტრიქონიდან აქამდის აკლია E-ს. ** იაკობ 1,14. *** აქიდან E-ს კვლავ აკლია ბოლომდის.

1. გეწოდებოდეს CD. 2 მოიძულე C. 3 დაამკვდრნეს D. 4 ვნებაჲ D. 5 რამეთუ+გინა თუ CD ენათა E. 6 განიცდებით CDE. 6b განვიცდებოდეთ CD. 6 სითიცხლე CD. 7 მისცნეთ E.

ღ

ღ

და უფრომსლა განსაცდელთა ადგილის-მცემელსა. ილოცვიდით, ძმანო, მოუწყინებელად, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა. ნუ ითხოვთ ლოცვასა შინა, რაჲ-იგი თქუნენ გთნავს, 5 არამედ მას ითხოვდით, რაჲ-იგი უფალსა ჰნებავს, რამეთუ მას დაბადებულთა მისთათჳს კეთილი ჰნებავს.

უეჭუელად უწყოდეთ, ძმანო, რამეთუ აღთქუმანი ჩუენნი აღწერნეს წმიდათა ან- 10 გელოზთა და მიიხუნეს წინაშე ქრისტესსა და დამარხულ არიან აღწერილნი დღემდე მოსლვისა მისისა. და კჳლად ანგელოზნი მკველნი ჩუენნი წერენ ცხოვრებასა ჩუენსა და იგიცა დამარხულ არს დღემდე მო- 15 სლვისა¹ მისისა² და მბრძოლი იგი კაცთა ნათესავისა, წინა-მოსაჯული იგი ჩუენი ყოველსა რაოდენსა გუაცთუნებს და გარდაგუდრეკს გზისაგან საღმრთოთაჲსა³, წერს იგიცა და დაჰმარხავს⁴ იგიცა თჳსსა მას ჟამად- 20 მდე გამოძიებისა უფლისა. აწ უკუე შევიშინოთ, ძმანო, სამთა ამათ კელით წერილთაგან, რამეთუ მაშინ სამართალი ოდენ იქმნას და არა წყალობაჲცა, ჟამი წყალობისაჲ დღეს არს, ხოლო მაშინ ჟამი მშუდობისაჲ. 25 მაშინ არცა ქრთამი არს, არცა სიტყჳს მიცემაჲ, არცა შეწირულ იქმნენ ცრემლნი, არცა დრო მოგუცეს, არამედ წარვდგეთ შიშუელნი და თავ-დადრეკილნი ყოველნი ერთბამად და განეხუნენ წიგნნი თითოეულისა 30 საქმეთანი და მიეჯადებოდის⁵ თითოეულსა თჳსი ვალი და თჳსი აღთქუმაჲ და თჳსნი საქმენი. და გამოვიდეს საშინელი იგი ჳმაჲ, მიწოდებელი მართალთა სასუფეველად, ხოლო წარმდევნელი ცოდვილთაჲ ცეცხლად უშრეტად. 35 ჳ ჩემდა, ძმანო, ვითარ ეძრწი დღისა მისგან, უკუეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმეს ჳმაჲ წარმგზავნელი ჩემი სატანჯველად საუკუნოდ. რაჲლა-მე ვყო უბადრუქმან მა-

ღ¹ გამოჩინებისა C. ² უფლისა C. ³ საღმრთოჲსა C. ⁴ დამარხავს D, ჰმარხავს C.

⁵ მიეჯადებოდის D.

ღ

ღ

შინ, რამეთუ არღარა არს დასასრული სასჯელისაჲ მის, არღარა არს ლხინებაჲ, არღარა გარე მოიქცეს საუკუნოდ იგი, არღარა კუალად განჯორციელდეს ქრისტე, არღარა იქმნეს სხუად

- 5 ცვალებად ერთ გზის განბრჭობილისა¹ მის, რამეთუ ვითარცა ღმერთი უცვალებელ არს, ეგრეთვე განჩინებაჲ და განბჭობად ჟამისა მის არღარა შეიცვალოს არცა მართალთა ზედა და არცა ცოდვილთა ზედა.
- 10 შევიშინოთ შეილნო, რათა, რომელი იგი ნებსით აღუთქვთ, უნებლიეთ არა მოგუეგადოს მისთვის სიტყუაჲ. ვილუაწოთ მცირედ ჟამ და დაუსრულებელსა მას საუკუნესა მოვილოთ წმიდათათჳს განმზადებული იგი
- 15 სასუფეველი და შეუებაჲ იგი წარუვალი და კეთილნი იგი სამოთხისანი, ვითარცა ჳმობს მოციქული: რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუტდა.* ნუ საკირველ გზჩნს მცირედ ჟამისა
- 20 ესე ნაკულღევენებაჲ ჳორცთაჲ, რამეთუ ასი წილი განმზადებულ არს თქუენთჳს, რომელთა ეგე ილუაწეთ.

- ესევეთარად ეზრახა მათ მყოვარ ჟამ და ნუგეშინის-სცა მათ და სწავლითა განა-
- 25 მტკიცნა ყოველნი იგი ძმანი. მიერითგან მოსწრაფებით და ყოვლითურთ კეთილად მსახურებასა ჳყოფდა ძმათასა ევაგრე და სიმარჯჯთ უძლოდა მათ და განაკრძალებდა ყოველთავე მიმართ სივერაგეთა და მანქანე-
- 30 ბათა ეშმაკისათა, ვინაჲცა კეთილად სათნოეყო უფალსა ჳეროვნად მართებითა და წინა-ძლომითა პირ-მეტყუელთა სამწყსოთაჲთა.

15 (17) ხოლო წმიდაჲ შიო, მკვდრი უდაბნოჲსაჲ და ყუავეილი შუენიერი,¹ ნერგი უკუდავეებისაჲ,³⁵ გამომღებელი ნაყოფსა² კეთილსა გულითა ნჭურვალითა მოლოდინისათჳს სასუფეველისა და განსუე-

17. ხოლო წმიდაჲ და სანატრელი შიო შთაჳდა მღუმესა მას ბნელსა შინა ქუე სიღრმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა ჳორცთასა მიცემითა აღმოაჯეჯლოს³ ჳუვეილი წმიდაჲ და რამეთუ იფქლიცა ესრეთვე მიწად შთაოცსული და სიმპალესა მიმოხუეული გა-

ღ. ¹ შუენიერი BB'. ² ნაყოფს B.

ღ. ¹ განბჭობილისა C. ² აღმოაჯეჯილოს D. * I კორინთ, 2,9.

ღ

ნებისათჳს¹ საუკუნოვსა და ცხო-
რებისათჳს სამარადისოვსა² შთა-
ვლად მღვმესა მას შინა.

ჟ ნეტარო და ყოვლად სანე-
ტარო³, ყოვლად მაღლით მოკვ-
ნებული, ვითარ ვაქებდე⁴ სიმკნე-
თა შენთა და სიბრძნეთა, რომე-
ლი ენად იტყოდის, რამეთუ უფ-
როვს⁵ ყოველთა ბრძენთა უბრძ-
ნეს იქმენ⁶. რამეთუ ნათლისა მის
დაუსრულებელისათჳს წუთ ეამისა
ესე⁷ სიბნელე მოითმინე და გან-
ქარვებადისა წილ საწუთროვსა⁸
და განსუენებისა⁹ საუკუნოდ დი-
დება და განსუენება¹⁰ მიიღე,
რამეთუ დანიელ უნებლიათ¹¹
შთაგდეს მღვმესა მას შინა ლომ-
თასა და ღმრთისაგან სამარადი-
სოდ პატივი მიიღო. ხოლო შენ¹²
უნფსით თჳსით შთაჰვედ¹³ მღვმე-
სა ბნელსა ბრძოლად უხილავისა
მის მტერისა¹⁴, რომელიცა დაეც
და შეჰმუსრე¹⁵ ქუეშე¹⁶ ფერჯთა
შენთა და მეორითა მით ნათლის-
ლებისა სახითა იატაკსა მას აჰკუ-
რებდი, რათა ქუეყანასა მას¹⁷
მშვლთასა იხარებდე.

ღ

მოიღებს ნაყოფსა კეთილსა არა შეშთობილი¹
ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი
ძირთა, ვინად და წმიდაცა ესე მიმცემელი
მიწად თავისა თჳსისა აღიხილვიდა ზენა მთა-
5 თა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელო-
და შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სული-
სათა, რომელთა მიერ განაპოხნეს² იგინი
ღმრთისა ზედმოხილვისა წჳმათა მიერ მორ-
წყულთა³.

ხოლო ვინადგან შთაჲდა მღვმესა მას
შინა, ვითარ შეუძლოს კაცობრივმან ენანან
ჯეროვანად წარმოთქუმად სიმკნეთა და მოთმი-
ნებათა ნეტარისა მამისათა, ანუ რომელნი
ღუაწლნი პირველად და რომელნი უკუანადს-
15 კენლად დააწესნეს, რამეთუ მარხვა იყო მისა
სამარადისო და ლოცვა მუტლთ მოდრეკისა⁴
თანა დაუყენებელი; დავრდომილი მიწად
დაალტობდის იატაკსა ცრემლთა მიერ, რომ-
ელნი შთამოდოდეს თუალთაგან მისთა. ვი-
20 თარ წყარონი დაუწყუედელნი ცრემლთა ჩემ-
თასა: ნუ დაიღუმებ,—მეტყუელებდის,—რამე-
თუ მსხეი ვარ მე შენ წინაშე და მომიტევე, რა-
თა განვისუენო⁵ პირველ წარსლვისა ჩემისა.
ხოლო აღდგომილსა ზე ეპყრნიან თუალნი გო-
25 ნებისანი გრძობადთა კელთა თანა მვედრე-
ბელსა: წარენართე[ნ], —იტყოდის,—ლოცვა
ჩემი ვითარცა საკ(უ)მეველი, შენ წინაშე. ხოლო
აღპყრობანი კელთა ჩემთანი, ვითარცა მსხუე-
რპლი სამწუხროვ. და კუალად მცირედ გან-
30 სუენება და მისციის სხეულსა, თჳსაგან
მღუმრიად იტყოდის: დავიდევ მე ნეპსით
მღვმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა, ვინად,
მოწყალე, ნუ გარე-მიქცევ პირსა შენსა ჩემ-
გან, ნუ სადა ვემსგავსო შთამავალთა მღვნედ
35 ჯოჯოხეთისა, არამედ აღმოიყვანე საპყრობი-
ლისაგან ბოროტთასა სული ჩემი აღსაარე-
ბად სახელისა შენისა, რამეთუ⁶ თმენით და-

ღ¹ განსუენებისათჳს BB'.² სამარადისოსა B'.³ სანატრეო B'.⁴ ვაქებდედო B'.⁵ უფროს
B'.⁶ იქმენ B'.⁷ ეამისა ესე] ეამი სავსე B'.⁸ საწუთოვსა B'.⁹ განსუენებისა BB'.¹⁰ განსუენე-
ბად BB'.¹¹ უნებლიათ B'.¹² შენ—B'.¹³ შთაჰვედ] + შენ B'.¹⁴ მტერისად B'.¹⁵ და შეჰმუსრე—B'.
¹⁶ ქუეშე BB'.¹⁷ მას—B'.

ღ¹ შეშფოთებული C. ² განაპოხნეს C. ³ მორწყული D. ⁴ დრეკისა C. ⁵ რამეთუ] +

¶

¶

გითმო შენ, ვიდრემდის მომხედნე და ისმინო
ლოცვისა ჩემისა და აღმიყვანო მღვთისაგან
გლახაკობისა ჯორცთაჲსა და თიჯისაგან უყი-
სა ბრალთაჲსა. ამისა¹ შემდგომად საზრდე-
5 ლისა მიმღებელი, რომელი მიეცემოდა მას
ზენა კერძო შთატევებული ერთისა ბერისა
მიერ და ესეცა მცირედ რაოდენ დაცვად შე-
მტკიცებასა სხეულისასა აღდგომილი კჳალად
ჩუეულებისათა მქონებელი² იტყვს მეტყუე-
10 ლი: არა ესცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრუ-
ლი წამთა და განსუენებაჲ ჯორცთა, ვიდ-
რემდის ვპოვო აღგილი უფლისაჲ და საყო-
ფელი ღმრთისა იაკობისი.

ამათ და ესევითართა ქების მეტყუელე-
15 ბათა და ვედრებათა შემწირველი მარადის
უფლისა მიმართ დადგრომილ იყო ლაკუსა³
მას შინა ყოვლითურთ წყუდიადსა, რამეთუ
სასოებდა ნათელსა მას დაუსრულებელსა
და საუკუნესა მიმთხუევად მცირისა ამის
20 და წუთ ჟამიერისა ბნელისა მოთმენითა და
ესევითართა ღმობიერითა სულითა მეტყუე-
ლებდის: შენ განანათლე სანთელი ჩემი, უფა-
ლო, და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემი-
საჲ, ღმერთო, რამეთუ ბნელი ესე ხილული
25 შენგან არა დაბნელდეს, ნათელო თუალთ
შეუდგამო; ხოლო ღამე ვითარცა დღე გა-
ნათლდეს, ვინაჲ ნუ უგულვებელს-მყოფ მე-
ნებსით ყოველთა ამათ მომთმენელსა სიყუა-
რულისათჳს შენისა.

ესე წმიდაჲ შიო ესრეთ იყო- 30
ფებოდა, ჯორცითა იტანჯებოდა,
ხოლო სულითა განათლდებოდა.
ანიათჳსცა ბნელსა მას შინა მღვმე-
სა¹ ვითარცა ნათელსა და განსუე-
ნებასა² შინა იზუებდა³.*

ესრეთ ჟამთა მრავალთა მოთმინე იყო
რად მღვმესა მას შინა მღუწელი ღუაწლსა
მოღუაწეთასა, განიკაფა ყოვლითურთ სხეუ-
ლი მისი შრომათა მიერ და ჭირთა, რამეთუ
შეიღება იგი ფერსა სიშავისასა მიმღებელი ნო-
35 ტიობისა და ძნელ-სულობისა გესლითა სხუად
ვინამე და უცხოდ ფერად შეცვალებული და
სრულიად განლეული და დამქნარი ჯორცითა

¶ ¹ მღვმესაჲ B'. ² განსუენებასა BB'. ³ იზუებდა BB'.

¶ ¹ ამათსა C. ² მქონებელ C. ³ ლაკუსაჲ C.

* აქ შემდეგ იოანე ზედაზნელზეა საუბარი, რაც, მეტაფორასის მიდევნების გამო, გადატა-
ნილია წინ (იხ. გვ. 62—67) და რასაც აქ მიუძღვის: „ხოლო მოძღურისა იოვანესთჳს ვიტყოდით“

ღ

ღ

18 (18) ხოლო ნეტარმან ამან მამამან ჩუენმან შიო მღვმესა მას¹ შინა პოვა ზეცისა იგი მარგალი² 10 ტი და მრავალნი სულნი შეწირნა ქრისტესა, რამეთუ ფრიად შეკრიბნა² მონაზონნი და მადლითა მისითა აქამომდგეცა³ საესე არიან ყოვლითა კეთილითა სულიერითა 15 და ჯორციელითა, იშუებენ⁴ და იხარებენ სულითა და აღიდეგენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ⁵.

ტყავისა მიერ და ძულთა დაიცივიდა ხატებასა, ვინაჲ¹ არა სათქუმელ იყო ამისა, ვითარმედ: ჯორცინი ჩემნი იცვალნეს ზეცისა მიერ, არამედ უფროდსლა შესატყვს განვმო- 5 ბაჲ ძალისაჲ^{1a}, ვითარცა კეცისაჲ² ფრიადისა მარხვისა მიერ და აქჟუმაჲ ენისაჲ სასასა^{3*} მრავლისა ლოცვისა და ფსალმუნებისა მიერ.

18. ხოლო მადლითა ამის წმიდისა მამისაჲთა აღორძნდა უდაბნოდ იგი და აღსავე- 10 სე იქმნა მონაზონთა მიერ სათნოებითა შეკობილთა და ვიდრე აქამომდე მერმეცა უმეტეს აღორძნდების შეწვევითა ქრისტესითა ამიერ, ვინაჲთგან სრბაჲ აღასრულა და სარწმუნოებაჲ დაიმარხა განწმედითა სულისა 15 და ჯორცთათა, რამეთუ განებანა თავი თჳსი ნაკადულითა ცრემლთაჲთა სამარადისოდ, სიკუდილისა ვსენებად მოვიდა და მერმეცა ჯორცთა შინა⁴ მყოფი განჯსნილ იყო მათგან სრულიად დამვიწყებელი⁵ ბუნებასა კაცობ- 20 რივსა⁶, რამეთუ ზე აქუნდეს თჳალნი გონებისანი გონიერად წინაშე საყდართა სამეუფოთა მდგომარესა სულიერად.

ხოლო სთნდა მეუფესა აღწოდებაჲ მრავლად დამაშურალისა ამის მამაკაცისაჲ გან- 25 სუენებათა მიმართ და სუფევათა უოხვნოთა, ვინაჲ აუწყა მას განსლვაჲ ჯორცთაგან და დაცხრომაჲ ესეოდენთა⁷ ტკივილთა და ლუაწლთაგან, რომელთა მიერ მძლეეკმნა მბრძოლ- 30 სისათჳსცა ეგულვებოდა საძლეველთა მიღებაჲ ლუაწლისა დამდებელისა⁸ ღმრთისაგან. ხოლო ვინაჲთგან ცნა სულისა წმიდისა მიერ დატევეებაჲ სხეულთაჲ, ითხოვა მღ(უ)დელ-მემსხუერპლეთაგან ზიარებაჲ უკუდავთა ქრის- 35 ტეს საიდუნლოთა, და მიმღებელმან პატიოსნისა ჯორცისა და სისხლისამან, ზეცად აღიპყრნა კელნი თჳსნი და: კელთა შენთა, — მეტყუელ-

ღ¹ მას]—B'.² შეკრიბნა B. ³ აქამომდგეცა B'. ⁴ იშუებენ BB'. ⁵ უკუნიითი უკუნისამდე, ამენ]—B.

ღ¹ ვინ D. ^{1a} ძუალისაჲ CD. ² კეცი C. ³ სასასა] + და C. ⁴ შინა]—C. ⁵ დამვიწყებელი D. ⁶ კაცობრივსა] + და ჯორცთაგან და ნაწევაართა შეერთებასა C. ⁷ ესოდენთა C. ⁸ სატანას D. მდებელისა C. * შდრ. ფსალმ. 21,16.

¶

¶

მან,—ჟ მეუფეო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა შენ მიერ მიმღებელი მისი. ესრეთ აღმოუტევა სანატრელი სული თვისი მასვე მღვმესა შინა მიმცნებელმან დატევებად სხეულსა მისსა, 5 რათა რომელი საყოფელ და სამკვდრებელ მისა იყო სიცოცხლესა შინა მისსა, და¹ ესე და შემდგომად სიკუდილისაცა საფლავი და სამარხოჲ სხეულთა მისთა იქმნეს. ვინაჲ წადიერებით და სურვილით წარგრაგნილი ძმათა მიერ და შებებკულითა მით რომლითა მოსილ იყო, დაიდგა ყოვლად მკნე იგი გუამი მისი მასვე მღვმესა შინა, ვითარცა ემცნო მათთვის წმიდასა და სანატრელსა ამას მამასა, რომელი აქუს აწ მღვმედ წოდებულსა 15 მონასტერსა სიქადულად და ზღუდელ თესად, და უფროჲსდა ყოველსა ნათესავსა ქართველთასა უპყრიეს იგი მცველად და მართებელად ყოველთა წინააღმდეგომთა ხილულთა და უხილავთა. და რომელნი მიიწივნენ სარწმუნოებით 20 თაყუანის-ცემად საფლავსა და საყოფელსა მისსა, ეპოების მათ შემწე ძლიერი ქირთა შინა და მკსნელი ურვათა და განსაცდელთაგან.

ესევეითარი მოქალაქობაჲ აჩუნდა საწუთოსა ამას შინა სამ გზის სანატრელმან ამან 25 ნამამან და ესეოდენნი² ლუაწლნი თავს-ისხნა ჯორცითა უძლურითა. სიყმილი და წყურვილი შეურაცხ-ყო, ცუცხლსა იწროებათასა არა ჰრიდა, უდაბნოსა უღონოებაჲ არად შერაცხა³, ისარ ჩჩულთა იყვნეს მტერისა მიერ მოწვეულნი მის ზედა წყობანი, რომელთა მიერ მრავლად ეწყუებოდა მზისა ხილულისა ხედვაჲ უღირსად და ასაჯა თავსა თვისსა, რათა გონიერი იგი მზე სინართლისა იხილოს. ამისთვისცა ცხოველი მკუდრად იხილვებოდა მღვმესა შინა, მიწასა ცოცხლივ შთასრული, რათა პირნი ლომთა⁴ გონიერთანი დაუყვნეს, ვითარ დანიელ, ხილულთა და გრძნობადთანი. იქმნა თეატრონ ანგელოზთა

¶ 1 და|—C. 2 ესოდენნი C. 3 შეირაცხა C. 4 ლომთა|—C.

ღ

ღ

და კაცთა წყობასა შინა წინააღმდგომთა მბრძოლთასა, განაკურენა უსხეულონი ძალნი, ვითარ გორცითა ხრწნადითა და უძლეურითა, უგორცოთა ძალთა მძლე ექმნა და 5 სირცხვლეულნი უკუნ აქცინა გზრგზნთა ძლევისათა მიმღებელმან, ვინაჲ აწ მდგომარე წინაშე თუალთ შეუდგამისა ნათლისა ევედრების სამარადისოდ მოტეეებასა ცოდვათასა მთხოველი ჩუენთჳს სამეებისა ერთღმრთეები- 10 სა, რამეთუ მას შუენის ყოველი დიდებაჲ აწ და ყოველთა საუკუნეთა¹ დაუსრულებელთა საუკუნოდ, ამინ.

ტ

ჟ

ცხოვრება და მოძალაძობა და წმიდისა¹ მამისა ჩუენისა და-
ვით გარახველისა²

ცხოვრება და მოძალაძობა და წმიდისა
და ღმერთ-წმომოსილისა მამისა ჩუენისა
დავით გარახველისა

გუაჟურთხენ, მამაო!

მამაო, გუაჟურთხენ!

5 საკსენებელსა მართლისასა მომთხრო-
ბელთა და მოქალაქობასა წმიდათასა აღმწე-
რელთა გონებისა¹ სადამე² თუალთა განწმე-
დილად ჯერ-იყო ქონებაჲ, ხოლო ენასა მე-
ტყუელსა კეთილ მორთულად და შესწორე-
10 ბულად³ მოთხრობისა⁴ აღწერად მიცემული-
სასა, რათა დიდთა ქებათა და შესხმათა
მიმთხუევად⁵ ღირსი არა დაიკნინებოდის⁶
ბიწიანად⁷ მქონებელთა მიერ ბაგეთა სული-
სათა და რამეთუ მრავლად გვსწავიეს წე-
15 რილთა საღმრთოთაგან, ვითარმედ უწმიდე-
სად⁸ მიახლებად მნებებელნი ვიეთნიმე შორს
დაიდგინებოდეს ვითარ უწმიდონი⁹ მიახლე-
ბად წმიდათა¹⁰. ხოლო სხუათა განჯდაჲ ებრ-
ძანა ფერქთაგან ჯამლთა და ესრეთ ტკებ-
20 ნაჲ¹¹ სიწმიდისა ადგილთაჲ, რომელი-ესე
ნივთიერთაგან განჯსნასა დასახვიდა და სოფ-
ლიოთა ზრუნვათა და შფოთთა ვითარ ჯამლ-
თა შემაიწროებელთა დატევებასა, რამეთუ მი-
წიერნი ესე და ნივთიერნი ზრუნვანი შემა-
25 შფოთებელ¹² ექმნებიან მიდევნებულთა მათ-
თა და არა უტევებენ¹³ სიწმიდისა კუალთა
მიმართ სლვად.

ამათსა გულის მსიტყუელსა¹⁴ მცონო-
და კელ-ყოფად საქმესა¹⁵ უზეშთაესსა ძალი-
30 სა და გონებისა ჩემისასა პირველ თქუმულ-

ტ ¹ წმიდისა] ღირსისა B'. ² გარეჯელისა B'.

ჟ ¹ განებებისა E. ² სადამე CE. ³ შესწავებულად D. ⁴ მოთხრობასა E. ⁵ მიმთხუევულად E. ⁶ დაიკნინობოდის D. ⁷ აღწერად E. ⁸ უწმიდესთა CD. ⁹ უწმიდონი DE. ¹⁰ წმიდათა D. ¹¹ ტკებანა E. ¹² შემაშოთებელ C. ¹³ დაუტევებენ C. ¹⁴ მსიტყუელსა]+მე CD. ¹⁵ საქმისა D.

C

D

თა მიზეზთათჳს, ნუსადა შორს სადამე¹ და-
ვიყენო, ვითარ უღირსი ესევეითართა კანდი-
რებისათჳს.

გარნა მინდობილმან ლოცვათა ზოგა-
5 დისა მამისა². სულთა მწყემსისა ონოფრესთა
რომლისა იძულებითა ჯელ-ვყავ აღწერად წი-
ნამდებარისა³ ამის⁴ მოთხრობისა, ვიწყო
შეუორგულებელად დასასრულადმდე⁵ სიტყუსა
ქონებაჲ ალყვანებისა შემწედ უმეცრებისა ჩე-
10 მისა, ოხათა ამისთა მომწოდებელ ვარ, რომ-
ლისაგან ვითარ წყაროსა მიერ აღმოდის
მადლი ზღუსა უვრცელესთა სიტყუათა სი-
ტკბობისაჲ, რამეთუ ვითარ ნილოსი და-
კორდებულთა და განგმელთა მიწათა განა-
15 პოხებს, ეგრეთვე ესე გონიერად დაათრობს
კეთილთა თხრობათა მიერ სულსა მსმენელ-
თასა⁶ და, თესლ საღმრთოსა სწავლისა ქმნილ-
ნი⁷, გამოიღებენ ნაყოფსა სამოცეულსა და
ასეულსა. ამის სათნოებათა საუნჯისა მამისა
20 ლოცვათა მიმართ მსასოებელმან ძალისაებრ
ჩემისა ვიწყო აღწერად, ვინაჲთგან ძალისა-
ებრი ყოველივე კეთილ მისათუალვედ ღმრთი-
საგანცა და რამეთუ მწუთილინიცა ქურივისა
მიერ დადებულნი ფასის საცავსა⁸ მას შინა,
25 უმეტეს ყოველთა მიერ შეწირულთასა საჯნა
გულს-მოდგინებისა ძლით, მეცა ყოველისა-
განვე, რომელი მომიგიეს, ძღუნად სიტყუ-
რად მიუპყრა ზოგადსა მამასა და მწყემსსა
ქართველთასა სანატრელსა დავითს, რომელ-
30 მან ვითარ მზემან უკუნსა წყუდიადსა შინა
მსხდომარე ერი ქართველთა განანათლა მო-
ძღურებითა მიერ და სწავლათა თჳსთა და
საკურველებათა და ნიშთა, რომელთა აღსა-
რულებდა⁹ მის მიერ მადიდებელთა მისთა
35 მადიდებელი უფალი. ხოლო მგულვებელი
მოთხრობად ლუაწლთა და შრომათა მისთა
თჳთ ზედ მოფენილსა მისდა ყოვლად წმი-
დასა სულსა მოგხადი¹⁰ შემწედ უძღურები-

1. სადმე C. 2. ზოგადისა მამისა—E, + და C. 3. წინამდებარესა CD. 4. ამას C. 5. და-
სასრულადმი DE, დასასრულადმე C. 6. მასმენელთასა D. 7. ქმნილი D. 8. ფასისაცავსა E. 9. აღ-
სრულებადა D. 10. მოგხადი CD.

10. სირიელ მოღვაწეთა ცხოვრების რედაქციები.

C

D

სა ჩემისა. არამედ უკუეთუ ვინმე პირველ და ძუელ¹ ოდესვე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკვრდები სრეთ სიმარტივით აღწერაჲ სიტყუათა მბბრალობელსა ველ-ყოფისა ჩემისასა, რამეთუ ნუუკუე მხოლოდ საქმედ აქუნდა გონებისა და ძალისა ვითარებათა² მოთხრობად, ვითარ მხოლოდ საღმრთოთათჳს მოცალე ქმნილსა, და არღა³ ესწრა⁴ ვიეთმე აღმწერელთა და მომთხრობელთა მიმართ მიწევნად ცხოვრებისა მისისა მაუწყებელი წერილი, ვითარ ჟამთა სიმრავლესა შინა მიფარვითა წიგნისათა, რომელსა შინა დაუნჯებულ იყო სიმდიდრეთა ყოველთა უპატიოსნესი ცხოვრებაჲ სანატრელისა ამის მამისაჲ, რომელი უკუანაჲსკნელ გამოჩინებულ იქმნა შემდგომად რაოდენისაჲჲ ჟამისა, სარგებელად მსმენელთა⁵ და საცხოვრებელად მომთხრობელთა⁶. ხოლო მე ვიწყებ აღწერად ძალისაჲბრ აღძრული სურვილითა და წადიერებითა ღირსისა ამის და ყოვლად ქებულისა მამისა მიმართ.

გამომღებელი ვიდრემე მამული ამის ღირსისა და საკვრველთ მოქმედისა მამისა შუამდინარე ღელისა ასურეთისა იყოფების, რომელი ზესთა ჰმატს⁷ მის გარემოთა⁸ ყოველთა კეთილ ჰაეროვნებითა და ადგილთა პოხიერთა მიმთხუევითა, რომლისაგან აღმოეცენნეს სიმრავლენი ღირსთა და წმიდათანი, განპოხებულნი სულისა მიერ წმიდისა და ანეულ ქმნილნი საღმრთოჲსა და ღმერთ მყოფელისა მადლისა მიერ. ხოლო დაბაჲ და თანად მშობელნი საღმრთოჲსა ამის მშობელთა მადიდებელისა⁹ შვილისანი უცნაურ იქმნეს ჩემ მიერ, თუ რომელთა მიერ იშვა და აღიზარდა ვორციელად, რამეთუ არცალა თჳთ პირველით განვე აღმწერელსა ცხოვრებისა მისისასა დაეტევა¹⁰ აღწერით ვინაობაჲ

1. ძუელ C. 2. ვედრებათა D. 3. არა D. 4. ეწერა C. 5. მასმენელთა CD. 6. მიმთხუეულთა CD. 7. ჰმატეს C. 8. გარემოსთა E. 9. მადიდებელთა CD, დიდებულისა E. 10. დაუტევა C.

C

Q

და ვიეთვან¹ ყოფად ამის წმიდისა, ვინამთ-
 გან მხოლოდ მოქალაქობისა და შრომათა,
 რომელნი ღმრთისა ძლით თავს-ისხნა, და სა-
 სწაულთა და ნიშთა² მხოლოდ სასწრაფო
 5 იყო მისა მითხრობად³, ხოლო სხუანი ყო-
 ველნი ვითარ ნამეტნაენი⁴ დაეტევნეს. გარნა
 ესრეთვე კეთილთა ძირთაგან საგონებელ არს
 კეთილისა ამის რტოსა აღმორჩებად და⁵ კე-
 თილმან⁶ ხემან კეთილიცა გამოიღის⁷ ნაყო-
 10 ფი, ვითარ და⁸ ესეცა სანატრელი ნაყოფთა
 თუსთაგან საცნაურ ჰყოფდა რომლობასა⁹
 ძირთასა.

ხოლო ვთქუა სხუადცა მიზეზი მშობელ-
 თა ამისთა უცნაურობისაჲ, რამეთუ პირველ-
 15 ნი იგი მოლუაწენი და ღმრთისა ძლით უც-
 ხობათა¹⁰ აღმრჩეველნი, უფროჲს ყოველისა
 პატივისა, განაშორებდიან თავთა თუსთა ყო-
 ველთავე მსოფლიოთა დიდებათაგან, რათა
 უნდოებისა¹¹ მიერ სიმადლე დიდებისა ზეცა-
 20 თასა მომატყუებელი მიიღონ. ვინამ საეჭუელ
 არს ღმერთ-შემოსილი[სა]ცა ამის მამაკაცისა-
 თუს საჩინოთა და პატიოსანთა მშობელთაგან
 ყოფად და ამის ძლით სადამე¹², ვითარ ჰგავს,
 არა ენება¹³ ცხად ქმნა მშობელთა თუსთა
 25 სიმდიდრისათუს¹⁴ გარდამატებლისა, არა-
 მედ უფროჲსლა ჯერ-იჩინა ყოვლითურთ და-
 ფარჯად საჩინოებისა მათისაჲ და არა გამო-
 ცხადებაჲ, თუ რომელნი იყვნეს და ვიეთნი,
 რათა ამასცა შინა სიმდაბლე აჩუენოს, მი-
 30 ზეზი გვრგვანთა და მორჩილებით სმენა სი-
 ტყუსა საუფლოჲსა, რამეთუ დამტევებელი
 მამისა¹⁵, დედისა და ძმათა და ნათესაეთა
 მოსწრაფებით შეუდგა კუალთა უფლისათა,
 ამღებელი უღელსა იცნებათა მისთასა¹⁶.

25 გარნა დაღაცათუ გორციელად¹⁷ მშო-
 ბელნი და თანად სახელი მათი უცხო იქმნა
 ჩუენგან, არამედ სულეერი მამად და უსაკუთ-

Q. ¹ ვიეთვან E. ² ნიშებთა CDE. ³ მოთხრობად D. ⁴ ნამეტნავი E. ⁵ და|+რამეთუ C.

⁶ კეთილმა E. ⁷ გამოიღოს C. ⁸ და|—C. ⁹ რომლობასა E. ¹⁰ უცხოებათა C|+და შურაჯებ-
 ბათა CD. ¹¹ უღებისა C. ¹² სადამე C. ¹³ ენება C. ¹⁴ სიმდიდრისათუს| სიდიდისაჲ სიმდაბლისა-
 თუს C. ¹⁵ მამისათა C. ¹⁶ მისთა C. ¹⁷ გორციელად E.

C

D

რესად აღმზრდელი ამისი საცნაურ არს ყოველთათჳს, საკვრველი და ღირსი იოანე ზედაზდენელი¹, რომელმან ნაცვალად სძისა და ყრმებრივთა საზრდელთაჲსა მტკიცე და ძლიერი საზრდელი² წინა-ჟყო, ესე იგი არს საღმრთონი სწავლანი და მოძღურებანი, რომელთა მიერ ზეციერნი კეთილნი მიენიჭებინა ყოველთა და დამმარხველთა მისთა სიწმიდით და ღირსებით და შეუმრღუველად³ ქუე დამზიდველთა ამათ და ნიწიერთა ნივთთაჲგან განყენებულთა. ესე უკუე პირველ ქსენებული ნეტარი იოანე⁴ თანა მონათესავე იყო მამულით ღირსისა დავითისი, ვითარ შუამდინარით ასურეთისაჲთ, შობასა და აღზრდასა მიმთხუეული კეთილთა მშობელთა მიერ და საღმრთოთა სწავლათა მიერ განათლებული და ზეციერთა პურითა განმტკიცებული, ესე იგი არს საუფლოთა და ღმერთ-მყოფელთა სიტყუათა მიერ სახარებისათა. ამან მონაზონებრივისა მოქალაქობისა შემტკობელმან⁵ სიყრმიტგანვე აღიღო ჯუარი უფლისაჲ მგართა ზედა და მოსწრაფებით შეუდგა კეთილსა⁶ მოძღუარსა და მასწავლელსა უფალსა⁷ თჳსსა.

25 ამის უკუე ღირსისა მიერ და ესევეთარისა სულიერისა მასწავლელისა აღზრდილ იქმნა და⁸ განისწავლა მსგავსთავე შინა სანატრელი მამაჲ დავით და ყოვლითურთ მიბაძვებასა მოძღურისასა მოსწრაფე იყო სახესა მონაზონებისასა მიმღებელი და ტკბილსა მას უღელსა მტკრთველი უფლისა მცნებათაჲსა, და ყოველსავე სიმდაბლესა და მორჩილებასა მაჩუენებელი მოძღურისა მიმართ თჳსისა, ვითარ სიმალისა სიმდაბლისა მიერ მომვაჳრებელი წერილისაებრ, რამეთუ ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდესა*, სიტყუსაებრ მაცხოვრისა.

1 ზედაზდენელი CE. 2 სასაზრდელი ძლიერი C. 3 შემოურღუველად C. 4 იოანე იგი C. 5 შემამტკიცებელმან D. 6 კალსა DE. 7 უფალსა—C. 8 და—D. * მათე 23,12.

C

Q

ესევეთარისა მწყემსისა მიერ იზარდებოდა და განისწავლებოდა¹ კეთილითა სწავლულებითა და ყოველნივე სულისა გამოშროდელნი სათნობანი² წინა-დაეგებოდეს ამას დღითი დღე მწყემსისა მიერ კეთილისა, რამეთუ აღგილთა³ მწუანვილოვანთა მიიყვანებოდა და წყალთა ზედა განსუენებისათა გამოიზარდებოდა, სულიერიითა სასუმელითა შეებული სხუათაცა თანა შედგომილთა ამის დირსისა მამისა თანა⁴, რომელნი იშუებდეს საღმრთოთა სიხარულითა შეებულნი, მხედველნი ძალთა და სასწაულთანი, რომელნი სანატრელისა⁵ იოანეს მიერ აღესრულდებოდეს და ისწავებდეს მისგან მარადის წინა-განწყობად მზაკუარებათა მიმართ და ძმა კუვათაჲ ბოროტ-დასაბამისა ბელიარისითა⁶, რომელი მოსწრაფე არს დღითი-დღე დარწყმად⁷ ჩუენდა საბრჭეთა⁸ და დაბრკოლებად გზათაგან ღმრთისა მიმართ მიმყვანებულთა, რამეთუ თუთ განვრდომილი ნათლისაგან და ბნელ-ქმნილი ნაცვალად ბრწყინვალეებისა ზეციერისა ჰბრძავს ხატად ღმრთისა დაბადებულთა⁹ მოშურნეობით¹⁰, რათა დაკლებულ ყვნეს იგინი ზეცათა¹¹ სუფევისაგან, თუთ ნებსით თუსით დაკლებულმან საღმრთოთა და ბრწყინვალისა დიდებისაგან, ვინაჲცა¹² საღმრთოჲ იოანე¹³ განაზრახებდა მათ განფრთხობად სივერაგეთა მიმართ ეშმაკისათა და განუცხადებდა შურსა და სიძულილსა, რომელსა მქონებელ არს კაცთა ნათესავისა მიმართ მოშურნე იგი და¹⁴ მტერი ჩუენი ეშმაკი. და ასწავებდა ვითარ სამოთხით საშუებელისაჲთ განჯადნა პირველნი მამანი და¹⁴ განღმრთობისა წინა-მყოფელმან მზაკუევრებით. ამისთჳს სწავლიდა მათ მარხვისა მიერ და მღუძარებისა და ლოცვისა სამარადისოჲსა განკრძალვად მანქანებათა მიმართ მატური-

Q¹ განიზარდებოდა E. ² სანოვაენი E. ³ აღგილთამდი D. აღგილთადმი C. ⁴ მამისა თანა E| მამისათჳს CD. ⁵ სანატრელიცა D. ⁶ ბელიერისათა D, ბელიერისთა C. ⁷ დარწყუქმად D. ⁸ საფრჭეთა D. ⁹ დაბადებათა C. ¹⁰ მოშურნებით E. ¹¹ ზეცისა D. ¹² ვინა E. ¹³ იოვანე E. ¹⁴ და|—C.

C

D

სა სატანაჲსათა და დაქნობისა მიერ გორც-
თა ამათ მბრძოლთასა ამცნებდა მათ დამგო-
ბასა გულის-თქუმათა და გემოთასა.

ამათ შინა რაჲ იყენეს რაოდენთამე

- 5 წელთა, ინება საკვრველმან იოანე წარსლვაჲ
ჟუცხოთა ადგილთა მიმართ, რათა განველ-
ტოს იგი მეცნიერთა და მახლობელთა მიერ-
სა დიდებასა, რამეთუ ყოვლით კერძო მოვი-
დოდეს მისა ღმრთის მოყუარენი მსმენელნი
10 საკვრველებათა და ნიშთანი, რომელთა აღას-
რულებდა ნეტარი ესე მადლითა ყოვლად
წმიდისა სულისაჲთა. ამისი გონებად მომღე-
ბელი არღარა დაადგრა მუნ მრავალ ჟამ,
არამედ წარმოვიდა წინაძლომითა საღმრთოჲ-
15 თა მოწაფეთა თჳსთა თანა და მოიწია დედა
ქალაქსა მცხეთისასა და მუნ თაყუანის-მცემელ-
ნი¹ პატროსნისა სუეტისაჲ, მიერ აღვიდა
მთასა ზედა, რომელ² არს ჩრდილოჲთ კერ-
ძო ქალაქსა მცხეთისასა, და მუნ³ ყო სამკვდ-
20 რებელი ოჳსი ყოველსა შინა ცხოვრებასა
თჳსსა.

ხოლო ვინაჲთგან⁴ მარტოობით⁵ მნე-

ბებელ იყო ცხოვრებასა, უბრძანა მოწაფეთა
თჳსთა, რათა წარვიდეს⁶ თითოეული⁷ მათი

- 25 სხუათა მიმართ ადგილთა და⁸ ქადაგებად
სახარებასა უფლისასა და სინანულსა მოსა-
ტევებელად ცოდვათა. და ესრეთ განმტკიცე-
ბულნი სწავლითა და მოძღურებითა მისითა
წარემართნეს სრულ ქმნად მცნებასა⁹ მო-
30 ძღურისასა. და რბოდეს ფერჯითა მოხარუ-
ლითა ხარებად მშჯდობისა ბრძოლილთა
მიმართ და შეცთომილთა ეშმაკისაგან. ესრეთ
მორჩილნი მოძღურისანი არა ოდეს მნებე-
ბელნი დატევებასა მისსა წარივლინნეს ვი-
35 თარცა ცხოვარნი შორის მგელთა, და რო-
მელნიმე მათგანნი კახეთისა საზღვართა¹⁰
მიმართ მიიწიენეს, ხოლო სხუანი მთისა კერ-
ძოთა¹¹ დუალეთისა¹² მკვდრთა მიმართ.

1. თაყუანის-მცემელი C. 2. რომელი CD. 3. მუნ მას შინა C. 4. ვინადგან E|+და D.

5. მარტოებით E. 6. წარიდენ E. 7. თითოეული D. 8. და+მუნ B. 9. მცნებათა C. 10. საზღვარ-
თა] სამთავროთა CD. 11. კერძოთაჲთ C. 12. დუალეთის DE, დუალეთისა C.

ს

ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი და ვით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა, რაჲთა წუთ ერთითა კირითა მოიპოოს საუკუნოჲ იგი და წარუვალი შეუბაჲ¹ და განსუენებაჲ². ამისთჳსცა აღირჩია აქა სჯად გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთჳს ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯად.

ხოლო ჰყვანდა³ მის თანა ერთი მოწაფე⁴, სახელით ლუკიანე. და ვითარცა მიიწივნეს უდაბნოსა მას ურწყულსა, მოეწყურა მათ ფრიად და პოვეს⁵ მცირე წყალი შეკრებული წჳმისაგან ნაპრალსა შინა კლდისასა⁶ და სუეს⁷ მისგან და დასხდეს განსუენებად⁸ ჩრდილსა რასმე კლდისასა.

ღ

ხოლო საკურველი და სანატრელი მამაჲ და ვით, ვითარ სხუად ვინმე ელია უდაბნოდ მოყუარე, გარესჯისა უდაბნოდ მიიწია, რამეთუ ევლტოდა იგი ამბოხთა და შფოთთა სოფლისათა, რომელნი მრავლად შეამრლუენ გონებასა და არა¹ ოდესმე დააყენებენცა ღმრთისა² მიმართ³ მოსწრაფებათაგან. ამისთჳსცა მოსწრაფე იყო მსოფლიოთა ყოველთაგან განშორებასა და მის მიერთა გემოთაგან⁴ განყენებასა და ყოვლითურთ განსღვასა⁵ სხეულისა მარხვისა მიერ და შეიწრებისა ჯორცთაჲსა.

ხოლო ჰყვა⁶ მოწაფე ერთი. სახელით ლუკიანე, რომელიცა საღმრთოჲთა მადლითა აღძრული შეუდგა სანატრელსა ანას მამასა და ქალაქ მყოფელსა უდაბნოჲსასა, ღმრთისა მონასა სარწმუნოსა⁷ და კეთილ მსახურსა⁸, რამეთუ ხედვიდა ნეტარი ესე ლუკიანე მადლთა და სათნოებთა ღირსისა მამისა და ვითისთა⁹ და სულისა ნარგებელთა სწავლათა მისთა, რომელნი აღმოდიოდეს¹⁰ პირით მისით მსგავსად წყაროთა¹¹ დაუწყუდელთა¹². ამისთჳსცა არა ენება დატევებაჲ მისი, არამედ სთნდა შედგომა კუალთა მისთა და განუშორებელ ყოფა საღმრთოჲსა ამის მანაკაცისაგან. ხოლო ვითარცა მიიწივნეს პირველ თქუმულსა მას¹³ უდაბნოსა, შეიშთვებოდეს წყურილითა¹⁴ და თანად სიციხითა შეიწუებოდეს, რამეთუ ესე ადგილი მრავლად¹⁵ შემწუელი არს მზისა მცხინვაოებითა¹⁶ მიმართ ზედ-მოფენილთა¹⁷. ვინაჲთგან ეორიოსა კერძოთა¹⁸ მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავალისა სანახებთა სიციხისა მიერ შეიცვების¹⁹, რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკლუ-

ს¹ შუშა BB'.² განსუენება BB'.³ ჰყვა B'.⁴ მოწაფეცა B'.⁵ პოეს B'.⁶ კლდისსა H'.
 7 სუშს BB'.⁸ განსუენებად BB'.
 ღ¹ არა—E.² მლთისა E.³ მიმართთა CD.⁴ განღვესა C.⁵ ჰყვა+იგი B.⁶ მონათა სარწმუნოთა CD.⁷ კეთილთა მსახურთა CD)+მიერ D.⁸ დავითისითა D, დავითისათა'E.⁹ აღმოდის D.¹⁰ წყაროსა CE.¹¹ დაუწყუდეღელისა C.¹² მას—CE.¹³ წყურვილითა DE.¹⁴ მძაფრიად E.¹⁵ მცხინვარებათა E.¹⁶ ზედ-მოფენიანთა CD.¹⁷ კერძოდ CDE.¹⁸ შეიცვალების D, შეიწუების C.

C

Q

და ვითარცა სხდეს იგინი მუნ, თქუა წმიდამან მამამან ჩუენ-
მან დავით: ძმაო ლუკიანე, დავ-
დგეთ ადგილსა ამას და ვევედრ-
ნეთ ღმერთსა, რაჲთა მყუდროე-
ბით ვედრებითა და ცრემლთა და-
თხევითა და მოთმინებითა მცირე-
დითა მოგვტყვენეს ღმერთმან აურა-
კხელნი ცოდვანი და ბრალნი
ჩუენნი და მოგუანიჰნეს საშუე-
ბელნი¹ და განსუენებანი² სასუ-
ფეელისა მის ცათაჲსანი³, რამე-
თჲ ჰირი აქაჲ მცირე არს და
წარმავალ⁴. ხოლო დიდებაჲ იგი
მუნ ნორჲკლებელ არს და წარუ-
ვალ და დიდებაჲ საუკუნოჲ, ამის-
თჲსცა ჯერ არს აქა მოთმინებაჲ.

ლევან არს და სხუათა¹ ყოველთავე² სხეუ-
ლისა ნუგეშინის-მცემელთა საწმართაგან. აქა
შინა ქმნილთა, ვითარცა ვთქუ, და წყლისა
მოქენეთა აღსუბუქებად შინაგანსა შემწუფე-
5 ლობასა მზისა დასავალთასა³ პოვეს, რომელ-
სამე⁴ ნაპრაღსა შინა კლდისასა წყალი მცი-
რე ცუარათაგან წვმისათა შეკრებული და ამის-
გან მიმღებელთა სუეს რაოდენ დამაცხო-
ბელად წყურვილსა⁵ შემაშფოთებელსა, სადა⁶
10 აჩრდილსა⁷ მიმთხუეულნი და ნახეთქსა
რომელსამე⁸ ქუეშე კლდისასა მცირედ გან-
სუენებად მიდრკეს ვითარ⁹ შრომათაგან გზი-
სათა მოუძღურებულნი⁹.

ხოლო მსხდომარე იყენეს რაჲ იგინი
15 ერთბამად, თქუა¹⁰ სანატრელმან მამამან და-
ვით ლუკიანეს მიმართ: ძმაო ლუკიანე¹¹,
ვხედავ¹², რამეთუ¹³ კეთილ არს ადგილზე ესე
და თავისუფალ შფოთთაგან, დავადგარეთ
უკუე აქა მარტოებით¹⁴ ღმრთისა მიმართ
20 ვედრებისა და ლოცვისა¹⁵ მოქმედნი, რათა
მყუდროებით მარხვისა¹⁶ და მღვდარებისა
მქონებელნი და ჟამიერთა სატკივართა სიმე-
ნით მომთმენელნი მივემთხვევნეთ მოტევებასა
ცოდვათასა. ხოლო მოწყალემან¹⁷ და ტკბილ-
მან უფალმან ნაცვალად წარმავალთა ამათ და
განხრწნაღთა მოგუტყეს სადამე¹⁸ და ჩუენცა
ნაცვალის გებაჲ შრომათაჲ და, თანად იხი-
ლოს რაჲ გულს მოდგინებაჲ და წადიერე-
ბაჲ ჩუენი მისა მიმართ, მოგვკლინოს ძალი
30 საღმრთოჲ¹⁹ განმამდიერებელად უძღურები-
სა ჩუენისა და მოთმინებად²⁰ იწროებათა და
უღონოებათა რომელთავე ჩუენთჲს შემთხუე-
ულთა, რამეთუ ჰირი აქა შინა²¹ ყოველით-
ურთ წუთ ჟამისა არს და მალიად წარმა-
35 ვალი, ხოლო შუებაჲ და დიდებაჲ ღირსთა

C¹ საშუებელნი BB'.² განსუენებანი B'.³ ცათასანი B'.⁴ წარმოვალ B'.

Q¹ სხუათა CD. ² ყოველთვე D, ყრვე C. ³ სავალთასა CD. ⁴ რომელსა D. ⁵ წყურვილი-
სა D. ⁶ სადა+და C. ⁷ რომლისა C, რომლისამე E. ⁸ ვიდრე E. ⁹ მოუძღურებულნი D.
¹⁰ ჰრქუა D. ¹¹ ლუკიანე+ვითარ C ¹² ხედავ C. ¹³ რამეთუ—CD. ¹⁴ მარტოებით+მხოლო-
სა C. ¹⁵ ლოცვისა CE. ¹⁶ მარხვისა CE. ¹⁷ მოწყალემან+მან C. ¹⁸ სადამე C. ¹⁹ საღმრთოთა D.
²⁰ მოთმინად CD. ²¹ შინა—E.

ს

ღ

მიუგო ლუკიანე და ჰრქუა: ღმერთ-შემოსილო მამაო, ჭეშმარიტად ეგრეთ არს და ბრძანებისა-
 ებრ შენისა და მიეგებვიან კაცად-
 კაცადსა კეთილნი საქმეთა მათ-
 თაებრ და შრომათა. გარნა ვხე-
 დავ ფრიადსა იწროებასა და სი
 ფიცხლესა ამის უდაბნოხსასა, რა
 მეთუ უპოვარ¹ არს ყოვლისაგან
 საწნრისა საზრდელისა და წყლისა;
 და ჩუენ კაცნი ვართ მყოფნი ჯო-
 რცთა უძღურებასა შინა და ვი-
 თარ თავს-ვისხნეთ ჭირნი და გან-
 საცდელნი ამის უდაბნოხსანი?²

ხოლო წმიდამან მამამან და-
 ვით მიუგო³ და ჰრქუა: ძმაო ლუ-
 კიანე. რომელმან-იგი უდაბნოს
 გამოზარდა ერი იგი ისრაელთა
 და კლდისაგან მყარისა წყალი⁴ აღ-
 მოუტინა და მწყერ-მარჯილი უწყ-
 მა შორის ბანაკისა მათისა,⁵ და
 ელია ყორნისა მიერ გამოზარდა
 და წმიდასა ანტონის და სხუათა-
 ცა მამათა წმიდათა, რომელნი
 დამკვდრებულ იყვნეს⁶ მათათა და
 უდაბნოთა შინა და მისცა მათ სა-
 ზრდელი, იგივე ღმერთი და აწცა
 შემძლებელ არს მოცემად ჩუენდა
 საზრდელსა ნუეგეშინის-საცემე-
 ლად ჯორცთა ჩუენთა უძღურებ-
 სა. აწ მენე იყავ, ძმაო ლუკიანე,

და მოლუაწეთად საუკუნო არს და მოჟლე-
 ბელ მერმეთა შინა საყოფელთა.

ესე⁷ რად ესმა სანატრელსა ლუკიანეს
 მოძღურისაგან. თქუა მისა მიმართ: ღმერთ-
 შემოსილო მამაო, ჭეშმარიტად სიტყუსაებრ
 შენისა არს ესე ყოველი და ვითარ აღმოვი-
 კითხავთ საღმრთოთა წერილთაგან, არს ნა-
 ცვლის გებად კეთილთა საქმეთა და მიცგების
 თითოეულსა საქმეთაებრ თვსთა, რომელიცა
 რაღვე იმოქმედონ საწუთოსა ამას ცხოვრება-
 სა შინა, კეთილი გინა თუ ბოროტი, გარნა
 ვხედავ ფრიადსა იწროებასა და უღონოცა-
 სა ამის უდაბნოხსასა, ვითარ დაკლებულ
 არს ყოვლისაგანვე საჭიროესა საზრდელისა
 და თუთ მის წყლისაგანცა, რომელთა მოკლე-
 ბითა უძღურ იქნების და მოაკლდების სხეუ-
 ლი, ხოლო ჩუენ კაცნი ვართ, მერმეცა ჯორც-
 თა ბუნებისა უძღურებასა შინა მყოფნი და
 მეშინის, ნუსადა ვერ შეუძლოთ მოთმენად
 20 ჭირთა და იწროებათა ამის უდაბნოხსათა.

ამის⁸ მიწართ მიუგო სანატრელმან და-
 ვით: ჰ ძმაო ლუკიანე, ნუ ზრუნავ ამისთვის,
 რამეთუ არასადა უგულბებელს⁹ მყენეს ჩუენ
 მზრდელმან ისრაელისამან უდაბნოსა ზედა,
 25 არამედ რომელმან საზრდელად მათ მანანა
 უწყმა და კლდისაგან ზრქელისა წყალი⁴
 უწყაროა და ელია კარმელს ყორნისა მიერ
 გამოზარდა შურსა უფლისასა შემშურებელი
 და თანად სხუანიცა მამანი მისთვის მოლუაწე
 30 ქმნულნი უკუანაქსენელ ქუეყანად მოსლვისა
 მისისა და ქალწულისა უბიწოესაგან განკა-
 ცებისა ზარდნა პურითა ანგელოზთათა. ამან
 და ჩუენცა გუზარდნეს საზრდელთა მიერ,
 რომელთაგან ინებონ მოწყალეებათა მისთა. და
 35 ვინაფთაგან არა ბრძანებულ არს ჩუენთვის
 ზოუნეად საკმელათთვის და სასუმელთა³, ნუ
 ვზრუნავთ შემდგომთა⁶ და ხვალისათვის, რა-

ს¹ უპუარ B'.² უდაბნოსანი B'.³ მიუგო B'.⁴ წყალი—B'.⁵ მთისა B'.⁶ იყუნეს B'.
 ღ⁷ ესე ეპა C'.⁸ ამისა CE'.⁹ უგულბებელ D'.¹⁰ წყარო D'.¹¹ საზრდელთა D'.¹² შემდგო-
 მად D.

ც

ღ

და ნუ გეზინინ, რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენთაებრ, არამედ სიტკბოებით ზრდის ყოველთა მო- შიშთა მისთა.

ამათ სიტყუათა მიერ გან- მტკიცნა ლუკიანე და ჰრქუა: ვი თარცა ჰბრძანო, წმიდაო მამაო, გვრეთ ვყოთ ყოველივე. და მი- ნოვლეს იმიერ და ამიერ და პო- ვეს¹ პარეხი რაჲმე კლდისაჲ, რო- მელსა ქუეშე² დაივანეს. და რა- ჲამს დასცხის ანუ იყვის წვამაჲ, პაოეხსა მას ქუეშე² განისუენიან³. და საზრდელი მოირეწიან ძირთა- გას რათჲე მდელითა. რამეთუ იყო ჟამი გაზაფხულისაჲ და უხუე- ბით⁴ პოვიან⁵ ნუგეზინის-საცემე- ლი ჯორცთაჲ. და ესრეთ მოირეწ- დეს საზრდელსა და აღიდებდეს ღნერთსა მომცემელსა ყოველთა კეთილთასა.

მეფუ იგი თავადი აღაღებს ჴელსა თჳსსა და განაძლებს ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ და ჩუენცა მოგუტეს საზრდელი განმამტკიცებე- ლი უძღურებისა სხეულთა ამათ ჩუენთასა. 5 აწ უკუე განმზნდი, ძმაო, და განძლიერდი, რა- მეთუ მოლუაწეთანი არიან გვრგვინი და არა- ვინ თჳნიერ მბრძოლთა ძლევისა და ჴირთა თავს-დებისა გვრგვინოსან იქმნების, ხოლო ღმერთმან სახიერებათაებრ მისთა¹ გამოგუ- 10 ზარდნეს ჩუენცა სხუათავე თანა უქმარნი ესე მონანი მისნი².

ამათ სიტყუათა მიერ განმტკიცებულ- მან ლუკიანე და შემწყნარებელმან სწავლათა მოძღურისათა თქუა დავითის მიმართ: პა- 15 ტიოსანო მამაო, ვითარცა, გიბრძანებდეს, გვრეთცა³ ვყოთ. ხოლო ღმერთმან, რომლისა მიმართ ვსასოებთ, მან იზრუნოს ჩუენისა⁴ ცხოვრებისათჳს. და ესრეთ დადგრომილთა მუნ და ყოველსავე სასოებასა თჳსსა ღმრთი- 20 სა მიმართ მიმგდებელთა⁴ სთნდა მოლუაწები- სა შრომათა სიმზნით თავს-დებაჲ ყოველსა- ვე კრძალვასა ჯორცთასა, უგულებელს-მყო- ფელთა და მიმომავალთა⁵ პოვეს ქუაბიცა რაჲმე მცირე, რომელსა ქუეშე ყვეს მკადრო- 25 ბაჲ მათი შენწუეველობისათჳს სიცხისა მიერ და პაერთა მიერ⁶ შთამოტევებულისა წვმი- სათჳს და თანად ყინელისა, რომელი იქმნე- ბის მათ ადგილთა შინა, რამეთუ წყალთა მიერ გარე-მოცულ არს ყოვლით კერძო. ხო- 30 ლო საზრდელი მოირეწიან ძირთაგან რომელ- თამე მდელითასა და მწუანელითაგან მუნ აღმოცენებულთა,⁷ ვინაჲთგან⁸ ჟამი იყო არი- საჲ, ოდეს მზისა მიერ და მჭურვალებისა აღ- მოიზიდვიან მიწით დასაბამითგანვე აწას ჟამ- 35 სა აღმორჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუანვილნი, რომელთაგან მიმღებელნი რაო- დენ ცხოველობასა⁹ მინიჭებად სხეულთა ნეშ- ტად მოცალე იყვიან ლოცვათა და ნადლო-

ც¹ პოეს B. ² ქუეშე B'. ³ განისუენიან B'. ⁴ უხუეზით B'. ⁵ პოიან B'.

ღ¹ თჳსთა E. ² შენი C. ³ გვრცა D. ⁴ დამგდებელთა E. ⁵ მიდმომავალთა CD. ⁶ ში- ნა D. ⁷ აღმოცენებულთაგან C. ⁸ ვინადგან E. ⁹ ცხოველობისა D.

ც

ჟ

და ვითარცა გარდაცდეს დღე-
ნი რაოდენნიმე, დაბერდეს მდელი-
ნი იგი და განწმეს სიცხისაგან და
მოაკლდა ნუგეშინის-საცემელი იგი
მათი და შეწუხნა ლუკიანე და
ჰრქუა წმიდასა დავითს: წმიდაო¹
მამაო, აწ რაჲღა იყოს ნუგეშინის-
საცემელად უძლურებასა ჯორცთა
ჩუენთასა, რამეთუ განწმეს მდე-
ლონი ესე, რომლისაგან იქმნებო-
და² სასოებაჲ ჯორცთა ჩუენთა
განსუენებისაჲ.

ბათა შეწირვად ღმრთისა, რომელმან მოსცის
საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყო-
რისათა, რომელნი ხადიან მას.

ამას შინა რაჲ იყვნეს¹, წარცდეს დღე-
ნი რაოდენნიმე, ზრქელ იქმნეს მდელი-
ნი იგი და განწმეს უწინარეს აღმომაცენებელისა
და აღმომზრდელისა² მათისა მზისა მიერ. აწ
დამქნარნი და შემწუარნი, რანეთუ ყოველი
დამეტებაჲ ვითარ მბრძოლი რაჲმე განმზრუნე-
ლი³ თავისა თვისსაჲ იქმნების⁴, რომლისა-
თჲ⁵ ნაკლულევან იქმნეს ამის უნდოდაგან-
ცა საქიროდასა საჯმრისა⁶ სხეულთაჲსა, ვი-
ნაფთვან ჟამი ზამთრისაჲ ნოწვენად იყო, რო-
მელსა შინა ყინელსა მიმჟენელი ჰაერი მი-
15 წასა ზედა არღა მერმეცა უტევებს აღმოცე-
ნებად მწუანვილთა და ნერგთა⁷ ჯორცოსა
კერძოთათა და ჩრდილოთ მიმართ⁸ წიად-
სლვითა⁹ მზისაჲთა, ვინაჲცა შეურვებულმან¹⁰
ლუკიანე მწუანვილთა მოკლებისათჲს მწუხა-
20 რებით იწყო სიტყუად ღირსისა დავითის მი-
მართ: აწ უკუე. წმიდაო მამაო, რაჲღა იყოს
ნუგეშინის-საცემელი უძლურთა ამათ და სა-
ზრდელის მოქენეთა ჯორცთა ჩუენთასა¹¹,
რამეთუ განწმეს მდელინიცა ესე, რომელთა-
25 გან კერძოებით აგებულებაჲ სხეულთა ჩუენ-
თაჲ დაიცეებოდა და ნუგეშინის-ცემაჲ კინი¹²-
ოდენი მოგუენიქებოდა მიწით აღმოცენებულ-
თა ნერგთა მიერ? ხოლო აწ ბუნებისა მიერ
და ჟამისა იძულებულნი ზრქელ და უქმარ
30 იქმნეს ჩუენთჲს.

მიუგო წმიდამან დავით და
ჰრქუა: ძმაო ლუკიანე, ნუ დაგიც
სასოებაჲ მდელითა მიმართ და
მცენარეთა ქუეყანისათა. და ვითარ
არა უწყი, რამეთუ ყოველნი ნივთ-
ნი ქუეყნიერნი ცვალებად და წარ-

ესრეთ რაჲ მწუხარებით მეტყუელებდა
ლუკიანე შეურვებული ქუეყანით აღმოცენე-
ბულთა უნდოთა ნხალთა განწმობისათჲს და
მის¹³ ძლით უღონო ქმნასა საზრდელთაგან
35 გულის მსიტყუელი, მიუგო მას ღირსმან და
საკჯრველმან მოძღუარმან: ძმაო¹⁴ ლუკიანე,

ც¹ წმიდაო—B'.² იქმნებობდა B'.
ჟ¹ იყუნეს E|—CD.³ აღმომზრდელისა C. ⁴ განმზრუნელ CE. ⁵ იქმნების|—CD. ⁶ რომ-
ლისათჲსცა C. ⁷ საჯმრისა E|—CD. ⁸ ნერგთა|+ვითარ დატევებათა C. ⁹ ჩრდილოთ მიმართ:
სახრადამი D, სამზრადმი C. ¹⁰ წიად სლვითა| წარსლვისა C. ¹¹ შეუთრგულელებად DE.
¹² ჩუენთაჲ C. ¹³ კინი D. ¹⁴ ამის C. ¹⁵ მამაო C.

C

მაელ არიან? და არა გასმია წმი-
დათა წერილთაგან, ვითარმედ:
ემოთმინებთა თქუენითა მოიპოვ-
ნეთ სულნი თქუენნი*? ა. ხოლო
შენ მსწრაფლ სულ-მოკლე ქმნილ 5
ხაო და არა უწყია, უკუეთუ მო-
ვსწყუდეთ¹ შიმშილითა გინა წყუ-
რილითა ქრისტეს მცნებათათს,
ცხოველ ვართ წინაშე ღმრთისა
უკუთისამდე? და შენ ფრიად შფოთ 10
ხაო და განილევი განხრწნადთა
ქანდათათს.

ვითარ² იგი ამას ეტყოდა, 30
ბელსეულად მოვიდეს სამნი ირემ-
ნი, რომელთა უკუანა³ სდედგეს
ხუკონი მათნი და წარმოუდგეს⁴
წინაშე მათსა⁵ ვითარცა ცხოვარ-
ნი დამშუდებულნი. და ჰრქუა მა- 35
მან დავით: ლუკიანე⁶, ძმაო,
ნიილე⁷ პინაკი და მოწუელენ⁸

D

რახსა დაგიც სასოებაჲ მდელთა¹ მიმართ
და მცენარეთა ქუეყანისათა? ანუ არა უწყია,
ვითარმედ ყოველნივე² ნიეთნი ქუეყანისანი
ცვალებადნი არიან და წარმავალნი და ყო-
ველი ჟამსა³ შორის აღორძინებული და მყო-
ფობად მოწვეული ჟამისავე თანა განიხრწ-
ნების, ვითარ დაუდგრომელი და წარმდინა-
რე და მხოლოდ სული უკუდავად ქმნილი
ღმრთისა მიერ სამარადისოდ დაადგრების
მიღებად ნაცვლის გებათა აქათა შინა მოკ-
მედებათაჲსა² მის მიერ? ანუ არა გასმიესა
წმიდათა წერილთაგან, ვითარ საუფლოდსა
ვმისა მიერ მეტყუელებდენ რაჲ, ვითარმედ
ემოთმინებთა თქუენითა მოიპოვნეთ⁴ სულნი
15 თქუენნი*?, რახსათს უკუე ესრეთ მალიად
სულ-მოკლე იქმენ? ანუ არა უწყია, ვითარმედ
უკუეთუ მოვსწყუდეთ ქრისტეს მცნებათათს
სწყმილითა, გინა წყურილითა⁵, ნაცვალად სი-
კუდილისა ამის ჯორციელისა ცხოველ ვი-
20 ყენეთ სულითა მის წინაშე უკუენისამდე? რომ-
ლისათსცა ნუ მწუხარე ხარ მრავლად ურგე-
ული განხრწნადთა ამათ და უნდოთა ქამად-
თათს და უფროდსლა მწუხანვილთა ველისა-
თა, რომელნი საზრდელად პირუტყუთა ცხო-
25 ველთათს მინიკებულ არიან. ხოლო ჩუენ ვი-
თარ სიტყუერნი და სიტყუთა პატივ-ცემულ-
ნი უმტკიცესითა და კაცთათს შემსგავსებუ-
ლითა⁶ საზრდელითა გუზარდნეს მზრდელმან
ყოველთამან.

ამას იტყოდა და თანად სიტყუსავე თა-
ნა (ეჰა განგებულებათა შენთა, ქრისტე!) მე-
ყუსეულად სამნი ირემნი ნუკრთა თანა მათ-
თა წარმოდგეს წინაშე მათსა და ვითარცა
ცხოვარნი დადგეს დამშუდებულნი. მაშინ
30 ჰრქუა წმიდამან დავით ლუკიანეს: მიილე,
ძმაო, პინაკი და მოწუელენ ირემნი ესე ღმრთი-
სა მიერ მოვლინებულნი, რომელმან უწყის

C¹ ამოვსწყუდეთ B'.² ვითარ] და B'.³ უკანა B'.⁴ წარმოდგეს B'.⁵ მათსა B'.⁶ ლუ-
კიანე B'.⁷ ნიილე ძმაო B'.⁸ მოწუელენ B'. * ლუკა 21, 19.

D¹ მდელთა C.² ყოველივე E.³ ჟამისა CDE.⁴ მოქმედებულთასა C.⁵ მოიპოვნეთ
E.⁶ წყურილითა D.⁷ შეგზავსებულითა CD. * ლუკა 21, 19.

ს

ღ

ირემნი ისი. ხოლო იგი აღდგა და მოწუელნა¹. და ვითარცა აღავსო პინაკი, მოილო წინაშე ბერისა. ხოლო მან დასწერა ჯუარი და შეიქმნა ხაჰოდ,² და ჭამეს და განძღეს და აღიდებდეს ღმერთსა. და ჰრქუა ლუკიანე წმიდასა და ვითს: მამაო წმიდაო, საკრველ არს ღმერთი შორის წმიდათა³ მისთა; და აწ განმტკიცნა გული ჩემი და მხიარულ არს სული ჩემი და ამიერითგან, უკუეთუ განიხრწნენ ჯორცნი ჩემნი და განილივნენ შიმშილითა და წყურვილითა, ყოველად არა რასვე ვზრუნვიდე მოკუდავთა ამათ ჯორცთათჳს და ამაოჲსა საწუთოჲსათჳს. და წმიდამან დავით ჰრქუა: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ უკუნისამდე.

პირუტყუთაცა ნადირთა მიერ ზრდაჲ მოშიშთა მისთაჲ. ხოლო იგი აღდგა განკრვებული უცხოსა ამის სახილაგისა ზედა, რამეთუ ჰხედვიდა მონებრ წარმოდგომილად ნადირთა მსახურებისა მიმართ საქიროჲსა მათისა და ბრძანებისაებრ მოძღურისა მოწუელნა¹ იგინი და ესრეთ დადგა² წინაშე ბერისა³ აღსავსე პინაკი სძითა. ხოლო მან, საუფლოჲსა ჯუარისა გამომსახველმან მის ზედა, მეყუსეთულად ახლად ყუელად გარდაიქცა იგი. არა მოქენემან რომელთამე ნივთთაგან, გინა თუ ეამთა და დღეთამან, რომელთა მიერ შეგნთხუევის მას ესევეითარად ქმნაჲ, რამეთუ უწყის ღმერთმან თუთ განმზადებულისა საზრდელი-
 15 სა მიერ ზრდაჲ მოსავთა მისთაჲ. მაშინ ნოიღეს⁴ ყუელისა მისგან და კურთხევეითა ზედა დამბეჭდველთა ჭამეს კმა-საყოფელად, და აღდგომილნი იტყოდეს: ჰამონ დავრდომილთა და განძღენ და აქებდენ უფალსა მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშინის მცემელსა ყოველთა მოშიშთა და ნადიდებელთა მისთასა. ამისა შემდგომად ჰრქუა ლუკიანე წმიდასა და ვითს: პატრიოსანო მამაო, ჰეშპარიტად საკრველ აოს ღმერთი წმიდათა⁵
 25 შორის მისთა წერილისაებრ და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ მისი, რომელმან ლოცვიწა შენითა მტკიცე ყო და შეურყეველ აწ გული ჩემი რომელთავე შემაწუხებელთა ნაკულუღევანებათა მიმართ და თანად სული ჩემი
 30 და გონებაჲ ვითარ ბნელისა რაჲსაგანნე⁶ ჯორციელთა ზრუნვათაჲსა გამოიყვანა⁷ ნათლად შენდა მონიკებულთა⁸ მადლითა მის მიერ, რომლისათჳსცა ავიერიოგან, უკუეთუ განილივნენ⁹ ჯორცნი ჩემნი სიყმილითა და
მელნი შეველენან იერუსალმს¹.

ჟ სარწმუნოებასა და სისრულესა გო-
ნებისასა, რამეთუ სიტყუსაებრ საუფლოდსა
სარწმუნოებისა თვისსაებრ ექმნა ამას, ვი-
ნადთან სიწრფოებისათჳს სულისა უმეტესი
სასყიდელი მიიღო, რანეთუ ღმერთი გონები-
საებრ და გულის ზრახვისა კაცთაჲსა და არა
20 საქმეთაებრ სჯის.

ხოლო წმიდა დავით ადგილ-
სა მას ფრიად ევედრა უფალსა,
და აღიხუნა ადგილისა მისგან სამ-
ნი ქვანი და შთაისხნა მახალაკსა
ველოგიად და უკუნისკა მიერ.

ესრეთ შემდგომად ფრიადისა ვედრები-
სა და ცრემლთა დათხევისა ადგილსა მას
ზედა, ქუეყანად დადრეკილმან აღიხუნა სამ-
ნი ქვანი და ვითარ თვთ მის ქრისტეს საფ-
25 ლავისაგან გამოკუთილნი⁶ სარწმუნოებით
შთასხნა იგინი ველოგიად მალაკსა შინა
თვისსა. ამისა შემდგომად უკუმოქცეული ვი-
დოდა გარესჯამდი⁷ მომყვანებელსა გზასა
მოხარული.

ხოლო ღამესა მას მიუვლინა⁸
ანგელოზი ღმერთმან ელია პატ-
რიარქსა და ჰრქუა: მოიწია ვიდ-
რე სახლად ჩემდამდე საკუთარი
მონაჲ ჩემი დავით და სარწმუნო-
ებითა მისითა წარიღო სრულიად⁹
მადლი იერუსალმისაჲ². ხოლო
შენ სწვიენ მალე მსრბოლნი კაცნი,
როიარქსა იერუსალემისასა ელიას ესრეთ¹⁰

ამას სიწრფოებასა და სარწმუნოებასა
ზედა კაცისასა⁸ განკრვებულმან ღმერთმან
ინება საჩინო ქმნა ბრწყინვალისა ამის და
საჩინოდსა მონისა თვისისა, რომელმან გარდა-
მატებულისა სიწრფოებისა მიერ არა იკადრა
35 შთასლვა იერუსალემად, რამეთუ მოუვლინა⁹
მას ღამესა შინა ჩუენებით ანგელოზი პატ-
რიარქსა იერუსალემისასა ელიას ესრეთ¹⁰

ს¹ ი¹ ო¹ ლემს B'.² ი¹ ო¹ ლმისა B'.

ღ¹ ვითარცა] და ვითარცა C'.² რამეთუ CE'.³ ესოდენთა E'.⁴ შრომათა CD'.⁵ წმი-
დათა] აწოა C'.⁶ გამოუკუთილნი D'.⁷ გარესჯამდი C'.⁸ კაცისასა]—E'.⁹ მოაველინა D', მიუ-
ვლინა E'.¹⁰ ესრეთ]—E'.

ც

ჟ

რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბულისსა. და არს იგი მოსილი სამოსლითა ძუელითა¹ დაბეჭულითა და ჰკიდავს მას ძუელი² მახალაკი, რომელსა შინა უსხენ სამნი ლოდნი, რომელნი იგი მიიხუნა ადგილისა მისგან, სადაჲთ იგი უკუნიქცა; და ძიუმცენ შენ კაცთა მათ მალე მსრბოლთა, რაჲთა მოუხუნენ³ მახალაკისაგან ლოდნი იგი და ერთი ოდენ მისცენ მას. და ჰრქუა, ვითარმედ: მოუნიქებიეს შენდა უფალსა მესამედი მადლი იერუსალშმისაჲ⁴ და გიბრძანებს, ვითარმედ სარწმუნოებითა შენითა წარველო მადლი იერუსალშმისაჲ. ხოლო მე ვინებე ორი ნაწილი უკუნქევეად და მესამედი მომინიქებია შენდა. წარვედ და წარიტანე უდაბნოსა შენსა, წმიდა ყავ იგი მისლვითა⁵ შენითა, და რომელი მოიწიოს უდაბნოსა⁶ მას და სარწმუნოებით შეეხოს სამარხოსა ძუალთა შენთასა, მიიღოს კურნებაჲ სულთა და ჯორცთაჲ და აუტევენს მას ცოდვანი მისნი. ხოლო ლოდი ეგე ერთი იყოს მოსაჯენებელად ჯამისა ამის.

და ვითარცა წარმოუთხრა⁷ ესე ყოველი პატრიარქსა ანგელოზმან უფლისამან, მიეფარა იგი თუალთაგან მისთა. ხოლო პატრიარქი პირველად განცვბრდა სიტყუათა მათ ზედა ანგელოზისათა, მერმე დავარდა პირსა ზედა და ცრენლით ვედრებაჲ შე-

მეტყუელი: მოიწია ვიდრე სამკვდრებელად ჩემდა იერუსალემად საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა ნისითა წარილო¹ მადლი იერუსალემისაჲ, ხოლო შენ წარავლინენ² მალე მსრბოლნი კაცნი, რათა ეწინენ მას, რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბოლისასა შემოსილი დაბეჭულითა სამოსლითა, და აქუს ძუელი მალაკი, რომელსა შინა³ სხენან სამნი ქვანი ევლოგიად მიღებულნი⁴ მის მიერ ადგილისაგან, ვინაჲ იგი უკუნიქცა; და ამცენ შენ კაცთა მათ, რათა მიიხუნენ მისგან ქვანი იგი და ერთი მხოლოდ მისცენ მას და ესრეთ ჰრქუან, ვითარმედ: ამას გიბრძანებს შენ უფალი, სარწმუნოებისა შენისათჳს მიგელო მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმიდისა იერუსალიმისა, ხოლო მე⁵ სათნო მიჩნდა, რათა ორი⁶ ნაწილი უკუნ ვაქციო იერუსალიმადვე და არა სრულად. კუებულ იქმნეს მადლთაგან, ხოლო მესამედი იგი მომინიქებიეს შენთჳს წარღებად უდაბნოსა შენსა. წარვედ უკუე მშჳდობით და წმიდა-ყავ იგი მისლვითა შენითა და მუნ შინადადებითა სხეულისა შენისაჲთა, რომლისა სარწმუნოებით შემხებელთა მიიღონ კურნებაჲ სულთა და ჯორცთა მათთაჲ; ხოლო შენ წარიღე ქვაჲ ეგე ევლოგიად უდაბნოსა მას შენსა სავენებელად და მისათხრობელად სარწმუნოებისა შენისა.

ესე ყოველი ვითარცა იხილა ჩუენებასა შინა ღამისასა⁸ პატრიარქმან, დაეცა განკურებაჲ დიდი და განკრთომილი ძილისაგან აღდგა მოსწრაფებით და მყის მომწოდებელმან მალე მსრბოლთამან წარმოუთხრა მათ ყოველი, რომელი იხილა და ესჳა ჩუენებასა შინა ანგელოზისაგან. და მალიად წარავლინა იგინი, რათა დევნა-უყონ კაცსა მას ღმრთი-

1 ც¹ ძუსლითა B'. 2 ძუსლი B'. 3 მოუნახუნ B'. 4 იშ'ღმისა B'. 5 მისთავითა B'. 6 უდაბნოსა B'. 7 წარმოუთხრა B'.
 8 ჟ¹ წაიღო D. 2 წარავლინე D. 3 შინა—DE. 4 მიმღებელნი DE. 5 ჰრქუა D. 6 მე—CE.
 7 ორნი D, ორ C. 8 ღამისასა—CD.

ს

ლ

წირა უფლისა და მოუწოდა კაც-
თა მალე მსრბოლთა და მიუფხრა
ესე ყოველი და მიუმცნო¹ მათ,
რათა უკმაოქციონ, და იგინიცა
შეემთხვენენ მას. ხოლო იგინი
წარვიდეს. და ვითარცა ეწივნეს
იგინი, მიუთხრეს მას, რომელი-
იგი მიემცნო პატრიაქსა და აღ-
მოუხუნეს სამნი იგი ლოდნი, და
ერთი იგი მისცეს² მას.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი
წმიდასა და ვითს, პირველად შე-
ძრწუნდა და მერმე თაყუანის-სცა
უფალსა და ცრემლით იტყოდა:
დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო
ჩუენო! და დიდება შენდა, სამე-
ბაო წმიდაო, ერთ-ღმრთებაო³,
ერთ-არსებაო! დიდება შენდა,
ღმერთო, რომელმან ღირს მყვენ
ჩუენ პოვნად წყალობისა! და ესე-
ვითართა სიტყუთა მადლობად
შეწირა უფლისა.

ხოლო კაცთა მათ მალე
მსრბოლთა აიძულეს წმიდასა და-
ვითს უკუნქცევად იერუსალიმს⁴,
ვითარცა ემცნო პატრიაქსა. ხოლო
იგი არა ერჩდა მათ, და ანბორს-
უყვეს და განუტევეს იგი.

სასა. ხოლო იგინი, გამოსრულნი¹ ქალაქისაგან
და მოსწრაფებით მოქმედნი საგრობისანი,
ეწივნეს წმიდასა მამასა და ვითს და იცნეს
იგი მითდა მოთხრობილისა სახისაებრ პატ-
რიაქისაგან და ერთბამად ჳიხაროდენისა მე-
ტყუელთა და მოწლედ თაყუანის-მცემელთა
ამბორს-უყვეს მას. თანად მიმღებელთა მალა-
კისათა პოვნეს² მას შინა სამნი იგი ქვანი,
და წარმოუთხრეს მას³ ყოველი, რომელი
იქსმი პატრიაქისაგან. და მოუხუნეს მას ორნი
იგი ქვანი, ხოლო ერთი იგი მისცეს მას, ვი-
თარცა ემცნო მათთჳს პატრიაქსა ელიას.

ესე ყოველი რად ესმა მამასა და ვითს
კაცთა მათგან მისა მიმართ მოვლინებულთა.
განკრკვებულ იქმნა ფრიად სახიერებასა ზე-
და ღმრთისასა და⁴ დავრდომილი კუალად
პირსა ზედა თჳსსა და აღტობდა მიწასა
ცრემლთა მიერ ესრეთ მეტყუელი: დიდება
შენდა, ღმერთო ჩუენო, უშობელო მამაო, მი-
ზეზო ყოველთა კეთილთაო! დიდება შენდა,
ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მხოლოდ შობილო.
ძეო მხოლოდსა⁵ მამისაო! დიდება შენდა,
სულო წმიდაო, მამისაგან გამოსრულო და
ძისა თანა დიდებულო, სამებაო წმიდაო, ერთ-
არსებაო, ღმერთო ყოველთაო, რომელმან
ღირს იჩინე ჩემ ზედაცა ცოდვილსა ამას და
უღირსსა მონასა შენსა! მომხედენ⁶ სახიერ-
ბისა შენისათჳს და არა უგულებელს-მყავ
მეგდრებელი შენი პოვნად შენიმერსა წყა-
ლობასა.

ხოლო კაცნი იგი აიძულებდეს სანატ-
რელსა და ვითს უკუნქცევად და შესლვად
იერუსალიმად, რამეთუ ესრეთ ემცნო მათ-
თჳს პატრიაქსა, რათა იჯიცა შეემთხვოს სი-
წმიდესა მისსა. და ვითარ ვერ შეუძლეს და-
წმუნებად მისი, ამბორს-უყვეს მას⁷ და⁸ გა-
ნუტევეს. ხოლო თჳთ უკუნქცეს პატრია-

ს ¹ მიუმცნო B'. ² მისცენ B'. ³ ერთღმრთელო B'. ⁴ იწმოს B'.

ლ ¹ გამოსრული D. ² პოვნეს DE. ³ მათ CD. ⁴ და—C. ⁵ მხოლო C. ⁶ მოხედენ D, მო-
ხედვად C, ო მომხედენ E. ⁷ მას იგი CD; ამბორს უყვეს მას—E. ⁸ და—E.

ტ

ჟ

ქისა მიმართ ორთა მათ ქვათა მიმღებელნი წმიდისაგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე იერუსალიმს შინა და ყოველსა მას გარემოსა დაბნებსა, რომელი¹ ქმნა ღმერთმან საჩინო-
 5 ქმნისათჳს მონისა თჳსისა და ვითისა.

ხოლო წმიდაჲ და ვით შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოიწია უდაბნოდ თჳსად. და ყოველნივე ძმანი სიხარულით და სურვიელად² მიეგებოდეს მსმენელნი მოსლევასა სულიერისა³ მწყემსისასა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოუვლინა მათ კუალად მოურნე და მღუწელი მათი სულიერი. ხოლო არა მრავლისა შემდგომად მოიწივნეს ძმანიცა იგი იერუსალიმით თაყუანის-მცემელნი წმიდათა ადგილთანი, რომელნი ერთბამად მამასა და ვითს თანა წარსრულ იყვნეს იერუსალიმად. და მიუთხრეს ყოველი იგი სიტყუაჲ, რომელი ესმა და იხილეს წმიდისა და ვითისთჳს, და ვითარ-იგი არა ინება მათ თანა შესლვაჲ იერუსალიმად უღირსად მსჯელმან თავისა თჳსისამან სლვად ფერჯითა თჳსითა წმიდათა მათ ადგილთა ზედა, და თანად ქვათბ მათთჳს, და ვითარ ორნი იგი მიეხუნეს მისგან, ხოლო ერთი მონიკებულ იქმნა მისა, რომელიცა ესე ქვაჲ მღებარე არს უდაბნოსა ამას ვიდრე აქამომდე და სასწაულთა და კურნებათა აღასრულებს, სიმრთელესა სხეულისასა მიიღებენ სარწმუნოებით შემთხუეულნი მისნი. ამისნი მსმენელნი ყოველნი და უმეტესნი⁴ თა სურვილითა აღძრულნი ყოვლით კერძო შემოკრებოდეს მისა, და დღითი-დღე ფრიადი სიმრავლე მოიწეოდა უდაბნოსა ამას შინა, რომლისა ძლით აღსავსე იქმნა კაცთა მიერ სათნოთა და ღირსთა ყოველი იგი ადგილი. და რომელნიმე⁵ მათგანნი მარტოებით იყოფებოდეს ნაპრალთა შინა კლდისათა დამკვდრებულნი, ხოლო სხუანი კრებულსა თანა ძმათასა დაეწესებოდეს და ყოვლით კერ-

ხოლო წმიდაჲ და ვით მოიწია¹ რაჲ უდაბნოსა თჳსსა, ყოველნი ძმანი სიხარულით მიეგებოდეს² და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან კუალად უჩუენა³ მწყემსი და მაცხოვარი სულთა მათთაჲ. და ვითარცა მოილოცეს ძმათა მათ, და ვითის თანა წარსრულთა, იერუსალმს⁴, შემდგომად ამისსა მოვიდეს იგინიცა უდაბნოსა მას წმი-
 15 დისა და ვითისსა⁵. და განთქუეს ჰამბავი მისი და ყოველი, რაჲცა იხილეს და ესმა წმიდისა და ვითისთჳს. და ყოვლით კერძო შემოკრება სიმრავლე ძმათაჲ და აღი-
 20 სო უდაბნოჲ იგი, და რომელნიმე დაეყუდნეს ნაპრალსა კლდეთასა.

ტ ¹ მოიწია B'. ² მიეგებოდეს B'. ³ უჩუენა B'. ⁴ იწმლმ B'. ⁵ და ვითისასა B'.
 ჟ ¹ რომელ E. ² სურვილით E. ³ რომელნიმე | იგი C.

ჯ

ღ

ძო განდიდნებოდეს სადიდებელნი ღმრთი-
სანი.

მაშინ წმიდაჲ მამაჲ და მწყემს-
სი კეთილი წმიდაჲ დაეიბ დლი-
თი-დღე განვიდის მოკითხვად ძმა-
თა მათ განშორებულთა მარტოდ-
მყოფთა დაყუდებულთა და ყოველ-
თა ნუგეშინის-სცემდა¹, განამტკი-
ცებდა და განაძლიერებდა და ახა-
რებდა მათთვის განმზადებულსა²
სასუფეველსა ცათასა².

ხოლო დიდი იგი მწყემსი და მამაჲ ჩუე-
ნი და ვით მოხარული ესრეთ აღორძინებასა
5 ზედა სამწყსოთასა დლითი-დღე განვიდოდის
მოხილვად ძმათა განშორებულთა და მარ-
ტოებითა მყოფთა მოღუაწეთა და ყოველთავე
ნუგეშინის-სცემნ და განამტკობნ და განა-
ძლიერებნ მათ კეთილისა მიმართ საგოგობი-
10 სსა¹, რომელი მიიყვანებნ მათ ზეცათა შუე-
ბისა და განსუენებისა მიმართ და მოაჰსე-
ნებდა განმზადებულთა კეთილთათჳს². რო-
მელნი მიელიან აქა შინა ძურ-ხილულთა და
მაქირებელთა³ ხრწნადისა ამის სხეულისათა.

ხოლო მივიდა ოდესმე ერთი-
15 სა ძმათაგანისა, რომელი იყოფე-
ბოდა³ ძირსა რასმე კლდის(ა)სა
და ჰკითხა მას და ჰკრქუა: ვითარ
ხარ, ძმაო? მიუგო მან: კეთილად,
ლოცვითა შენითა წმიდითა, გარ-
20 სა წყალი ესე, რომელ სწუთის
კლდესა⁴ ამას, არს ესე ფრიად
მწარე, და ოდეს მივილო მისგან,
განმიმწარებს საგრძნობელთა. და
ეგრეთვე მხალნი ესე, რომელნი²⁵
მის მიერ ირწყვებიან, ესეცა მწა-
რე არიან, ვითარცა ნავლეი,
გარნა ვი(ი)ძულებ მე თავსა ჩენსა
და ვიტყვ: ფრიად უმწარეს არიან
სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი და³⁰
უკუეთუ აქა წუთ ერთ დაითმინო,
უმჯობეს არს შენდა და მუნ უკუ-
ნისამდე არლარა იკირვოდი სი-
მწარესა მას შინა ჯოჯოხეთისასა⁵.

ხოლო ოდესმე დღესა ერთსა მივიდა⁴
ერთისა ძმათაგანისა მიმართ, რომელი აღას-
რულებდა მოღუაწებასა თჳსსა ქოგნე ჯერძო
რომლისანე კლდისა და მოიკითხა იგი და
ჰკრქუა: ვითარ იყოფები,⁵ ძმაო? ხოლო მან
მიუგო: კეთილად ვარ, ჰატიოსანო მამაო,
წმიდითა შენითა ლოცვითა; გარნა წყალი
ესე, რომელი⁶ შთამოსწუთის კლდესა ამას,
არს იგი ფრიად მწარე, და რაჟამს მოვიშო
წყურილითა და ესუა ამისგან⁷. ფრიადსა
35 საღმობასა შემიქმს⁸ მე განმწარებითა სა-
გრძნობელთათჳს; და მხალნიცა ესე, ომნელ
მისგან ირწყვებიან, იგინიცა ფრიადსა სი-
მწარესა მქონებელ არიან მსგავსად ნავლი-
სა. და მომემშოოს: რაჲ,¹⁰ ვკამო მისგანი.
ფრიად შემაწუხებს, გარნა ვეტყვ¹¹ თავსა ჩენ-
სა, ვითარმელ: ფრიად უმწარეს არიან სა-
ტანჯველნი ჯოჯოხეთისანი და უმჯობეს არს
შენდა, რათა აქა შინა მომთმენელი წუთ
ერთსა სიმწარეთაჲ უმწარესთა განველტო
35 სასაჯელთა ყოფადსა მას¹² შინა საუკუნეა.

ესე რაჲ ესმა ბერისა მისგან წმიდასა
და ვითს, მხიარულ იქმნა ფრიად კეთილისა

ჯ ¹ ნუგეშინის ცემდა B'. ² ცათასა B'. ³ იყოფობოდა B'. ⁴ კლდეს B'. ⁵ ჯოჯოხეთისა B
ღ ¹ სარგებლისა C. ² კეთილთა C. ³ მქირებელთა C. ⁴ მოვიდა D. ⁵ იყოფი C. ⁶ რო-
მელ D. ⁷ მოვიშოო წყურილითა და ესუა ამისგან⁷ ესუა მისგან, ნუუკუე მოვიშოო, რამეთუ E.
მ ფრ იად CD. ⁸ შემიქმს D. ¹⁰ რაჲ|+და DE. ¹¹ ვეტყვ|+მე C. ¹² მას|—E.

ს

ღ

პრქტუა: ნუ წწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა და როჯელმან-იგი მერანს დაატკბნა წყალნი*, მანვე სახიერმან დაატკბნეს ესენიცა. და აღდგეს და ევედრნეს უფალსა. და აღავსო სარწყული და დასწერა ჯუარი და მისცა ბერსა. და ვითარცა იხილა გემოჲ წყლისაჲ მის, უტკბილეს იყო იგი ყოველთა წყალთა, და ვიდრე აქამომდესცა ტკბილ არს წყალი იგი და მხალიცა, რამეთუ მიგრითგან დგას ადგილსა მას ნიახური და რომელნი მივიდენ ადგილსა მას, მიიღებენ ევლოგიად წყლისა მისგან და მხლისა.

გულის სიტყვსა მისისათჳს და შემწყალებელმან მისმან პრქტუა სიტკობებით: ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედრნეთ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და ვითარცა იგი მერანს დაატკბნა წყალნი მწარენი*, ეგრეთვე მსგავსითა სახიერებითა დაატკბოს ესეცა და შეცვალოს სიმწარისაგან სიტკობებად. და აღდგომილნი ევედრნეს უფალსა ბრძანებისაებრ ბერისა. ამისა¹ შემდგომად უბრძანა რათა აღავსოს სარწყული წყლითა. ხოლო მან აღავსო და დადგა წინაშე მისსა. და წმიდამან დავით ნიილო ჳელითა თჳსითა და აკურთხა² იგი და ჯუარი გამოსახა მას ზედა. ამისა³ შემდგომად პრქტუა ბერსა: მიიღე ესე, ძმაო, და სუ ამისგან⁴ შეუოგულებულად. ხოლო იგი გემოჲს მხილველი მისგან განკარგებულ იყო სიტკობებასა ზედა მის წყლისასა და ადიდებდა ღმერთსა და მონასა მისსა ღირსსა დავითს, რომელიცა-ესე წყალი⁵ ვიდრე აქამომდე დადგრომილ არს სიტკობებასა და გემოვნებასა ფრიადსა მკონებელი, ვიდრელა არა რომელი⁶ სხუაჲ წყალთაგანი უტკბილეს არს ამისსა⁷ და აღმოეცენების ადგილსა მას ნიახურიცა, რომელი ამისვე ბერისა მიერ დათესილ იქმნა, და რომელნი მიიწიენენ ამას ადგილსა, მიიღებენ წყლისა ამისგან და თანად მხლისა ევლოგიად, რამეთუ ზამთრის და ზაფხულის მოუკლებელად იპოების ადგილსა მას ბერისასა ნიახური

ესე ვითარნი არიან სასწაულ-იგი. ნი, რომელთა იქმოდა მამაჲ ჩუენი დავით და განჰკურნებდა ყოველსა უძლურებასა კაცთასა. ხოლო ბრძანებითავე მამისა დავითისითა აღეშენა უდაბნოჲ მრავალ-მთისაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა¹.

ს¹ ნათლის-მცემელისა B'. * გამოსლგ. 15,22-25.

ღ¹ ამის C. ² და აკურთხა ეელითა თჳსითა C. ³ ამისა]-E. ⁴ ამისგანი C. ⁵ აწყალი ესე C. ⁶ რომელი]-C. ⁷ მისა C. * გამოსლგ. 15,22-25

ტ

ღ

და ვითარცა წარკდეს¹ ამას შინა ეამნი რაოდენნიმე, ცნა მამან დავით განსლვად მისი ჯორცთაგან. და მოუწოდა ყოველთა ძმათა და ჰრქუა: ძმანო და შვილ-⁵ ნო ს(უ)ლიერნო, მე ესერა განვალ ჯორცთაგან, ვითარცა ერთი კაცთაგანი, ხოლო თქუენ ნუ შესძრწუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხ¹⁰ რომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუენთა ცხოვრებისათს.

ამას შინა რაჲ წარკდეს¹ ეამნი რაოდენნიმე და სავსე იყო ნაკვი კეთილთა ტჯრთითა² სიმდიდრესა დაუღვენელსა მომღებელი შინაგან თქსსა და ჯერ-იყო შინაგან ნავთ საყუდლისა შორს მსოფლიოთა ღელვითაგან დაზამთრებდა მისი და უფროდსლა ზეცისა სავანეთა მიმართ აღწევნად, ესე იგი არს განჯსნად სხეულთა მიწიერთაგან სული-¹⁵ სსა, არცალა³ ამას უმეტარ იქმნა ღმერთ-შემოსილი ესე და ზეცისათა ღირსი სანატრელი დავით, რაჲეთუ ეუწყა მას ღმრთისა მიერ განსლვად თქსი⁴ ჯორცთაგან. მოუწოდა⁵ ყოველთავე მის მიერ შეკრებულთა⁶ ძმათა უდაბნოსა მას შინა და მამობრივ სწავლიდა მათ¹⁵ ესე ვითართა ნამცნებელი: ძმანო ჩემნო და შვილნო სულიერნო, აჰა ესერა მე თანა-მუდბსა ბუნებისასა მიმცემელი განვალ ჯორცთაგან და⁸ მიწად ბრძანებული მიქცევად შემოქმედისა მიმართ⁹ კაცთა¹⁰ განწესებულსა სრულ²⁰ ეჭყოფ მსგავსად ყოველთასა, ხოლო თქუენ. შვილნო ჩემნო, ნუ შესძრწუნდებით და ნუცა აღჰშფოთნებით, არამედ უფროდსლა განმტკიცდით და განძლიერდით და ცანთ¹¹ ამოვებაჲ ესე საწუთოდას ამის დაუდგომელისა.
²⁵ რამეთუ ყოველნივე წარმავალ ვართ წერილისაებრ და არა რომელი სოფლისა ამის მდგომად შერაცხილთაგანი¹² დაადგრების; ხოლო სული, ვითარ უკუდავებისა მიმღებელი ღმრთისაგან, საუკუნოდ დაადგრების, და გუეგულვე-
³⁰ ბის მიღებაჲ კეთილთა გინათუ¹³ ბოროტთაჲ, რომელიცა რაჲვე ვიმოქმედეთ¹⁴ ცხოვრებასა ამას შინა. ამისთვისა დაუცხრომელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ღმერთსა, რათა მოგცეს ძალი წინააღმდგომთა და უხილავთა
³⁵ კტერთა მიმართ, რომელნი მოსწრაფე არიან შებრკოლებად ჩუენდა ღმრთისა მიმართთა სლვათაგან, მკირედ ეამ დაითმინეთ¹⁵ კინი¹⁶

ღ¹ წარკდენ C. ² ტჯრთითა|+და C. ³ არცა E. ⁴ მისი D. ⁵ მოუწოდა| და მოუწოდა C.
⁶ შემოკრებულთა C. ⁷ მამცნობელი DE. ⁸ და|—E. ⁹ მიერ C. ¹⁰ კაცთა|+ხედა C. ¹¹ ცნათ D.
¹² შერაცხილთაგან C. ¹³ თუ|—C. ¹⁴ რომელნიცა რაჲვე ვიმოქმედნეთ C. ¹⁵ დაითმინენით C.
 კინინი C.

ზ

ღ

ესე სატიკივარნი და საუკუნოდ იხარებდით¹ ტკიბლთა მათ შინა განსასუენებელთა კეთილთა ნაცვალის² მომცემელისა ღმრთისა მიერ, რომელი მისცემს სასყიდელსა მოთმინეთა და 5 ღირსთა თვისთა, ჩამეთუ წერილ არს, ვითარმედ ამოთმინებთა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი*.

ამათ და ესევეითართა სწავლათა მიერ განმკრძალვებელი³ ყოველთა ძმათაჲ და მღდელ-მემსხუერპლეობითსა მსახურებასა სრულ 10 კნნად მბრძანებელი⁴ ეზიარა უხრწნელთა და უკუდავთა⁵ ქრისტეს საიდუმლოთა წმიდასა ჳორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ამისა შემდგომად აღმპყრობელმან⁶ ჳელთამან ღმრთისა მიმართ და ნადლობისა შემწირველმან ჳელთა სამეფოთა შეჳვედრა⁷ წმიდაჲ სული თჳსი და დაუტევა⁸ ნრავალ მოღუაწე იგი გუამი მისი ნრავალთა შრომათა მიერ განკაფული მიცე 20 მად მიწაჲ მიწასა, რომლისაჲცა გარე მოდგომილნი კრებულნი ძმათანი ტიროდეს საღმობიერად დაკლებისათჳს მწყემსისა მის კეთილისაგან და იტყებდეს⁹ თავთა თჳსთა, ვითაროჳრად დაშთომილნი ესევეითარისა მასწავ- 25 ლელისა¹⁰ და მკურნალისაგან, რომელი შემძღვებელ იყო კურნებასა ორკერძოსა მინიკებად მათდა, და ურთიერთას წინასწრობით შეემთხუეოდეს ყოველნი პატიოსანსა მას სხეულსა მიღებად რომელსამე¹¹ მადლსა გა- 30 მომკრთოლვარესა¹² მისგან.

ხოლო იყო ვინმე მათ შორის¹³ ძმაჲ, რომელი დაკლებულ იყო ხილვად¹⁴ ნათელსა თუალითა სიყრმით თჳსითგან, და მიეახლა რაჲ წმიდასა მას გუამსა (ჳსაკრველი 35 დიდებულნი! რამეთუ), შემთხუევასავე თანამიემთხვა განათლებასა თუალისასა, რომლი-

უბრძანა მღუდელთა¹ (შეწირვაჲ) მსხუერპლისაჲ² და ეზიარა წმიდასა მსხუერპლსა³ ქრისტეს ღმრთისასა და აღიპყრნა ჳელნი და მადლობაჲ შეწირა⁴ ღმრთისა და ესრეთ შეჳვედრა სული თჳსი წმიდაჲ უფალსა. და ყოველნი იგი ძმანი ტიროდეს⁵ დაკლებისათჳს 15 მწყემსისა მის კეთილისა.

და იყო მათ შორის ერთი ძმათაგანი, რომელსა ერთი თუალი არა ედგა, და შე-რაჲ-ეზო გუამსა მას წმიდასა, მეყსეულად განიკურნა, და ყოველნი აღიდებ- 35 დეს ღმერთსა. ესევეითართა მასწავ-

ზ ¹ მღდელთა B'. ² მსხუერპლისაჲ B'. ³ მსხუერპლსა B'. ⁴ შეწირაჲ B'. ⁵ ტიროდეს B'.
 ღ ¹ იხარებდით C. ² განსუენებულთა D, განსუენებათა E. ³ ნაცვალის DE. ⁴ განმკრძალვებელი E. ⁵ ბრძანებელი D. ⁶ აუტუდავსა და უხრწნელსა D. ⁷ ამპყრობელმან E. ⁸ შეჳვედრა C. ⁹ დაუტევა C. ¹⁰ ეტყებდეს CE. ¹¹ მსაუელელისა C. ¹² რამელსავე C. ¹³ გამომკრთოლვარესა C, გამომკრთოლვარესა DE. ¹⁴ შინა C. ¹⁵ ხილვად]—C. * ლუკა 21,19.

ზ

ღ

ულთა იქმოდა წმიდაჲ მამაჲ და-
ვით შემდგომად სიკუდრლისაჲ.
და დაპკრძალეს ესრეთ პატივით
ლუსკუმასა მას ზემოვსენებულსა¹.
და რომელნი სარწმუნოებით მივ-
ლენ სამარხოთა მას, მიიღებენ
კურნებასა სულთა და ჯორცთასა
და აღიდებენ მამასა და ძესა და
წმიდასა სულსა აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

საჲ მხილველნი აღიდებდეს საკრველთა
დიდჲა მოქმედსა ღმერთსა, რომელმან შემ-
დგომად¹ სიკუდილისაჲ ადიდა მსახურთა
თჳსი ესევეთართა მადლთა ღირს ქმნად, ხო-
ლო პატიოსანი სხეული მისი სურვილით
წარმგრაგნელთა დადგეს სამარხოთა მათ²
შინა ზემო ვსენებულთა³, რომლისაგან ვიდ-
რე აქამომდე აღმოდის სული სულნელებისაჲ
და კურნებისა⁴ მადლი⁵ ურიცხჳ და უოველ-
10 თა, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუე-
რი სამარხოჲსა მისგან⁶, ექნების ნათ საკურ-
ნებელ სულისა და ჯორცთა, რამეთუ ესევი-
თართა მადლთა და ნიქთა მიერ ადიდა ღმერ-
მან მადიდებელი თჳსი.

15 ესევეთართა საკრველებათა და ძალ-
თა ნიშნებსა მიემთხვე, ჰჳ ცაკო ჴეცისაო და
ანგელოზო ქუეყანისაო, ესევეთართა მადლთა
მიერ განმსდიდრდი⁷ ნაცვალად მრავალთა
მათ ოფლთა და შრომათა, ოცნელი ღმრთი-
20 სათჳს დაითმინენ, რამეთუ ჯორცნი განსცენ
საწუთოსა ამას შინა იწროებათა ნიმართ და
ჭირთა და ამიერთა ამათ ჳრწნადთა და⁸
წარმავალთა მიცემითა, საუკუნოჲ იგი და
უხრწნელი ნეტარებაჲ მოიყიდე და აწ იშუებ
25 ჴეცისა საგანეთა შინა წინაშე თულთ შეუდ-
გამისა ნათლისა დამკვდრებული, ვინაჲ კო-
გუხედევდ ჩუენ შვილთა შენთა, რომელნი
მერმეცა ლელვათა შინა ამის სოფლისა სამ-
მოქცევისათა ვიღელვებით; და იოხე ჩუენთჳს
30 ღმრთისა მიმართ სატკივართა ამათ და ქუე-
დამზიდველთა ჯორცთა⁹ ჴესთა ქმნად. რათა
განრომილნი ოხათა შენთა მიერ მრავალ-ლო-
ნეთა და¹⁰ მანქანებათა და საბოგეთაგან ბე-
ლიარისათა ქებასა აღავლენდეთ ერთისა
35 ღმრთისა მიმართ, სამებისა ერთ-არსებისა,
რამეთუ¹¹ მამასა ჰშუენის დიდებაჲ. პატივი
და თაყუანის-ცემაჲ დაუსაბამოჲსა თანა¹² ძი-
სა და ყოვლად წმიდისა სულისა აწ და¹³ მა-
რადის¹⁴ და საუკუნეთა დაუსრულებელთა
40 საუკუნეთასა, ამინ.

ზ¹ ზემოყენებულსა B'.

ღ¹ შემდგომად—CD. ² სამარხოთა მას C. ³ ზემო ვსენებულსა CD. ⁴ კურნებათა C.

⁵ მადლი—C. ⁶ მისისგან C. ⁷ განმსდიდრდი C. ⁸ და—C. ⁹ ჯორცთა| ამათ ჯორცთა C.

¹⁰ და|—E. ¹¹ რამეთუ| რომლისა მიერ CD. ¹² თანა—C. ¹³ და|—D. ¹⁴ მარადი E.

[თ]თუესა ნოენბერსა აბ.

[მ]ოქალაქობაჲ და წამებაჲ
[წ]მიდისა აბიბო(ს) ნიქარხელ
ეპისკოპოსისაჲ

მამაო, გუაქურთხენ!

წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს
ნიქარხელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა
ცაცხლის-მსახურთა მიერ ქართლს,
თაუშული არხენი დიდისა ქართლისა
კათალიკოსისაჲ

ხოლო ჯერ-არს, რათა მცირედ შეუვა
ბეზოვილოთ ცსენებაჲ წმიდისა და უბიწოჲსა
მღვდელ-მოძღურისა და მოწამისაჲ, რომელი
სამართლით მონიჭებულ იყო პა-
ტივი განმსადებულისა მის სასოებისაჲ დი-
დებისა საყდარი, უზეშთაესი შორის ნარ-
თალთა დიდისა ნისისა სიწმიდისათჳს, უმე-
ტესად ყოველთა მიერ წამებულ კეშმარიტე-
ბისათჳს. დამამტკიცებელი სისხლითა თჳსი-
თა, რომელმან იგი თჳსითა სისხლითა მიცხნა
ჩუენ. დაიდგა გვრგვნი ძლევისაჲ თჳთ მოტა-
ციებითა, აფრინებითა მალლად, რომელმან ნა-
ყოფნი გამოუხუნა თჳსით თავეთ თჳთ შეწვე-
ნითა მალლისაჲთა, სიწმიდისა იგი სამეოცი
და მოწამებისა ასეული, და თჳთ თავეისა თჳსი-
თა თანა შეერთებითა შვდელისა განმა-
ყოფლებელ იპოვა იგი მღვდელ-მოძღუარი
მადლისაჲ, შეამდგომელი ღმრთისა და კაც-
თაჲ ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა
ეპისკოპოსი, რომელი ორთა განწყობილთა
კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღვდლობი-
თა საყდრისა მოდგამთა მათ თანა უბიწოთა
საყდარი დაიპყრა. და კჳლად მვნეთა მათ
თანა მოწამეთა ლუაწლსა მისწრაფთა და ას-
პარებნი იგი მსწრაფლ წარიტაცა და გვრგვ-
ნითა პატივ-ცემულთა შორის იპოვა შურის
მიძიებელთა მართალთა რჩულისათა.

[ჯერ არს] ცსენებაჲ წმიდი-
სა მღ[ვდელ-მო]ძღურისაჲ და
უბიწ[ოჲსა] და ახუვანისა მოწამი-
[საჲ], რომელსა-იგი სამართლად
5 [მონი]ჭებ[ულ იყო] საყდარი დი-
დებისაჲ დიდისა მისთჳს სარწმუ-
ნობისა მისისა და ყოველთა მიერ
წამებისა კეშმარიტებისათჳს, რომელი
მელმან შეწირა თავე თჳსი მსხუერ-
პლად¹ მისთჳს, რომელი შეიწირა
მამისა, და სისხლითა თჳსითა მო-
მიყიდნა ჩუენ, რომელმან ნაყოფნი
გამო[ი]ხუნა თავეთ თჳსით შეწვე-
ნითა მალლისაჲთა სიწმიდისა იგი
15 სამოციეული და მოღუაწებისა ასე-
ული თავეისა თჳსისა თანა შეერ-
თებითა შვდელისა განმარტულე-
ბელი მ[ღვდელ]-[მოძღუარი მალ-
ლ]ისაჲ, შეამდგ[ომელი ღმრთის]სა
20 და კაცთაჲ, ნეტარი აბიბოს ნე-
კრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი.
რამეთუ შორის ორთა წმიდათა
განწყობილთა წარმოდგა მღვდ-
ლობისა საყდარი მოდგამთა თანა
25 უბიწოდ მღვდლობითა და მართლ
მკჳეთელობითა², და კჳლად მო-
წამეთა თანა მვნედ მოღუაწებითა
ორითა გვრგვნითა პატივცემული
[შორის] განწყობილსა მართალ-
30 თასა.

1. მსხუერად B. 2. მკუთელობითა B.

C

ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიჭრი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა სულნელ მყოფელი, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თვისი აღან-
 5 თო ზედა მალალსა მთასა, რათა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს მას ნათელსა დაუშრეტელსა, ორპირად მანათობელსა, ღმრთისა მიმართ შემწირველსა თვთ მის სიტყვასა დაუსაბამო-
 10 სსა ჯორცსა, უკუანაესკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა თავი თვისი შეწირა, მრგულიად დასაწუელად მისსა მიმართ შესწირვიდეს ჯელითა უსჯულომსა მის მარზაპნისაჲთა, რომელმანცა შეწირა.

აჲ მნებაეს, საყუარელნო, რათა უწ-
 15 ყოდით მიზეზი საქმისა ამის. რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჯელმწიფე იყვნეს ჩუნენსა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთ მსახურებასა—ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა—აღა-
 20 სრულებდეს მარადის; ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა ჟამად, ვითარცა იწუეოდეს თვისისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა. ამის გა-
 25 მო ადგილნი მრავალნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათჳს ქუეყანისა¹ და მრავალთა შეატუნებდეს, დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა.

ხოლო ნეტარი აბიზოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი², ჯევისა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოთა და ვერ თავსიდვა უცხოესა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა ყოფად და დაასხა მცირედ წყა-
 35 ლი ხენეში და დაშრიტა იგი. ესე რაჲ ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კნინდა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი, და საპყრობილესა შეაყენეს ღიდითა იწროვები-

D

ჩემი არს მოწამე ესე და
 5 მლდელთ მოძღუარი უბიწოჲ. ნაყოფი შუენიჭრი¹, მხიარულებისა ჩუნენდა მომღებელი და სულნელ ბისა ჩუნენისა ჩუნენდა მომფენელი. სანთელი მალლად მნთებარე. მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბიწოდ ჯორცსა და სისხლსა
 10 ქრისტესსა, რომელმან თავი თვისი შეწირა მსხუერპლად² მისსა მიმართ ჯელითა უსჯულომსა მარზაპნისაჲთა.

ხოლო მიზეზი წამებისა მისისაჲ ესრეთ იყო. რამეთუ ჟამსა მას, ოდეს სამეფოჲ ესე ჩუნენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა და ბილწსა მას მსახურებასა აღასრულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მასწავლელისა მათისა ეშმაკისაგან. ამის გამო მრავალნი ადგილნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისათჳს ქუეყანასა ამას ჩუნენსა და მრავალთა, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა, შეატუნებდეს.

30

ხოლო ნეტარი აბიზოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, სამთავრომსა კახეთისაჲ, [აღიძრა] საღმრთოთა შურითა გულს-
 35 მრდგინედ და მივიდა მახლობელად უცხოესა მის სამსახურებელისა მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი [ღმერთი]. ცეცხლი მათი დაშრიტა. ესე რაჲ ცნეს

C¹ ქუეყანასა D. ² ეპისკოპოზი F. D. ¹ შუენიჭრი B. ² მსხუერპლად B.

C

Q

თა და მრავლითა ტანჯვითა. ამისა შემდგომად მიწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზაპნიასა საქმეესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ მისი შეკრვად და მიყვანებაჲ მისი მის წინაშე. და მივიდეს მივლინებულნი იგი მტარვალნი და წარიყვანეს, ვითარცა ბრძანებულ იყო: მრავალ-ფერითა ჳირითა მიიყვანეს იგი.

უსჯულოთა მათ სპარსთა, შეიპყრეს და ესოდენ გუგმეს¹, ვიდრეღა სიკუდილ საგონებელ იყო ნეტარი იგი, და მერმე შეაყენეს საპყრობილესა იწროებიითა დიდითა. და შემდგომად მრავლისა ტანჯვისა მიწერეს ზენა სოფლად მეფისა მათისა მარზაპნიასა თანა. ხოლო მან მიუძმცნო, რაჲთა შეკრული მსწრაფლ მიიყვანონ მის წინაშე. და მოვიდეს მოვლინებულნი იგი და წარიყვანეს წმიდაჲ აბიბოს მრავალ-ფერითა ჳირითა მგზავრ.

ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სუმეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ, არა თუ ხილვითა ეხილვა სადაწე ერამანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო ნათ შორის შესწავებაჲ. მას ოდენ ჟამსა. ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ აბიბოს, დაემთხვა მას მოციქული იგი წმიდისა სუმეონ მესუეტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქვან იალდო, და მოართუა მას წიგნი, ევლოგიაჲ¹ და კუერთხი წმიდისა სუმეონ მესუეტისა ანტიოქელისა საკრველთ-მოქმედისაჲ. და ვითარცა მიიღო წიგნი იგი ეპისკოპოსმან, აღმოიკითხა. და მიტყუარა მას ევლოგიაჲ იგი და კუერთხი. და განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად. და თანა წარმოიხუნა იგინი და განმხიარულებული მოვიდა, დაღათუ შესაძლებელ იყო მისა არა მოსლვაჲ: მოყვანებელთა მათ დაემთხვნესცა, და ჰრქუეს: უკუეთუ არა გნებავს წარსლვის, ჩუენ მოგილოთ და უკუნებაქციოთ. ხოლო მან არა თავა-იდვა, რამეთუ ისწრაფდა და ჰსუროდა² მარტულობაჲ.

ხოლო ნეტარი ესე ეპისკოპოსი მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სუმეონ მესუეტისა² ანტიოქელისაჲ და არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთარს, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ. და მას [ოდენ] ჟამსა, ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ აბიბოს, დაემთხვა მას მოციქული ნეტარისა [სუმეონ მესუეტისაჲ] სოფელსა, რომელსა ჰრქვან იალდოს და მისცა წიგნი, ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა მამისა ჩუენისა [სუმეონ საკრველთ მოქმედისაჲ. და ვითარცა მიიღო ეპისკოპოსმან] ევლოგიაჲ იგი და კუერთხი³, და წიგნი იგი წმიდისაჲ აღმოიკითხა, განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად. ამისა [შემდგომად შე]ემთხვნეს ვიეთნიმე და ჰრქუეს: უკუეთუ

C¹ ევლოგიაჲ DF. ² სუროდა F. Q¹ გუშმეს B. ³ მესუეტისა B. ⁴ კუერთხი B.

C

D

არა გნებავს წარსლის, ჩუენ უკუნგაქციოთ საყოფელიადვე შენ-
და. და არა /ინება, რამეთუ სუ-
როდა მარტულობად ქრისტესთს.

და ვითარ მოიწივნეს მახლობელად 5
ჩუენსა ამას სამეფოსა ქალაქსა მცხეთისასა,
ჭხალოდა იგი დედასა თქსსა რაქელს, რომელ
არს ერთი კათოლიკე ეკლესიაჲ სამოციქუ-
ლოჲ. და ვიდრეღა თუ იტყოდაცა, ვითარ-
მედ: დედაო, აჰა ესერა შვილი შენი იოსებ 10
წარვჰყავ¹ ეგვპტელ კრული, ვითარცა ტყუე;
და ვითარმცა ვინ ჰრქუა: არა ეგრე, არამედ
სუფევად განემზადები ნაყოფთა მათგან შუე-
ნიერთა, საუნჯეთა მათგან თქსთა; მთნავს
შენი ეგე გზაჲ და ვიდოდე მას ზედა. მაშინ 15
ვევდრა მტარვალთა, რათა მივიდეს იგი ნე-
ტარისა შიოხსა მღუნედ, რამეთუ იცოდა იგი
წინაჲთვე და სურვიელ იყო იგი ხილვად მისა.
ხოლო მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბ-
ნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი. და ყვეს 20
ლოცვაჲ და მოიკითხეს ურთიერთას. და ვი-
თარცა ზრახვიდეს, ჰრქუა წმიდამან ეპისკო-
პოსმან ბერსა: ლოცვა ყავ, მამაო, რამეთუ
უსჯულონი ესე სპარსნი განძნდეს ჩუენ ზე-
და ამპარტავანებითა თქსითა, რამეთუ დაიპ- 25
ყრეს სოფელი ესე ჩუენი. შენ უწყი, რამეთუ
ბაბილოვნი მარადის კერპთ მაწუებელ არს
და ლონის მეძიებელ არიან, რათამცა ყოველ
ნი კაცნი თაყუანის-აცემინნეს კერპთა. მაშინ
სადამე სამთა ყრმათა ძისა ღმრთისაჲსა² თა- 30
ნა-მღგომარეთა მის მიერითავე ძალითა კერპი
იგი დაადნვეს³ და განაქარვეს⁴ და მძლავრი⁵
იგი ყოვლით ძალით მისითურთ კდემასა ქუე-
შე შეაყენეს, და აწცა მათ უსჯულოთა მის-
თა სახედ ეგულების, რათამცა კუალად გა- 35
ნაგეს⁶ ბადე და შეაყენნეს კაცნი და თაყუა-
ნის-აცემი[ნ]ნეს ცეცხლსა.

და ვითარ მიიწივნეს სამეფო-
ფოსა ქალაქსა მცხეთასა, ვედრე-
ბით ხალოდა იგი წმიდასა კათო-
ლიკე სამოციქულ[ოსა] ეკლესიასა
და იტყოდა, ვ[ითარმედ]: შვილი
შენი იოსებ წარვალს ეგვპტელ
კრული, ვითარცა ტყუე¹; და ვი-
თარმცა ვინ ჰრქუა მას, ვითარმედ:
არა ეგრეთ, არამედ სუფევად გა-
ნენზადები და ზეცისა საფანეთა
მიერ არს გზავნად შენი და ვილო-
დე მას ზედა მშუდობით. მაშინ
ვევდრა ნეტარი იგი მტარვალთა
მათ, რაჲთა მივიდ*ეს

C¹ წარჰყე F. ² ღმრთა F. ³ დაადნეს F. ⁴ განაქარვენს DF. ⁵ მძლავრი D. ⁶ განა-
გდეს D.

D¹ ტყუე B. * ამას ქვემოთ გვ. 193, 37-მდის აკლია ნუსხას ერთი ფურცლის დაკარგვის
გამო.

C

9

მიუგო ბერმან და ჰრქუა: ვიცი, მამაო მტლობლო, რამეთუ დაშრიტე¹ ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი. არამედ მოგმადლენ უფალმან. რათა აღტყინებულიცა იგი უჩინოჲ ცეცხლი, რო- 5 მეღ აღუგზნიეს შენთჳს ეშმაკსა განსაცდელად, დაჰშრიტო ადვლად. არა უმეცარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ მრავლითა ჰირითა გვლირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა²; ხოლო ნუ შესძრწუნდები³ მათისა მისგან 10 მძლავრებისა, ვინამთგან იტყჳს მოციქული, ვითარმედ: მჰაჰირვებელთა თქუენთა ჰირი და თქუენ ჰირვეულთა ლხინია*. უწყოდი, რამეთუ ჰირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჰირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა. 15

და შემდგომად მრავლისა სიტყჳსა განმტყიცნა⁴ ნეტარი აბიბოს ბერისაგან და ყვესლოცვაჲ, და წარემართა ღუაწლსა მას სიხარულით. და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპანისა მის ზენა სოფლად, სოფელსა, რომელსა 20 ჰრგჯან რეჰი, და შეკრბა მუნ სიმრავლე ეპისკოპოსთა და მღდელთა და ერის მთავართა, და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზაპანისა.

მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოს 25 ეპისკოპოსი და ჰრქუა მას მარზაპანმან მან: რაჲსათჳს უვარ-ჰყავ⁵ უფლებაჲ მეფეთ-მეფიაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი? მიუგო აბიბოს და ჰრქუა: მე არაფინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო 30 ცეცხლი იგი, რომელ დაეშრიტე იგი, რათამცა საცთური განვაქარე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცჳ, რათა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოდ იცნათ. რომლისა მიერ დაებადა ყოველი. და მას მხო- 35 ლოთა ჰმსახურებდეთ, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოთა ჰმსახურებდე. **ჰრქუა მას მარზაპანმან მან: მე გკითხვა, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთ-

C¹ დაშრიტეს F. ² ღმჯა F. ³ შესძრწუნდები F. ⁴ განამტყიცნა D. ⁵ უარ ყავ D.

* II თესალ. 1, 6-7. ** ლუკა 4, 8.

C

L

თი ჩუენი და შენ გნებავეს, რათამცა შენი-
სა ღმრთისა წარგკუვანენ? ხოლო ნეტარმან
მან აბიბოს ჰრქუა: უწყებულ იყავნ შენდა,
ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს¹, ხოლო
ცეცხლი დავშრიტე. არა არს ღმერთი იგი, 5
არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა
ნივთისაგან მცირედ ნაწილი, რომელთაგან
აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწო-
რებით დაბადებულ არიან ნოტიად, ცივი,
ვმელი და ცეცხლი, რომელ ერთიერთისა¹⁰
მპყრობელობაჲ აქუს სიმრგულესა მას შინა.
ესრეთ განსწორებითა ნაწილთაჲთა დგანან
ესენი, და უკუეთუმცა ერთიერთსა² აღემატა,
გან-მცა-ქარდა მეორე იგი. ხოლო თქუენი
იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ¹⁵
[არს] ვმელითა და ცივითა, აღ[მ]დგომი შეშისა
ჰამითა მყოვარ-ჟამიერ. ერთი მცირე წყალი
დაეასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ
უფროჲს მისა იპოვა წყალი იგი. აწ მიკვრს
თქუენი ესევეითარი³ სიცოფე, ვითარ არა სი-
რცხულ გიჩნს მისი სახელის-დებად⁴ ღმრთად,
რომელსა ესეოდენი სული აქუს (რამეთუ
თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს და
კერპთა შეურაცხის მყოფელთა ვერვის ჰბე-
დავს), უკუეთუ ღმერთ არს ეგე? თქუენ იტ-²⁵
ყვთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სოფელსა
განჰმზადეთ მსახურებაჲ მის კერპისაჲ, რო-
მელ-იგი ჰქმენით ოქროსაჲ; სატანჯველად
განმზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინდელ-
სა აწ ღმერთ ეწოდების!³⁰

მაშინ განრისხნა⁵ ფრიად მარზაპანი
იგი მეფისაჲ და შემდგომად მრავლისა გუე-
მისა და საკრველთა სატანჯველთაჲსა⁶ ჰკითა
განტუნეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მოკლეს
და განათორიეს გარეშე ქალაქსა. და მცველხი³⁵
განეწესნეს მის ზედა, რათა მვეცთა და მფრინ-
ველთა შექამენ⁷ ვორცნი მისნი, რამეთუ ეში-
ნოდა, ნუუკუე ქრისტიანენი მოვიდებ და
წარიხუნენ იგი და დიდებით დაჰკრძალენ.

ქრისტიანეთა დიდებითა და-
ჰკრძალენ ივინი.

C¹ მომიკლავს DF. ² ერთიერთსამცა F. ³ ესევეითარი] ესე F. ⁴ სახელის-დებაჲ F.

⁵ განრისხდა F. ⁶ სატანჯველთათა F. ⁷ შექამენს DF.

ს

ჟ

ხოლო სამ გზის სანატრელსა მას, კორც-
თა მისთა, არარაჲ შეეხო ყოვლადვე მკეც-
თა და მფრინველთაგან. და ვითარ მყოვარ
ისხნეს, დაუტევეს მცველთა მათ და წარვი-
დეს. გამოვიდეს მამანი იგი, რომელნი მყოფ-
იყვნეს გარემოს¹ ქალაქებსა მას რევისასა,
და მათთა ნოწაფეთაგანსა აღეშენა მონასტე-
რი იგი, და აღიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა
აბიბოჲსნი და დაჰვლ[ნ]ეს ადგილსა მას დი-
დებითა დიდითა. და ესრეთ შეიწირა წმიდაჲ
აბიბოს. ვითარცა მსხუერპლი წმიდაჲ და
მართლიადმცა ვინმე თქუა, ვითარმედ სეხნა
არს იგი ზაქარიაჲსსა, მამისა იოანესსა, არა
თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა-იგი
წილი ხუედრებულ იყო მღდელთ-მოდღუ-
რებისაჲ და კუალად სისხლიცა მისი წმიდად
დაითხია.

ამას რაჲ გითხრობ თქუენ ნეტარისა
ეპისკოპოსისა აბიბოსისსა, არა თუ ყოველთა
საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა
გაუწყებ თქუენ. ანუ ვითარ-იგი დაღეწნა
კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრის-
ტე და ნათელ-სცა მათ სახელითა წმიდისა
სამებისაჲთა, ანუ ვითარ დედაკაცსაცა მას
უწინასწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მის-
სა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაჰყრობაჲ ქუე-
ყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა
მსწრაფლ. მისსავე დედაკაცისა ზე; მოვიდეს
ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარს-
ნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიე-
რითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართ-
ლისა და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ
არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა.

[ხოლო სამ გზის სანატრელი-
სა წმიდისა მ[ო]ლ[უ]აწისა] კორც-
თა არარაჲ [შეეხო] მკეცთა და
მფრინველთაგანი. და ვითარ მყო-
ვარ კცვიდეს, დაუტევეს იგი და
წარვიდეს. მაშინ მოვიდეს რომელ-
ნი-იგი მყოფ იყვნეს ქუაბსა მას,
რომელი-იგი მათვე წმიდათაგან
სავანე[სა] აღეშენა მონასტერი,
და [ა]ღიხუნეს ნაწილნი წმიდისა
[აბი]ბოჲსნი, დიდითა პატივით[ა]
დაჰკრძალნეს ადგილსა [მას. და
ეს]რეთ შეიწირა ღმრთისა [ნეტარი
აბი]ბოს, ვითარცა ძღუენი¹ სა-
[მ]სხუერპლოჲ, შე[სა]წირავი სულ-
ნელი, [ვითარცა მამაჲ დიდისა
ზაქარიაჲსა, რომელსა-იგი] წილი
ხუედრებულ იყო [მღდელთ-მო-
ძღურებისა, და] მისებრ [სისხლი-
ცა წმიდაჲ მ]ისი დაითხია უფ-
ლისა ჩუენის[ათჲს].

[...არა თუ ყოველსა მისისა ღუა-
წ]ლისაგან გაუწყებ თქუენ] ნე-
ტარისა აბი[ბ]ოს ეპისკოპოსისა] წა-
მებისათჲს. [არა თუ ყოველთა] საქ-
მეთა და [შრომათა მისთა გაუწყ-
ებ თქუენ, ანუ ვითარ-იგი დაღეწ-
ნა კერპნი და უღმრთოთა მან არ-
წმუნა ქრისტე და ნათელ-სცა] სა-
ხელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ
ვითარ] დედაკაც[სა]ცა მას უწინა-
სწარმეტყუელა [შემდგომად მ]ისა
მოსლვაჲ [ბერ]ძენთაჲ და დაჰყრო-
ბაჲ ქუეყანი[სა] ამის ჩუენისაჲ,
რომელცა-იგი [იქმნა] მსწრაფლ,
მისვე დედაკაც[ისა] ზე მოვიდეს
ბერძენნი და განასხნეს უსჯულო-
ნი იგი სპარსნი და დაიპყრეს

ს¹ გარემო F.
ჟ¹ ძღუენი B.

ს

ღ

არამედ მინდა, რათა გაუწყო თქვენ, ძმანო, ვითარმედ ესევეთარნი ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი საესენი ნელსაცხებელითა, რომელთა თვისითა მით სიმკნითა განაშუენეს სოფელი ესე ჩუენი ერთსა ჟამსა შინა, იყვნეს ვითარცა ჯაჭვოქრომსაჲ მოდებული ერთიერთსა: წმიდაჲ ეპისკოპოსი აბიბოს ნეკრესელი და¹ იოანე² ზედაზადნელი³ და ლირსებრთ მოკსენებული ისე წილკნელი⁴ ეპისკოპოსი და მადლითა საესე ბერი შიო ანუ სხუანი იგი მოწაფენი მისნივე ნეტარისა იოანე ზედაზადნელისანი⁵, რომელთა შუენიერთთა მით სლვითა შეამკვეს ეკლესიაჲ.

ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერიოვან ერისთაენი იქმნეს მპყრობელად ქართლისა. და სხუანი მრავალნი საქმენი და საკრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა.

არამედ იხილეთ და ცანთ გონიერად, საყუარელნო ქრისტესნი, თუ ვითარნი და რაბამნი კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათნონი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი, საესენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონ[ნი] უტომელნი მონაზონებისანი, ნათესა[ნი] . . .]საგან ქუეყანასა ამას ში[ნა] . . . ერ[თსა] შინა ჟამსა გამო[ჩნდეს]

.] და წმიდანი მცნებ[ანი] მისნი სათნოთა მოქალაქობითა წარმართებულთა [ეტ]კრთნეს. და ესევე ქუეყანაჲ [ჩუე]ნი წმიდათა ნაწილთა მათთა დაუნჯებითა სანატრელ იქმნა. ხოლო აწ, ძმანო საყუარელნო, ვედრებით ვითხოვდეთ ქრისტეს ღმრთისაგან, რაჲთა წმიდითა ლოცვითა და მეოხებითა მათითა ლირს მყვნეს მიბაძვად სათნოებათა მათთა და პარადის დიდების მეტყუელებად სამებისა წმიდისა, რომელსა შუენის¹ პატივი და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და [უკუნითი უკუნისამდე, ამინ].

1. ¹ და+ნეტარი F. ² ზედაძნელი F. ³ წილკნელ F. ⁴ ზედაძნელისანი F, ზედაზადნელისთა D.
 9. ¹ შუენის B.

C

D

ერთმან ვინმე მათგანმან ალაშენა ალა-
ვერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენ-
დღელად¹ დღედმდე დიდნი საკვრველებანი და
და მრავალნი კურნებანი, განთქმულნი გარე-
მოს ყოველსა მას სოფელსა; და სხუამან ქუა- 5
ბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგეს კუ-
ხეთს² მონასტერნი, და ერთმან უდაბნოდ გა-
რეჯისაჲ და მრავალნი საკვრველებანი ქმნნა.
ხოლო ერთმან ზენა სოფელსა ალაშენა
მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რა- 10
თა არარაჲ³ დედალთაგანი შევიდეს მას
შინა. რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუე-
წარმავალნი ენასა თუსსა დაამორჩილნა, ვერ
იკადრებდეს დაბუღებად მას შინა, რო-
მელსა-ესე თუალნი ჩუენნი ხედვიდეს დღეს. 15
და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი
ადგილნი მათ წმიდათანი და ყუაფიან დღეს,
უკლეთუმცა ვისმე უხილავი იგი მათი დიდე-
ბაჲ არა ჰრწმენა, ვითარ⁴ გულისგმა-ყომცა
მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა ად- 20
გილთა მათთაგან! ხოლო სხუათა მათ ყო-
ველთა ვერ ძალ-მიც მოვსენებად. არამედ
მცირედითა ამით სიტყუთა დიდი იგი ვცნათ
და გემოდ ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა
და აღიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა. 25
ხოლო ნეტარმან შიო მღვმესა მას შინა
პოლა⁵ ზეცისა იგი მარგალიტი და მოილო
თავსა შინა თუსსა და დაამკვდრა, და ისწრა-
ფდა მისლვასა მის წინაშე, რომელი იგი მო-
იქვა⁶ მან, მიიყვანა ადგილსა მას, სადაცა 30
სუროდა და შეისუენა დიდითა განცხადებუ-
ლებითა. და შეკრა მუნ სიმრავლე მონაზონ-
თაჲ, მსგავსად ჩუეულებისა დაჰმარხნეს
კოლცნი მისნი⁷ მას ადგილსა და განაწესეს
დღეასწაული მის ნეტარისაჲ მეხუთესა ზა- 35
ტიუსა დღესა კვრიაკესა. და შემდგომად ამის-
სა⁸ წმიდაჲ⁹ და კეთილად მოლუაწე¹⁰ ევაგრე
ჩაუღდა მღვმესა მას, რათა არა დააცალიეროს
ადგილი თუსისა მის მოძღუორისაჲ და რათა
სათხოვბათა მისთა მკვდრ იქმნეს, რომელი- 40
ცა აღასრულა საქმით.

C¹ დღედმდეად F. ² კახეთს F. ³ არაჲ F. ⁴ ვითარ—D. ⁵ პოლა F, ⁶ მოიქვა D
⁷ მისნი—F. ⁸ ამის D. ⁹ წმიდასა D. ¹⁰ მოლუაწე D.

შ ა მ ა ო ე ბ ა

**თხრობაჲ სასწაულთათჳს ჴმიდისა და ღმერთ-შემოხილისა
მაგისა შიომცხეთაჲ, კოშხელი-მხე სხუათა მიერ აღწერილი აღ-
გილ-ადგილ მართალ შემოქრება ბასილი კათალიკოსმან,
ქმან ღიდისა პატრიქისა ვაჩხვან**

გუაქურობენ. მამაო

მეუფემან მან ღიდებისამან, იესუ ქრისტემან, ქეშმარიტმან ღმერთმან. რომელმან ინება ესნაჲ კაცთა ნათესავისაჲ წმიდითა და საცხოვრებელითა ვნებითა და სიკუდილითა თჳსითა და აღადგინა ბუნებაჲ ჩუენი დაცემული ხრწნილებისაგან ცხოველს მყოფელითა აღდგომითა თჳსითა, ამან კაცთ მოყუარემან ღმერთმან¹ თჳსისა სახიერებისა² მსგავსად იზიარნა კაცნი მსგავსად ღმრთეებისა³. თჳსისა და ამაღლებულმან ზეცად თანა-აღიყვან-ნა, რაჟამს ღმრთისა ნამისა აღიდნა კორცნი ჩუენგან მიხუმულნი⁴ საყ-დართა მამულთა დაჯდომითა. ამან ქველის მოქმედებითა თჳსითა განაწვნო⁵ ბუნებაჲ კაცთაჲ, რაჟამს ყოვლითურთ განგუსწავლნა თჳთო სახეთა მტერისა განცდათა თავს-ღებითა. ამისთჳსცა ქადაგებისა მიერ წმიდათა მოციქულთა მისთაჲა განმტკიცებულნი ებადვხეს ქუეყანასა ზედა კაცნი ცათა შინასა ნას მოქალაქობასა ანგელოსთასა და მიიწივნეს ვითარცა იგინი სრულსა უვნებ-ლობასა ღუაწლთა ძლიერთა წინა ჩუენებითა, და დათრგუნეს ყოველი ძალი მტერისა შეწევნითა ღუაწლთა დამდებელისა მათისა ღმრთისათა. ამისთჳსცა აღიდნა ღმერთმან ქუეყანასა ზედა, რომლისათჳს იგი იღუაწეს და სულიცა თჳსი უარ-ყვეს მორჩილებისათჳს მცნებათა ნისთასა, ხოლო ცათა შინა ოად-ლა საჭმარ არს თქუმად, თუ ვითარითა დიდებითა შემკობილნი წინაშე ღმრთი-სა კადნიერებით დგანან და ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა იდიდებიან მოქმედებითა დიდითა სასწაულთაჲთა.

ხოლო ღმერთმან ესკევიართა კეთილთა არცალა ქუეყანაჲ ესე ჩუენი დააკლო, არამედ უფროდლა გარდაჰმატა უხუებითა წყალობითა თჳსთაჲთა მოვლინებითა წმიდათა დიდებულთა მამათაჲთა, რომელთა მამულად აქუნდა ანტიოქია ასურეთისა, ხოლო ნიქად ღმრთისა მიერად მოენადლნეს სამეფუო-სა ამას ჩუენსა და დიდთა შინა წარმატებათა სათნო-ეყვნეს ღმერთსა და მრავალთა ნიშთა და საკრველებათა მიერ განთქუმულ ყვნა იგინი ღმერთმან. რომელნი უკუეთუმცა ბერძენთა შორის ქმნილ იყვნეს, ძლითმცა აღსარიცხვე-ლი⁶ წერილი შეექმნა, გარნა ვითარცა და არს ხათესავი ქართველთა მალტიკ და ამას თანა ლიტონცა, არაჲინ იღუაწა აღწერად, გარნა ესე მცირედი თი-თო სახედ სხუათა და სხუათა მოსაჯსენებელთა შინა ჩემ წიერ. პოვნილი. აოა

¹ ღმერთმან] -- H. ² სახიერებისამან H. ³ ღმრთეებისა H. ⁴ მიხუმულნი H. ⁵ განაწვნო H. ⁶ აღსარიცხვეი H.

დავიცონე ერთად შეკრებად. ვინაჲთაგან თვთ მეცა მრავალთა თუალითა ჩემითა მიიღველ¹ ვარ სასწაულთა წმიდისა ამის და დიდისა მამისა შიოხსთა თვთ ჩემ ზედაცა აღსრულებულთა და სხუათაცა მრავალთა, და ვითარცა ღმერთნან ძალი მოგუცეს, ყოველი გარდამოვსცეთ სიყუარულსა თქვენსა.

სასწაულნი წმიდისა მამისა შიოხსნი, თავნი: 68:

თავი: ე:

ოდეს-იგი მღვმესა შინა ჰჯდომარე იყო სანატრელი მამაჲ შიო, იყო ვინნე კაცი სამთავროსა შინა სპარსთასა სენითა წყლით მანკიერებისაჲთა ფიცხლად გუემული და ყოველი, რაჲ იყო მისი, წარაგო მკურნალთა ზედა, გარნა მას არარაჲ სარგებელ ეყო. ამას ესმოდა საკრველებათათჳს წმიდისა შიო[დ]სთა და ჰრქუა მონათა თჳსთა, რათა წარიყვანონ წინაშე მისსა. ესე ვითარცა მოიწია და დაეარდა ზედა კერძო მღვმისა² მის და ჯმობდა³ ჯმითა ძლიერითა ბერისა მიმართ. ვითარმედ: წმიდაო მამაო შიო⁴, შემიწყალე⁵, რამეთუ სარწმუნოებით მოსრულ ვარ ფრიად საწყალობელი და განმკურნე გუენისა ამისგან ჩემისა. და ესრეთ ჯმობდა ღღე ყოველ. ხოლო ჰრქუეს მას ძმათა მონასტრისათა: ღუმენ, ძმაო, რამეთუ ბერი არავის ეზრახების, თვნიერ ღღესა ოდენ კვრიაკესა მამასახლისისა⁶ ამის მონასტრისაჲსა. გარნა იგი ევრეთცა დაადგრა ჯმობასა და ვედრებასა შინა. ხოლო მოიწია რაჲ ღღე კვრიაკე და კაცმან მან ნეტარი ევაგრე⁷ იხილა შთამავალი ბერისა, უმეტეს იწყო ღღადებად და ფიცით დაამტკიცებდა, რაჲთა ვიდრემდის არა განიკურნოს, არა წარვიდეს. ჰრქუა ღღრსმან ევაგრი ნეტარსა შიოს: მამაო, ლოცვა-ყავ კაცისა იმისთჳს, რამეთუ შორით გზით მოიწია, მიიღოს სიწმიდისა შენისა კურნებაჲ. ხოლო ბერმან შეიქუე⁸ პირი თჳსი და მიუგო ევაგრის: ღუმენ, ძმაო, და ნუ მეტყჳ ესრეთ, და ვინ⁹ ვარ მე, ცოდვილი ესე და უსაწყალობელისი ყოველთა კაცთა, ღმერთი არს ყოველთა მკურნალი და ფისი უნებს, თვთ იგი განკურნებს ჯელითა ანგელოზისა თჳსისაჲთა. ხოლო ევაგრი არღარა შესძინა წყინებად ბერისა, არამედ მიზეზ ყო დაბერტყად კუნტული მისი. და აოვნა სამნი ბეწუნი თმათაგან მის წმიდისათა და იპყრნა ჯელსა შინა თჳსსა იღუმალ ბერისაგან მტკიცითა სასოებითა, რაჲთა კაცსა მას მისცეს საკურნებელად საღმობისა მისისა. ეზრახა უკუე სამ ჟამ ოდენ ბერსა, მერმე აღმოვივიდა მღვმით და ძიება ყო კაცისა მისთჳს და არღარა პოვა მღვმისა მის პირსა. განვიდა უკუე და იხილა იგი სრულიად განკურნებული, რამეთუ ქადაგებდა წინაშე ყოველთა დიდებულებასა მას ღმრთისასა, რომელი იქმნა მის ზედა ნეტარისა შიოხს მიერ. მოუწოდა უკუე ღღრსმან ევაგრი კაცსა მას და განკურნებული ჰკითხვიდა: ძმაო, ვითარ განიკურნე, მაუწყე მე? ხოლო იგი ეტყოდა: შთა-რაჲ-ხვედ შენ მღვმესა შინა, ვეჭუ, თუ შენ წარმოავლინე ჰაბუკი იგი, რომელმან მომცნა¹⁰ მე სამნი თმანი მოხუცებულისა კაცისანი და მიბრძა-

¹ მიიღველ] + ქმნილ H. ² მღვმისა H. ³ ჯმობდა H. ⁴ შიო]—G. ⁵ შემიწყალე]—H. ⁶ მამასახლისისა H. ⁷ ევაგრი H. ⁸ შეიქუა G. ⁹ ვინა G. ¹⁰ მომცა G.

ნა, რადთა შთავისხნე პირსა შინა ჩემსა, და შთავისხენ; მყისსა შინა განვიცალე ვითარცა თხიერი და აჰა ესერა ვდგა მე წინაშე შენსა. განიხილა უკუე ევაგრი ჯელი თვისი და არღარა აქუნდეს თმანი იგი/კელსა შინა თვისსა, მო[ი]ცეა უკუე განკრეებამან დიდმან და გულისგმა-ყო უკუე, ვითარმედ ჯნგელოზისა მიერ მიეცნეს კაცსა მას ჯელთაგან მისთა უხილავად ახუნულნი. და ყოველთა რომელთა იხილეს ესე სასწაული, აღიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

წარვიდა უკუე კაცი იგი ქუეყანად თვსად. თმათა მათ მიერ იქმოდა საკრველებათა დიდთა. და მოვიდის კაცი იგი წლითი-წლად და მოიღის საკუმეველი და ზეთი წმიდაჲ¹ ეკლესიისათვს, და ქადაგებდა სასწაულსა მას მისსა ზედა აღსრულებულსა და ყოველნი, რომელთა ესმა და იხილეს, აღიდებდეს ღმერთსა.

სასწაული მეშუდე

სხუად ვინმე კაცი იყო მორწმუნე ქუეყანისაგანვე სპარსთაჲსა, რომლისა ძე ბრმაჲ განეკურნა ნეტარსა შიოს. ესე ოდესნე ჯოვიდოდა ნეტარისა შიოჲსა² და აქუნდეს ორნი კერძოვირნი აღტვრთულად ზეთითა, სინსიმითა, თაფლითა და ლეღვთა ჯმელითა, რადთა უეველოგიოს ძმათა მონასტრისა მისისათა. შეულანდა უკუე უდაბნოსა ადგილსა და დაესხნეს მათ ზედა ავაზაკნი, დაწყულნეს მონანი მისნი და თვთ იგი ივლტოდა, ვიდრემდის განთენა³. ხოლო განგებულებითა ღმრთისაჲთა მოვიდეს მონანიცა მისნი ლტოლვილნი წინაშე მისსა. არა შეორგულდა ყოვლადვე კაცი ესე, არამედ აღიპყრნა კელნი თვისნი და ჯმაყო ესრეთ: მამაო წმიდაო შიო, შენ იბრუნვე ყოვლისა მისთვს, რად-იგი ევლოგია მოგუაქუნდა მონასტერსა შენსა, და კერძოვირთაცა მათ ჩუენთათვს. და ესრეთ წარემართა გზასავე მონასტრისასა. ხოლო ღმერთმან შეცვალნა გონებანი მათ ავაზაკთანი. და ვითარ ვიდოდეს იგინი გზასა, ეგონა მათ, ვითარმედ თვსად საყოფელად მივლენ. იხილნეს თავნი თვისნი, რამეთუ მისრულ იყვნეს მახლობელად მონასტერსა⁴ მძვმისასა. და გუემნა ღმერთმან სიბრმითა. ვიდრემდის დასხდეს გზასა ზედა ყოვლად უნათლონი. ხოლო მოიწია კაცი იგი და იხილნა კერძოვირნი თვისნი თვისთავე ტვრთითა და კაცნი იგი ბრმანი, და განკრეებული უკუე ჰკითხვიდა მათ: კაცნო, სადანი ხართ, ანუ კერძოვირნი ესე ვინაჲ⁵ არიან თქვენ თანა. ხოლო მათ უნდა და თუ არა აღიარებდეს ბრალსა თვისსა, ვითარმედ: ჩუენ კაცნი ვართ ავაზაკნი და ესე სხუათაგან მიტაცებულნი გუქონან. ჩუენ ვგონებდით, თუ სახიდ ჩუენდა მივალთ და ვიხილენით თავნი ჩუენნი უტხოთა რათმე კლდეთა შინა, და აჰა მოხუცებულ ვინმე მონაზონი ვიხილეთ, რომელსან გუბერა თუალთა ჩუენთა და დავბრმდით, და არა უწყით, თუ სადა ვართ, არამედ გვედრებით შენცა⁶, ვინცა-ეგე ხარ, რადთა წყალობა-ყო ჩუენ თანა და სადა-იგი⁷ მიხვალ, წარგვძლუე⁸ ჩუენცა, რადთა არა უდაბნოსა ზედა მოვსწყდეთ.

¹ წმიდაჲ—H. ² შიოჲსა GH. ³ განთენდა GH. ⁴ მონასტრისა H. ⁵ ვინ H, ვინა G
⁶ შენ H. ⁷ სადა-იგი+შეა H. ⁸ წარგვეყენე H.

ხოლო მორწმუნემან მან კაცმან არაარაჲ ჰრქუა მათ ყოვლადვე, არამედ ესე: ნოვედით, ძმანო, და მიგიყვანნე ესერა მახლობელად მონასტერსა კაცი-სა ღმრთისა შიოჲსსა. და შეუდგეს მას კაცი იგი. ხოლო მი-რაჲ-ვიდეს მონასტრად. ჰრქუა ავაზაკთა მათცა¹ და² მონათა თჳსთა; დასხედით, ძმანო, თქუენ აქა მახლობელად ეკლესიისა. ხოლო მე აღვიდე მამასახლისისა. და მივიდა უკუე ქუაბსა ნეტარისა ევაგრესსა, იხილა იგზ და მოილო ლოცვაჲ მის მიერ³. მერმე მიუთხრა ყოველი, რომელი შემთხუეულ იყო მისდა სღვასა მას შინა გზისასა. ესმა რაჲ ესე ყოველი ევაგრის, უბრძანა, რაჲთა დაჰრეკონ ძელსა და შემოკრბენ ყოველნი ძმანი.

მერმე მოიყვანნა ავაზაკნი იგი და⁴ ჰრქუა წინაშე ყოველთასა: შეილნო, ვინანი ხართ, ანუ რაჲ არს თქუენ ზედა მდებარე ეგე სასჯელი⁵? იწყეს უკუე კაცთა მათ და წარმოუთხრეს ყოველი თითოეულად. ეგრეთვე მორწმუნემან მან კაცმან წარმოუთხრა პირველი განსაცდელი თჳსი. და ყოველთა ესმოდა რაჲ საკრველებჲჲ ესე, აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო კაცთა მათ ავაზაკთა ცნეს რაჲ მათ ზედა აღსრულებული იგი საკრველებჲჲ, აღიმალღეს ერთბამად ჳმად და ლაღადებდეს. ვითარმედ: მონაო ღმრთისაო შიო, შეგვწყაღენ ჩუენ უღირსნი ესე მონანი შენნი და ნუ მოგუაგებ უსჯულოებათა ჩუენთაებრ. და ესრეთ ჳმობდეს მრავალ ჟამ. ხოლო ევაგრი უბრძანა: დასცხერიო, ძმანო, დღედმდე კვრიაკედ და მაშინ ვევედრო წმიდასა თქუენთჳს. ხოლო თქუენ დაადგერიო ლოცვასა შინა და ვედრებასა ღმრთისასა.

მოიწია რაჲ დღე კვრიაკე, შთავიდა ევაგრი ხიღვად ბერისა. ხოლო კაცთა მათთჳს დაიდღმა განგებულებითა. არამედ რაჲამს იგზნიდა ბერისაგან, ჰრქუა მას ბერმან: ძმაო ევაგრი, მიიღე კუერთხი ესე და არქუ კაცთა მათ, რაჲთა განეყენნენ ეგევითარსა უწყსობებასა. აჰა ესერა განმიჯსნიეს კრულება ეგე⁶ ვერ-მხედველობისა მათისა. შეახე თუალთა მათთა და განეხუნენ და ეკრძალნენ. რაჲთა არა უძრესი ეყოს. განკვრდა უკუე ევაგრი, რამეთუ არაარაჲ⁷ და-ეფარვის არცჲ თუ მცირეთაგანი რაჲმე. აღმოვიდა და მიუთხრა ყოველივე კაცთა მათ, რაჲ-იგი იქმნა⁸. ჰრქუა მას ბერმან, ხოლო იგინი აღუთქუმიდეს, ვითარმედ არღარა ოდეს შესძინონ ეგევითარი უწყსობეჲჲ. შეახო თუალთა მათთა კუერთხი ბერისა[ღ] ღირსმან ევაგრი და მეყუსეულად დაჯსნდა სიბრმე მათი და იხიღეს ნათელი დღისაჲ და აღიდებდეს ღმერთსა. წარვიდეს სოფლად თჳსა და აღიარებდეს ცთომილებასჲ მას თჳსსა და ქაღაგებდეს დიდებულებასა⁹ ღმრთისასა და მიუთხრობდეს სასწაულთ-მოქმედებასა ნეტარისა შიოჲსსა და ყოველნი, რომელთა ესმოდა¹⁰, აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო მორწმუნემან მან კაცმან დაყუნა მცირედნი დღენი მონასტერსა მას შინა და კრძოვირნიცა იგი მისნი მისცნა¹¹ სამსახურებელად მონასტრისა. ხოლო თჳთ მიიღო კურთხევაჲ ბერისაგან¹² და ყოველთა მათ ძმათა და წარვიდა სოფლად თჳსად მშჳდობით და მიუთხრობდა ყოველთა საკრველებასა მას ნე-

მათცა—H. ² და|+მათცა H. ³ მიერი H. ⁴ და|—H. ⁵ ეგე სასჯელი სჯული H. ⁶ იგი H. რამეთუ არაარაჲ თუ ვითარ არა H. ⁷ ჰქმნა H. ⁸ დიდებულებასა|+მას H. ⁹ ესმა H. ¹⁰ მისცა H. ¹² ბერისა H.

ტარისა შიოძს მიერ აღსრულებულსა და ყოველნი აღიდებდეს ღმერთსა და აქებდეს მონასა მისსა შიოს.

სახწაული მერვე

ჟამთა მათ შინა ოდეს ქართლს შინა მთავრობდა სტეფანოზ, ანან ოდეს-მე ღმრთის მოყუარებისა¹ ჩემებითა ინება, რაფთაძეცა მოვიდა მღვმედ თაყუანის-ცემად ნეტარისა შიოძსა. ხოლო ინება პირველად მივლინებად მსახური თვისი და მიჰრქუა მამასახლისსა მისლვად თვისი. და მივიდა დღესჲ მეორესა თვთ იგი და აღმოუწოდა კათალიკოზსა ბართლომეს, რაფთა იგიცა მივიდეს კრებისა ყოფად მის თანა. და მივიდა რაჲ კათალიკოზი. ცნეს მამათა ყოველთა და განვიდეს მიგებებად მის წინაშე ჯურებითა და კერეონებითა, ვითარცა ჰშუენის მამათ მთავარსა. და იკურთხეოდეს ყოველნი და ამბორს უყოფდეს ჯელთა და ფერჯთა და რომელნიმე აღილებდეს მიწასა კუალთა მისთასა ევლოგიად და შეასხმიდეს გალობითა ჯერისაებრ. დაყვეს დღე იგი და მიილო ყოველთა მამათა ლოცვაჲ კათალიკოზმანცა. და იჯნა სტეფანოზისგან და წარვიდა. და წარსლვასა მას ეგრეთვე პატივი უპყრეს ყოველთა ჯეროვნად. იხილა რაჲ ესე² სტეფანოზ, განიხერხებოდა შურითა, რამეთუ ამას არარაჲ ესე ვითარი პატივი უყვეს მონათა მათ ღმრთისათა და რამეთუ იუოცა კაცი ესე ამპარტავან და ბოროტითა შურითა აღსაესე და ეკლესიათა ფრიად ძლსა უყოფდა.

მოუწოდა თვისაგან³ მამასახლისსა და ჰრქუა უპატიოდ, ვითარმედ: ბერო არა კეთილო, არა სკანა მოსლვად ჩემი უწინარეს დღისა ერთისა? და მან ჰრქუა: ჰე, ვცან. და მიუგო: და ვითარ შეურაცხ-მყავთ. რამეთუ არარაჲ მთავრობისა პატივი წინა-მიყავთ⁴ და ოდეს სკანით ეპისკოპოზისა თქუენისა მოსლვად, ესოდენ აღიდეთ იგი? მიუგო მამასახლისმან მდაბლითა ვმითა: უფალო მთავარო, და რაჲ არს ჩუენ მიერ პატივი გინა თუ შენ ზედა. გინა თუ მას, არამედ ჩუეულ ვართ წესთაგან ეკლესიისათა, რაფთა მსგავსად ქრისტესსა გუეპყრენ მწყენსნი და რად უსწავლულეს გამოვრნდეთ ყრმათა მათ ებრაელთასა, რამეთუ გუესმის ეგერა სახარებისაგან ვითარ პატივ-სცეს მათ შესლვასა მეფისასა იერუსალემდ,⁵ და აწ ესერა მსგავსად მეუფისა⁶ პატივს-ვსცემთ ამას, რომელი გამოირჩია მან სიძედ ეკლესიისა თვისისა ნაცვალად თვისსა. და ჰრქუა სტეფანოზ: და უმეტეს არსა საყდარსა ჩემსა ეპისკოპოზისა. და რამეთუ შე მეფეთა საყდართა ვზი და იგინი არიან ნაცვალნი ღმრთისანი ქუეყანასა ზედა? ჰრქუა მას მამასახლისმან: მთავარო, კეთილად იტყვ. რამეთუ მეფენი ოდეს ემსგავსენ ღმერთსა სიბართლითა და სახიერებითა და მოწყალებითა, არიან ნაცვალ ღმრთისა, არამედ ვითარ ვხედავ გონებასა შენსა, ფრიად შორს ხარ ღმრთისა მსგავსებისაგან, რამეთუ სიტყუანი ეგე ამპარტავანთანი არიან და მოშურნეთანი, რომელთათვის წერილ არს სულისა მიერ წმიდისა: «შერისხენ შენ ამპარტავანთა და წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს ძცხე-

¹ მოყუარებისა] მსახურებისა H. ² ესე]+ყოველი H. ³ თვისაგა (ი. ⁴ რამეთუ არა რაჲ .. მიყავთ)—H. ⁵ იერუსალიმად GH. ⁶ მეუფისა] მეფისა მის H.

